ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

8

1983

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

314

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

8

აგვისტო

1983

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ნათელი ორიენტირი

პოეზია და პროზა

7. მიხეილ ქვლივიძე — ახალი ლექსები
11. ჯემალ ქარჩხაძე — ქარავანი. რომანი. გაგრძელება.
57. თედო ბექიშვილი — ხიდი. ლექსი
60. კობა არაბული — ლექსები
64. რევაზ მიშველაძე — ნოველები
92. ზაურ მოლაშხია — ლექსები
94. ვაჟა ოთარაშვილი — ციკლიდან „შემოდგომის მელოდიები"
96. მერაბ აბაშიძე — ცეროდენა ანგელოზი. მოთხრობა
103. შოთა ხოდაშნელი — ლექსები
105. დათო მაღრაძე — ლექსები
107. მამუკა დოლიძე — ნოველები

ახალი თარგმანები

119. ფინელი პოეტები — ლექსები. თარგმნა ამირან კალაძემ

ნარკვევი

121. ბადრი ჭოხონელიძე — გზის ავლისას

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

125. კუკური თორდია — დეკაბრისტები და გრიბოედოვი ახალციხის განთავისუფლების მონაწილენი

პუბლიცისტიკა

128. აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები და ქართული სინამდვილე

წერილები

138. აკაკი მათიაშვილი, უშანგი სახლთხუციშვილი, შოთა ჭაჭუა — ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის შესახებ
146. ვახტანგ გოილაძე — ნაშრომი ვახტანგ გორგასლის ეპოქაზე
150. თენგიზ წოწონავა — მარადიული მგზავრი

ხელოვნება

153. ბორის ხესინი — ვინ თქვა, დონ კიხოტი მკვდარიაო? თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელი ორიენტირი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელიც პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა, ახალი ნიშანსვეტია ჩვენი შემდგომი მუშაობის გზაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ყოვლისმომცველად, ამომწურავადაა გაშუქებული პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ძირეული, საკვანძო საკითხები, ის მთავარი ამოცანები, რასაც ცხოვრება აყენებს თანამედროვე ეტაპზე. „მთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა გადაჭრით უნდა ავიყვანოთ იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში“ — თქვა პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა და შემდეგ კონკრეტულად დაგვისახა ყველა ის ამოცანა, ყველა ის პრობლემური და საკვანძო საკითხი, რომელთა გადაჭრა-გადაწყვეტაც პარტიის იდეოლოგიური მოღვაწეობის სფეროში შემოდის. ეს საკითხები მთლიანად მოიცავს ჩვენი ცხოვრების ყველა უბანსა და სფეროს, ყველა რგოლსა და წახნაგს. პლენუმზე ითქვა, რომ იდეოლოგია არის ის ხერხემალი, რომელზედაც აშენებულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება და მისი შემდგომი სრულყოფისათვის ზრუნვა წარმოუდგენელია პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმმართველი როლის გარეშე.

იმ უმთავრეს საკითხებს შორის, რომლებიც პლენუმმა დააყენა დღის წესრიგში, ერთ-ერთი მთავარი ყურადღება ეთმობა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მუშაობის შემდგომ სრულყოფას.

„პარტია მხარს უჭერს ყოველივეს, რაც ამდიდრებს მეცნიერებას, კულტურას, ხელს უწყობს მშრომელთა აღზრდას განვითარებული სოციალიზმის ნორმებისა და პრინციპების სულისკვეთებით. იგი სათუთად, პატივისცემით ეკიდება ტალანტებს, ხელოვანის შემოქმედებით ძიებას, არ ერევა მისი მუშაობის ფორმებსა და სტილში. მაგრამ პარტია გულგრილი ვერ იქნება ხელოვნების იდეური შინაარსისადმი. იგი დღენიადაგ წარმართავს ხელოვნების განვითარებას ისე, რომ ხალხის ინტერესებს ემსახურებოდეს. რა თქმა უნდა, აქ ადმინისტრირებაზე არ არის ლაპარაკი, მხატვრულ შემოქმედებაზე გავლენის მთავარი მეთოდი უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა, აქტიური, გულისხმიერი, ყურადღებიანი და ამავე დროს შეურიგებელი იდეურად უცხო და პროფესიულად სუსტი ნაწარმოებებისადმი“ — ი. ვ. ანდროპოვის ამ საპროგრამო სიტყვებს, ცხადია, კომენტარი არ ჭირდება. მათ ჭირდება ჩაღრმავება და მთელი არსით გასიგრძეგანება, ეს სიტყვები უნდა იქცნენ ჩვენი შემდგომი მუშაობის ორიენტირად. რამდენი რამაა მათში დასაფიქრებელი და ჭკუისსასწავლი. ტალანტები სათუთი მოპყრობისა და ყურადღების საგანი იყო ჩვე-

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.

ნი სახელმწიფოს განვითარების ყოველ ეტაპზე. ასეა დღესაც, მაგრამ იდეურად უმწიფარი და მხატვრულად უსუსური ნაწარმოებები ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ფონზე ნამდვილ ანაქრონიზმად აღიქმება. ამ საკითხებზე ღრმად დაფიქრებას გვავალებს იდეოლოგიური ბრძოლის მეტად გამწვავებული თანამედროვე პირობები. „მიმდინარეობს ბრძოლა პლანეტაზე მილიარდობით ადამიანის გონებისა და გულის გადასაბირებლად, — თქვა პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა — და კაცობრიობის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ამ იდეოლოგიური ბრძოლის შედეგზე. აქედან ნათელია რაოდენ მნიშვნელოვანია შევეძლოს გასაგები და დამაჯერებელი ფორმით ვაუწყოთ მთელი მსოფლიოს უფართოეს ხალხთა მასებს სიმართლე სოციალისტური საზოგადოების, მისი უპირატესობის, მისი სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია მარჯვედ ვამხილოთ ფლიდური, ძირგამომთხრელი იმპერიალისტური პროპაგანდა. ჩვენ გვჭირდება კონტრპროპაგანდის კარგად გააზრებული ერთიანი სისტემა — დინამიკური და ეფექტიანი“.

ამ ბრძოლაში, გულისა და გონების გადაბირების ამ დაუცადებელ ომში დიდია მწერლისა და ხელოვანის როლი. დიდია მხატვრული სიტყვის ძალა. საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ქართული მწერლობა, დღეს უფრო მეტ სიფხიზლეს, უფრო მეტ იდეოლოგიურ სიმწიფეს გვავალებს და საჭიროა, რომ ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებიდან მომავალში უფრო ხშირად გაისმას ეს წრფელი, მოქალაქეობრივი და მამულიშვილური გრძნობით გაჟღენთილი სიტყვა.

ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად დასახა პლენუმმა და ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალის მუშაობის პროფილს ეს საპატიო მისიაც განსაზღვრავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებისადმი მიძღვნილ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, რომელიც 8-9 ივლისს გაიმართა თბილისში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დაწვრილებით, ძირეულად და ამომწურავად ჩამოაყალიბა ის საკითხები, რასაც ივნისის პლენუმი ჩვენს რესპუბლიკას უსახავს. მრავალ საგულისხმო მოსაზრებათა შორის ჩვენთვის, ჟურნალის რედაქციისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლის დადებითი შეფასება და ის კონკრეტული ამოცანები, რაც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ შემდგომი მუშაობისათვის დაგვისახა: „ხელოვნება მოწოდებულია იდეურად, პოლიტიკურად, ზნეობრივად ზრდიდეს ადამიანებს, უნერგავდეს მათ პატრიოტიზმის, ჰუმანურობის, ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის მაღალ იდეებს...“ როცა მაღალ მოთხოვნას ვუყენებთ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს ნიადაგ უნდა ვზრუნავდეთ მათდამი რეალურ, პრაქტიკულ დახმარებაზეც. ჩვენ ყველას მეტი მზრუნველობა გვმართებს ახალგაზრდათა ცხოვრებისა და შემოქმედების პირობების გაუმჯობესებისათვის. ჩვენ ვეძებთ და ყოველი ღონისძიებით ვუჭერთ მხარს ახალგაზრდა შემოქმედი ინტელიგენციის იმ ნიჭიერ წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობენ მხარში გვედგნენ წინსვლა-განვითარებაში, კრიტიკულად იაზრებენ არსებულ ნაკლოვანებებს და ეძებენ მათი დაძლევის გზებს.

ვისახავთ რა მიზნად ვაზიაროთ შემოქმედი ახალგაზრდობა თანამედროვე

პრობლემატიკას, ამავე დროს გვმართებს ვაწარმოოთ ბრძოლა კონიუქტურის წინააღმდეგ, როცა აქტუალობის ალმით ნიღბავენ უმწიფარ ნამუშევართა ხე- ლოვნების ნაწარმოებად გასაღების ცდებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სიტყვები რეალურად ასახავს ჩვენი ახალგაზრდული ლიტერატურული ცხოვრების სურათს. პარტიისა და მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას ახალ- გაზრდა შემოქმედთა მიმართ, იმ დიდ ნდობას, რასაც ჩვენ გვიცხადებენ, გა- მართლება ჭირდება, გამართლება საქმით, შრომით, პოლიტიკური სიფხიზლით, ზნეობრიობით, ცხოვრების წესით. კონიუქტურა, რაზეც ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში გარკვევითაა ნათქვამი, ის საშიში სენია, რომლის სიმპტომებიც აქა-იქ იგრძნობა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და მასთან ბრძოლა ვე- რავინ უნდა დაგვასწროს. ნეგატიური მოვლენები, რომელთან ბრძოლის კარგი ტრადიციები დაუგროვდა ქართულ მწერლობას, ჩვენს კედლებში არ უნდა შემოგვეპაროს, თორემ ხალხის ყოვლისმხედველი თვალი ყველაფერს ამჩნევს და რა ფასი აქვს სიტყვას, როცა იგი საქმით არაა შემაგრებული, როცა იგი გულით არაა ნაგრძნობი, და ნათქვამი.

ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი, წარმმართველი უბანია კრიტიკა. კრიტიკის როლს, მის მაღალ ფუნქციას ყოველთვის სათანადო ყუ- რადღება ექცეოდა და დღეს, ივნისის პლენუმმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ კრიტიკას მეტი აქტიურობა მართებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად.

თუმცა კრიტიკას ბოლო წლებში ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო, რო- გორც ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე შენიშნავს: „ხშირად იგი გვერდს უვლის ხოლმე იდეურად სუსტ ნაწარმოებებს, არ აძლევს ზუსტ პარტიულ შეფასე- ბას ნამუშევრებს, არ მიუთითებს ავტორებს დაშვებულ ხარვეზებზე. შემოქ- მედებითი კავშირები, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე გამომა- ვალი ჟურნალების რედაქციები ყოველნაირად უნდა უწყობდნენ ხელს ჩვენი მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის პროფესიული და იდეური დონის ძი- რეულ ამაღლებას".

ამ სიტყვაში ნათლადაა წარმოჩენილი ჩვენი მუშაობის სამომავლო გეგ- მები, კრიტიკამ უნდა დაძლიოს აღნიშნული ხარვეზები, მეტი ობიექტურო- ბით, მეტი პირუთვნელობით უნდა თქვას თავისი პრინციპული და ავტორიტე- ტული სიტყვა ჩვენს დღევანდელ მწერლობაზე. ამის გარეშე ლიტერატურულ ცხოვრებაში განურჩევლობა ისადგურებს, ერთმანეთში აღირევა უნიჭოება და ნიჭიერება, კრიტიკის პასიური როლის წყალობითვე ეხსნება გზა კონიუქტუ- რას. კრიტიკაში ნაკლოვანებათა ერთბაშად დაძლევის დაპირება ცხადია თავის მოტყუება იქნება. ის რაც წლების მანძილზე დაგროვდა და კრიტიკული ჟან- რის ნაკლოვანებად ჩამოყალიბდა, ასევე წლების განმავლობაში თანმიმდევრულ ბრძოლას საჭიროებს. ჟურნალ „ცისკარში" ამ მიმართულებით უკვე დაწყე- ბულია მუშაობა და იმედია მომავალში უფრო მომძლავრდება ის სასიკეთო ტენდენცია, რაც ქართული კრიტიკული აზროვნების შემდგომ აღმავლობას გულისხმობს. ჟურნალში ასევე, მხატვრულ პროზასა და პოეზიასთან ერთად განზრახულია პუბლიცისტიკის ჟანრის უფრო მეტი გააქტიურება. მწერლის პუბლიცისტური სიტყვა ერთ-ერთი ის იარაღია, რომელიც უფრო აქტიურად უნდა ავამოქმედოთ პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური ბრძო- ლის კარდინალური საკითხების გადაწყვეტაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისის პლენუმი დაემთხვა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე საერთო სახალხო ინტერნაციონალურ ზეიმს — გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავს, თარიღს, რომელმაც დასაბამი მისცა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნო დამეგობრებას, თარიღს, რომელმაც რადიკალურად შემოაბრუნა საქართველოს ისტორიის ბედის ბორბალი და ნანატრ მშვიდობიანობასთან ერთად კულტურული ცხოვრების ახალი ჰორიზონტები გადაგვიშალა. ეს ზეიმი ლენინის ეროვნული იდეების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა.

ვრცელია ის სამოქმედო პროგრამა, რაც ივნისის პლენუმმა დაუსახა ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას. იგი მოიცავს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრების ყველა უმთავრეს უბანს და ქართული მწერლობა, ჟურნალი „ცისკარი“ და მისი ახალგაზრდული შემოქმედებითი კოლექტივი გულწრფელი ენთუზიაზმით იბრძოლებს ამ სადღეისო პრობლემების გადასაწყვეტად.

ჩვენ გვაქვს ზუსტი და ნათელი ორიენტირი. მიზნის სინათლე ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ამ მიზნის განხორციელებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

ახალი ლექსები

●

ჰოდა, ამქვეყნად რომ
დავბრუნდები,
როცა მიწაზე ხელახლა მოვალ,
ნაძვი ვიქნები, თუ ვთქვათ,
კურდღელი,
თუ ის პოეტი, ამჟამად რომ ვარ, —
მე მინდა სულ სხვა ბედი მეწიოს:
ნაძვს — საახალწლოდ არ
მომხვდეს ცული,
კურდღელს — მწევარი არ
დამეწიოს,
პოეტს კი ისევ ამომხდეს სული,
რომ დასასრული ჩემი ცხოვრების
შევიტკბო, როგორც უფლის
წყალობა,
და მეც ვიცოდე (დაახლოებით!)
„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა"!

●

ნუთუ ამქვეყნად მართლა
ვცხოვრობდით?
(რა საჭიროა აქ მრავლობითი?
ადამიანი მარტო მხოლობით
რიცხვში არსებობს, და ეს
ყოფითი
ბანალობა თუ გამონაკლისი
მისი საქმეა — სხვა არავისი!)

მეც ამ მიწაზე ერთ დროს ვიყავი
და გულუბრყვილოდ შეუნიღბავი,
გარემოცული თანამგზავრებით
რიგში ვიდექი დახშულ კარებთან
და რომ მეგონა დროს ვატარებდი,
თავის ნებაზე დრო მატარებდა!..

ეგრე იყო თუ ეგრე მგონია, —
(მოდი და ახლა დაანამდვილე!)
ბოლოს გათავდა ის აგონია,
დასრულდა ტანჯვა და სიმარტვილე,
ფართოდ განიხვნა ჩემს წინ კარები
და მე აღმოვჩნდი... ახალ კარებთან,
და მივხვდი:
დროს კი არ ვატარებდი,
თავის ნებაზე დრო მატარებდა!

●

გამართლებულნი სხვისი ცოდვებით
ანდა სინდისით — ჩვენში მძინარით,
დავდივართ, როგორც
ყოვლისმცოდნენი,
თუმცა ვართ ყოვლად უცოდინარნი.
და სიკვდილის ჟამს, როცა
ვხუცდებით
ნაზიარები ათას წვალებას,
პატარებივით გამოუცდელნი
ვხვდებით საკუთარ გარდაცვალებას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქ კი, ქალაქში...

„და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია,
აწცა იხილვების, ვითარცა ახალი...“

მემატიანე

გარდაიცვალა... ხელს არ გვიშლის არავის ეხლა
და ამიტომაც გულმოდგინედ ვადიდებთ ერთხმად.

იქ კი, ქალაქში, სადაც შუქი აღმოხდა მისი,
საავადმყოფოს შესასვლელთან გუბე დგა სისხლის.

ქუჩაში ხალხი ძველებურად მიდის და მოდის.
გუბე არ შრება.
და გაშრება, ვინ იცის — როდის?.

შეგონება

კარგად ასწავლე, მოძღვარო,
შეგირდს,
რომ სიბერეში აღარ იწვალო
და რისი სწავლაც ვერ მოასწარი,
შეგირდისაგან თვითონ ისწავლო.

●

მე სადღეგრძელო ისეთი მიყვარს,
„თავისუფალი“ რომელსაც ჰქვია!
ქართულ სუფრაზე — ადრე თუ
გვიან —
მისი დროც მოდის... და იდუმალი
ფიქრი, რომელსაც ედო ყადაღა,
აშკარავდება: დგება სტუმარი
და რაც გულში აქვს, ამბობს
ხმამაღლა!

●

არის ხ ე ლ ო ბ ა და არის ვ ნ ე ბ ა
და ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ც არის
აგრეთვე.
მხატვარი გერქვას, — გაქვს ამის
ნება,
თუ საქმეს შენსას გულით აკეთებ;

მაგრამ თუ გული გულობს
ზედმეტად,
თუ გიყვარს ჭამა, მონა ხარ
მოდის, —
რამდენიც გინდა არის შ ე კ ვ ე თ ა,
მადა კი... მადა ჭამაში მოდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი გამაჩნია,
არც მქონია არასდროს.
უფალმა რომ გამაჩინა,
ჟამი იდგა საავდრო...

მდიდარი ვარ მარტო იმით,
რაც არასდროს მებადა...
შენი ნახვის მოლოდინიც
ჩემთვის ნეტარებაა!

ყალმუხური წყევლა

შინ მობრუნებულს, —
ნახევარგზაზე,
ტრიალ მინდორში წაგექცეს ცხენი,
ან სიბერეში ცოლი მოგიკვდეს
და მარტოხელამ დალიო დღენი...

ლილის

შენ ცოცხალი ხარ,
მაგრამ რატომღაც
ყოველ წელიწადს
ხელახლა კვდები

და მე იძულებული ვარ
დაბადების დღის ნაცვლად
ისევ წლისთავი
გადაგიხადო...

●

გაპარტახებულს მაგონებს ტაძარს
ამქვეყნად ყველა უსულო კაცი.
სიკვდილი მუდამ სიცოცხლეს
ბაძავს,
თუმცა მასავით არაა მკაცრი.
ერთი წამია სიკვდილი... მერე
მუდმივ სიმშვიდეს ანიჭებს
ცხედარს,
ხოლო სიცოცხლე — სიკვდილის
დღემდე
ადამიანში მოსისხლეს ხედავს.

პაროდია

№-6

ხის რგვას ვერ ჯობს მოჭრა ხისა,
ათზე მეტი არის ასი...
ზოგჯერ ნაცვლად დორ-ჩარისა,
დუ-ბეშის და დუ-ბარასი,

ჯდება მარტო დუ ან ბეში
და თუ წყვილებს მაინც ველით,
სანამ წავალთ დიდუბეში,
სულ ვაგოროთ კამათელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული ნეკროლოგი
ანუ
ისტორიული კორექტივი

ხანმოკლე,
მაგრამ მძიმე ავადმყოფობის
შემდეგ,
რომელსაც პოეტის ცხოვრება
ჰქვია,
ქალაქ განჯაში
მოულოდნელად გარდაიცვალა

თავადი ნიკოლოზ (ტატო)
მელიტონის-ძე
ბარათაშვილი...
ჩვენს რიგებს გამოაკლდა...
მისი ნათელი ხსოვნა...
და ა. შ. და ა. შ.

ამხანაგების ჯგუფი

ნოსტალგია

მიწას შუბლით ვენარცხები,
გრძელდება აგონია:
მოსკოვური ეს ცაცხვები
ქართველები მგონია!

●

არ მიძებნია კვარცხლბეკი არსად, —
არ დამიკარგავს უქმად წუთები.
ძეგლს კი არ ვიგებ, მავანთა
მსგავსად,
საკუთარ თავის ძერწვას ვუნდები.

მ—ს

ჰოდა, როცა მხუწარების
ალში გული დამენაცრა, —
ამ ცეცხლიდან ხელმეორედ
შენ დამბადე ქართველ კაცად!

და რადგანაც ასე კარგი
გამაჩინე, თვალის ჩინო,
ერთი კარგი დამმარხველიც
შენვე უნდა გამიჩინო!

●

რა ცოტა უნდა რუს გოგონას, რომ მზეთუნახავი
გახდეს: შიშველ ტანზე გახუნებული სარაფანი,
იაფფასიანი
„ბასანოჟკები" და ომში დაღუპული მამის საველე ჩანთა
მხარზე გადაკიდებული!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

ქარავანი

რომანი

თავი მეთექვსმეტე

ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი მდგომარეობა, რაც უნდა ეფემერული ჩანდეს იგი გედეონ რევიასა და სამსონ თეოსოფის სათვალთვალო კოშკიდან, სავსებით რეალური და ანგარიშგასაწევი ფაქტია და ცხოვრების გზაზე მიმავალი ზღაპრის გმირი რომ ტრადიციული წარწერის მაგიერ გზაჯვარედინზე ასეთ წარწერას წააწყდეს: „ვინც აქეთ წავიდეს, მაღალ საზოგადოებაში მოხვდეს", საეჭვოა, ცთუნებას გაუძლოს და მაინც მოუსავლეთისაკენ გასწიოს, როგორც ამას ზღაპარი მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, საზოგადოებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, ჩვენი გმირის აღზევება და დაცემა ერთსა და იმავე დღეს დაიწყო.

ოქტომბერი იდგა, უმშვენიერესი დრო, როდესაც ქვეყანაზე ყვითელი ფერი ჭარბობს, მზე ზომიერად აცხუნებს და ბაზარშიც შედარებით იაფობაა. საღამოს, სპექტაკლის სათამაშოდ რომ მივიდა თეატრში, აბელს მერიმ პატარა, ოთხკუთხა, ძალიან მაღალხარისხოვანი ქაღალდი გადასცა. ეს ქაღალდი აღმოჩნდა მოსაწვევი ბარათი, რომელზედაც ძირითადი ტექსტი სტამბური წესით იყო დაბეჭდილი, ხელით მხოლოდ გვარი, სახელი და თარიღი ეწერა. შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ ქალბატონი სალომე, ქალაქის უპირველესი მზეთუნახავი და ოფიციალური დედოფალი, ხვალ, 14 ოქტომბერს, საღამოს რვა საათზე, აბელს სტუმრად იწვევდა. თუმცა ბარათის წაკითხვისთანავე გაახსენდა, რომ ქალბატონი სალომესაგან მსგავსი დაპირება ერთხელ უკვე მოსმენილი ჰქონდა, აბელმა დამატებითი განმარტება მოსთხოვა მერის. მერიმაც განუმარტა. ქალბატონი სალომე (მერი „ქალბატონი სალომეს" ნაცვლად „სალომეს" ამბობდა და „ბატონი ვიქტორის" ნაცვლად „ვიქტორს") თვეში ორჯერ პატარა საღამოებს მართავდა. სტუმრებს, სურვილისდა მიხედვით, საჭმელად სთავაზობდნენ ბუტერბროდებს ან ნამცხვარს, ხოლო სასმელად — ჩაის ან ყავას. საღამოების მთავარი მიზანი იყო საუბარი ხელოვნებასა და ლიტერატურაზე (ხელოვნება და ლიტერატურა ქალბატონი სალომეს ჰობი ყოფილა), მეცნიერებაზე, პოლიტიკაზე, ფილოსოფიაზე, რაც ღამის თორმეტ საათამდე, ზოგჯერ პირველ-ორამდეც კი, გრძელდებოდა ხოლმე.

— სტუმართა სია, — თქვა მერიმ. — უმკაცრესი შერჩევით დგება და მასში მხოლოდ რჩეულები შედიან.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 6, 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე მე რა რჩეული ვარ? — გულწრფელად გაიკვირვა აბელმა.

— რაკი სალომემ მიგიწვია, ალბათ რჩეული ხარ.

აბელმა მხრები აიჩეჩა და თავი გადაიქნია. მერე ღიმილით ჰკითხა:

— შენც რჩეული ხარ?

— მე შინაური ვარ.

აბელმა მერი შეათვალიერა. ვერაფრით ვერ დაედგინა ამ ქალის ცვალებადობის მიზეზი. ხან ლამაზი იყო, ხან ულამაზო, ხან ვნებიანი, ხან ფლეგმატური, ხან ჭკვიანი, ხან ცერცეტი. ახლა აბელს ეჩვენებოდა, რომ იგი სავსე იყო, მკვრივი და მიმზიდველი. კარგად, მოურიდებლად აათვალიერ-ჩაათვალიერა და უთხრა:

— შენ მართლა რჩეული ხარ.

მერიმ თვალებში შეხედა და თან მეგობრული, თან ეშმაკურ-დამცინავი ღიმილით თქვა:

— სპექტაკლის წინ არშიყობა მაწყენარია.

მერე, სარკესთან რომ იჯდა და გრიმს ისწორებდა, ქალბატონი სალომეს ბარათი აბელს უკვე დავიწყებული ჰქონდა.

პირველი მოქმედების ბოლოს (აბელი თამაშობდა ერთი თანამედროვე დრამატურგის პიესაში, რომლის დასახელებისაგან ზოგიერთ ჰუმანურ მოსაზრებათა გამო თავს ვიკავებთ), როდესაც მისი გმირი, ქვეყნის მოჩვენებითი უპატიოსნობით გულამღვრეული და აღშფოთებული, ავანსცენიდან თავის პატარა, ტრაგიკომიკურ მონოლოგს წარმოთქვამდა, აბელს უეცრად მოეჩვენა, თითქოს შუბლში რაღაც მოხვდა. ჯერ ეგონა, დარბაზიდან ისროლეს რამე, ან გზააბნეული ბუზი სცენაზე შემოეხეტა და შუქით დაბრმავებულმა დაბრკოლებას გვერდი ვერ აუქცია. მაგრამ მალე მიხვდა, რომ შეცდა. მართლაცდა, რამე რომ მოხვედროდა, შეხების გრძნობა თანდათან უნდა გამქრალიყო, სინამდვილეში კი არათუ არ გაქრა, პირიქით, თითქოს შუბლი გაუბურღა და მსუბუქად, მაგრამ მყარად მიებჯინა ტვინს. გმირი თავის მონოლოგს განაგრძობდა, აბელი კი, დაბნეული და შეცბუნებული, პარალელურად ამ უცნაური გარემოების მიზეზს ეძებდა. ბოლოს, მონოლოგი რომ დაასრულა და სცენის სიღრმეში გადაინაცვლა, ტვინზე მიბჯენილი შუბიც ერთბაშად გაქრა.

ანტრაქტის დროს საგრიმიოროში განაგრძო პრობლემის კვლევა. საკუთარი გამოსახულება დიდხანს და საფუძვლიანად ათვალიერა სარკეში და საბოლოოდ, რაკი უცნაური მოვლენის ვერავითარი კვალი ვერ იპოვა, დაასკვნა, არაფერი არ მომხვედრია, უბრალოდ, რაღაც მომეჩვენაო.

ამ მოსაზრებას მეორე მოქმედების დაწყებისთანავე გამოეცალა ნიადაგი. გავიდა თუ არა სცენაზე, ტვინს წამსვე მიებჯინა ის უხილავი და უსხეულო შუბი. საფინალო ეპიზოდში, როცა სცენა თითქმის სრულიად ჩაბნელებული იყო, მოეჩვენა, თითქოს იმ უცნაური შუბის ბოლო დარბაზში ეჭირა ვიღაცას.

სპექტაკლი რომ დამთავრდა და აბელი, ორმაგი ჯაფით დაქანცული, კულისებში გავიდა, რეჟისორის თანაშემწემ თვალები საყვედურით მიაპყრო და გაკვირვებულმა და ნაწყენმა თავისი ბოხი ხმით უთხრა:

— დღეს რა ღმერთი გაგიწყრა, შე კაცო?! ორი ფრაზა გამოტოვე, სამი მიზანსცენა შეცვალე... პირველად ხომ არ თამაშობ ამ როლს!

აბელი აქამდე დარწმუნებული იყო, რომ სცენაზე ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც უნდა გაეკეთებია. ამიტომ საყვედურმა გააკვირვა. მერე თანაშემწეს შეხედა, ერთხანს მის მეჩხერ ულვაშებზე შეაჩერა მზერა, ბოლოს თბილად, გულკეთილად გაუღიმა.

— რას მიცინი, რომ მიცინი, ნეტა ვიცოდე! — მწყრალად თქვა თანაშემწემ და თავისი განიერი, ვაჟკაცური ზურგი დემონსტრაციულად შეაქცია.

შინ რომ დაბრუნდა, აბელს ისევ გაახსენდა მოსაწვევი ბარათი და ამის შემდეგ აღარც დავიწყებია. მეორე დღეს,

საღამოს, გაიპარსა, პირი დაიბანა, თმა ლამაზად დაივარცხნა, ორი ხელი საპარადო კოსტიუმიდან უკეთესი აარჩია და ჩაიცვა, ჰალსტუხი შეიბა (თუმცა, სანამ შეიბამდა, ცოტა ხანს იყოყმანა, რადგან ჰალსტუხი ჭირის დღესავით ეჯავრებოდა) და გზას გაუდგა იმ ვარაუდით, რომ ადრე არ მისულიყო, მაგრამ არც ბევრი დაეგვიანა.

იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა საყვარელიძეების ორსართულიან, წითელი აგურით ნაგებ მშვენიერ სახლს, რომელსაც თაღოვანი ფანჯრები ჰქონდა და ბრტყელი სახურავი, სადაც (როგორც მოგვიანებით გამოირკვა) საცურაო აუზი იყო. საყვარელიძეების სახლი იდგა ორი პატარა, წყნარი და სუფთა ქუჩის კუთხეში. ირგვლივ მოზრდილი ეზო ერტყა. ქუჩასა და ეზოს ერთმანეთისგან ჰყოფდა მწვანედ შეღებილი მაღალი ღობე, შუაში კიდევ უფრო მაღალი, ფართო, ღია ყავისფერი ჭიშკრით. ჭიშკარი დაკეტილი იყო და აბელმა ზარის ღილაკს დაუწყო ძებნა. მალე იპოვა კიდეც, ფრთხილად დააჭირა თითი და, წკრიალი რომ შემოესმა, მაშინვე აიღო. ცოტა ხნის შემდეგ ფეხის ხმა მოისმა, მერე ჭიშკარმა გაიჩხაკუნა, გაიღო და გამოჩნდა ახალგაზრდა გოგო, სულ რაღაც თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის, მრგვალი პირისახით, დატკრუცული, ჯანსაღი ლოყებით, ჭორფლიანი ცხვირითა და შავი, ციმციმა თვალებით.

— გამარჯობათ, — უთხრა აბელმა.

— მობრძანდით, — მიუგო გოგონამ.

აბელი წამით შეყოყმანდა, მერე პიჯაკის ჯიბიდან მოსაწვევი ბარათი ამოიღო.

— მე დაპატიჟებული ვარ...

— მობრძანდით, მობრძანდით!.. — შეაწყვეტინა გოგონამ.

აბელი შევიდა. გოგონამ ჭიშკარი მიხურა და წინ გაუძღვა.

ჭიშკრიდან სახლამდე თლილი ქვით მოფენილი გზა მიდიოდა. გზის ორივე მხარეს ბალახი ბიბინებდა. მთელ ეზოში ხილის ბაღი იყო გაშენებული. ეტყობოდა, აქ ყველაფერს ფაქიზად უვლიდნენ. გზასაც, ბაღსაც, მოლსაც სახლსაც იდეალური სისუფთავე ეტყობოდა. ქვის განიერი კიბე მეორე სართულზე უერთდებოდა დიდ, ფართო აივანს, რომელსაც ხის მოაჯირი ეკრა. მოაჯირს სანახევროდ ფარავდა უხვად დატოტვილი გარეული ვარდი.

გოგონამ აბელი აივანზე აიყვანა, ფართო დერეფანში შეუძღვა, იქ, მარცხნივ, კარი შეაღო, შესვლით არ შესულა, მარტო თავი შერგო და რაღაც თქვა. აბელმა მხოლოდ „ქალბატონო სალომე" გაიგონა. იმავ წუთს გოგონამ თავი ისევ გამოჰყო და აბელს მიუბრუნდა.

— მიბრძანდით.

აბელი ვრცელ დარბაზში შევიდა. სტუმრები, ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი ნაწილი მაინც, უკვე შეკრებილიყვნენ. აბელს თვალები აუჭრელდა, ყველაფერი, რაც კი მისი მხედველობის არეში მოხვდა, საგნებიცა და ადამიანებიც, ერთიან, დაუნაწევრებელ მასად აღიქვა და უეცრად უცხოობა და სიმარტოვე იგრძნო. საბედნიეროდ, ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იმავ წამს ერთიან მასას მერის ნაცნობი და ახლობელი სახე გამოეყო და უცხოობისა და სიმარტოვის გრძნობა შვებამ შეცვალა. მერის ერთიანი, ღია წითელი ფერის კაბა ეცვა, უმკლავებო, ღრმად ამოჭრილი გულისპირით. სახე, განსაკუთრებით თვალები, კარგად დაემუშავებინა და ტანწერწეტა, ყელმოღერებული, იმ კინოვარსკვლავს ჰგავდა, რომელიც მთავარ როლს არ თამაშობს, მაგრამ რაღაც ისეთი ხიბლი აქვს, რომ მთავარი როლის შემსრულებელზე მეტად დაგამახსოვრებს თავს. შემდეგი, ვინც საერთო მასიდან გამოვიდა და დამოუკიდებელ სხეულად იქცა, იყო თავად დიასახლისი. ყველაფერი ეს ელვის უსწრაფესად ხდებოდა. აბელი შემოსული არც კი იყო, რომ

ქალბატონი სალომე თავისი მომხიბლავი, ალერსიანი ღიმილით შესაგებებლად გამოეშურა. ქალბატონ სალომეს გრძელი, კოჭებამდე ჩამოშვებული, ნაოჭებად დაფენილი ქვედა კაბა ეცვა, რომელიც მის პროპორციულ სხეულს კიდევ მეტ სილამაზეს ანიჭებდა. ზემოდან კაბაში ჩატნეული გრძელსახელოებიანი, მაღალსაყელოიანი, სალათისფერი ნახევრადმამაკაცური ხალათი ეცვა. ხალათი ტანზე მჭიდროდ შემოტმასნოდა, რის გამოც სავსე მკერდი ისე ჩანდა, თითქოს არტახებიდან განთავისუფლებას ლამობსო. ხალათის ზედა ორი ღილი გახსნილი ჰქონდა და გულისპირი სწორედ იქამდე იყო მოშიშვლებული, სადაც მკერდის ღარი იწყება.

— დიდად მოხარული ვარ, რომ ჩვენი უბრალო საზოგადოება არ იუკადრისეთ, — შორიდანვე შემოაგება ქალბატონმა სალომემ. იგი მოდიოდა ნელი, გამოზომილი, შესაძლებელია (ყოველ შემთხვევაში აბელს წამით გაუჩნდა ასეთი ეჭვი), ცოტა ზედმეტად ლაღი ნაბიჯით. მისი სიარულის მანერაში, ისევე როგორც ღიმილსა და ხმის კილოში ერია რაღაც ზვიადი და შეუვალი კატეგორიულობა, რაღაც მეფური გარდუვალობა, რაც ფრაზის თავაზიან შინაარსს წარმოთქმისთანავე უარყოფდა და წმინდა ფორმალობის ყალიბში აქცევდა.

ქალბატონმა სალომემ ხელი გამოუწოდა. აბელმა გამოწვდილი ხელი აიღო, წელში ოდნავ მოხრილმა ტუჩებთან მიიტანა და აკოცა. აქაურ რიტუალებზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ხელზე კოცნა სულ უკანასკნელ წამს გადაწყვიტა. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ქალბატონმა სალომემ ხელი ხელში ჩაჰკიდა, მოკლედ წარუდგინა საზოგადოებას, მერე კი სათითაოდ გააცნო სტუმრები. პირველად მიიყვანა ერთ ღრმად მოხუც, მაღალ, გამხდარ, ჭაღარა მანდილოსანთან, რომლის ნაოჭებით დაფარულ სახეზე უცნაურ დისონანსად ელავდა ცოცხალი და მოძრავი, ჰკვიანური თვალები. ალბათ, ნაწილობრივ მაინც, ამ თვალების ბრალი იყო, რომ აბელს დანახვისთანავე მოეწონა მოხუცი ქალი და მის მიმართ ჯერ კიდევ უსაფუძვლო და გაუაზრებელი, მაგრამ აშკარა სიმპათიით განიმსჭვალა. მოხუცმა ხელი გამოუწოდა, დაკვირვებით შეხედა და უთხრა:

— თქვენ მგონი ტიბალტი ითამაშეთ.

— დიახ, ქალბატონო. მაქვს ჩადენილი ასეთი ცოდვა, — აბელმა გაიღიმა. — შექსპირი ალბათ უშვერი სიტყვებით ილანძღება. სალანძღავი სიტყვები, მადლობა ღმერთს, ბლომადა აქვს.

— თქვენ არ გაგლანძღავთ, — ქალმა ტუჩები მოკუმა და თავი რამდენჯერმე სწრაფად გაიქნია. — თქვენ კარგი ტიბალტი წარმოადგინეთ. ამ მშვენიერ მანეკენს კი, — ამ სიტყვებით მერის მიუტრიალდა, რომელიც იქვე, მის გვერდით იდგა, გაუღიმა და ლოყაზე სიყვარულით მოუთათუნა ხელი. — მართლა მოიხსენიებდა ერთი-ორი რჩეული სიტყვით.

მერიმ შუბლი შეიჭმუხნა, თავი არტისტულად გადაიქნია და ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომლითაც წარმატებით იგერიებენ ახირებული და საყვარელი დედაბრების თუმცა უტიფარსა და დაურიდებელ, მაგრამ სრულიად უწყინარ გამოხდომებს.

აბელი მერის მიუბრუნდა და შინაურულად აკოცა ლოყაზე. მერი ახლა იყო ყველაზე ახლობელი ადამიანი, უგულითადესი მეგობარი და საიმედო საყრდენი, ვინიცობისაა ამ უცხო გარემოში რაიმე მიზეზით ფეხქვეშ ნიადაგი გამოსცლოდა. და ამ კოცნით, ამ გულწრფელი და უშუალო საქციელით მადლიერების გრძნობა გამოხატა იმის გამო, რომ მერი აქ იმყოფებოდა და შეეძლო მთელი საღამოს განმავლობაში იმედად დაეგულებინა.

სტუმრებიდან ამ მოხუცი ქალის გარდა, აბელს დაამახსოვრდა კიდევ ორი ახალგაზრდულ ასაკს საკმაოდ გადაცილებული ქალი, რომლებიც არა გარეგნულად, არამედ სხვა რაღაც ნიშნის მი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხედვით, ერთმანეთს ჰგავდნენ და რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მოვლისა და მზრუნველობის მკაფიო კვალი ეტყობოდათ, მაინც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს, თითქოს წვეულებაზე პირდაპირ სამზარეულოდან წამოეყვანათ, სამი ახალგაზრდა, მეტ-ნაკლებად ლამაზი, ოღონდ ერთნაირად პროვინციული იერის მქონე ქალი, ადგილობრივი პოეტების მეფე, ასე, ოცდათხუთმეტი წლის კაცი, რომელსაც თხემამდე თმის ნასახი არ ჰქონდა, სამაგიეროდ თხემს იქით, მთელ კეფაზე იმოდენა თმა მოეზარდა, რომ ბეჭებზე სცემდა. პოეტს პირში აუნთებელი ჩიბუხი ჰქონდა გარჭობილი. ჩიბუხს ლაპარაკის დროს იღებდა, თასივით იჭერდა ხელში და მერე, სათქმელს რომ იტყოდა, წამსვე ისევ პირში გაიჩრიდა. იყო კიდევ ორი ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი, რომელთაგან ერთს დიდი პირი ჰქონდა და მეორეს — დიდი ცხვირი, ერთი მსუქანი, ხანშიშესული, მელოტი კაცი და ერთიც გარაყანიძე.

ცხრის ნახევრამდე კიდევ ემატებოდნენ სტუმრები. ცხრის ნახევრის შემდეგ აღარავინ მოსულა. თორმეტ საათზე დაიშალნენ.

მეორე დღეს, როდესაც აბელმა ეს საპატიო დარბაზობა გედეონ რევიასთან ახსენა, მოხუცი ყურადღებით და თითქოს ცოტა გამომცდელად დააცქერდა, მერე მძიმედ დააქნია თავი და ისეთი კილოთი, რომელშიაც გაკვირვებაც იყო და მოწონებაც, ოღონდ ერთიცა და მეორეც ცბიერი ირონიით გაჟღენთილი, უთხრა, ასეთი ტემპი ნაპოლეონსაც კი შეშურდებოდაო. მერე შემპარავი ხმით ჰკითხა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ქალბატონი სალომეს სალონმაო. ამ კითხვაზე აბელს გარკვეული პასუხი არ ჰქონდა. საღამოს პირველ ნახევარში იგი ცოტა დაძაბული იყო და სულ იმას ცდილობდა, მერი არ დაეკარგა მხედველობის არედან და მარტო არ დარჩენილიყო. საღამოს მიწურულს შედარებით გახალისდა, ხოლო წასვლის დრო რომ მოვიდა, გულიც კი დასწყდა.

რაკი საღამოს შესახებ ერთმნიშვნელოვანი აზრი არ ჰქონდა, გედეონის კითხვაზე ყოყმანით თქვა, რა ვიციო, და მხრები აიჩეჩა.

— როგორ! — თქვა გედეონმა. — სამშობლო არ გეცნოთ? — და ქალბატონი სალომეს სალონის ამბავი თვითონ უამბო საკუთარი ინტერპრეტაციით.

ქალბატონი სალომე ამ ქალაქში სამი წლის წინ ჩამოვიდა თავის მეუღლესთან, ბატონ ვიქტორთან ერთად. იმისათვის, რომ ბალანსი არ დარღვეულიყო, ქალაქიდან წავიდა ქალბატონი ტატა (რომელსაც ცოდვიანი ქალაქი ზურგს უკან ქალბატონ რატატას ეძახდა) და მისი მეუღლე, ბატონი ევგენი. ისინი წავიდნენ იქ, საიდანაც ქალბატონი სალომე და ბატონი ვიქტორი მოვიდნენ. შესაკრებთა გადანაცვლებით, როგორც ცნობილია, ჯამი არ იცვლება. თუმცა ეს წესი განმარტებასა და დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, მართალია, ჯამი არ იცვლება, მაგრამ შესაკრებთა გადანაცვლებისას იცვლება სიტუაციები, დამოკიდებულებები, კრიტერიუმები, შეხედულებები, მასშტაბები. ეს ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამზე გავლენას ვერ ახდენს, თავისთავად საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ქალბატონი სალომე მაისში ჩამოვიდა, მაისის ულამაზესი ვარდები დაჩრდილა და მკვდარი ქალაქი გამოაცოცხლა. მაშინ ქალბატონი სალომე კიდევ უფრო ახალგაზრდა იყო და კიდევ უფრო მომხიბლავი. იმდენად ახალგაზრდა ჩანდა, ბავშვი გეგონებოდათ და, რომ არ გცოდნოდათ, ვის უღელში იყო შებმული, სიტყვა „ქალბატონს" ვერასგზით ვერ მიუსადაგებდით, ეგ კი არა და, შეიძლება ლოყაზე ხელის მოთათუნება დაგეპირებიათ. მაგრამ, რაკი ყვე-

ლამ იცოდა, ვისი მეუღლეც იყო, ხელის მოთათუნება არავის დაუპირებია და ყველანი ქალბატონობით იხსენიებდნენ. თავად მეუღლეს, ჩვეულებრივ, სახელითა და მამის სახელით მიმართავდნენ, უფრო იშვიათად ბატონ ვიქტორს ეძახდნენ, ხოლო გამონაკლისის სახით (ასეთი გამონაკლისის უფლებას მხოლოდ ცოლი და სიდედრი აძლევდნენ თავს, მაგრამ სიდედრი სხვაგან ცხოვრობდა და ამ ქალაქში წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა) „ბიჭიკოს“.

ბატონმა ვიქტორმა პირველსავე დღეს ფეხით მოიარა მთელი ქალაქი (მანქანა გევრდით მისდევდა, როგორც გრძელ დისტანციაზე მორბენალ სპორტსმენს). ყველაფერი ძირისძირობამდე დაათვალიერა. უკან ამალა მოყვებოდა, რომელიც ნაშუადღევს გვარიანად დაიღალა, მაგრამ არ შეიმჩნია. იმ დღეს ქალბატონი სალომეც თან ახლდა მეუღლეს და მასთან ერთად ეცნობოდა ქალაქს. ქუჩებში ცნობისმოყვარეთა გუნდები გამოფენილიყვნენ და, თავის მხრივ, ქალაქის სახელით, ბატონ ვიქტორსა და ქალბატონ სალომეს ათვალიერებდნენ. ერთი კვირის შემდეგ ბატონმა ვიქტორმა სანადირო ადგილები მოინახულა და ის პუნქტი შეარჩია, სადაც გადასაწვიმებლად თუ ღამის გასათევად ქოხი უნდა აგებულიყო. ამჯერად ქალბატონი სალომე შინ დარჩა და საკუთარი პროგრამის განხორციელებისათვის მზადებას შეუდგა. ქალბატონმა სალომემ მშვენივრად იცოდა, რომ პერიფერიებში კულტურული ცხოვრების მაჯისცემა მოდუნებულია, და მიზნად მისი აჩქარება დაისახა. ქალბატონი სალომე განათლებული ქალი იყო, ფილოლოგიის ფაკულტეტი დაემთავრებია, ჰქონდა მშვენიერი ბიბლიოთეკა, სადაც ნახავდით ყველაფერს, მოყოლებული ქართული კლასიკური ლიტერატურიდან, ვიდრე ერიხ მარია რემარკამდე. ქალბატონმა სალომემ გადაწყვიტა დაეარსებია პატარა სალონი და მოეწვია რჩეულთა შორის რჩეულები, რომლებიც, მას შემდეგ, რაც მისი შეგირდობის კურსს გაივლიდნენ, თავად გამოდგებოდნენ სხვათა მასწავლებლად. უმთავრესად ვიწრო წრეში, სრულიად საიდუმლო ვითარებაში, დიდხანს და გულმოდგინედ დგებოდა სალონის მომავალ სტუმართა სია. ეს სია რამდენჯერმე იქნა გადაწერილი და დაზუსტებული, მრავალი გვარი ყოველმხრივი შემოწმების შედეგად ამოიშალა, ზოგი, შემთხვევით გამორჩენილი, ჩაემატა და ბოლოს და ბოლოს მიიღო დასრულებული სახე. ცხადია, ეს სია შემდგომშიც ხშირ-ხშირად იცვლებოდა, ზოგი ამოვარდებოდა, ზოგი ჩაემატებოდა, მაგრამ ძირითადი ბირთვი მაინც თითქმის უცვლელი რჩებოდა.

საღამოებს უნარიანად წარმართავდა ქალბატონი სალომე. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლაპარაკობდა მხოლოდ იმას, რაც საჭიროდ მიაჩნდა, კაციშვილი ვერ ამჩნევდა, როგორ არეგულირებდა და როგორ კარნახობდა თემებს ქალბატონი სალომე. საღამოები წმინდა სალონური იყო. ძალიან ცოტას ჭამდნენ, თითქმის არ სვამდნენ და გატაცებით საუბრობდნენ ისეთ მაღალ მატერიებზე, როგორიცაა მუსიკა, მხატვრობა, ლიტერატურა, თეატრი, კინო, პატრიოტიზმი, მფრინავი თეფშები, თითო უცხო ენის ცოდნის აუცილებლობა, ორგანული სიცოცხლის წარმოშობა, ენის სიწმინდის დაცვა, სხვა პლანეტებზე მაღალგანვითარებული ორგანიზმების არსებობის შესაძლებლობა, ზოგჯერ ახსენებდნენ კანტს (ამას უმთავრესად გარაყანიძე სჩადიოდა), ფიზიკისა და ბიოლოგიის დარგში უახლეს აღმოჩენებს, კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს, მღეროდნენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. კამათი გამორიცხული იყო. კამათი ცუდ ტონად ითვლებოდა და თუ სადმე მაინც საეჭვო ცეცხლი წამოგიზგიზდებოდა, ქალბატონი სალომე სულის ერთი შებერვით აქრობდა იმის წყალობით, რომ მას ყოველგვარ საკითხში ვეტოს უფლება ჰქონდა და მისი მოსაზრება მუდამ საბოლოო იყო, როგორც უმაღლესი სასამართლოს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჩენი. ეს მშვიდი და საამო, გულისა და გონებისათვის სასარგებლო საუბრები მერე მკაფიო გამოძახილს პოულობდა სალონის წევრთა სამსახურებრივ თუ კერძო საქმიანობაში და საბოლოო ანგარიშით თითქმის მთელ ქალაქს ეფინებოდა. ამგვარად, ქალბატონი სალომე თავის მიზანს აღწევდა, სალონი იყო ის რუპორი, რომლის მეშვეობითაც ქალაქს მისი ფაქიზი სული და მაღალი კულტურა ეფინებოდა. ეს მით უფრო საჭირო და საშური საქმე იყო, რომ ბატონი ვიქტორი, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ პრობლემებში თავით ფეხამდე ჩაფლული, კულტურისთვის ვეღარ იცლიდა.

გედეონი ერთ-ერთ პირველსავე შეკრებაზე იქნა მიწვეული. რაღა თქმა უნდა, როდესაც ქალბატონი სალომე სიას ადგენდა და ამ მიზნით ცნობებს კრებდა, მას დაწვრილებით მოხსენდა გედეონის საეჭვო ღირსებანიც და უეჭველო ნაკლოვანებებიც. მეტიც: ცნობილია, რომ ზოგიერთმა საქმეში ჩახედულმა პირმა ურჩია კიდეც თავი შეეკავებინა მისი დაპატიჟებისაგან, მაგრამ ქალბატონმა სალომემ ამაზე თურმე გაიღიმა და გედეონს მოსაწვევი ბარათი გაუგზავნა. შესაძლებელია, სალონის დიდ დედოფალს გულში უხაროდა კიდეც პროვინციელ ინტელექტუალთან ჩუმი გაპაექრება, რაც, ცხადია, მისი გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, წინასწარ ტკბებოდა მომავალი სახელოვანი ლაშქრობით, ღრმად დარწმუნებული, რომ ამ ახირებულ ბერიკაცს, რომელსაც ქალაქი ასე დაუშინებია, თავის ჭკუაზე მოიყვანდა და ყელზე სალონის რიგითი წევრის რიგით ნომერს ჩამოჰკიდებდა. სამწუხაროდ, ქალბატონმა სალომემ ვერ გაითვალისწინა გედეონ რევიას უტაქტობის მთელი სიღრმე. გედეონი ისე მივიდა საღამოზე, როგორც სამსახურში მიდიოდა, როგორც ლუდხანაში მიდიოდა სახელდახელო სუფრაზე, როგორც ექსკურსიაზე, როგორც საზაფხულო კინოში. ვერაფერი ვერ გაუგო ფაქიზ, სალონურ ურთიერთობებს, ისე იქცეოდა, გეგონებოდათ, ქალბატონი სალომეს ნატიფ გარემოში კი არა, სადმე არიოსტო ხოფერიასთან, ან ვანო როსტიაშვილთან ყოფილიყო. ჯერ იყო და, მთელი ნახევარი საათი უკირკიტა კარის კლიტეს, დაწვრილებით გამოიკითხა, სადაურიაო, რა ღირსო, რა პრინციპზე მუშაობსო. ვერაფრით ვერ მოწიწკნეს. სკამიც კი მიიტანა იქ და დაჯდა, რომ არ დაღლილიყო. კაცმა რომ თქვას, კლიტე მართლა განსაკუთრებული რამ იყო, მაგრამ მაინც კლიტე იყო და, გარდა ამისა, ამ დროს საუბარი სულიერ კულტურას ეხებოდა და არა მატერიალურს. მერე კედელზე ჩამოკიდებული დიდი სურათი, რომელზედაც ნადირობის სცენა იყო გამოსახული, შუბლშეჭმუხვნით დაათვალიერა, ბოლოს გამოაცხადა, ამის დამხატველს გემოვნების ნასახი არა ჰქონიაო, და სრულებით ვერ მიხვდა, რომ ამით პატრონის გემოვნებასაც აუგად იხსენიებდა. ამის შემდეგ სტუმრებს ზურგი შეაქცია, კარადას მიადგა, ჯოხი მკლავზე ჩამოიკიდა და სათითაოდ დაიწყო წიგნების გადმოღება, თან უკვე დათვალიერებულ წიგნს საცა მოხვდებოდა, იქ დებდა. როდესაც პატრიოტიზმზე ჩამოვარდა სიტყვა და სტუმრებმა სხივიანი, შთაგონებული სახეები მიიღეს, საზეიმო კილოთი გამოაცხადა, ყოველი ქართველი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი კუჭის პატრიოტიაო. ქალბატონი სალომე რომ ამ გამოხდომას საგანგებო ღიმილით შეხვდა და რბილად, მაგრამ კატეგორიულად შეედავა, თავზარდამცემი პასუხი მიიღო: მე მამაკაცებს ვგულისხმობ, ქალბატონო, თორემ ქალებს ისეთი მშვენიერი ფორმები აქვთ, პატრიოტიზმი და სხვა ამდაგვარი სისულელეები სულ არ სჭირდებათო. მაშინ ქალბატონმა სალომემ თავისი მრავალნაცადი და ყოვლისშემძლე ტაქტით გამოცვალა საუბრის თემა და ლიტერატურაზე გადავიდა. გედეონი ერთხანს გაჩუმდა და ჰალის თვალიერება

დაიწყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, სტუმრებმა რომ ხმაშეწყობილად დაიწყეს ჰემინგუეის ქება (უმრავლესობა „ხემინგუეის" ამბობდა), გედეონმა ამ ცნობილ მწერალს უწოდა მამაცი ჟურნალისტი, რომელსაც მწერლობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ბოლოს, როდესაც ქალაქსა და სოფელს შორის ზღვრის წაშლაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უწყინარი ღიმილით თქვა, ურბანიზაცია, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, ამან შეიძლება ფეხსალაგების ისეთი მაღალი ორგანიზაცია გამოიწვიოს, რომ გარაყანიძის გაზეთმა თავისი მთავარი დანიშნულება დაჰკარგოსო, და სალონური კარიერა ერთ ღამეში დაამთავრა.

თვითონ გედეონი, სალონს რომ ახასიათებდა, თავის სალონურ ოდისეას ასე დაწვრილებით არ შეხებია. მხოლოდ ისა თქვა, ერთ საღამოს მეც დავესწარი, მაგრამ ეტყობა, თვალში საცემად ამოვარდნილი ვიყავი საერთო სტილიდან და ამიტომ მეტად აღარ მივუწვევივარო. მისი უწესო ქცევის ამბავი აბელმა უმთავრესად მერისგან გაიგო. რაც შეეხება სალონის სკეპტიკურ, მეტიც, აგდებულ დახასიათებას, ის, რაღა თქმა უნდა, მთლიანად გედეონს ეკუთვნოდა და, თუმცა აბელს ბევრი რამ მართლა ეცნო (კერძოდ ის, რომ ქალბატონი სალომე გემის კაპიტანს ჰგავდა, რომელიც მთლიანად მობილიზებულია და დიდი სიფრთხილით დაჰყავს თავისი ხომალდი, რათა წყალქვეშა რიფებს არ წამოედოს, რომ ყოველივე ეს თეატრალურ სანახაობას ჩამოჰგავდა, რომ მთელი სალონი ცოტა ფხვიერ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მისი წევრები ზემოდან სამართავი თოჯინების ბუნდოვან ასოციაციას იწვევდნენ), ეს დახასიათება გადაჭარბებული და ზედმეტად გამუქებული ეჩვენა. ყოველ შემთხვევაში, გედეონი მხოლოდ ნაკლს ხედავდა. ღირსებას კი შეგნებულად უვლიდა გვერდს. ცხადია, ქალბატონი სალომე არ იყო ისე განათლებული, როგორც გედეონი, საგანთა და მოვლენათა არსს ისე ღრმად ვერ წვდებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა და საბოლოო ჯამში მთავარი სწორედ ეს არის. ქალაქს სჭირდებოდა კულტურა, თუნდაც ცოტა ზერელე, ქალაქს სჭირდებოდა სილამაზე, თუნდაც ცოტა მოჩვენებითი, ქალაქს სჭირდებოდა სული, თუნდაც ცოტა ხელოვნური.

საღამოთი აბელი კმაყოფილი დარჩა. დასაწყისში, როგორც ვთქვით, ცოტა შებოჭილი იყო და მერის აფარებდა თავს. მერე და მერე გარემოს შეეგუა, თითქოს დაკეტილი კარი გაიხსნა და შეფასების ახალი საზომები გაჩნდა, და მალე თავისუფლება და სილაღე დაუბრუნდა. ეტყობა ამაში დიდი წვლილი შეიტანა მოხუცმა მანდილოსანმა, ქალბატონმა ხვარამზემ, რომელიც მართლა საინტერესო ქალი გამოდგა, ჭკვიანი, განათლებული, ჩინებული მოსაუბრე. სალონში საერთო და კერძო საუბარი ერთმანეთს ენაცვლებოდა. ერთი ასეთი კერძო საუბარი გაიმართა ქალბატონ ხვარამზესა და აბელს შორის. ისინი შემთხვევით ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ და ქალბატონმა ხვარამზემ შექსპირზე დაიწყო ლაპარაკი. ცოტა ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ იგი შექსპირს, როგორც სონეტების ავტორს, უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე შექსპირს, როგორც დრამატურგს. თან ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მრავალი ადგილი გაიხსენა სხვადასხვა სონეტიდან, ეტყობა მეხსიერება ისეთი ჰქონდა, ბევრს მასზე უფრო ახალგაზრდას შეშურდებოდა. აბელი არ დაეთანხმა. მისი აზრით, მართალია, წმინდა შექსპირული სახეები სონეტებში უფრო ძლიერია, სამაგიეროდ პიესები გაცილებით მასშტაბურია, ყოვლისმომცველი და სავსე. ერთხანს ღიმილით, თავაზიანად იდავეს, მერე შეუმჩნევლად გადავიდნენ სხვა საკითხზე და ბოლოს, როცა ქალბატონი სალომე წამოადგათ თავს, შუაში ჩაუდგა, ორივეს ხელები მკლავში გამოსდო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალერსიანი ხმით მიიწვია საერთო ფერხულში, აბელმა აღმოაჩინა, რომ სავსებით თავისუფალი იყო შებოჭილობისაგან და მერის მფარველი კალთა უკვე აღარ სჭირდებოდა. საუბარი უმთავრესად ტრიალებდა ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთობათა ირგვლივ. გარაყანიძე ცდილობდა პოლიტიკურ ასპექტში განეხილა ეს საკითხი და ამ გზით თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაზე ელაპარაკა. ამას ნაწილობრივ მიაღწია კიდეც. ნახევრად ქაჩალმა ჩიბუხიანმა პოეტმა, დრო რომ იხელთა, ლექსი წაიკითხა, რომელიც მშრალი და ცარიელი კი იყო, მაგრამ ვერსიფიკაციული თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ბოლოს ვიღაცამ სიმღერა ახსენა და ქალბატონმა სალომემ გამოაცხადა, თუ მხარს დამიჭერთ, აბელს ვთხოვოთ რამე გვიმღეროსო. აბელს გულწრფელად გაუკვირდა. მომღერლის პრეტენზია არასოდეს ჰქონია და არც არასოდეს უმღერია სხვისი თხოვნით ან სხვის საამებლად. სტუდენტობისას ამხანაგებთან ერთად მღეროდა, ექსკურსიაზე იქნებოდა ეს, სუფრაზე, სახლში თუ (ზოგჯერ ასეც ხდებოდა) ლექციაზე. სუფრაზე აქაც მღეროდა, ოღონდ ქალბატონი სალომეს თანდასწრებით არასოდეს უმღერია. მართალია, ერთხელ სპექტაკლში მოუხდა სიმღერა, მაგრამ ეს იყო არა მისი, არამედ პერსონაჟის სიმღერა, სტილიზებული, სახასიათო და ერთგვარად გაუბრალოებული. ის სიმღერა შეიძლება მოსმენილი ჰქონდა ქალბატონ სალომეს, მაგრამ იქიდან არავითარი დასკვნის, ყოველ შემთხვევაში, არავითარი ისეთი დასკვნის გამოტანა არ შეიძლებოდა, რომ საჯარო სიმღერა ეთხოვა. რჩებოდა ერთადერთი ვარაუდი: ეს თხოვნა მოდიოდა მერისგან და არა ქალბატონი სალომესგან. მერის გორდაძეებთან ჰქონდა მოსმენილი ერთი ორჯერ აბელის სიმღერა. აბელი იქ ზოგჯერ გიტარას აიღებდა და მღეროდა ასლანის უფროს გოგონასთან, ნინიკოსთან ერთად, რომელიც მოწმენდილ ცასავით ნათელი და მშვიდი იყო, ჩინებული სმენა ჰქონდა და ზარივით ხმა. აბელი გატაცებით უკრავდა გიტარას, ბანს ფონად იძლეოდა და ამ კონტრასტულ ფონზე ისე ჯადოსნურად რეკდა გოგონას უწმინდესი, წკრიალა ხმა, აბელს ყველაფერი ავიწყდებოდა, რეალურ გარემოს ეთიშებოდა და უცხო ზღაპრულ სურათს ხედავდა: ვითომ ზაფხულის თბილი საღამო იდგა. აბელი სოფლის ბოლოში პატარა, ანკარა ნაკადულის პირას იჯდა. ნიავი არ იძვროდა. ბუნება გარინდებულიყო რაღაც უცხო, მშვიდი და დიდებული, ბიბლიური გარინდებით. გაღმა, მაღალი ბალახით დაფარულ ფერდობზე, ნახირი შეფენილიყო, ძოვდა და ერთიანი, ნელი, რიტმული მოძრაობით მიიწევდა წინ. გამოღმა ფერდობზე დახუნძლული, სიმწიფეში შესული ვაზი ბრწყინავდა, სიმინდის ყანა ყელყელაობდა, ოქროსფერი გვირგვინით ცას შესცქეროდა, გეგონებოდათ, ლოცვას ამბობსო. ფრთხილად, ფეხაკრეფით, თითქოს მოიპარებაო, უჩუმრად წვებოდა ბინდი. და ამ იდუმალ გარინდებაში, როგორც ანგელოზის გალობა, ციდან ეშვებოდა წკრიალა ხმა, თბილ ტალღებად იღვრებოდა სხეულში და ძარღვებში გამოუცნობი, განუმეორებელი სიხარული შემოჰქონდა, ისეთი სიხარული, რომელსაც სხვა ვერა ძალა ვერ მიანიჭებდა ადამიანს.

ასეთ დროს აბელი მხოლოდ იმიტომ მღეროდა, რომ ნინიკოს სიმღერაში დანთქმულიყო. საზოგადოებაში სიმღერა, ვიღაცის თხოვნით თუ დაკვეთით, ვერც კი წარმოედგინა. ამიტომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მე რა მომღერალი ვარ, ჩემი სიმღერა ვის გაუგიაო, შეიცხადა და ოდნავ, რამდენადაც ამის საშუალებას გარემოება და ტაქტი იძლეოდა, უკმაყოფილო სახეც კი მიიღო. მაგრამ ქალბატონი სალომე არ მოეშვა. აბელმა რომ მეორედ უთხრა უარი, მან კედლიდან გიტარა ჩამოიღო, თავისი

ხელით მიუტანა, წინ გამოწვდილ, ბოლომდე გამართულ ხელში დაიჭირა, ისეთი სახე მიიღო, რომელშიაც საყვედური და ალერსი თანაბარი რაოდენობით ერია, ტუჩები პატარა გოგოსავით გამობურცა, მარცხენა მხარი ოდნავ აიჩეჩა, მთელი თავისი პოზით თითქოს ეუბნებოდა, ამას შენგან არ მოველოდიო, და კეკლუცი გაბუტვით უთხრა:

— აბელ!..

უფრო სწორად, თქვა „ააბელ!..“ და თავი გვედრზე გადახარა.

აბელმა გიტარა ჩამოართვა, ცერა თითით მექანიკურად შეამოწმა სიმების ჟღერა, მერე იქვე, სკამის საზურგეზე მიაყუდა, ქალბატონ სალომეს ღიმილით შეხედა და უთხრა:

— თუ გნებავთ, ყველაზე გრძელ მონოლოგს წაგიკითხავთ ჩემი ბოლო როლიდან.

ქალბატონმა სალომემ, კეკლუცი განაწყენების სურათი რომ მთლიანი და დასრულებული გამოსვლოდა, ფეხი საყვარლად დააბაკუნა.

აქ საქმეში ჩაერია მოხუცი ქალბატონი ხვარამზე.

— მეც ვთხოვდი, — უთხრა მან ქალბატონ სალომეს. — მაგრამ აზრი არა აქვს. შენ გითხრა უარი, ასეთ ახალგაზრდასა და მომხიბლავს, და მე ხომ ალბათ სულაც მასხრად ამიგდებს.

აბელმა მოხუცს შეხედა. ქალბატონ ხვარამზეს, ისევე როგორც ყველა სხვას, ალბათ ეგონა, აბელი თავპატიჟს იდებდა, მაგრამ მის დანაოჭებულ სახეზე, მის ცოცხალ, ოდნავ ნაღვლიან თვალებში სიმართლე და გულწრფელობა დაინახა. იმავ წამს გუნება ისე გამოეცვალა, სრულიად გადაავიწყდა, რა მიზეზით ამბობდა სიმღერაზე უარს. კაცი ხომ, საცა არ უნდა იყო, ყოველთვის შენთვის მღერი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მარტო ხარ ამ დროს თუ შენს ირგვლივ ხალხით გაჭედილი დარბაზია. გიტარა აიღო, ღიმილით მივიდა მაღალ, ძველებურ სავარძელთან, რომელშიაც მოხუცი ქალბატონი იჯდა, წინ დაუდგა, თავი ოდნავ დაუკრა და უმღერა. უმღერა თავიდან ბოლომდე, არც პოზა შეუცვლია, არც თვალი მოუშორებია. ქალბატონ ხვარამზეს თვალები გაუბრწყინდა, ჯერ ტაში დაუკრა, მერე კი ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა მომღერალს. პასუხად აბელმა მისი ხელი აიღო და თავაზიანად აკოცა.

მომდევნო სიმღერას სხვებიც აჰყვნენ. კერძოდ, მერის გარდა, სამივე პროვინციული იერის ახალგაზრდა ქალი, რომლებმაც ისე კარგად იმღერეს, რომ მათი პროვინციული იერიდან ნატამალიც აღარ დარჩა, ორივე ახალგაზრდა კაცი, ერთი დიდცხვირიანი და მეორე დიდპირიანი, და კიდევ რამდენიმე სტუმარი, მათ შორის გარაყანიძე. ქალბატონი სალომე, ქალბატონი ხვარამზე და დანარჩენი სტუმრები სულგანაბული უსმენდნენ. მხოლოდ ჩიბუხიანი პოეტი იყო ერთგვარი გამონაკლისი. იგი ბეჯითად ცდილობდა ნასიამოვნები სახე მიეღო და თავი ისე დაეჭირა, ვითომ ინტერესით უსმენდა მომღერლებს, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. სახე ცოტა დაუგრძელდა და ზედ შეწუხებული გამომეტყველება გადაეფინა, ჩიბუხს ნერვულად აწვალებდა, ხელები არ იცოდა, სად წაეღო და, საერთოდ, სანამ სიმღერები მორჩებოდა და ისევ საუბარს დაუბრუნდებოდნენ, დათრგუნული და კალაპოტიდან ამოვარდნილი ჩანდა.

საღამო რომ დამთავრდა, ქალბატონმა სალომემ უფლებამოსილი, მაგრამ რბილი და მხიარული კატეგორიულობით აბელს მერის შინ წაყვანა დაავალა, თან ამ დროს ცოტა ეშმაკური, ცოტა მეოცნებე, ცოტა გაუგებარი ღიმილით იღიმებოდა.

იმ ორი კვირის განმავლობაში, სანამ ახალი სალონური საღამო გაიმართებოდა, აბელს გედეონ რევიასთან შეხვედრა ალიზიანებდა. ხანი რომ გამოხდა და მისი სალონური ოდისეაც ბოლოს და ბოლოს კრახით დამთავრდა, ამ გალიზიანების ჭეშმარიტი მიზეზიც ფარული ხვრელებიდან გამოძვრა და მზის სინათლეზე გამოვიდა. საქმე ის იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ პირველი საღამოდან აბელს ორგვარი შთაბეჭდილება გამოჰყვა: ერთი მხრივ, იყო მსუბუქი, უზრუნველი სიამოვნება, რომელიც მოხდენილად უვლის გვერდს საჭირბოროტო საკითხებს, თავთხელ წყალში ცურავს, არც არაფერს გთხოვს და არც არაფერს გავალებს, მშვიდი, კმაყოფილი გარემო, სადაც არავის უჭირს და არავინ წუწუნებს, სულიერი სიმაძღრე, რომელიც საკუთარ ტკივილებს გიყუჩებს და სხვის ტკივილებს გავიწყებს. მეორე მხრივ, იმავე საღამომ თან აადევნა სირცხვილის გრძნობა, ბუნდოვანი ეჭვი იმისა, რომ რაღაც არსებითსა და მტკივნეულს მიწას აყრი, რომ ჭრილობა არ დაინახო, აბაზანაში ჰყუმპალაობ, რადგან ზღვა ღრმაა და სიღრმისა გეშინია. აბელი იმას ცდილობდა, ეს ბუნდოვანი ეჭვი მოეშორებია და უშფოთველად მისცემოდა ნეტარებას, გედეონი კი უფრო მეტად ამძაფრებდა ამ ეჭვს. ვრთხელ რომ ახსენა აბელმა სალონში გატარებული საღამო (და საკადრისი პასუხიც მიიღო), მას შემდეგ ამ თემაზე კრინტი აღარ დაუძრავს და ერთთავად გაფაციცებული იყო, რომ არც გედეონს ეპოვა რაიმე საბაბი ამაზე სალაპარაკოდ.

მომდევნო სალონურ შეკრებაზე ჩვენმა გმირმა სამი მნიშვნელოვანი და რამდენიმე უმნიშვნელო რამ აღმოაჩინა. უმნიშვნელო აღმოჩენებს აქ არ შევეხებით, რადგან ისინი უმნიშვნელონი არიან, მნიშვნელოვან აღმოჩენებზე კი ორიოდე სიტყვით შევჩერდებით. პირველი ის იყო, რომ სალონის წევრები, რომელთაც წინა საღამოს თავიანთი სიმრავლის გამო ერთიანი, დაუნაწევრებელი მასის შთაბეჭდილება მოახდინეს, ამჯერად უკვე ცალკეულ ინდივიდებად დაიშალნენ და პიროვნული ნიშან-თვისებები გამოამჟღავნეს. გარაყანიძე უთქმელად, მაგრამ ჯიუტად მოითხოვდა პატივისცემასა და მოწიწებას მისი თანამდებობის, მისი გაზეთის, მისი ჭკუისა და ენციკლოპედიური განათლების წინაშე. მას ღრმად სწამდა საკუთარი უპირატესობა და თავი ქალაქის იდეოლოგიურ ნიშანსვეტად მიაჩნდა. ასეთი პრეტენზიის განსამტკიცებლად დროდადრო ჰეგელს ან კანტს ახსენებდა ხოლმე. „როგორც მე მიმაჩნია, ჰეგელი..." ან „მე მთლიანად და სავსებით ვეთანხმები კანტს იმაში, რომ..." პოეტიც პატივისცემასა და მოწიწებას მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ სახელად ონოფრე ერქვა. მას ღრმა სიძულვილით სძულდა ყველა თანამედროვე ქართველი პოეტი, უკლებლივ ყველა, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, და, როცა მისი თანდასწრებით რომელიმე მათგანს ახსენებდნენ, ტუჩის კუთხეებს ზიზღით დაუშვებდა ხოლმე. დაბეჯითებით იცოდა, რომ რედაქციებსა და გამომცემლობებში ურჩხულები სხედან, რომელთა ერთადერთი დანიშნულება არის ჭეშმარიტი ტალანტის ჩახშობა. პატივისცემასა და მოწიწებას მოითხოვდნენ დანარჩენებიც. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა სამი ახალგაზრდა ქალი, რომელთაც შუბლზე პროვინციალობის აშკარა ბეჭედი ესვათ და რაღაც გაუგებარი მეტამორფოზის წყალობით ეს ბეჭედი უგზოუკვლოდ ქრებოდა მაშინვე, როგორც კი სიმღერას დაიწყებდნენ. აბელმა მოგვიანებით, გედეონზე რომ ისევ მოუბრუნდა გული, გაკვირვებით უხსენა ეს უცნაური გარდაქმნა.

— იცით კია, საერთოდ, რა არის პროვინციალობა, აბელ? — ჰკითხა გედეონმა და, ისე რომ პასუხს არ დალოდებია, განაგრძო: — კარგად არც მე ვიცი, მაგრამ, ჩემი აზრით, პროვინციალობა, ყოველ შემთხვევაში მისი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი ისაა, კაცს რომ თავისი მოდელი ეთაკილება და სხვისი მოდელით ცდილობს იცხოვროს. ის თქვენი ქალები, ეტყობა, სიმღერის მეშვეობით უბრუნდებიან საკუთარ მოდელს.

აბელმა გაკვირვებითა და ოდნავი შურით შენიშნა, რომ გედეონი მართალი

იყო, თან მოეჩვენა, თითქოს თავადაც ასე ფიქრობდა, უბრალოდ, ვერ მოახერხა ამ ბუნდოვანი ვარაუდის დაწმენდა და ჩამოყალიბება.

მეორე გარემოება, რამაც აბელის გუნება-განწყობილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, ის იყო, რომ ამჯერად სტუმართა შორის მოხუცი ქალბატონი ხვარამზე არ დახვედრია. როგორც გამოირკვა (ღიმილითა და სინანულის კილოთი უთხრა ქალბატონმა სალომემ), ქალბატონი ხვარამზე, ბატონი ვიქტორის დეიდა, არათუ სალონის წევრი, საერთოდ ამ ქალაქის მკვიდრიც არ ყოფილა. ხანდახან ჩამოდიოდა თურმე დისწულისა და რძლის სანახავად. ახლაც ორიოდე დღით ჩამოსულიყო და რახანია უკანვე გაბრუნებულიყო. ამ ცნობამ აბელს გუნება გაუფუჭა და მთელი საღამოს განმავლობაში, საჭირო სალონური სიხალისე რომ შეენარჩუნებია, საკუთარ თავზე ცოტა ძალდატანება უხდებოდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მესამე გარემოება იყო: ქალბატონი სალომე აბელს მერის გარიგებას უპირებდა. პირველ საღამოს რომ სწორედ მას დაავალა მერის შინ გაცილება, ეს აბელს არ გაკვირვებია და არც არავითარი ეჭვი გასჩენია. ისა და მერი სპექტაკლებს თამაშობდნენ ერთად, რეპეტიციებს გადიოდნენ ერთად, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, კოლეგები იყვნენ, ახლობლები, თითქმის მეგობრები, და სავსებით ბუნებრივი ჩანდა, რომ მისი გაცილება აბელს დაევალა. მაგრამ ამ მეორე საღამოზე ქალბატონმა სალომემ საეჭვო აქტიურობა დაიწყო. ერთი ორჯერ აქეთ-იქით გამოსდო ორთავეს ხელი, ცალკე გაიყვანა, ვითომ სასაუბროდ, მერე ერთიმეორეს შეატოვა და თვითონ სხვა ჯგუფს შეუერთდა. აბელს არც ამისთვის მიუქცევია ყურადღება. პირველი ეჭვი მაშინ გაუჩნდა, როცა ქალბატონმა სალომემ ერთმანეთის გვერდით მსხდარნი და რაღაცაზე გულიანად მოცინარნი (რამდენადაც აბელს ახსოვს, მიმოზა შარტავას გულუბრყვილო გამოხდომებს იხსენებდნენ) დაინახა, თვალები ააჟუჟუნა და მეოცნებე კილოთი თქვა:

— ნამდვილი გუგულები ხართ.

ერთხელ (მაშინ აბელი მეოთხე თუ მეხუთე კლასში იყო) გაკვეთილზე მასწავლებელი რომელიღაც ცუღლუტ მოწაფეს ეშმაკობისთვის გაუჯავრდა. კარგად რომ დატუქსა, ხელი აბელისკენ გაიშვირა და უთხრა, აი, მიბაძე ამას, ხომ ხედავ, გუგულივით რომ ზის. ამ ამბის შემდეგ აბელს მთელი წელიწადი გუგულს ეძახდნენ, თვითონ კი, საამისო საბაბი რომ რაც შეიძლებოდა ნაკლებად მიეცა, სულ იმას ცდილობდა გაკვეთილზე წყნარად არ მჯდარიყო. ხოლო გუგული, რომელიც არც მანამ და არც მერე თვალით არ ენახა და წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ ითვლებოდა სიწყნარის ეტალონად, სამუდამოდ შესჯავრდა. ქალბატონი სალომეს ნათქვამმა ეს უსიამოვნო მოგონება ერთხელ კიდევ წამოატივტივა და, შესაძლებელია, სიტყვებზე მეტად სწორედ ამ მოგონების უსიამოვნებას მიუძღოდა ბრალი იმაში, რომ აბელმა ქალბატონი სალომეს ჩანაფიქრის ბუნდოვანი კონტურები გაარჩია და ეჭვი გაუჩნდა. შემდეგ ეს ეჭვი კიდევ უფრო განმტკიცდა. საღამოს დასასრულს მერის გაცილება ქალბატონმა სალომემ ისევ აბელს დაავალა, აივანზე გამოჰყვა და, ახალგაზრდები რომ კიბეზე დაეშვნენ, ისევ ისეთი მეოცნებე კილოთი დაადევნა უკან:

— ღმერთო, როგორ უხდებიან ერთმანეთს...

ეტყობა, ქალბატონ სალომეს ზედმეტი მოწადინების გამო ზომიერების გრძნობამ უღალატა. ასე იყო თუ ისე, ამ ცოტა უტაქტოდ ნასროლმა ფრაზამ ის გამოიწვია, რომ აბელმა სილაღე დაკარგა, კალაპოტიდან ამოვარდა, დაიძაბა და საუბრის გაბმა გაუჭირდა. როგორც ჩანს, მერიზეც იმოქმედა ქალბატონი სალომეს ნათქვამმა, ან არადა, აბელის დაძაბულობა გადაედო. მთელი გზა თითქმის უხმოდ გაიარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს, თეატრში რომ მივიდა, აბელმა მისდა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ წუხანდელი დაძაბულობა უკვალოდ გამქრალიყო. დერეფანში, ფანჯარასთან თვალი მოჰკრა მერისა და თეიმურაზს. თეიმურაზი შეწუხებული, საწყალობელი სახითა და მავედრებელი თვალებით შესცქეროდა მერის, მერი პასუხად ზვიადად, დამცინავად იღიმებოდა. ამ სურათის დანახვაზე აბელმა უეცრად, რაღაც უცნობი ბიძგის წყალობით, ხმამაღლა შესძახა:

— ღმერთო, როგორ უხდებიან ერთმანეთს!

თეიმურაზს სიწითლემ გადაჰკრა და სახე მოექცა. მერიმ ხმამაღლა გაიცინა და აბელს, რომელიც თავისი გზით აპირებდა წასვლას, დაუძახა:

— აბელ! აქ მოდი ერთი წუთით, — და, როცა აბელი მივიდა, სიცილი ერთბაშად ჩამოირეცხა და სერიოზული, დაფიქრებული კილოთი უთხრა: — შენ ხუმრობ და მე და თეიმურაზს სულ არ გვეხუმრება.

— რა მოხდა?

— თეიმურაზს ვუყვარვარ, აბელ. სალოცავ ხატად ვეგულები. ჩემი სურათი ჰქონია სახლში და ღამღამობით თურმე ჰკოცნის. ამ ორ წელიწადში სამჯერ უკვე გადამიშალა გული და ხელი მთხოვა. იქნებ შენ მირჩიო, რა ვქნა: თანხმობა ვუთხრა თუ მეოთხე ცდას დაველოდო?

თეიმურაზს ისეთი სახე ჰქონდა, საცა იყო ცრემლები წასკდებოდა, და აბელი მიხვდა, რომ თავისი სულელური ფრაზა ტყვიასავით შიგ გულში მოურტყამს. მერისაც მეტი არ უნდოდა, როგორც ჭიაყელას, ისე დააჭირა ფეხი და ნელა, კმაყოფილი ღიმილით სრესდა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, — თქვა აბელმა. — აქ სხვისი ჩარევა მავნებელია. ასეთი ინტიმური პრობლემები გულის კარნახით უნდა გადაწყდეს, — ამ სიტყვებით თავი დაუკრა და წავიდა.

მერე, მარტო რომ შეხვდა მერის, უსაყვედურა:

— ასე იცის ფუფუნებაში გაზრდამ. შენ რომ საკუთარი თავის მეტი რამე გაინტერესებდეს და რამეს ხედავდე, იმ საცოდავის უბედურებას იგრძნობდი და უფრო ლმობიერად მოეპყრობოდი.

— იქნებ მართლა გავყოლოდი. ლმობიერების გამო. — დაფიქრებით თქვა მერიმ და ქვეშქვეშ გამოხედა.

— იცი, რას ამბობენ შენზე?

— რას? — გულწრფელად და ვითარების კვალობაზე ცოტა არ იყოს ჭარბი ინტერესით დაინტერესდა მერი.

— უკლება სძულდაო. იმიტომ რომ ერთადერთი კაცი იყო, ვისაც თავი ვერ შეაყვარაო.

— ჰოო? — ნეიტრალური კილოთი თქვა მერიმ. — მგონი შენც ეგ ბედი მოგელის.

რამდენიმე სტუმრობის შემდეგ სალონი აბელის თვალში საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დასრულდა. ქალბატონი სალომე იყო დედოფალი, რომლის წინაშე ყველას ღრმა მოწიწება მართებდა. კლასიფიკაცია მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა. კიბის ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგა ერთი მსუქანი, ღაბაბიანი მანდილოსანი, რომელიც ოქროს სამაჯურების, ოქროს ყელსაბამებისა და ოქროს საყურეების ჩხარუნით დადიოდა. ის მხოლოდ ქალბატონი სალომეს წინაშე იხრიდა ქედს, დანარჩენებისაგან თავად მოითხოვდა პატივისცემას. შემდეგ მოდიოდა გარაყანიძე. გარაყანიძე ქალბატონ სალომესა და ოქროჩხრიალა მანდილოსანს უხრიდა ქედს. მესამე ადგილი ეჭირა პოეტს (რაც, აბელის აზრით, ცოტა საკვირველი იყო). პოეტი ეთაყვანებოდა ქალბატონ სალომეს და პატივს სცემდა ოქროს მანდილოსანსა და გარაყანიძეს, რომლის გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა მისი ლექსები. პოეტს მოსდევდა ლიპიანი, ქაჩალი კაცი, რომელიც პროკურატურაში მუშაობდა... ბოლოს წინა საფეხურზე ერთად იდგა ორი ახალგაზრდა კაცი, ერთი დიდცხვირიანი და მეორე

დიდპირიანი, ხოლო სულ ქვედა საფეხურზე — ის ქალები, რომლებიც მშვენივრად მღეროდნენ და ამის გამო პროვინციალობის დაღი მათი შუბლიდან დროდადრო უკვალოდ ქრებოდა. მერის სალონში თავისებური ადგილი ეკავა. იგი, ჯერ ერთი, ბარაბაძის ქალი იყო და, მეორეც, ქალბატონი სალომეს ახლობელი, ამიტომ მისგან პატივისცემას ვერ ითხოვდნენ. თავის მხრივაც პატივისცემისა და იერარქიულობის გამომჟღავნება იმ სახით, რა სახითაც ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებდნენ, ძნელი იყო, რადგან საამისოდ არც ასაკი უწყობდა ხელს და არც თანამდებობა. ამიტომ ამ კერძო შემთხვევაში პატივისცემას ცვლიდა სიყვარული და გულუხვი ქათინაურები, რომლებიც უმთავრესად მის გარეგნობას ეხებოდა. აბელს პირველ ხანებში დიდცხვირიანი და დიდპირიანი კაცების საფეხურზე მიუჩინეს ადგილი და ტონიც ამის შესაფერისი აირჩიეს. მაგრამ, როცა გამოირკვა, რომ სალონის ახალ წევრს თავად დედოფალი მფარველობდა და არა მარტო მფარველობდა, არამედ (ესეც მალე გამომჟღავნდა) მერის საქმროდაც ჰყავდა შეგულებული, პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალეს. საბოლოოდ აბელი კიბის გარეთ აღმოჩნდა, ნეიტრალურ ზონაში, სადაც არც მოგაგებენ პატივს და არც მოითხოვენ. ცხადია, იერარქიის პრინციპი მეტ-ნაკლებად ფორმალობა იყო და ხელს არ უშლიდათ ცოცხალ, ხალისიან, ამო საუბარში, რომლის დროსაც განიხილავდნენ საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებს, რასაც ეპოქა სვამდა და დროულ გადაჭრას მოითხოვდა.

— დღეს ისეთი დროა, — ამბობდა მაგალითად ონოფრე პოეტი. — უთვალავი ტურისტი შემოდის ჩვენში. დასუნსულებენ მთელ საქართველოში, ყნოსავენ ყველაფერს და ამბავი მიაქვთ. აქ დიდი წინდახედულება გვჭირდება. ვისაც ტურისტების მიღება და მათი მარშრუტების შედგენა ავალია, ფხიზლად უნდა იყოს და ათასი რამ უნდა გაითვალისწინოს. ტურისტი ისეთი რამაა, დაჭყეტილი თვალი და დაცქვეტილი ყური აქვს. ამიტომ მკაცრად შერჩეული მარშრუტებით უნდა ვატაროთ. ვაჩვენოთ, ჩემო ბატონო, ამ ჩვენი კურთხეული ქვეყნის წალკოტოვანი სილამაზე, ტყეები, მდინარეები, ლურჯი ცა, ავუხსნათ ჩვენი მარჯვენადალოცვილი ხალხის ნიჭიერება, გავაცნოთ ჩვენი მდიდარი კულტურა, ჩვენი გრანდიოზული წარსული. ცენტრალურ ქუჩებში გავიყვანოთ, სანიმუშო ეზოები დავათვალიერებინოთ. ისეთ ხალხს შევახვედროთ, რუსული რომ იცის და კულტურა აქვს. თორემ მაგათ მეტი კი არ უნდათ: წავლენ და იტყვიან, ქართველები ქუჩაში იფურთხებიანო, ერთმანეთს თავზე ნაგავს აყრიანო, გაუტანელი და უწიგნური ხალხიაო. სიფრთხილე, სიფრთხილე და სიფრთხილე!

— სრულ სიმართლეს ბრძანებთ, ონოფრე ბატონო, — კვერს უკრავდა პოეტს ოქროჩხრიალა მანდილოსანი. — მაგრამ მარტო გარედან შემოსული ტურისტები კი არაა პრობლემა, იმაზეც უნდა ვიფიქროთ, აქედან ვის ვგზავნით. ყველა არ გაიშვება.

თუ საკითხი ზედმეტად გაჭიანურდებოდა და რომელიმე უკიდურესობის, ან დისკუსიის ან მოწყენილობის, ნიშნები იჩენდა თავს, ქალბატონი სალომე თავისი მომხიბლავი ღიმილითა და არანაკლებ მომხიბლავი ტაქტით შეცვლიდა საუბრის გეზს და ახალ თემას შემოიტანდა. ახალი თემა უმთავრესად ხელოვნება იყო, განსაკუთრებით — ლიტერატურა. ლიტერატურა ქალბატონ სალომეს გატაცებით უყვარდა. ახსენებდა (როგორღაც ძალიან ბუნებრივად, თითქოს აქამდეც ამაზე ყოფილიყოს ლაპარაკი), ვთქვათ, ჟორჟ სანდს და სალონსაც წამსვე ლიტერატურული იერი მიეცემოდა. საერთოდ, როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა რომელიმე მწერალზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან რომელიმე კონკრეტულ ნაწარმოებზე, სტუმრები ორ ბანაკად იყოფოდნენ. ერთნი, ვისაც ეს ნაწარმოები წაკითხული ჰქონდა, ყოველმხრივ ცდილობდნენ მონაწილეობა მიეღოთ საუბარში და რამე ისეთი ეთქვათ, რითაც აშკარად და უდავოდ დაამტკიცებდნენ, რომ წაკითხული ჰქონდათ. ვისაც წაკითხული არ ჰქონდა, ის ცოტა მოწყენილი იყო, ერთგვარად ჩრდილში იდგა და ხელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა, რათა ისეთ ნაწარმოებზე გადაეტანა საუბარი, რომელიც წაკითხული ჰქონდა. ნაკლებად, მაგრამ არსებობდა ყველასთვის ნაცნობი, ყველას მიერ წაკითხული ნაწარმოებიც. ასეთი იყო, მაგალითად, „ბასკერვილების ძაღლი". იგი ყველას ჰქონდა წაკითხული, ყველას უყვარდა და მისი ხსენება დიდ გამოცოცხლებას იწვევდა. განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა ეს მოთხრობა ოქროცურვილ მანდილოსანს. მასზე მუდამ აღტაცებით ლაპარაკობდა, ღამე რომ გამახსენდება, ისე მეშინია, ტანში მბურძგლავსო, ღიმილით ამბობდა და თან კეკლუცად ცდილობდა თეატრალურად წარმოედგინა ეს თავისი შიში. საზოგადოებას მოსწონდა მისი დაუფარავი შიში და ყოველთვის, როცა საუბარი ამ ლიტერატურულ ძეგლს შეეხებოდა, უეჭველად აამბობინებდნენ ტანში კეკლუცად გაბურძგვლის ამბავს. გარაყანიძემ, რომელსაც ყველაფერი ემარჯვებოდა, ერთ საღამოს (ეს აბელის გამოჩენამდე მომხდარა) დახატა კიდეც ვეებერთელა წითელთვალებიანი ძაღლი და სახეზე ხელებაფარებული, შეშინებული, მაგრამ მომხიბლავი მანდილოსანი. ეს ნახატი ალბომში ედო ქალბატონ სალომეს და აბელმა თავისი თვალით ნახა.

ხანდახან, თუმცა კი ძალზე იშვიათად, როდესაც თავის ეკონომიკითა და იდეოლოგიით გადატვირთულ ცხოვრებას ცოტაოდენ დროს მოწიწკნიდა, სალონში ერთი ორი წუთით ბატონი ვიქტორიც შემოიხედავდა ხოლმე. მის გამოჩენაზე სალონი ერთბაშად კარგავდა სალონურობას და რაღაც მოუხელთებელი, მაგრამ ერთიანი, მკაფიო, თითქოს ნავარჯიშევი და ნაჩვევი მოძრაობით უცებ საზეიმო სხდომად იქცეოდა. აბელი ერთი ორჯერ შეესწრო ამგვარ სურათს და ვერ დაადგინა, თვითონ ბატონი ვიქტორი უფრო იყო ამგვარი უეცარი მეტამორფოზის მიზეზი, თუ სტუმრები. ხან ასე ეგონა, ხან ისე. ბატონ ვიქტორს სალონში შემოსვლისას ლამაზად დაღლილ სახეზე მუდამ ღიმილი ეფინა, ღრმად ადამიანური, ოღონდ ცოტა დაბნეული ღიმილი, თითქოს აქ იღიმებოდა, ფიქრით კი სხვაგან იყო, და იმ რამდენიმე წუთის მანძილზე, რომელსაც სალონში ატარებდა, ამ თავისი მომხიბლავი ღიმილით, დახვეწილი მანერებით, ზომიერი, ყველა სტუმარზე თანაბრად განაწილებული ყურადღებით, თბილი და მსუბუქი იუმორით, აგრეთვე რამდენიმე თვითკრიტიკული შენიშვნით, რომლებიც უმთავრესად ეხებოდნენ იმას, რომ მძიმე, თავაუღებელმა შრომამ სალონურ გართობასა და ლაღ საუბარს სულ მთლად გადააჩვია, სტუმრებს გალანტურობის, თავაზიანობის, თავმდაბლობისა და ადამიანური გულისხმიერების შესანიშნავ გაკვეთილს უტარებდა. მეორე მხრივ, ამ სანიმუშო თავდაჭერას თან ახლდა რაღაც უხილავი, მაგრამ ვეება და დამთრგუნველი ძალა. როგორც ჩანს, ძვალსა და რბილში გამჯდარი ღირსება, თანამდებობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა, უფლება, ძალა, მზრუნველის უტყუარი უპირატესობა, სადავეების საკუთარ ხელში მყარი გრძნობა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც სხვებისაგან განარჩევდა, მისი სხეულიდან უნებლიეთ გამოყოფდა მძლავრ ტალღებს. ეს უხილავი, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით მატერიალური ტალღები, მთელ დარბაზს ავსებდა და სასიცოცხლო სივრცის ძებნაში ყოველი მხრიდან აწვებოდა სტუმრებს, აწვებოდა მძლავრად და საამოდ, როგორც ჰა-

შიში გვაწვება საფეთქლებში, აბრუებდა, ათრობდა და თრგუნავდა. ასეთ დროს დარბაზში ყველანი მონუსხულებივით იყვნენ და მხოლოდ იმ მოძრაობებს ასრულებდნენ და მხოლოდ იმ სიტყვებს წარმოთქვამდნენ, რასაც ბატონი ვიქტორის უხილავი ძალა მოითხოვდა მათგან. აბელი ერთხანს ცდილობდა ამ მოვლენის მიზეზებში გარკვეულიყო და მისი დამაჯერებელი ახსნა მოეძებნა. რაღაც დასკვნები თითქოს მართლა გამოიტანა, მაგრამ, რაკი საკუთარ თავს ბოლომდე ვერ ენდობოდა, ერთხელ გედეონთან წამოიწყო ამ თემაზე საუბარი. გედეონმა ყურადღებით მოუსმინა და თქვა:

— თანამდებობა და ავტორიტეტი ჰიპნოზის ნაირსახეობაა. ჰიპნოზის ზემოქმედება კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეგვიძლია დავუპირისპიროთ მას ჩვენი ინტელექტუალური თვითშემეცნება.

აბელს საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი ბატონი ვიქტორის მომნუსხველი ძალა და ამგვარმა ახსნამ მის „ინტელექტუალურ თვითშემეცნებას“ ჩრდილი მიაყენა, ამიტომ გედეონი კიდევ ერთხელ შესძულდა რამდენიმე ხნით. მისი ნათქვამი კი უფრო მწვავედ ენიშნა, როცა ერთხელ ბატონმა ვიქტორმა იგი მთელი სალონის გასაგონად შეაქო, მერე კი ხელი მკლავში გამოსდო, დარბაზის შუაში მასთან ერთად გაისეირნა და დაღლილი ღიმილითა და ოდნავ გულნაკლული კილოთი უთხრა:

— ბედნიერი ხართ, რომ ხელოვნების ჭაპანს სწევთ. მშურს. ნეტა შეიძლებოდეს ადგილები გავცვალოთ. თეატრი ჩემი სიყვარულია. იქნებ ის მაინც მოხერხდეს, რომ პატარა თავისუფალი დრო გამოვნახოთ, დავსხდეთ ერთად და საუბრით მაინც ვიჯეროთ გული.

აბელი კეთილსინდისიერად ცდილობდა ამ ეპიზოდის მიმართ ირონიული დამოკიდებულება გამოემუშავებინა, ამიტომ საკუთარ თავზე ბრაზობდა, როცა დროდადრო ეს ნათქვამი სირცხვილნარევი სიამოვნებით მოაგონდებოდა ხოლმე.

ბატონი ვიქტორი სულ რამდენიმე წუთს რჩებოდა სალონში, მერე ღიმილით მოიბოდიშებდა, ცოტა თავსაც შეაცოდებდა საზოგადოებას, რომ იძულებული იყო სასიამოვნო საუბარი დაემთავრებინა და მოსაბეზრებელ, ერთფეროვან საქმეებს მისჯდომოდა, და გავიდოდა. ამით საზეიმო სხდომა კი მთავრდებოდა, მაგრამ სალონი იმ საღამოს თავის ძველებურ, ლაღ, თამამ სახეს ვეღარ იბრუნებდა. დარბაზში ბატონი ვიქტორის უხილავი ძალა კვალს ტოვებდა. დარბაზში მთელი საღამოს განმავლობაში ტრიალებდა ბატონი ვიქტორის სული, ფუკი, საერთოდ, დასაშვებია ბატონი ვიქტორის სულზე ლაპარაკი.

სალონში აბელი მალე სავსებით შინაური კაცი გახდა და ისე კარგად მოერგო იქაურობას, რომ არათუ აღარ ნატრობდა მოხუც ქალბატონ ხვარამზეს, არამედ ახლა მისი უეცარი გამოჩენა (ისევე როგორც გედეონ რევიას გამოჩენა, სასწაული რომ მომხდარიყო და რომელიმე საღამოზე მოეწვიათ) შეაშფოთებდა კიდეც, რადგან გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ იგი (ისევე როგორც გედეონ რევია) მისი უკვე დადგენილი, შეგუებული და სავსებით დამაკმაყოფილებელი ურთიერთობების მყიფე ფესვებს გამოაჩენდა. თვითონ კი ამ ფესვებს იოლად არიდებდა თვალს. სალონის ვრცელ დარბაზში ისე დააბიჯებდა, როგორც საკუთარ სახლში, და ყველასთან, ვინც უნდა ყოფილიყო და იერარქიის რომელ საფეხურზეც უნდა მდგარიყო, ერთნაირად შინაური, ზომიერად შეხუმრებული დამოკიდებულება ჰქონდა. გარაყანიძესა და მოოქროვილ ქალბატონს ისე ელაპარაკებოდა, როგორც პროვინციელ ქალებს. ამგვარ განსაკუთრებულ მდგომარეობას რამდენიმე გარემოება უწყობდა ხელს: პირველი ის, რომ აბელი ქალბატონი სალომეს ხელდებული და მერი ბარაბაძის მეგობარი იყო. გარდა ამისა, სა-

ლონის დანარჩენ წევრთაგან განსხვავებით, მისი პატარა და უმნიშვნელო თანამდებობა მუდმივ ყურადღებას არ მოითხოვდა და მის სალონურ ცხოვრებას თანამდებობის დაკარგვის შიში თავის დაღს არ უსვამდა. ყოველივე ეს საშუალებას აძლევდა იერარქიის კიბეზე აკრძალული მარშრუტებით ევლო და ზედა და ქვედა საფეხურები ერთმანეთთან დაეკავშირებია. ცხადია, მესალონეებს მისი სილაღე და თავისუფლება შურდათ, და თუ ეს შური ბუნებრივი გზით სიძულვილში არ გადაიზარდა, იმის გამო, რომ აბელის თავისუფლებაში მაგალითს ხედავდნენ, მაგალითი კი იმედს ბადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეჩვიდმეტე

ხოლო იმ დროს, როდესაც აბელი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ქალაქის საზოგადოებრივ ხეს კენწეროში მოქცეოდა და თვალებმილულული ნებივრად ირწეოდა, ცბიერი ბედი მშვილდ-ისრით ხელში ბუჩქებიდან უთვალთვალებდა და მარჯვე შემთხვევას ელოდა, რომ ყირამალა გადმოეგდო.

მარჯვე შემთხვევა თეატრში მწიფდებოდა.

ჩაბნელებული დარბაზიდან ნატყორცნი და პირდაპირ ტვინს მიბჯენილი უხილავი შუბი, რომელმაც აბელს თავის დროზე სამჯერ მიზანსცენა შეაცვლევინა და ორჯერ რეპლიკის ნაწილი გამოატოვებინა, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. მართალია, ორი თუ სამი თვის შემდეგ უცნაური შემთხვევა კიდევ ერთხელ განმეორდა და აბელის სცენური ცხოვრება ისევ აიწეწა, მაგრამ ამის შემდეგ ხანგრძლივი სიმშვიდე ჩამოვარდა, შიში თანდათან გაქრა, ის ამბავი მეხსიერებიდან სრულიად ამოიძირკვა და მთელი ერთი წლის განმავლობაში აბელის შინაგანი და გარეგანი მისწრაფებები ჰარმონიულად იყო განაწილებული თეატრსა და სალონს შორის.

მაგრამ ვერაგ ბედს თავის განზრახვაზე თურმე ხელი არ აუღია. ერთ მშვენიერ საღამოს დარბაზში უეცრად კვლავ იელვა რაღაცამ და ცეცხლმოდებული შუბი მაშინდელივით მიებჯინა ტვინში. იმ საღამოს „რომეო და ჯულიეტას“ თამაშობდნენ და სწორედ ის დრო იყო, რომ თეიმურაზ კილაძის მიერ განგმირული ძირს დაეცა. აბელი ატყობდა, დარბაზის რომელი მხრიდან გამოიტყორცნა შუბი, მაგრამ უკვე „მკვდარი“ იყო, თანაც გულაღმა იწვა, ამიტომ საშუალება არ ჰქონდა თვალით მოენიშნა ის ადგილი. ამის შემდეგ ეს საოცარი მოვლენა რეგულარულად მეორდებოდა და ყველაფერი ძველებურად აირია და აიბურდა. აბელი ბევრს ფიქრობდა, თავს იმტვრევდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ფრთხილად, წინდახედულად, ისე რომ დაეჭვების საბაბი არ მიეცა და ზედმეტი სალაპარაკო არ გაეჩინა, სათითაოდ დაჰკითხა სპექტაკლის ყველა მონაწილე და დაადგინა, რომ არავის მსგავსი არაფერი მოსდიოდა. ამან კიდევ მეტად ჩააგდო საგონებელში. ხანგრძლივმა კვლევამ და დაკვირვებამ რომ ნაყოფი ვერ გამოიღო და აბელი საბოლოოდ მიეცა სასოწარკვეთას, ერთ საღამოს უეცრად დაასკვნა, რომ ეს რომელიღაც მაყურებლის მზერა იყო. ერთი კი გაუკვირდა, მაგრამ დასკვნა სათუოდ არ გაუხდია. მაშინ ეჭვი სამსონზე მიიტანა, რადგან სამსონი იყო ის კაცი, ვინც ნორმალურ ადამიანურ ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა, ჰულსს იჭერებდა, თავის არსებაში ჩაბუდებულ ზებუნებრივ ძალებს უჩხიკინებდა, კოსმიურ ენერგიას უერთდებოდა, აბსოლუტთან მისვლა-მოსვლა ჰქონდა და ათას სხვა, ნამდვილსა თუ მოგონილ

უცნაურობებს ჩადიოდა. რაკი ყველაფერთან ერთად ჰიპნოზის უნარსაც იჩემებდა და თვალებს მუდამ რაღაც სხვანაირად აბრიალებდა, სავსებით ბუნებრივია, რომ აბელმა ეს აუხსნელი უცნაურობაც მყისვე მას მიაწერა. მეორე დღესვე შინ ეწვია და მას შემდეგ, რაც მთელი საათი ნეიტრალურ თემებზე ესაუბრა, რათა თავი არ გაეცა და მოსვლის ნამდვილი მიზეზი კარგად შეენიღბა, ჰკითხა:

— წუხელ თეატრში ხომ არ ყოფილხარ, სამსონ?

— თეატრში? — გაუკვირდა სამსონს და სახეში შეხედა. — ნუ გეწყინება, მაგრამ თეატრში არ დავდივარ. ეს ჩემი ურყევი პრინციპია. თეატრი ლანდების სამეფოა. ლანდი კი სხეულის ანარეკლია, სულს ლანდი არა აქვს. ჯერ სხეული რა არის, რომ მისი ანარეკლი რა იყოს! სხეული ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი სულის ტაძარია. მარადიული არსის დროებითი და წარმავალი სადგური. სხეულს ისე უნდა მოვუაროთ, როგორც სახლს ვუვლით. სუფთა უნდა იყოს, მყარი და ჯანსაღი. მაგრამ თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ. ცნობიერება მთლიანად სულზე უნდა იყოს დაუნჯებული. ცნობიერება გარე სამყაროს უნდა მოვწყვიტოთ. რა გვიშლის ამაში ხელს? რა არის ის ძალა, რის გამოც ცნობიერება გარე სამყაროსაა მიჯაჭვული? სურვილები. სურვილები რომ არ გაგვაჩნდეს, გარე სამყაროც არ იარსებებდა, ცნობიერების ობიექტი მხოლოდ სული იქნებოდა და სხეულში დამწყვდეული გრანდიოზული ძალები თავისუფლებას მოიპოვებდა. გარე სამყარო ჩვენ შევქმენით და ჩვენვე შეგვიძლია გავაქროთ. გარე სამყარო...

აქ აბელმა შეაწყვეტინა. ამგვარი ქადაგება მრავალჯერ ჰქონდა მოსმენილი და აღარ აინტერესებდა, თავის კითხვაზე კი უკვე მიიღო პასუხი და ეჭვმიუტანლად დაადგინა, რომ მცდარ კვალს ადგა, სამსონი არ ყოფილა ის, ვინც ყოველ საღამოს თვალით ბურღავდა.

— უცნაური ამბავი ხდება, — აბელმა გადაწყვიტა რჩევა მაინც ეკითხა სამსონისათვის. — დარბაზიდან ვიღაცა ისე მიყურებს, მგონია, ტვინში შუბს მირჭობს-მეთქი. ყოველ სპექტაკლზე მოდის.

— და შენ გეგონა, მე ვიყავი, არა? — ცოტა არ იყოს, თავმომწონედ თქვა სამსონმა.

— ასე მეგონა, — აღიარა აბელმა.

— მე თეატრში არ დავდივარ, — კვლავ, ამჯერად ერთგვარი სიამაყითა თუ ნიშნის მოგებით, თქვა სამსონმა.

— რა ხდება ნეტა? მეჩვენება თუ...

— გასაგებია, რაც ხდება.

— მართლა?

— აბა, კარგად გაიხსენე. ჯერ მარცხენა თვალში გრძნობ მსუბუქ ჩხვლეტას, მერე ეს ჩხვლეტა დენივით შემოდის უფრო ღრმად, თვალს გაივლის, ტვინს მიაღწევს და აღიზიანებს. გაიძულებს მიიხედო.

აბელი დარწმუნებული არ იყო, რომ მაინცდამაინც მარცხენა თვალში გრძნობდა ჩხვლეტას, მაგრამ ამჯობინა ამ საგნის ირგვლივ დისპუტი არ გაემართა, მით უმეტეს, რომ დანარჩენი სიმპტომები სამსონმა მართლა სწორად გამოიცნო. და დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

— ჰიპნოზია. — დაჯერებით თქვა სამსონმა. — მაგრამ ამ ქალაქში რომ ჰიპნოზის გამკეთებელი არავინ მეგულება? იქნებ ჩამოსულია ვინმე?

— ვინ უნდა ჩამოსულიყო საგანგებოდ იმისთვის, რომ ყოველ საღამოს თეატრში იაროს და თვალებით შემჭამოს?

— გზანი უფლისანი... — ნელა, გაგრძელებით თქვა სამსონმა.

— შენ შეგიძლია, ჰიპნოზი გამიკეთო? — ჰკითხა აბელმა.

— როგორ არ შემიძლია! — გაიღიმა სამსონმა, როგორც ბავშვის გულუბრყვილო შეკითხვაზე გავიღიმებთ.

— გამიკეთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონმა მძიმედ გაიქნია თავი.

— არა გამოსცადო... ზებუნებრივი ძალების ტყუილუბრალოდ გამოყენება არ შეიძლება.

— რატომ ტყუილუბრალოდ. მინდა შევადარო და დავრწმუნდე, რომ ვიღაცაა მართლა ჰიპნოზს მიკეთებს.

— გეუბნები და მეტი რაღა დარწმუნება გინდა!

— ვინ არის?.. რა უნდა?..

— არც მაგის გაგებაა ძნელი. ჭრეტის მეშვეობით ყველა კითხვაზე შეიძლება პასუხის მიღება. იქ ყველაფერი წერია, — სამსონმა თვალები მაღლა აღაპყრო. — მაგრამ ასეთ წვრილმანებს ჩვენ ვერ გამოვეკიდებით.

სამსონისთვის ყველაფერი წვრილმანი იყო, რაც კი ამქვეყნიურ ცხოვრებას შეეხებოდა. კაცობრიობის საარსებო პრობლემებზე აგდებით და სასხვათაშორისოდ ლაპარაკობდა. ეროვნული საკითხები, მისი აზრით, საერთოდ არ არსებობდა, რადგან ერი შემთხვევითი რამ მოვლენა იყო. რა გასაკვირია, რომ ეს კაცი არ დაინტერესებულიყო ისეთი უმნიშვნელო და მართლა წვრილმანი ამბით, როგორიცაა ვიღაც მაყურებელი, რომელიც სპექტაკლის დროს მსახიობს თვალით ბურღავს.

აბელს საკუთარი თავსატეხისთვის თვითონვე უნდა მოევლო და გადაწყვიტა ასეც მოქცეულიყო.

გედეონთან ამ ამბის ირგვლივ კრინტი არ დაუძრავს.

საკუთარ ძალებს დაეყრდნო, მოქმედების გეგმა შეადგინა და თავი იმით ინუგეშა, რომ ადამიანის საქციელს ადამიანი, თუკი სერიოზულად მოიწადინებს, უეჭველად ამოხსნის. გეგმა ასეთი იყო: როდესაც მზერას იგრძნობდა, შეძლებისდაგვარად ზუსტად მოენიშნა ის ადგილი, მერე კი აქტისა ან სპექტაკლის ბოლოს, შუქი რომ აინთებოდა, ფარდის ჭუჭრუტანიდან კარგად დაეთვალიერებინა იქაურობა და ის ხალხი დაეხსომებინა, ვინც ამ საეჭვო ადგილას იჯდა. როცა ასეთ ექსპერიმენტს რამდენჯერმე გაიმეორებდა, ეჭვმიტანილთა რაოდენობა თანდათან უეჭველად შემცირდებოდა და ასე, გამორიცხვის გზით, ბოლოს და ბოლოს მიაგნებდა იმას, ვისაც ეძებდა.

გეგმა უტყუარი იყო და არ შეიძლებოდა წარმატება არ მოჰყოლოდა. და მართლაც აბელს სულ ორი ცდა დასჭირდა. იმისათვის, რომ დამნაშავე, ასე ვთქვათ, დღის სინათლეზე გამოეყვანა. პირველ ცდაზე იგი სადღაც მეათე რიგის დასაწყისში ივარაუდა და ამის შემდეგ მოუთმენლად მოელოდა სპექტაკლის დამთავრებას. როცა ბოლოს და ბოლოს საფინალო მუსიკა გაისმა, ჭუჭრუტანას გულის ფანცქალით აეკრო. უნდა ითქვას, რომ ცოტა იმედგაცრუებული დარჩა, რადგან მეათე რიგში სამი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანი დაინახა. სულ განაპირას იჯდა ახალგაზრდა ქალი, უფრო ალბათ ბავშვი, ვიდრე ქალი, რომელიც, რაკი გარეგნობაში სხვა ღირსშესანიშნავი არაფერი ჰქონდა, აბელმა მოკლედ, ბიჭურად შეკრეჭილი თმით დაიხსომა. მის გვერდით იჯდა შუახნის ქალი და მერე — შუახნის კაცი. ქალს ჭაღარა თმა და კეხიანი ცხვირი ჰქონდა, კაცს — გადაბმული შავი წარბები და დიდი ულვაშები. სხვა ახლომახლო არავინ იყო. აბელმა ძლივს მოასწრო თვალის შევლება, იმავ წამს სამივენი წამოდგნენ, გასასვლელისაკენ დაიძრნენ და დანარჩენ მაყურებლებს შეერივნენ. როგორც ეტყობა, აბელი რაღაც განსაკუთრებულს მოელოდა, ყოველ შემთხვევაში, სამივე ეჭვმიტანილი იმდენად ჩვეულებრივი და უფერული ეჩვენა, რომ მთელ თავის გეგმაში ეჭვი შეეპარა.

ეს ეჭვი ორ დღეს აწვალებდა და მესამე საღამოს (მეორე საღამოს სპექტაკლში არ მონაწილეობდა) გაქრა.

ამჯერად საეჭვო ზონა ბოლო რიგის შუაში იყო და, თუმცა, ფარდა რომ დაიხურა და შუქი აინთო, იქ ბლომად ხალხი აღმოჩნდა, აბელმა მყისვე შენიშნა ბიჭურად შეკრეჭილი გოგო. წინა ექსპერიმენტის სამეულის დანარჩენი ორი წევრი არსად ჩანდა. ამგვარად, ყველაფერი ნათელი შეიქნა. როდესაც ფარდა ხელახლა გაიხსნა და სპექტაკლის მონაწილეები თავის დასაკრავად გამოვიდნენ, გოგო უკვე ბოლო და ბოლოს წინა რიგს შუა მიდიოდა და დანარჩენ სულსწრაფ მაყურებლებთან ერთად გასასვლელისაკენ მიიჩქაროდა. ერთიანი სადა კაბა ეცვა, ღია ნაცრისფერი ვიწრო საყელოთი და წვრილი ქამრით. ახლა მხოლოდ ზურგი და ბიჭურად, მრგვალად გაკრეჭილი თავი მოუჩანდა. არც ერთი და არც მეორე აბელს განსაკუთრებულს არაფერს ეუბნებოდა. ოღონდ ეს იყო, დარბაზს რომ გასცდა და თვალს მიეფარა, მოულოდნელად მოეჩვენა, თითქოს ადრეც ენახა სადღაც.

ექსპერიმენტი რომ ყველა ეჭვისაგან გაეწმინდა, აბელმა კიდევ რამდენჯერმე ჩაატარა ანალოგიური დაკვირვება და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მთელი დავიდარაბის მიზეზი ეს ტანმორჩილი, გამხდარი გოგო იყო, რომელსაც, როგორც ამ დამატებითმა ცდებმა დაადასტურა, გარეგნობაში განსაკუთრებული და ღირსშესანიშნავი არაფერი ჰქონდა და სამი-ოთხი ნახვის შემდეგაც კი ქუჩაში მხოლოდ თმით თუ იცნობდით. ეს კი იყო, რომ ბუნდოვანი გრძნობა, თითქოს ადრეც ენახა სადღაც, აბელს არ შორდებოდა.

აბელი კიდევ მეტად დაინტერესდა. ამ ამბის უკან რაღაც საიდუმლო ელანდებოდა, თუმცა ყველაზე მარტივი ვარაუდი ის უნდა ყოფილიყო, რომ ვიღაც ქარაფშუტა, ტუტრუცანა გოგომ თავი შეყვარებულად წარმოიდგინა და რომანტიკოსობანას თამაში წამოიწყო.

აბელმა გადაწყვიტა შეხვედროდა და გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ეს არც ისე იოლი საქმე იყო. დამთავრდებოდა თუ არა სპექტაკლი, გოგო ერთ-ერთი პირველთაგანი გადიოდა დარბაზიდან, აბელს კი გრიმის მოცილებასა და ტანსაცმლის გამოცვლაში ქვეყნის დრო უნდა დაეკარგა. ერთხელ მაინც სცადა ბედი. იმ დღეს თანამედროვე ახალგაზრდა კაცს თამაშობდა და, გარდა იმისა, რომ სახიდან ბევრი არაფერი ჰქონდა მოსაცილებელი, შარვალი და ხალათიც საკუთარი ეცვა და მხოლოდ პიჯაკი უნდა გამოეცვალა. სწრაფად ჩამოიწმინდა საღებავი, ფაცხაფუცხით გამოიცვალა პიჯაკი და კისრისტეხით გავარდა. გზად გედეონის ხმა შემოესმა:

— აბელ!

აბელს ნაბიჯი არ შეუნელებია. თავი ისე დაიჭირა, ვითომ გედეონის ძახილი ვერ გაიგონა, ტყვიასავით გავარდა შენობიდან და უკანა ეზოს მიაშურა, სადაც მაყურებლების გასასვლელი იყო. მაყურებელთა ნაწილი უკვე გასცდენოდა ჭიშკარს და ქუჩაში მიაბიჯებდა. გოგო არსად ჩანდა. ამასობაში ხალხმა იცნო მსახიობი, რომელმაც წუთის წინ ოპტიმისტური კილოთი წარმოთქვა პიესის საფინალო ტექსტი. ატყდა ჩურჩული და თითის შვერა. აბელი ამან ცოტა გაალიზიანა, მაგრამ თავისი საქმე არ შეუწყვეტია. აქა-იქ ნაცნობებიც გამოჩნდნენ, რომელთაც თავიანთ მოვალეობად ჩათვალეს, რაც შეიძლება ახლო ჩაევლოთ და მისალმებოდნენ. ერთი დარდიმანდი, სადღაც სუფრაზე გაცნობილი, ამასაც არ დასჯერდა, სხვების ყურადღება რომ მიექცია, ხმამაღლა, შინაურულად მიესალმა და ხელი გაუწოდა. აბელმა მექანიკურად ჩამოართვა ხელი, თან ხალხის თვალიერებას განაგრძობდა. დარდიმანდმა რაღაც იყბედა და, თუმცა აბელი მექანიკურად და უყურადღებოდ პასუხობდა, ირგვლივ მყოფთ მაინც საკმაო თვალსაჩინოებით დაუმტკიცა, თუ რა ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეატრალურ წრეებთან. ხელები მკერდზე დაეკრიბა და ხაზგასმულად ხმამაღლა ლაპარაკობდა. აბელმა ეს ბოლოს და ბოლოს შენიშნა და, როცა დარდიმანდმა, მისი

უყურადღებობით სულ ოდნავ შეწუხებულმა, ჰკითხა:

— ვინმეს ეძებ?

აბელმა არხეინი, სასხვათაშორისო კილოთი მიუგო:

— ჰო. უკლება დავინახე დარბაზში და იმას ვეძებ.

— აა!.. — თქვა დარდიმანდმა. — ოო!.. აბა, კარგად გნახე. — და გაქრა.

ხალხი ნელ-ნელა გავიდა ეზოდან. უკანასკნელი მაყურებელიც რომ მიეფარა თვალს, აბელი მოტრიალდა, ისევ წინა ეზოში გამოვიდა და თავის გზას გაუდგა.

მალე ცნობისმოყვარეობა დეტექტიურ ინტერესად ექცა და ბოლოს და ბოლოს, რაკი შეხვედრის სხვა არავითარი გზა არ ჩანდა, უკანასკნელი, მაგრამ ყველაზე საიმედო ღონე იხმარა: ერთ დღეს, სპექტაკლის დაწყებამდე ასე, ორი საათით ადრე, თეატრში დარეკა, ცუდად შევიქენი და იქნებ დღეს ჩემმა შემცვლელმა ითამაშოსო, ხოლო იმ დროს, როცა თეატრში მესამე ზარი დარეკეს და სპექტაკლი დაიწყო, სახლიდან გამოვიდა.

აბელი თეატრის გვერდით, პატარა სკვერში აპირებდა დადარაჯებას. ვერც ერთი მაყურებელი ისე ვერ გამოვიდოდა თეატრიდან, რომ აქედან არ შეემჩნია. თავიდან განზრახული ჰქონდა, სპექტაკლის დამთავრებისას მოსულიყო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. მართლაცდა, თუ ის გოგო მთლად გადარეული იყო, შეიძლებოდა, არც დალოდებოდა სპექტაკლის დამთავრებას, რაკი აბელის მაგივრად სხვა შემსრულებელი შერჩებოდა ხელთ, დაეკრა ფეხი და წამოსულიყო.

მართლაც, ის იყო აბელი სკვერს გაუსწორდა და შეხვევას აპირებდა, რომ თეატრის ეზოდან ის მისი გოგოც გამოვიდა. აბელი რომ დაინახა, გაშეშდა და თვალებგაფართოებული მოაჩერდა. გოგო სწორედ ნათურის ქვეშ შედგა, ყველაზე განათებულ ადგილას, და აბელს, სანამ უახლოვდებოდა, შეეძლო კარგად დაკვირვებოდა. თხელი იყო, ტანმორჩილი, გამხდარი და ცოტა გაფითრებული. მრგვალი პირისახე ჰქონდა (რომელიც სიგამხდრის გამო პირველ შეხედვაზე აბელს ცოტა მოგრძო მოეჩვენა), დიდრონი, შავი თვალები, გრძელი წამწამები, მორკალული წარბები, თხელი ცხვირი და თხელი ტუჩები. ბიჭურად შეკრეჭილი თმა ფერდაკარგულ სახესთან ერთად ცოტა ავადმყოფურ იერს აძლევდა. ტანთ ეცვა იგივე ერთიანი ნაცრისფერი კაბა, კაბაზე — უხეშად ნაქსოვი მწვანე ჟაკეტი. საერთოდ, უფრო საბაზროდ გამოწყობილს ჰგავდა, ვიდრე სათეატროდ. შესახედაობა ისეთი ჰქონდა, ათჯერ რომ შეგხვედროდათ ქუჩაში, ერთხელ არ მიაქცევდით ყურადღებას. თითქოს ცუდი არ ეთქმოდა, მაგრამ უცნაურად უფერული და შეუმჩნეველი იყო. ეს კია, რომ მთელი მისი გარეგნობა აბელს წამით მძაფრად მახლობელი ეჩვენა.

გოგო იდგა და თვალს არ აშორებდა. აბელი ამასობაში სულ ახლო მივიდა, შეჩერდა და დააცქერდა. გოგომ უეცრად წარბები შეჰყარა (რის გამოც შუბლი დაუნაოჭდა და თითქოს ერთბაშად ასაკიც მოემატა) და ჰკითხა:

— რატომ არ თამაშობ დღეს?

აბელს ორგვარი გრძნობა გაუჩნდა. ერთი უკვე ნაცნობი გრძნობა იყო — თითქოს ეს გოგო ადრეც ენახა სადღაც, მეორე კი — გაკვირვება, გაკვირვება ასეთი უცერემონიო მომართვისა და შინაურული კილოს გამო. მერე, როცა ორივე ამ გრძნობამ გაუარა, ერთბაშად უჩვეულო სიმსუბუქე დაეუფლა.

— რატომ მიატოვე სპექტაკლი? — თავის მხრივ აბელმაც შეჰყარა წარბები.

გოგო, ცოტა არ იყოს, შეკრთა, მაგრამ მალევე მოერია თავს.

— აბა, რომ არ თამაშობდი! რატომ არ თამაშობდი?

აბელმა ისეთი სახე მიიღო და ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიხედ-მოიხედა, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლო უნდა გაენდო და ეშინოდა არავის მოესმინა.

— ავადმყოფობა მოვიგონე. აბა, რა მექნა: დამთავრდება თუ არა სპექტაკლი, მაშინვე კისრისტეხით გარბიხარ. მაგრამ ახლა ხომ ვერსად გამექცევი! აბა, მითხარი, რას დადიხარ ჩემს სპექტაკლებზე და რას მბურღავ თვალებით?!

გოგოს ცოტა შეეშინდა. და შიში რომ დაეძლია, ან დაემალა მაინც, აგდებული კილოთი მიუგო:

— გბურღავ არა ის!..

— ვინ ხარ და რა გინდა?

— ვინ ვარ? — გოგოს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა. — ვერ მიცანი?

ეს ალალი და უსაზღვრო გაკვირვება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ აბელს წამით თავისი პატარა, იმპროვიზებული სპექტაკლი გაუფუჭდა და დაბნეულმა უპასუხა:

— ვერა.

გოგოს თითქოს გაეხარდა. კმაყოფილმა გაიღიმა. ამ ღიმილმა, ერთი მხრივ, რაღაც ნათელი გადააფინა მის სახეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ლოყების ძირში, ტუჩის კუთხეების გაყოლებაზე, ღრმა, გრძელი ნაოჭები გაუჩნდა და საოცრად უსიმპათიო გახდა.

— ანი ვარ.

— ანი? — აბელი დაფიქრდა და შუბლი შეიჭმუხნა. — რომელი ანი?

გოგომ ტუჩები მაგრად მოკუმა, მაგრამ მისი მცდელობა, მოძალებული ღიმილი და მოძალებული სიხარული უკუეგდო, ამაო გამოდგა. ერთმანეთში შეზავებული ღიმილისა და სიხარულის შუქი, ბავშვურად ალალი, ბავშვურად კმაყოფილი, ბავშვურად ყოვლისმომცველი, თვალებს მოაწვა, ციმციმით გადმოიღვარა და მთელ სახეს მოედო. ტუჩის კუთხეებში, იმ ადგილას, სადაც წეღან შემაძრწუნებელი ნაოჭები ჩაწოლილიყო, ახლა პატარა ფოსოები გაუჩნდა, ორი პატარა ღრმული, რომლებსაც თვალებიდან გადმოფენილი სხივები წვდებოდა. ამის გამო თითქოს მოკუმული ტუჩებიც მონაწილეობას ღებულობდა ღიმილში და სახე, წეღანდელი უსიმპათიო სახე, ახლა სიმპათიური, მომხიბლავი, საყვარელი გახდა. სიხარულისა და ღიმილის ყოვლისმომცველ შუქში ეშმაკური კმაყოფილება ერია, კმაყოფილება ბავშვისა, რომელმაც ისეთი საიდუმლო იცის, შენ რომ არ იცი. ამ საიდუმლოს, ცხადია, დიდხანს ვერ შეინახავს, მაგრამ, სანამ გაგიმხელდეს, ჰგონია, ვითომ მისი ნებაა, გაგიმხელს თუ არა, და ამ უპირატესობით ტკბება. ხოლო ყველაფერი ეს, სიხარულის თბილი და მოელვარე სხივი, უკანმოუხედავი, ბოლომდე ამოხაპული, თავშეუნახავი ღიმილი, ეს უეშმაკო ეშმაკობა, მთელი ეს სახეზე გადმოღვრილი, გამომეტყველებად ქცეული არსი ისეთ მყარ საფუძველზე იყო დაყრდნობილი, ისეთ ნიადაგში ჰქონდა ფესვები გადგმული, რასაც ვერაფერი წვდება, ვერაფერი ამღვრევს, რასაც ჭუჭყი არ ეკარება და რის გამოც ადამიანი ყველაზე მძიმე, ყველაზე ბინძურ, ყველაზე შემზარავ წუთებშიც კი ღვთაებრივი სინათლის სხივია.

გოგო იდგა და კარგა ხანს უყურებდა ასე, ტუჩებმოკუმული და მოღიმარე. ბოლოს, პაუზით რომ გული კარგად იჯერა, თქვა:

— არ გახსოვს, ბაღში რომ დაგბეთქეს?

მიხვედრამ და გაკვირვებამ აბელს ერთიან, განუყოფელ ტალღად გადაუარა გონებაში, იმავ წამს ეს ტალღა რაღაც სრულიად დაუდგენელი მიზეზების გამო უანგარიშო სიხარულად იქცა და აბელმა, თვითონ რომ არ მოელოდა, ისე ხმამაღლა შესძახა:

— ღამის მოჩვენება! საფრთხობელა! დავიჯერო, მართლა შენა ხარ?!

— შენა ხარ, — ცოტათი გაიბუტა გოგო და თვალი აარიდა. — ღამის მოჩვენებაც შენა ხარ და საფრთხობელაც.

— მე? — კომიკურად შეიცხადა აბელმა და თეატრალური პათოსით დაუ-

მატა: — მე აპოლონ ბულდოზერელი ვარ!

— ბულდოზერელი კი არა ბელვედერელი, — გულგრილი, ცოტა მობეზრებული კილოთი თქვა გოგომ, მაგრამ ეს მოგონილი გულგრილობა დიდხანს არ ეყო, აბელის დაჟინებული მზერის ქვეშ თავი დახარა და აწრიალდა.

— საღებავი რა უყავი, ბელვედერელო? — ღიმილით ჰკითხა აბელმა. — გაგითავდა?

გოგომ უეცრად დოინჯი შემოიყარა, თავი აიღო, ყელი მოიღერა, აბელს ერთი ზიზღით შეხედა და გამოთქმით უთხრა:

— მშვიდობით, ჩემო ბატონო. მე მივდივარ.

ამ სიტყვებით აბელს გვერდი აუქცია და ისეთი ნაბიჯით გაუდგა გზას, რომელსაც, როგორც ჩანს, მომაკვდინებელი სიამაყე უნდა გამოეხატა.

— ე! ე! მოიცა! — აბელი დაედევნა და მკლავში წაატანა ხელი. — რას ქვია, მიდიხარ! ძლივს ხელში ჩაგიგდე, ასე იოლად როგორ გაგიშვებ!

გოგო არ გაძალიანებია, მაშინვე შეჩერდა. სამაგიეროდ წელანდელივით ზიზღით შემოხედა და ტრაგიკული პერსონაჟის მწუხარე ხმით უთხრა:

— რა გნებავთ?

აბელმა სიცილი შეიკავა. მერე უცებ შუბლი შეიჭმუხნა.

— რას დაწანწალებ ყოველდღე ამ თეატრში! ხომ ხედავ, რას დაემგვანე?

გოგო მოულოდნელობისაგან როლიდან ამოვარდა, პირი ოდნავ გააღო და თვალებგაფართოებული მიაჩერდა აბელს.

— რას დავემგვანე? — ჰკითხა მერე გაკვირვებით.

— „მშვიდობით, ჩემო ბატონო!" — გამოაჯავრა აბელმა. — „რა გნებავთ, ჩემო ბატონო?" წესიერი ლაპარაკი აღარ იცი?

— მე ძალიან წესიერად ვლაპარაკობ. — ისევ მოიღერა ყელი გოგომ.

— ტუტუცო! — დაიყვირა მოულოდნელად აბელმა და თვითონვე შეკრთა.

გოგომ ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია და ისე შეხედა. მის მზერაში გაკვირვებაც იყო, წუხილიც და საწვიმარი ღრუბლებიც.

— მაპატიე. — აბელს წამით მთელი სხეული მოუდუნდა. მერე, მოდუნებამ რომ გაუარა, ხელი ნაზად დაადო მხარზე. — მაპატიე. — აქ უცებ გაიცინა და კილო ისევ შეცვალა. — მაპატიეთ, მოწყალეო ქალბატონო, — ამ სიტყვებით ცერემონიულად დაიხარა, გოგოს ხელი ხელში აიღო და აკოცა.

გოგოს შეწუხებულ და გაკვირვებულ მზერაში შეკავებულმა ღიმილმა გამოკრთა. მერე ერთი ჯიქურ შეხედა აბელს, მყისვე ისევ აარიდა თვალი და სწრაფად, სხაპასხუპით თქვა:

— შენ ყველაზე კარგი მსახიობი ხარ.

— სამწუხაროა, — გაიღიმა აბელმა.

— რატომ? — გაუკვირდა გოგოს და გაფართოებული თვალები შეანათა.

— იმიტომ რომ მსახიობობა თურმე ღმერთის უარყოფა ყოფილა. ღმერთმა ადამიანი შექმნა ასეთი და ასეთი. ის კი ადგა და გრიმი გაიკეთა.

გოგო დაბნეული უსმენდა. ბოლოს თქვა:

— ვინ მოგახსენა?!

— გედეონ რევიამ. — დაუფიქრებლად მიუგო აბელმა.

— ბევრი იცის მაგ შენმა გედეონ რევიამ! — ამრეზით თქვა გოგომ და აბელმა წამით თითქოს ნათლად დაინახა, რომ გედეონ რევიას უარყოფაც შეიძლება და ამისათვის სულაც არაა აუცილებელი, ყველა ის წიგნი, რაც მას აქვს წაკითხული, შენც წაკითხული გქონდეს.

— შენ თუ იცი, რომ ჰიპნოზიორი ხარ? — ჰკითხა გოგოს.

— ჰიპნოზიორი არა ის!..

— მართლა გეუბნები. არ შეგიმჩნევია?

— მასხრად ასაგდები შენს თეატრში მოიკითხე.

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვიკითხე და ბევრიც ვიპოვე. მაგრამ, დამიგდე ყური. არ გაინტერესებს, როგორ მოგაგენი დარბაზში?

— როგორ? — ეტყობა გოგოს ამაზე არ უფიქრია და ახლაღა მიხვდა, რომ აქ შეიძლება რამე საიდუმლო იმალებოდეს.

— როგორ და დარბაზიდან ვიღაცა ისე მიყურებდა, რომ მისი მზერა დროდადრო ხანჯალივით მესობოდა ტვინში. დავაკვირდი და ღამის მოჩვენება შემრჩა ხელთ. დავიჯერო, მართლა არ შეგიმჩნევია?

გოგო მიხვდა, რომ ეს მასხრად აგდება არ იყო, მაგრამ ამის მეტს ეტყობა ვერაფერს მიხვდა, და მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, მე ისე გიყურებდი.

— მგონი მართლა ღამის მოჩვენება ხარ, — გაიღიმა აბელმა. — ერთი დღისით უნდა შეგამოწმო. ახლა სად მიდიხარ?

— სახლში. შენ?

— მე შენს სანახავად მოვედი. წამო, წავიდეთ.

გოგო უეცრად აწრიალდა, მერე, როგორც იქნა, თავი ცოტა მოთოკა, აბელს წეღანდელივით მოავლო სწრაფი მზერა, მყისვე აარიდა თვალი, რაღაცას მიაჩერდა სივრცეში და შემკრთალი, გაუბედავი და ალბათ ამის გამო გადაჭარბებული სიმკაცრით უთხრა:

— იცოდე, სახლში არ შემოგიშვებ.

უხმო სიცილმა და გაუგებარმა ტკივილმა აბელს ერთდროულად დაუარა სხეულში. პირველი ფრაზა, რომელიც თავში მოუვიდა, იყო, ნუ გეშინია, არ ვაპირებ შემოსვლასო, მაგრამ სულ ბოლო წამს, როცა ის იყო, პირი უკვე გააღო სათქმელად, გადაიფიქრა. მის არსებაში რაღაცამ გაიხსენა, რომ ეს გოგო, უმწეო, სასაცილო და უჭკუო, ქალი იყო. ამიტომ ხელი მხარზე მოხვია და უთხრა:

— კარგი, ნუ შემომიშვებ.

გოგომ სახლამდეც არ მიიყვანა. ბოლო მოსახვევში შეჩერდა და უთხრა:

— ამას იქით ნუღარ წამოხვალ. აგერ, იმ სახლში ვცხოვრობ.

— კარგი, — მიუგო აბელმა. — ხვალ მოხვალ სპექტაკლზე?

— კი.

— ოღონდ არ გაიქცე. სკვერში დამელოდე.

გოგომ ტუჩები მაგრად მოკუმა, როგორც იქ, თეატრთან, და როგორც იქ, თეატრთან, თვალებიდან გადმოღვრილმა ღიმილმა რომ ამ მოკუმულ ტუჩებსა ორ პატარა ფოსოს მიაღწია და შუქივით მოეფინა, მისი სახე კვლავ სიმპათიური, საყვარელი, ბავშვური გახდა, ისეთი გახდა, თითქოს ეს-ესაა ღვთის ხელიდან გამოვიდაო.

...ანი შვიდი წლისა იყო, როცა ორი კვირის განმავლობაში დედაც დაეღუპა და მამაც. ასეთ შემთხვევაში, როგორც ყველას კარგად მოეხსენება, ნათესავთა და მოკეთეთა შორის ნამდვილი ომი იმართება იმის თაობაზე, თუ ვინ უპატრონოს დაობლებულ ბავშვს. და ეს ომი მით უფრო ფიცხელი და მძაფრია, რაც უფრო მეტი მატერიალური ფასეულობა დარჩათ განსვენებულ მშობლებს. ანის შეძლებული დედ-მამა ჰყავდა და გოგონას მშვენიერი სახლ-კარი და გვარიანი ქონება დაუტოვეს. შესაბამისად ომიც ხანგრძლივი და უშეღავათო გამოდგა. რაკი მკვიდრი და ახლობელი ნათესავი არავინ ჰყავდა, ბრძოლაში გარე ნათესავები და ოჯახის მეგობრები ჩაებნენ. დიდი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ერთ-ერთმა შორეულმა ნათესავმა. მან გოგონა თავისთან წაიყვანა, ხოლო მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება, რომ არ დამპალიყო და გაფუჭებულიყო, ხელსაყრელ ფასში გაჰყიდა იმ ვარაუდით, რომ მონაგები გოგონას აღზრდას მოხმარდებოდა. მეურვეებს ანის კბილა ტყუპები ჰყავდათ, რომელთათვისაც მამას, პატრიოტსა და ეროვნული ლიტერატურის ტრფიალს, ტარიელი და ავთანდილი დაერქმია. ბავშვები რომ თოთხმეტ-თოთხმეტი წლისანი შეიქნენ, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მშობლები შინ არ იყვნენ, ტარიელმა და ავთანდილმა დრო იხელთეს, ანი სარდაფში ჩაიტყუეს და

იქ მორიგეობით იზეიმეს ბავშვობის დასასრული და მამაკაცობის დასაწყისი. ამ ამბავმა ანი მძიმე დილემის წინაშე დააყენა: ან ყველაფერი უნდა ეთქვა დედობილ-მამობილისათვის და საქვეყნოდ თავი მოსჭროდა, ან არადა, გაჩუმებულიყო და ბედს შერიგებოდა. ანი მთელი დღე იმდუღრებოდა და ტარიელისა და ავთანდილის მუქარის მიუხედავად მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რაც მოხდა, დაუფარავად გაემხილა მეურვეებისათვის. მაგრამ, როცა მეურვეები სასიამოვნო სტუმრობიდან მაძღრები და კმაყოფილები დაბრუნდნენ შინ, ანიმ უეცრად აღმოაჩინა, რომ გამხელა ნიშნავდა ისეთი რამის თქმას, რასაც ვერასგზით ვერ იტყვი ჩვეულებრივი სიტყვებით, იმ სიტყვებით, რომელთა ხმარება უფროსებთან დასაშვებია. ამან გოგონა არია და დააბნია. მაშინ გადაწყვიტა ღამით მომზადებულიყო, შესაფერისი ტექსტი შეერჩია და მეორე დღეს ეთქვა სათქმელი. მეორე დღეს, გარდა იმისა, რომ შესაფერისი სიტყვები ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოძებნილი, სირთულეს კიდევ ერთი დაბრკოლება დაემატა: ანი მიხვდა, რომ, თუ თქმა იყო, გუშინვე უნდა ეთქვა, თორემ ასე დაგვიანებული გამხელა მის მიმართაც უსათუოდ აღძრავდა ეჭვს. საბოლოოდ გოგონამ გაჩუმება ამჯობინა. ამ გაჩუმებით ტარიელმა და ავთანდილმა მშვენივრად ისარგებლეს: მთელი სამი წლის განმავლობაში ყოჩაღად განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს და მამაკაცის ხელობაში გვარიანადაც გაიწაფნენ. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მშობლებმა ეჭვი აიღეს, შეშინებულებმა ეს ეჭვი ფრთხილად შეამოწმეს და, რა დარწმუნდნენ მის საფუძვლიანობაში, ჩუმი მაგრამ მწვავე და ხანგრძლივი განსჯისა და ფუჩუნის შემდეგ საგანგებო ზომები მიიღეს: ქალაქის განაპირას, ძველ უბანში, გირაოთი იყიდეს ერთი პატარა, ალიზით ნაგები ნესტიანი ოთახი, რომელიც პატრონს მთავარი სახლიდან მოშორებით, ეზოს კუთხეში, საგანგებოდ ფულის საშოვნელად აეგო, და გოგონა იქ დააბინავეს. თან, მის მომავალზე ზრუნვა, რომ საბოლოოდ მოეშორებინათ თავიდან და სინდისიც შეძლებისდაგვარად დამშვიდებული ჰქონოდათ, სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში მუშად მოაწყვეს. სანამ საყოველთაო მშვიდობა დამყარდებოდა, ტარიელმა და ავთანდილმა, რომელთაც ანის შემცვლელი ვერ იშოვეს, ისევ ნაცადი, გაკვალული გზა ირჩიეს და ერთხელ თვალებდანისლულებმა და გულგამგახურებულებმა გოგონას ახალ სამკვიდრებელში მიაკითხეს. ეს ვიზიტი ძმებს ძვირად დაუჯდათ. საქმე ისაა, რომ გულხელდაკრებილი არავინ ზის. სანამ ტარიელი და ავთანდილი წრიალებდნენ, იღრინებოდნენ და გამწარებულები ეძებდნენ სხვა ქალს, ანის ახალი პატრონი გამოუჩნდა ერთი ვინმე მუტრუკის სახით, რომელიც იმავე ფაბრიკაში მუშაობდა სატვირთო მანქანის მძღოლად. ხსენებული მუტრუკი ჯანისა და ღონის ნამდვილი განსახიერება იყო, ტყუპებს კი ბედმა უმუხთლა და სწორედ იმ დროს მიაკითხეს ანის, როცა მისი ახალი მფლობელი თავისსავე მოტანილ ერთ ბოთლ ღვინოს ნელა წრუპავდა და დინჯად, აუჩქარებლად ემზადებოდა საამო პროცედურისათვის. როდესაც მზრუნველმა მამამ საყვარელ შვილებს ადგილობრივ ექიმბაშთან მამასისხლად ნაშოვნი ყოვლისშემძლე მალამოთი შეშუპებული, ჩალურჯებული თავ-პირი და დანაყილი, ძვალრბილგაერთიანებული გვერდები მოუშუშა, ორივენი თბილისში წაასხა, სადაც, გარდა იმისა, რომ მოსალონდელ ხიფათს გარიდებული იქნებოდნენ, ინსტიტუტში შესასვლელადაც უკეთ მოემზადებოდნენ. ანი ერთხანს სრულსა და განუყოფელ მფლობელობაში დარჩა სატვირთო მანქანის მძღოლს, მაგრამ მალე ეს უკანასკნელიც გალახულ იქნა. იგი საკუთარმა ცოლმა გალახა. ეჭვიანმა ცოლმა დიდხანს უთვალთვალა ქმარს, ბოლოს

კვალს მიაგნო, ჩაუსაფრდა და ერთ ღამეს გადამწყვეტი იერიში მიიტანა ალიზით ნაგებ, პატარა, ნესტიან ოთახზე. ცოლის მიერ ასეთი მუტრუკის გალახვა თეორიულად ალბათ მხოლოდ ამგვარად შეიძლება წარმოიდგინო კაცმა: დამნაშავე ქმარი დგას მორჩილი და თავჩაქინდრული, ცოლი კი ირგვლივ უვლის და გამეტებით უბრაგუნებს მუშტებს. სინამდვილეში ასე არ ყოფილა საქმე. ქმარმა ხელი გამოიღო და მამაცადაც იბრძოლა. ცოლი, უბრალოდ, მოერია. ეტყობა გააფრთებამ შემატა ძალა. ცოლმა წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი გაიხადა და ქმარი დაჩეჩქვა. სწორედ ამ დროს მილიციაში სახლის პატრონის საჩივარიც შევიდა იმის თაობაზე, რომ ეზოში ჩამოსახლდა ერთი გავარდნილი, კახპა ქალი, რომელსაც ყოველ ღამე კუროები დაუდის, გამუდმებული ჩხუბი და აყალმაყალი უდგათ და პატიოსან მშრომელ ხალხს ძილსა და მოსვენებას არ აცლიან. სახლის პატრონს ჩინებულად მოფიქრებული გეგმა ჰქონდა. მისი ვარაუდით, ხელისუფლება ანის გაასახლებდა და ერთხელ გაყიდული ოთახი ხელახლა გაიყიდებოდა. მაგრამ, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. საჩივრის შესამოწმებლად მოავლინეს ერთი ახალგაზრდა, თმახუჭუჭა მილიციელი. იგი გონიერი და დაკვირვებული კაცი გამოდგა, კარგად აუღო ალღო ვითარებას და ყოველგვარი გამწვავებისა და საგანგებო ზომების გარეშე დაამყარა წესრიგი. ეს წესრიგი რომ სრული და საიმედო ყოფილიყო, იგი კვირაში ორჯერ ან სამჯერ მოდიოდა, ხან დილამდე რჩებოდა, ხანაც ნაშუაღამევს წავიდოდა ხოლმე. მილიციელის მიერ არჩეული მეთოდი მართლაც იდეალური გამოდგა: საცა მილიციაა, იქ ყაჩაღი ვერ გაიჭაჭანებს. სახლის პატრონიც ჩივილს ველარ ბედავდა. ასე ჩამოვარდა ხანგრძლივი მშვიდობა. თუმცა ანი ფაბრიკიდან მაინც დაითხოვეს, რადგან სატვირთო მანქანის მძღოლის მეუღლე უაღრესად ენერგიული ქალი გამოდგა, მაგრამ ამ ნაკლისს თმახუჭუჭა მილიციელის ზრუნვა სავსებით აწონასწორებდა. მშვიდობა გრძელდებოდა მანამ, სანამ მილიციელი არენიდან არ გაქრა. ამბობენ, ბანდიტების დევნისას დაიღუპაო. ანიმ ამის შესახებ დანამდვილებით არაფერი იცოდა და მაინცდამაინც არ დაინტერესებულა. მთავარი ის იყო, რომ კვლავ უპატრონოდ დარჩა. მცირე ფიქრის შემდეგ ანიმ თავისთვის ხელახლა აღმოაჩინა ის გზა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ვინ იცის, რამდენჯერ აღმოუჩენიათ. რეკლამის მიზნით ტუჩები წითლად შეიღება, წარბები — შავად, თვალის ქუთუთოები — ლურჯად, სახეზე ფერ-უმარილი წაისვა და ქალაქის ცენტრალურ ბაღში საღამოობით სანადიროდ დაიწყო სიარული. მალე ჩინებული რეპუტაციაც მოიპოვა. ძირითადი ამპლუა იყო ახლად დაყვინჩილებული ბიჭები, რომელთაც ცოდნის შესაძენად და გასაწაფავად გამოცდილი ოსტატის ხელი სჭირდებოდათ. ანი დიდხანს მუშაობდა ამ ხაზით და არა ერთი და ორი ახალგაზრდა გამოიყვანა ასპარეზზე. ზოგჯერ ატყუებდნენ, ზოგჯერ აწვალებდნენ, ზოგჯერ ჰონორარს დადგენილი განაკვეთის მიხედვით არ უხდიდნენ, ან საერთოდ არ უხდიდნენ, ზოგჯერ სცემდნენ კიდეც. მაგრამ საბოლოო ანგარიშით, არა მხოლოდ მიმდინარე ხარჯების დაფარვას ახერხებდა, არამედ პატარა კაპიტალიც კი მოაგროვა...

აბელს ლოლა მოაგონდა და ამ მოგონებამ გააკვირვა, რადგან ანისა და ლოლას ამბებში არავითარი მსგავსება არ ყოფილა. ლოლა ახალგაზრდა დაქვრივდა და მისი სავსე, ცეცხლოვანი სხეული დიდხანს გააფთრებით ებრძოდა საკუთარ ბუნებას. ბოლოს, რაღა თქმა უნდა, დამარცხდა, მაგრამ დამარცხდა მას შემდეგ, რაც ბრძოლის ყველა რესურსი ამოწურა.

მერხი პარკის განაპირას იდგა, ბექობის თავზე, ორი გაბარჯღული ბზის შუა. ელექტრონის ბოძი შორს იყო და ლამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის შუქი სულ ოდნავ აღწევდა მერხამდე. ტვინში ჯერ კიდევ ისმოდა ხმა, პატარა, მშვენიერი და საზარელი გოგოს ხმა, რომელიც მიამიტური თუ დაუნდობელი გულწრფელობით, ისეთი ცივი, უცნაური სიმშვიდით ყვება თავის უბედურებას, თითქოს ჭორად გაგონილ ამბავს ყვებოდეს. ქვემოთ, შორს ურიცხვ ვარსკვლავებად ენთო ქალაქი. აბელს წამით მოეჩვენა, თითქოს ამ პატარა, ეფემერულსა და უსახურ ქალაქს ისა და ანი კოსმიური სიმაღლიდან გადასცქეროდნენ.

— მერე? — ყრუ ხმით იკითხა აბელმა ბოლოს.

— შენ დიდხანს იცოცხლებ, მაგრამ ბედნიერი ვერ იქნები, — თქვა ანიმ.

აბელმა მოხედა. ანი უცნაური დაჟინებით უყურებდა.

— რა იცი? — უნდო გაკვირვებით ჰკითხა აბელმა.

— ვიცი, — თქვა ანიმ და თვალი მოაშორა.

— მერე? — კვლავ იკითხა აბელმა. — მერე რაღა მოხდა?

— არ ვიცი, — მიუგო ანიმ და მცირე დუმილის შემდეგ, თითქოს რაღაცის გამო ძალით თხოვდნენ პასუხს, ცოტა გაჭირვეულებულმა დაუმატა: — რა ვიცი, რა მოხდა! — მერე ისევ მშვიდად განაგრძო: — იმ დღეს, შენ რომ ბაღში შემოხვედი, მივხვდი, რომ, რაც იყო, დამთავრდა. ბაღშივე კი არა, სახლში რომ მივედი, მაშინ მივხვდი. — აქ აბელს შემოხედა და უეცრად კილო შეცვალა, თითქოს რაღაცას ებოდიშებაო, ისე უთხრა: — შენ კი არაფერ შუაში ხარ. უბრალოდ, იმ დროს იქ იყავი, თორემ...

აბელს გული შეეკუმშა და იმ მიზეზს დაუწყო ძებნა, რამაც ანის ხმაში მობოდიშების კილო გააჩინა, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

— შენ თვითონ რამდენ ხანს იცოცხლებ?

— რა ვიცი, ჩემი ნება კი არაა!

ელნათურებით განათებული ქალაქი ისე ჩანდა, როგორც მოლივლივე ტბაში გამოჩნდება მოწმენდილი ცა აგვისტოს ღამით.

აბელი ქალაქს ჩააცქერდა. მერე თქვა:

— მაშინ რაღა გინდა იმ ალიზის ქოხში. წამო, ჩემთან გადმოდი.

ანი მკვეთრად მოტრიალდა. აბელმაც ქალაქს თვალი მოწყვიტა და ანის შეხედა. ერთხანს მდუმარედ უყურებდნენ ერთმანეთს. ბოლოს ანის თვალებში ღიმილმა გამოყონა და, ფოსოებს და ტუჩის კუთხეებს რომ მიაღწია, გოგონა ღვთის შვილს დაემსგავსა.

— რა სისულელეა!.. — თქვა მან.

მერე თვალებში ღიმილი ჩაქრა. ახლა ანიმ სხვანაირად გაიღიმა, ტუჩები გაეპო, კბილები გამოუჩნდა, სახეზე ნაოჭები დაეყარა და შემაზრზენი სანახავი გახდა. და ისევ თქვა:

— რა სისულელეა!

მეორე დღეს ანი, თითქოს რაღაც საგონებელს მისცემიაო, უცნაურად გატრუნული იყო, გაუცხოებული სახით იჯდა აბელის გვერდით, შეკითხვებზე მექანიკურად იძლეოდა პასუხს და დაძაბული ფიქრობდა რაღაცას. დროდადრო გამომცდელ მზერას გამოაპარებდა აბელისაკენ და გაუგებრად აწრიალდებოდა. ბოლოს, სრულიად უდროო დროს და უალაგო ალაგას, ერთბაშად წამოისროლა:

— კარგი, ოღონდ ერთი პირობით.

აბელი თავადაც ვერ მიხვდა, როგორ გამოიცნო, რომ ეს სიტყვები მის გუშინდელ წინადადებას ეხებოდა. ფაქტი იყო, რომ გამოიცნო. და ჰკითხა:

— რა პირობით?

— შენ ძმა და მე — და.

აბელს ის ვიწრო, დამრეცი, ოთხკუთხა ქვებით მოკირწყლული ქუჩა მოაგონდა, რომლის ორსავე მხარეს ხელოსნებისა და ვაჭრების დუქან-ფარდულები იყო ჩამწკრივებული და რომლისკენაც დროდადრო უცნაურად გაუწევდა ხოლმე გული. ქუჩა თავისი ხმაურით, ყაყანით, ჰუჰყით შორეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემივით შემოცურდა მეხსიერებაში. ოღონდ ყველაფერი ისე იყო, როგორც სიზმარში, როცა ერთ საგანს ხედავ და აშკარად სხვა საგანს გულისხმობ. ეს ქუჩა-გემი სინამდვილეში არც ქუჩა იყო და არც გემი. ეს იყო ხალიჩა, ჭრელი, მოთელილი, გაცრეცილი, ფერგადასული ხალიჩა, რომელიც ქალაქის ცენტრში, ასფალტით დაფარულ ს[illegible]თა მოედანზე დაეფინათ.

ანი გაგულისებული თუ შეშფოთებული შემოსცქეროდა.

— ეგრე იყოს, — თქვა აბელმა. — მე — ძმა და შენ — და.

თავი მეთვრამეტე

პატარა ქალაქებში თეატრი განსაკუთრებული სიყვარულით უყვართ. აქ თეატრი, ისევე როგორც სატირალი, წარმოადგენს თავშეყრის, რეკლამა-გამოფენისა და ჭარბი დროის გონივრულად გამოყენების საშუალებას. სატირალთან შედარებით თეატრს უპირატესობაცა აქვს, რამდენადაც იგი ერთგვარ სულიერ საზრდოსაც იძლევა. ასეთ ვითარებაში სავსებით კანონზომიერია ის გარემოება, რომ აბელს, უკვე აღიარებულ მსახიობს, კარგად იცნობდნენ ქალაქის ყველა ფენაში და ყველა წრეში. იცნობდნენ, უყვარდათ და აფასებდნენ. მეორე მხრივ, პატარა ქალაქებში ასევე კარგად იცნობენ პროფესიონალ მეძავებსაც, რადგან მათი რიცხვი მაინცადამაინც დიდი არ არის. ოღონდ, მსახიობისაგან განსხვავებით, ისინი არ უყვართ და არ აფასებენ, თუმცაღა მსახიობებთან შედარებით მათ გაცილებით მეტი სარგებლობა მოაქვთ. ქალებს სძულთ ისინი და უშვერი პირით ლანძღავენ, რათა თავიანთ უეჭველ ღირსებას ხაზი გაუსვან და საკუთარი პატიოსნების ღრმა და მიუდგომელ ფენებში უნებურად შეფართხალებული შური საფუძველშივე მოსპონ. კაცები კიდევ უფრო უშვერი პირით ლანძღავენ, რათა ამით ცოლების კეთილგანწყობილება გაინაღდონ, და აღწევენ კიდეც მიზანს, რადგან, მართალია, ცოლებს ბოლომდე არ სჯერათ ქმრების აღშფოთება და გაწიწმატება, მაგრამ დიდი სურვილი აქვთ დაიჯერონ.

ამიტომ, როდესაც აბელმა ანი თავის სახლში წაიყვანა, ეს ამბავი ქალაქში მეხივით გავარდა. ტკბილ, ნეტარ სიზმრებში ნებიერად მონანავე მოქალაქეები ამ შემზარავ ხმაზე დაფეთებული წამოცვივდნენ და ნიფხავ-პერანგის ამარა მიაწყდნენ ფანჯრებსა და აივნებს.

პირველი, ერთი შეხედვით სავსებით ბუნებრივი ვარაუდი, ის იყო, რომ აბელმა ცოლად შეირთო ანი. მაგრამ ქალაქის სასახელოდ უნდა ითქვას, ეს ვარაუდი სწრაფადვე იქნა უარყოფილი, როგორც სრულიად დაუჯერებელი და არარეალური. ერთადერთი, ვინც ეს ვერსია იწამა, მიმოზა შარტავა იყო. ქალბატონი მიმოზა, ფუნჩულა, უბერებელი და საყვარლად გულუბრყვილო, სხვა მხრივაც ერთადერთი გამოდგა: მან პირველმა გაბედა ამ თემაზე გამოლაპარაკებოდა აბელს.

— ცოლის შერთვა თუ გინდოდა, — უთხრა მიმოზა შარტავამ. — თეატრში რამ დალია გოგოები! მე შენ გეტყვი, უარს გეტყოდა რომელიმე!

აბელს მიმოზა შარტავასთან ლაპარაკი ყოველთვის ეიოლებოდა.

— ცოლი არ შემირთავს, ქალბატონო მიმოზა, — მიუგო ღიმილით. — უბრალოდ, ოთახი გავაქირავე.

ქალბატონი მიმოზა ისეთი გულუბრყვილოც არ იყო, რომ ამგვარი სისულელე დაეჯერებია. ამიტომ აბელის პასუხზე დიდხანს და გემრიელად იკუჭკუჭა. კუჭკუჭებდა გულიანად და ფუშფუშა, უბერებელი სხეული ერთიანად უთიმთიმებდა.

როცა გაკვირვების პირველმა ტალღამ გადაიარა, ქალაქი გამოფხიზლდა და მომხდარი ამბის საქმიან განალი-

ზებას შეუდგა. როგორც ითქვა, ანის ქალაქში კარგად იცნობდნენ. ყმაწვილკაცები, მომავალი მეუღლეები, მომავალი მამები, ოჯახის მომავალი უფროსები, პირველდაწყებით განათლებას ძირითადად მასთან იღებდნენ, ასე ვთქვათ, მის ბუდეში ემზადებოდნენ ფართო ასპარეზზე ასაფრენად. რაც შეეხება სიყმაწვილის ასაკიდან გამოსულ, სოლიდურობაში ფეხშედგმულ მამაკაცებს, რომელთაც მეტი ფული, მეტი შესაძლებლობები და უფრო ფართო არჩევანი ჰქონდათ და ქალთან საქმის დაჭერაც სატრაბახო საქმედ აღარ მიაჩნდათ, ისინი თავს არიდებდნენ მუდამ სამზეოზე მყოფ, ყველასათვის თითით საჩვენებელ ანის, მოფარებულ ადგილებს ეტანებოდნენ და სიმწრით მოპოვებულ რეპუტაციას სასწორზე არ დებდნენ. რაღა თქმა უნდა, ქალაქი არც ისე სულელი იყო, აბელსა და ხსენებულ სოლიდურ მამაკაცს შორის განსხვავება ვერ დაენახა. ქალაქმა მშვენივრად იცოდა, რომ ხელოვანი სხვაგვარ თარგზე გამოჭრილი კაცია. არსებითად იგი ცოტა შერეკილია. ამიტომ ზოგიერთი უცნაური გამოხდომა, რაც ჩვეულებრივი და ნორმალური, არახელოვანი კაცისათვის უკადრისი საქციელია, ხელოვანს უბრალო ცელქობად ეთვლება და ადვილად ეპატიება. ეს ქალაქმა დიახაც რომ იცოდა. მაგრამ საზღვარი ყველაფერს აქვს. აბელს რომ წამიერად დაეჭირა საქმე ანისთან, ამას ქალაქი ლმობიერი ღიმილით შეხვდებოდა. მეტიც: ქალაქი იმაზეც კი თვალს დახუჭავდა, ერთი (თუნდაც ორი!) ღამით სახლში რომ მიეწვია. მაგრამ ქუჩის ქალის ასე ჩემოდნებიან-ლოგინიანად წაყვანა და თავის სახლში დაბინავება გამოწვევა და შეურაცხყოფა იყო და ამას, ნურას უკაცრავად, ქალაქი ეგრე იოლად ვერ მოინელებდა.

ჩურჩული და მითქმა-მოთქმა ჯერჯერობით კულისებში ისმოდა და აბელი, თუ სადმე მოულოდნელად გამოჩნდებოდა, მხოლოდ გამოხედვის, გამომეტყველების, უეცარი გაჩუმების მიხედვით ატყობდა ხოლმე, რა თემაზე იყო ლაპარაკი. ხმამაღლა აზრის გამოთქმას ჯერ ვერავინ ბედავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიმოზა შარტავას. მაგრამ მიმოზა შარტავამ, ჯერ ერთი, არ იცოდა, თუ ამ თემაზე ლაპარაკი რაიმე უხერხულობასთან იყო დაკავშირებული, და მეორეც, მან ხმამაღლა თქმით საკუთარი გული ამოისუფთავა, რათა ამის შემდეგ მისი ურთიერთობა აბელთან ძველებურად უხინჯო, შეხუმრებული და გულითადი დარჩენილიყო. სხვები ჩუმად იყვნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა მკვეთრი ცვლილება. ეს ცივი ტალღა აბელმა პირველად თეატრში იგრძნო. იგრძნო დირექტორისაგან, როცა, ჩვეულებისამებრ, შინაურულად შევიდა მის კაბინეტში და დაუკითხავად ჩამოჯდა სკამზე. იგრძნო მთავარი რეჟისორისაგან. იგრძნო სხვებისგან. თითქმის ყველასგან. ასლანის მხრივ ცვლილება დაბნეულობაში, არეულ, დაულაგებელ ლაპარაკში გამოიხატა. და კიდევ იმაში, რომ ეს ვეება კაცი სასაცილოდ და შესაბრალისად გაწითლდა. მერი ცდილობდა არაფერი შეემჩნია, მაგრამ ვერ ახერხებდა. უფრო არტისტული გახდა, უფრო ყალბი და უფრო აღგზნებული.

თავიდან აბელი ყოველივე ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან ეს ჩურჩული ხმამაღალ სიტყვად იქცეოდა და მზად უნდა ყოფილიყო. ოღონდ ის აღარ იცოდა, მზადყოფნა რაში უნდა გამოხატულიყო. ცხადია, სიმართლეს ვერ იტყოდა. სიმართლეს ვერ იტყოდა არა იმიტომ, რომ არ დაიჯერებდნენ, არამედ იმიტომ, რომ სავსებით სწორი იქნებოდნენ, რომ არ დაიჯერებდნენ. ვიცი, ეს შეუსაბამობაა. აბელმაც იცოდა, რომ ეს შეუსაბამობაა, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც ულმობელი, შემზარავად ფხიზელი ლოგიკით, რომელმაც თავის დროზე დედა-

მიწის მიზიდულობის ძალა შექმნა, ის, რაც სიმართლეა, შესაძლებელია, სიმართლე არ იყოს.

აბელმა უცადა, როდის გადაიქცეოდა ჩურჩული ხმამაღალ სიტყვად, როდის გაუსწორებდნენ თვალს და მოსთხოვდნენ პასუხს, ბოლოს მობეზრდა ლოდინი, ერთ მშვენიერ დღეს დაავლო ხელი ანის და გორდაძეებთან წაიყვანა სტუმრად იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს რაღაც გაირკვეოდა, რაღაც ითქმოდა ან აქეთ, ან იქით.

ანის დიდად არ ეპიტნავებოდა სტუმრად სიარული და, თუმცა, ჩვეულებრივ, აბელს არაფერში ეურჩებოდა ხოლმე, შეშინებულმა ერთი პირობა გაუბედავი და უიმედო უარის თქმაც კი დააპირა. ურთიერთობათა დიპლომატია მისთვის უცხო რამ მეცნიერება იყო. ისიც კი არ იცოდა, ურთიერთობას თუ რამე დიპლომატია სჭირდება, მაგრამ რომელიღაც ქალური, უტყუარი გუმანით გრძნობდა, რომ ეს სტუმრობა მის წინაშე საჩოთირო და ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს დააყენებდა. მას შემდეგ, რაც მეურვის ყოჩაღმა ვაჟიშვილებმა ბავშვობის ნაზი-ცისფერი ბურუსი და ახლად ფეხადგმული რომანტიკული ოცნება თავზე გადაახიეს და ნაადრევად აქციეს ქალად, განვითარების ბუნებრივი დინება შედედდა და ცალმხრივ კალაპოტში მოექცა. აქედან მოყოლებული ანის ცხოვრების გზა ისეთ სივრცეებზე გადიოდა, სადაც ორიენტირებად მხოლოდ გაშმაგებული მამაკაცები იდგნენ. ეს ორიენტირები ანიმ მართლაც რომ საფუძვლიანად შეისწავლა, მამაკაცებთან ურთიერთობაში კარგად გაიწაფა და დაოსტატდა, სამაგიეროდ გზამოჭრილი ბავშვობა ერთ ადგილას გაყინული და დაკონსერვებული სახით გამოჰყვა წელთა დინებას. ამიტომ ეს თითქოსდა მრავალჭირნახული, ცხოვრების მღვრიე მდინარეში გამოვლილი, გამოცდილებით დამძიმებული ქალი არსებითად ისევ თოთხმეტი წლის გოგონა იყო თავისი აზროვნების ხასიათით, ადამიანებთან დამოკიდებულებით, გულუბრყვილობით და ეშმაკობით. აბელიც თავს ლაღად და თავისუფლად გრძნობდა. აბელის არსებაში, ეჭვი არაა, რაღაც მსგავსება იპოვა, ბავშვობის ხელუხლებლად შემორჩენილი რაღაც ნაწილი. თავად აბელს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ მას ბავშვობის ბურანიდან რაიმე შემორჩა, მაგრამ, როცა ანიზე ფიქრობდა, ამ დასკვნამდე მიდიოდა. ან კი სხვაგვარად ეს უცნაური ურთიერთობა როგორ აეხსნა? ბავშვის გარდა, სხვას ვის შეუძლია ისეთი მყიფე იდეების რეალური ხორცშესხმა, როგორიცაა ზღაპრული „შენ ძმა და მე — და"? ეს მსგავსება, ეს სულიერი ნათესაობა ანიმ, როგორც ჩანს, პირველი შეხვედრისთანავე იგრძნო აბელისათვის გაუგებარი რაღაც მახვილი, მძაფრი ინსტინქტით. აბელი უფრო ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა იმ რწმენამდე, რომელმაც ანი ასე ერთბაშად, მყისიერად დაიპყრო, და მაშინ, როცა თავის სახლში გადმოსვლა შესთავაზა, ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული ამ შეთავაზების მთელი სიღრმე და არსი, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ანი მართლა მისი და და სულიერი ნათესავი იყო.

აბელმა ერთხანს იმაზე იყოყმანა, გორდაძეებთან წაეყვანა ანი პირველად თუ რევიასთან. საბოლოოდ არჩევანი ისევ გორდაძეებზე შეაჩერა. ასეთი სტუმრობის საჩოთირო ხასიათს კარგად გრძნობდა და თავისი ჭკუით ყოველნაირი შეხვედრისათვის მზად იყო, მაგრამ, როცა ვიზიტი დამთავრდა და უკან ბრუნდებოდნენ, იძულებული შეიქნა ეღიარებია, რომ მთელი ეს სამზადისი ფუჭი და უნაყოფო გამოდგა. მისი სამზადისი ემყარებოდა ნანოს ხასიათს და შესაძლო ცვლილებებსაც ამ ხასიათის ფარგლებში მოელოდა. რას იფიქრებდა, თუ ხასიათი შეიძლება კაცმა ყელსაბამივით მოიხსნა და მის მაგივრად სხვა ყელსაბამი ჩამოიკიდო!

ჰიშკარი რომ შეაღეს, პირველად სტუმრები ბავშვებმა შენიშნეს და

ხმამაღალი ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ. აბელმა ოთხივენი დაჰკოცნა, მერე ანის მიუბრუნდა და ხელით ნინიკო აჩვენა, რომელიც არაერთხელ უხსენებია მასთან.

— აი, ეს არის ნინიკო.

ანიმ, როგორც ჩანს, ეს ოფიციალურ წარდგენად ჩათვალა, გოგონას ხელი გაუწოდა და თქვა:

— ანი.

აბელმა ღიმილი შეიკავა.

ამ დროს აივანზე ნანო გამოჩნდა და, ანი რომ დაინახა, უეცრად უცნაური რამ დაემართა. თითქოს უხილავ მოქანდაკეს ნამუშევარი დაუწუნეს და მანაც სასწრაფოდ მიჰყო ხელი გადამუშავებას. ლაწვებზე ზედმეტი მარმარილო ჩამოაშორა, ტუჩები მოკუმა და ცოტათი დაუპატარავა, სახე დაუგრძელა, ნიკაპი წაუწვეტა, წარბები აუზიდა, თავი უკან გადაუგდო, თვალები ოდნავ მოუჭუტა და გამგმირავი გამომეტყველება მიანიჭა, მხრები გადაუშალა, წელში გამართა, ცოტა უკან გადაზნიქა და საბოლოოდ თბილი და საყვარელი, სტუმართმოყვარე დიასახლისის ნაცვლად გამოუვიდა აღმოსავლელი დესპოტი, ზვიადი და ამპარტავანი, რომლის წინაშე დაფდაფების გამაყრუებელ ხმაურში მოჰყავთ დამარცხებული ლაშქრის ტყვედშეპყრობილი მხედართმთავარი.

აბელს გულმა რეჩხი უყო, მაგრამ უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი ჰქონდა. ახლა ერთადერთ იმედად ისღა რჩებოდა, რომ იხტიბარი არ გაეტეხა და იქნებ წვრილმანი, მონური ლაქუცით მოელბო დესპოტის გული. ამ მიზნით, კიბის ბოლო საფეხურებს რომ მიაღწიეს, ნანოს ვითომ დარდიმანდულად, ვითომ შინაურულად გაუღიმა და უთხრა:

— როგორა ხარ ნანო?

— გმადლობთ. არა გვიშავს, — ყინულივით ცივი ხმით მიუგო ნანომ, ისე რომ სახეზე ძარღვი არ შეტოკებია.

აბელი მიხვდა, რომ არათუ გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევაც კი ამაო ცდა იქნებოდა, რადგან, ეჭვი არაა, ნანო გამოწვდილ ხელს ჰაერში შეატოვებდა. აბელმა ღიმილი მაინც არ მოიშორა სახიდან და, სულ ბოლო საფეხურიც რომ აიარეს, უთხრა:

— ეს ანია.

— ვიცი, — ნანოს ყინულოვან ხმაში ახლა ოდნავ აგდებული ინტონაცია შემოიპარა. — ვიცნობთ შორიდან. — მერე ისეთი კილოთი, როგორითაც ამბობენ ხოლმე, გაეთრიეო, თქვა: — მობრძანდით. — და გამართული, ცივი და ამაყი, სასტუმრო ოთახისაკენ გაუძღვა სტუმრებს.

საწოლ ოთახს რომ ჩაუარეს, აბელმა ღია კარიდან მაინც მოასწრო დაენახა პატარა ტყუპები, ნანოსა და ასლანის მეხუთე და მეექვსე შვილი, რომლებიც ხის პაწაწკინტელა საწოლებში იწვნენ და ტკბილად ეძინათ.

ის იყო, სასტუმრო ოთახში შევიდნენ და დასხდნენ, რომ ასლანიც გამოჩნდა. ასლანი მორცხვად გაღიმებული მოდიოდა, მაგრამ ცოლის სახე რომ შენიშნა, შეკრთა, ღიმილი სახიდან ჩამოერეცხა, ფეხი აურია და ერთი წაბორძიკება წაიბორძიკა კიდეც, თუმცა ხელი ორივე სტუმარს ჩამოართვა.

უხერხული დუმილი გრძელდებოდა მანამ, სანამ კიბეზე ბრაგაბრუგი არ გაისმა და ოთახში ბავშვები არ შემოცვივდნენ. მაგრამ ამ ხმაურს წამსვე დაუსვა წერტილი ნანომ:

— ვინ დაგპატიჟათ? აბა, გასწით ახლავე ეზოში!

ბავშვები დარწმუნებული იყვნენ, რომ აბელის ყოველი სტუმრობის უმთავრესი მიზანი მათთან თამაში იყო, ამიტომ წამით სახტად დარჩნენ, მაგრამ დედის ხმაში ისეთი სიმკაცრე და უჩვეულო სუსხი გაისმა, რომ მაშინვე გაისუსნენ და უხმოდ, ფეხაკრეფით გაბრუნდნენ უკან. მხოლოდ ნინიკო დარჩა. ნინიკო, თითქოს დედის ბრძანება არ გაუგონიაო, იდგა, ორივე ხელი, ერთმანეთზე გადაწნული თითე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, წინ, მუცელთან ეჭირა და დიდრონი, მშვიდი, სათნო თვალებით შესცქეროდა ანის.

— შენ არ გეხება? თუ ვერ გაიგე? — შეკავებული რისხვით მიუტრიალდა ნანო.

ნინიკომ ანის მოაშორა თვალი და მშვიდად, სათნო, განმაიარაღებელი გამომეტყველებით ახლა დედას შეხედა.

— გავიგე, — თქვა მერე წყნარად, ნელა შეტრიალდა და აუჩქარებელი ნაბიჯით გავიდა.

ოთახში ისევ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ნანოს ფეხი ფეხზე შემოედო და წელში გამართული კუშტად გაჰყურებდა სივრცეს. სამაგიეროდ ასლანი წრიალებდა, თითქოს სკამზე კი არა, გახურებულ ტაფაზე იჯდა, და სახეზე დროდადრო სიწითლე გადაჰკრავდა. იგი მთელ თავის არაბუნებრიობას სცენაზე ხარჯავდა და ნამდვილ ცხოვრებაში შექმნილი თეატრალური ეპიზოდებისათვის აღარაფერი რჩებოდა.

აბელი ერთხანს ჩუმად იჯდა და მასპინძლების უხერხულ დუმილს აკვირდებოდა. ბოლოს მობეზრდა და ღიმილით მიუბრუნდა ასლანს:

— ის შენი ცეცხლივით არაყი კიდევ გაქვს თუ უკვე გაგითავდა?

ასლანი მოცოცხლდა, ხელებიც კი მოიფშვნიტა, კიდევ უფრო სწრაფად აწრიალდა სკამზე.

— მაქვს, როგორ არა... — ოღონდ ცალი თვალი ცოლისკენ ეჭირა და წამოდგომა მაინც ვერ გაბედა. ამიტომ გამოცოცხლების აღმავალი ხაზი, რაკი შემდგომი განვითარებისთვის ხელმოსაჭიდი საბაბი ვერაფერი იპოვა, ისევ დაღმა დაეშვა და ასლანის ხმაში იმედგაცრუების სამარცხვინო კილო შეიპარა. — ჯერ რა გაათავებს... კი მაქვს...

აბელს შეეცოდა ასლანი და შეეშველა:

— სხვა დროს იყოს, — ისეთი კილოთი თქვა, თითქოს პატიჟით კალთებს ახევდნენ. — ახლა გვეჩქარება. სულ ერთი წუთით შემოვირბინეთ, — აქ გაიღიმა და ნანოს შეხედა, რომელიც ცივი, უტყვი სახით იყურებოდა სადღაც შორს. — ნანოს რომ არ ეფიქრა, სულ დამივიწყაო. წავიდეთ, არა, ანი? — ამ სიტყვებით ანის თბილად, ნაზად გადახვია მხრებზე ხელი.

ანი იმწამსვე წამოდგა.

ასლანმა უმწეოდ წაიბურტყუნა, რა გეჩქარებათო.

ნანო სტუმრებს კიბის თავამდე გამოჰყვა. იდგა ამაყი, ქედმაღალი და ულმობელი დესპოტი და ყინულივით ცივი მზერით მიაცილებდა მეზობელი სახელმწიფოს დესპანებს, რომლებიც აქ ზავის სათხოვნელად მოვიდნენ, მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს და ახლა პირში ჩალაგამოვლებულები, კუდამოძუებულები ბრუნდებოდნენ უკან.

ჭიშკართან ბავშვები ისევ შემოეხვივნენ აბელს. ტყუპებმა ომახიანი ყიჟინით მიიტანეს იერიში, გოგიტა მოწინააღმდეგის ფეხს შემოეჭდო და ჯაჯგური დაუწყო. ნინიკო გვერდზე იდგა და ანის უყურებდა.

— კმარა, მეომრებო! — მჭექარე ხმით გამოაცხადა აბელმა და, მეომრებმა რომ წამით აქტიური მოქმედება შეწყვიტეს, დაუმატა: — ბრძოლა გადაიდო გაურკვეველი ვადით! დაიშალეთ! — მერე ნინიკოს მიუბრუნდა ღიმილით. — ჩვენი სიმღერაც გადაიდო, მზეთუნახავო. მაგრამ ჩვენ კიდევ ვიმღერებთ! ასე არაა?

ნინიკომ თავშეკავებით გაიღიმა და თავი დაუქნია. ჭიშკარში რომ გამოდიოდნენ, ასლანმა ხელი გამოაპარა, აბელს უჩუმრად მოჰკიდა ხელში და მაგრად მოუჭირა.

აბელს კინაღამ სიცილი წასკდა.

ერთი ხანობა უხმოდ იარეს. მერე ანიმ უცებ იკითხა:

— ძროხა არა ჰყავთ?

— არა, — მიუგო ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა აბელმა. — მე მგონი, არა ჰყავთ.

— რა მშვენიერი ქალი ყოფილა ნანო. — წყნარად, ფიქრიანი ხმით თქვა ანიმ. — რა ამაყი და რა დიდებული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბელმა შეხედა. იუმორის გრძნობა ანის არ ჰქონდა, ირონია რა იყო არ იცოდა. იგი მუდამ ფსიქიკის პირველყოფილ, შეურყვნელ ბიძგებს ემორჩილებოდა და უშუალო, იმპულსურ შთაბეჭდილებებს გამოთქვამდა. მას ნანოს სახე არ დაუნახავს. მისთვის ნანოს ნიღაბი იყო ნანოს სახე. ამიტომ „ამაყი" და „დიდებული" აბელს არ გაკვირვებია. „მშვენიერი" კი გაუკვირდა ცოტა. ერთხანს შეკავებული ღიმილით უყურა ანის სერიოზულ, დაფიქრებულ სახეს, წამით დააპირა კიდეც „მშვენიერის" დამატებითი განმარტება მოეთხოვა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. განმარტების მოთხოვნას აზრი არ ჰქონდა. ანი განმარტებას არასოდეს არ იძლეოდა. შესაძლებელია, ვერ იძლეოდა. შესაძლებელია, ის პირველყოფილი ბიძგი, რომელიც მის აზრთა დენას განსაზღვრავდა, ინტუიციის ბიძგი იყო და თვითონაც ვეღარ ამყარებდა მასთან ლოგიკურ კავშირს. ამის გამო აბელი ერთი ორჯერ გვარიანადაც დაიბნა და საგონებელში ჩავარდა. ერთხელ, მაგალითად, საღამოს, როცა ბუხრის პირას იჯდა და აბელის ქუსლგამობღვენილ წინდას კემსავდა, ხოლო აბელი „სულის ფენომენოლოგიას" კითხულობდა, უცებ თავაუღებლად თქვა:

— შავ ტყეს რომ გაივლი, არ უნდა გაჩერდე, თეთრი ტყეც უნდა გაიარო და დიდი ზღვის პირას გახვიდე.

აბელმა წიგნს თვალი მოაშორა.

— რაო, ანი, რა მითხარი?

ანიმაც მოაშორა თვალი წინდას.

— შავ ტყეს რომ გაივლი, არ უნდა გაჩერდე, თეთრი ტყეც უნდა გაიარო და დიდი ზღვის პირას გახვიდე.

აბელმა თვალები აახამხამა.

— რა ტყე, ანი? რა ზღვის პირი?

— რაც გაიგონე! — ცოტა გაგულისებით თქვა ანიმ და მონდომებით განაგრძო კემსვა.

აბელმა ერთხანს უხმოდ უყურა მის პროფილს, რომელიც ბუხრის პირას, სადაც შუქი ნაკლებად სცემდა, ცოტათი ფრესკას წააგავდა. მერე მხრები აიჩეჩა და ისევ ფენომენოლოგიაში ჩარგო თავი.

გორდაძეებთან სტუმრობა ლაკმუსის ქაღალდი იყო, რომელსაც აბელისათვის ქალაქის სათქმელი უნდა ეთქვა და საერთო დამოკიდებულება გაემჟღავნებია. მართლაც ამ სტუმრობის შემდეგ აბელმა უკვე საკმაო სიზუსტით იცოდა, თუ რამდენად შორს გარიყა იგი ქალაქმა, რამდენად აითვალწუნა, რამდენად შეიძულა. რაც შეეხება გედეონ რევიასთან სტუმრობას, ეს კერძო შემთხვევა იყო, რადგან გედეონი ქალაქის საერთო სარკეში არ ირეკლებოდა, მას თავისი საკუთარი სათვალთვალო კოშკი ჰქონდა და საკუთარი ჰოგრიტით გაჰყურებდა ქვეყნიერებას.

გედეონთან სტუმრობამ მშვიდობიანად ჩაიარა. ანის დანახვაზე მასპინძელი თითქოს გაახალგაზრდავდა, უფრო სწრაფად და ენერგიულად მოძრაობდა, უფრო ცოცხლად ლაპარაკობდა. კარი რომ გააღო, სახე გაუბრწყინდა, ეს რა დიდებული დღე გაუთენდა ჩემს ბებერ სახლსო, მხიარულად შესძახა, ანის გალანტურად აკოცა ხელზე, ფართო ჟესტით შეიპატიჟა სასტუმრო ოთახში, დიდ სავარძელში ჩასვა, ზოგადი და ზერელე საუბარი გაუბა, როგორც ეს ახლად გაცნობილ ქალთანაა საჭირო, თან ქათინაურების სეტყვა დააყარა. აბელმა მის საქციელში ჩვეული, შესისხლხორცებული ირონიის ნატამალი ვერ დაინახა. ანიზე კი გედეონის შუბლგახსნილმა დახვედრამ და დარდიმანდულმა კავალრობამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. საბოლოოდ ეს შთაბეჭდილება იმაში გამოიხატა, რომ ანიმ როლი შეიფერა, სავარძელს კარგად მოერგო, ფეხი ფეხზე შემოიდო, წელში გაიშალა და ლმობიერი, შემწყნარებლური ღიმილითა და საკუთარი ღირსების ერთბაშად და დიდი ძალით გაღვიძებული შეგნებით დინჯად

ჩაება გედეონთან საუბარში. ანი სასაცილო იყო, მაგრამ გედეონი ან ვერ ამჩნევდა ამას, ან არადა, თავის ერთ-ერთ საუკეთესო როლს თამაშობდა.

ერთხანს რომ იმუსაიფეს, მერე გედეონმა თქვა:

— აბელი შინაური კაცია და ბოდიშები არ მჭირდება. თქვენ კი ნუ დამძრახავთ, თუ საკადრისად ვერ გიმასპინძლოთ. ყავა კარგი იქნება, ეს შემიძლია ტრაბახით ვთქვა. ალბათ ცოტაოდენი ნამცხვარიც აღმოჩნდება სადმე. თუ კარგად მოვჩხრიკავთ სამზარეულოს, გამორიცხული არაა, რომ შოკოლადიც ვიპოვოთ. რას იტყვით, აბელ, ვითომ ვერ ვიპოვით?

აბელს გაეღიმა.

— თუ კარგად მოვჩხრიკავთ, წესით, უნდა ვიპოვოთ.

— რატომ წუხდებით, ჩემო ბატონო... — ნელა, მკაფიოდ, ოღონდ დათანხმების მანიშნებელი კილოთი თქვა ანიმ.

— რას ბრძანებთ! ასეთი შეწუხება ჩემთვის დიდი სიამოვნებაა! — გედეონი წამოდგა, ოდნავ დაუკრა თავი ანის, სამზარეულოში გავიდა და იქ, როგორც ჩანს, მართლა სტუმართმოყვარე დიასახლისივით მოიქაჩლა თავი.

ანი ცოტა ხანს, შესაძლებელია, ინერციით, შესაძლებელია, იმის გამო, რომ როლი მოეწონა, კიდევ იჯდა ამაყი და თავდაჯერებული არისტოკრატის პოზაში. აბელი ღიმილით შესცქეროდა და ელოდა. ბოლოს ანის მოსწყინდა. ან იქნებ დაიღალა. ერთბაშად მოდუნდა, ღრმად, თავისუფლად ჩაეშვა სავარძელში და აბელისკენ მიტრიალდა.

— რას მიყურებ?

— არაფერს. კატამ მეფეს შეხედაო...

აქ ანიმ უეცრად შეიცვალა კილო. ხმასაც დაუწია.

— ამ კაცს ეს წიგნები სულ წაკითხული აქვს?

— თითქმის.

— შენც?

— მე ჯერჯერობით ნაწილი მაქვს წაკითხული.

— დანარჩენიც უნდა წაიკითხო?

— რა ვიცი... ვაპირებ.

ანი დაფიქრდა.

— რად გინდათ მერე, ამდენს რომ კითხულობთ?

— ხომ უნდა გავიგოთ, რისთვის გავჩნდით ამ ქვეყანაზე.

ანიმ შუბლი შეჭმუხნა და გაკვირვებით დააცქერდა აბელს.

— წიგნებიდან უნდა გაიგოთ?! — ესა თქვა და სინანულით გადაიქნია თავი.

გედეონი რომ დაბრუნდა, ანი გაიმართა და ძველებური პოზა მიიღო. გედეონმა ყავა შემოიტანა, ნამცხვარი და შოკოლადი. როგორც ჩანს, სამზარეულოს „კარგად მოჩხრეკამ" შესაფერისი ნაყოფი გამოიღო.

შუა ყავის სმაში რომ იყვნენ, ანიმ ჰკითხა:

— ჩემო ბატონო, ეს წიგნები მართლა სულ წაკითხული გაქვთ?

გედეონმა წიგნებს მოავლო თვალი, მერე გამომცდელი მზერა წამით აბელზე შეაჩერა და ოდნავ ამოიოხრა.

— რა ვუყოთ... — გულნაკლული კაცის კილოთი თქვა. — ასეთია ჩვენი ბედი. ეს რომ მხოლოდ სისუსტე იყოს, რა გვიჭირდა. სამწუხაროდ, აუცილებლობაა. უბრალო მოკვდავი იძულებულია ცხოვრებაში ისეთი ბლაგვი იარაღით გაიკვლიოს გზა, როგორიცაა ინტელექტი.

— აა!.. — თქვა ანიმ. მერე ზურგს უკან გადასწია ხელი, ერთ-ერთი წიგნი აიღო, დახედა, არ გადაუშლია, მხოლოდ ასწია-დასწია, თითქოს სიმძიმეს ამოწმებსო, და უკანვე დადო.

საღამოს, შინ რომ დაბრუნდნენ, აბელს თხოვა, რაიმე წიგნი მომეციო.

— რად გინდა? — გაუკვირდა აბელს.

— წასაკითხად, სხვა რად უნდა მინდოდეს! — ისეთი კილოთი თქვა ანიმ, თითქოს თავისი დღე და მოსწრება წიგნების კითხვის მეტი არაფერი ეკეთებინოს.

აბელმა შეხედა და ერთხანს უყურა.

— მაინც რა წიგნი გინდა?

— რა ვიცი, სულ ერთი არაა!

— სულ ერთი რატომაა?! მხატვრული, მეცნიერული, პოლიტიკური...

— ოჰ, ნეტა ერთი!.. — შეაწყვეტინა ანიმ, გამომწვევად, ნიშნის მოგებით მივიდა წიგნის თაროსთან და, არც შეუხედავს, ისე აიღო პირველივე წიგნი, რომელიც კი ხელთ მოხვდა.

აბელს ყურადღება აღარ მიუქცევია. საათისა თუ საათ-ნახევრის შემდეგ ანიმ ორივე ხელით, ტკაცანით დახურა წიგნი და იქვე სკამზე მიაგდო.

— რა იყო? — გაეღიმა აბელს.

ანიმ ქვედა ტუჩი გამობზიკა და უხმოდ, ათვალწუნებით მიაჩერდა.

აბელმა სკამზე დაგდებული წიგნი ღიმილით აიღო და თაროზე თავის ადგილას შემოდო.

ანის გამოსვლის შემდეგ ქალაქში აბელის პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა და თეატრში მკვეთრად გახშირდა ტელეფონის ზარი, რომელსაც მოსდევდა კითხვა იმის შესახებ, თამაშობდა თუ არა აბელი დღევანდელ სპექტაკლში. ეს სავსებით ბუნებრივი რეაქცია იყო: იმ დროს, როცა ქალაქში სხვა უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო არაფერი ხდებოდა, თეატრის წამყვანმა მსახიობმა საყოველთაოდ ცნობილი კახპა დაისვა შინ. მეორე მხრივ, საქმეში ჩახედულ ხალხს აქედან ის დასკვნა გამოჰქონდა, რომ აბელმა ყოველივე ეს სწორედ ამ იაფფასიანი პოპულარობისთვის ჩაიდინა. და ეს დასკვნაც სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური ჩანდა. აბელს გულში ეცინებოდა, მაგრამ ამავე დროს მოუთმენლად მოელოდა იმ დღეს, როცა ქალბატონი სალომეს სალონში მორიგი შეკრება დაინიშნებოდა. აქ ბევრ რამეს უნდა მოჰფენოდა ნათელი.

ჩვეულებრივ, მოსაწვევი ბარათი შეკრების წინა დღეს თეატრში მოჰქონდა მერის. ეს „წინა დღე" რომ დადგა, დილით თეატრში მიმავალი აბელი არც თუ სახუმაროდ ღელავდა. მიიწვევდა თუ არა ქალბატონი სალომე ამ ამბების შემდეგ? ხან ეგონა, მიიწვევდა, ხან ეგონა, არ მიიწვევდა, ხანაც თავს არწმუნებდა, რომ ეს ჭუჭყიანი ჭორები და მითქმა-მოთქმა უბრალო და უმნიშვნელო რამ იყო და ქალბატონი სალომეს მაღალ ყურამდე საერთოდ ვერ მიაღწევდა. გულის სიღრმეში, შესაძლებელია, სწორედ ამ მესამე ვარაუდის ეშინოდა ყველაზე მეტად.

მერი რომ დაინახა, გულისცემა მოუხშირდა. მერი მიესალმა, რაღაც ჩაუქარაგმა (იქნებ არც არაფერი ჩაუქარაგმებია, უბრალოდ, მელას ის მოელანდა, რაც დაესიზმრა), მოსაწვევ ბარათზე კრინტი არ დაუძრავს. იმ საღამოს სპექტაკლი არც ერთს არ ჰქონდა, ამიტომ, თუკი მოსაწვევი ბარათი არსებობდა, იგი რეპეტიციის დამთავრებამდე უნდა გადასცემოდა აბელს.

რეპეტიცია დამთავრდა, მერი წავიდა და აბელი მიხვდა, რომ „ზედა ფენებში" მისი საქციელი დაგმობილ იქნა.

შინისაკენ მიმავალმა გზად ბაზარში შეიარა და ხილი და ბოსტნეული იყიდა. როდესაც სავსე პარკით ხელში ბაზრის ჭიშკარს გასცდა, უცებ ვანო როსტიაშვილს გადაეყარა. ვანო თმააბურძგნილი, წვერგაუპარსავი, გულგაღეღილი, შარვალჩაჩაჩული და, რაღა თქმა უნდა, მთვრალი იყო. აბელის დანახვაზე სახე გაუნათდა, ფეხები გაჩაჩხა, მკლავები გაშალა და ასე შეჩერდა შუა ტროტუარზე, თითქოს გზას უღობავსო.

— გენაცვალე ყანყრატოში! — ისეთი გრძნობით თქვა, ლამის გულ-მუცელი ამოაყოლა. ტუჩები თითქმის არ გაუხსნია, ხმა მეტისმეტი მღელვარებისა და დაძაბულობისაგან უკანკალებდა. მერე მარჯვენა ხელი იდაყვში მოხარა, მომუშტა და საკუთარ ნიკაპთან ისე შეარხია, თითქოს ვიღაცას ემუქრებაო. — ჭირიმე შენი! — ეს რომ თქვა, გადაეხვია და გადაკოცნა, თან

ცდილობდა თავისი გადმობრუნებული, საკოცნელად გამზადებული ტუჩებით პირდაპირ ტუჩებში დაძგერებოდა, მაგრამ ბოლო წამს აბელმა მარჯვედ უგანა და ვანო ლოყაზე კოცნას დასჯერდა. — ჯიგარი ხარ! — აქ მარჯვენა ხელი ისევ მომუშტა და კბილებდაკრეჭილმა მარცხენა ხელისგულს რამდენჯერმე სანაყ ქვასავით ჩაჰკრა. — ასე უნდა მაგ დამპლებს! გენაცვალე ყველგან! ძმა ხარ ჩემი! — აქ, ეტყობა, ცეცხლი შემოელია, ერთბაშად პროზაულ კილოზე გადავიდა. — ახლა მე და შენ თითო რამის დალევა მოგვიხდებოდა. აგერ, ბაზარში, კასრზე... თითო ქილა ისე შეგვერგებოდა, როგორც დედის რძე... — როგორც ჩანს, აბელის სახეზე პროტესტი შენიშნა, თქმა არ დააცალა, თვითონვე წაიღო უკან საკუთარი წინადადება. — თუმცა შენ ახლა არ გცალია. ოჯახი ხრამია. სხვა დროს იყოს. — და ისევ მოეძალა გრძნობა: — ჭირიმე შენი! ძმა ხარ! აბა, კარგად იყავი!

ასე გახდა ბაზრის წინ აბელი ვანო როსტიაშვილის ძმა.

ანი, ეტყობა, სერიოზულად დაინტერესებულიყო გედეონისა და აბელის გატაცებით და, ამ გატაცების ავკარგიანობა რომ შეემოწმებინა, კიდევ ერთი წიგნი გადმოეღო თაროდან, მაგიდას მისჯდომოდა და ბუტბუტით კითხულობდა. აბელის შესვლაზე წიგნი სწრაფად დახურა და თაროზე შემოდო.

რვა საათი იქნებოდა, რომ კარზე კაკუნი გაისმა. აბელმა და ანიმ, რომლებიც თავთავიანთი საქმით იყვნენ გართულნი, ერთდროულად ასწიეს თავი და ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს. რაც ანი აქ გადმოვიდა, აბელის სახლში სტუმარი არ გაჭაჭანებულა.

აბელმა კარი გააღო და ადგილზე გაშეშდა.

— მერი?!

— შეიძლება? — ცოტა არ იყოს, ზედმეტად ხალისიანი კილოთი იკითხა მერიმ.

— მობრძანდი, — აბელმა უკან დაიხია და გზა მისცა.

მერი მაღალქუსლიან ყავისფერ ფეხსაცმელებზე იდგა და გრძელი, კოჭებამდე ჩამოშვებული ჭრელი კაბა ეცვა დახურული გულისპირით და ფართო, თავისუფალი სახელოებით. ეტყობა, დარბაზობისთვის საგანგებოდ მომზადებულიყო, თმა აფუებული ჰქონდა, თვალის ქუთუთოები და წამწამები საღებავით კარგად დაემუშავებინა, სახის კანი უბზინავდა. თან ცოტა აღგზნებული იყო და ეს აღგზნებულობა რაღაც დამატებით პეწს აძლევდა.

ანი მის დანახვაზე სწრაფად წამოდგა და, თითქოს რაღაცის შეეშინდაო, შემკრთალი, აბუზული, რაღაცნაირად ფრთებჩამოყრილი მიაჩერდა.

— გამარჯობათ! — თქვა მერიმ ისევ ისე ზედმეტად ხალისიანი კილოთი და ცალი თვალით სწრაფად შეათვალიერა ანი. — ბოდიშს ვიხდი ამ უეცარი სტუმრობის გამო. ალბათ ხელი შეგიშალეთ...

— პირიქით. — მიუგო აბელმა. — სტუმარს დანატრებული ვართ.

ანიმ სკამს დაავლო ხელი, მეტი გულმოდგინებისაგან ხელიც კი გადაუსვა, თითქოს მტვერი გადაწმინდაო, და ახლო დაუდგა.

— დაბრძანდით.

— გმადლობთ, — უაღრესად თავაზიანი ღიმილით უთხრა მერიმ. — თქვენ ალბათ ანი ხარ, არა?

— კი, — გაუბედავად თქვა ანიმ, რომელიც ჯერ კიდევ კალაპოტიდან ამოვარდნილი იყო. — ანი ვარ.

— მე მერი ვარ. მერი ბარაბაძე.

ანის თვალები გაუფართოვდა.

— ბარაბაძის ქალი?!

მერიმ წყნარად გაიცინა.

— ვერ იქნა და ვერ მოვიშორე ეს დაღი. რა ჩავიდინო, აბელ, ისეთი, რომ ხალხმა მამაჩემის დანახვაზე თქვას: შეხედეთ, ბარაბაძის მამა მოდისო? — ანიმ გაუგებარი და უნებლიე დანაშაული იგრძნო და სიწითლემ გადაჰკრა. მერიმ კი განაგრძო: — რისთვის მოვე-

დი და რისთვის დაგირღვიეთ მყუდროება: სალომემ მოსაწვევი ბარათი გამომატანა და დამავიწყდა, რომ თეატრშივე გადმომეცა, — მერიმ ჩანთა გახსნა, მოსაწვევი ბარათი ამოიღო და მაგიდაზე დადო. — რომ არ მომეტანა, ვერც გადავურჩებოდი სალომეს.

— მე მეგონა, აღარ მიმიწვია-მეთქი.

— რამ გაფიქრებინა! — მერის ხმაში ძლივს შესამჩნევი ირონია გაისმა.

— ჩაის მოგართმევთ, — შესთავაზა ანიმ, მაგრამ მერიმ იუარა.

— არა, გმადლობთ.

— მერის ჩაი არ უყვარს, ანი. მერის შამპანური უყვარს. — ჩაერია აბელი.

— გაქვს? — გაიღიმა მერიმ.

— საპატიო სტუმრისთვის ყველაფერია, — ამ სიტყვებით აბელი სამზარეულოში გავიდა.

მერიმ ოთახში მიმოიხედა.

— როგორ დატყობია აქაურობას ქალის ხელი! — მერე, თითქოს ენაზე იკბინაო, ისე განაგრძო: — არა, მე ერთხელა ვარ მარტო ნამყოფი... მარტოხელა კაცმა რაც არ უნდა სუფთად და ლამაზად შეინახოს სახლი, მაინც შეეტყობა, რომ მარტოხელაა. ახლა სხვანაირადაა მომყუდროებული აქაურობა.

აბელმა შამპანური და ჭიქები შემოიტანა. ბოთლი გახსნა და ჩამოასხა.

— გაცდენთ, — თქვა მერიმ და ჭიქა აიღო. — გაგიმარჯოთ, — ნახევრამდე დალია და დადგა, თუმცა ხელი არ გაუშვია. მერე ხმადაბლა, თითქოს ეშინია გამვლელებმა არ გაიგონონო, ცოტა იდუმალი კილოთი თქვა: — განმარტოებული ხართ, ყველას მოშორებული... რაც არ უნდა იყაყანონ ქალაქში, თქვენ მაინც თქვენთვის ხართ, თქვენამდე ვერაფერი აღწევს. გაგიმარჯოთ, — და დარჩენილი შამპანურიც დალია.

აბელმა ისევ შეუვსო ჭიქა.

— დათრობას მიპირებ? — ალერსიანად, მოჭუტული თვალებით გაუღიმა მერიმ. მერე უცებ ხმამაღლა გაიცინა. — რა უბედური ხალხი ვართ! ჩვენი დღე და მოსწრება სულ ვთამაშობთ და ვთამაშობთ! რა იქნება, წელიწადში ერთხელ გულახდილობის დღე მოვაწყოთ, რომ ცოტა დავისვენოთ და დავმშვიდდეთ? — ჭიქა აიღო, შამპანური მოსვა, ჩაიცინა და განაგრძო: — როდის დამვიწყებია მოსაწვევი ბარათის დროზე გადმოცემა, რომ ახლა დამვიწყებოდა! განზრახ გავაკეთე, აქ მოსვლის საშუალება რომ მქონოდა. თქვენი ნახვა მინდოდა, ანი. — ანის თვალები დაეხარა და მუხლებზე დაწყობილ ხელებს დასცქეროდა. — თქვენ ახლა ჩვენი სულელი ქალაქის მთავარი სალაპარაკო თემა ხართ. რა მშვენიერი პროფილი გაქვთ! ნეტა მოგასმენინათ, როგორ ვანთხევთ ბოღმას შურიანი დედაკაცები! და შუბლი გაქვთ საოცრად ლამაზი. როგორ თვალსა და ხელს შუა აგვაცალეთ ასეთი სასიძო კაცი ამდენ გასათხოვარ ქალს! — ჭიქა ასწია და ღიმილით გახედა შუქზე. — ღმერთმა ტკბილად შეგვაბეროთ ერთმანეთს, — და ცოტა კიდევ მოსვა.

ანიმ თავი ასწია და თვალებში შეხედა მერის. შიშმა, შეკრთომამ, თუ სირცხვილის გაუგებარმა გრძნობამ, რომელიც მერის დანახვისას დაეუფლა, უკვე სავსებით გაუარა. ახლა მშვიდად შეჰყურებდა ნათელი და რაღაცნაირად ლმობიერი თვალებით და აბელს მოეჩვენა, რომ ამ წუთას იგი ძალიან ჰგავდა ასლანის ნინიკოს. და ანიმ უცებ თქვა:

— მე და აბელი და-ძმა ვართ.

მერიმ პასუხად ნეიტრალური, ოფიციალური თავაზიანობით გაიღიმა და მხოლოდ ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს, დაგვიანებით, მიხვდა ანის ნათქვამის აზრს. ღიმილი ფარდასავით ჩამოუვარდა, შუბლი შეჭმუხნა და ისე მიაჩერდა, თითქოს რაღაც რთულ სიტუაციაში გარკვევას ლამობსო.

— რა ხართ? — იკითხა ბოლოს.

— და-ძმა, — მშვიდად, დაყვავებით მიუგო ანიმ.

ჯამალ ქარჩხაძე
ქარავანი

— როგორ თუ... — მერის აშკარად უჭირდა ამ მოულოდნელი და გაუგებარი ინფორმაციის აღქმა და გააზრება. — და-ძმა რანაირად ხართ?

აბელს დასცხა და იგრძნო, როგორ გამოჟონა ბეჭებში ოფლმა.

— და-ძმობა ვუთხარით ერთმანეთს, — რბილად, მაგრამ მკაფიოდ გაისმა ანის ხმა.

მერიმ აბელს მოხედა, მერე ისევ ანის მიაპყრო გამომცდელი მზერა.

— მასხრად მიგდებთ?

— მართალს გეუბნებით, — და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — დედის სულს გეფიცებით.

მერიმ კიდევ მოხედა აბელს.

— მართლა, აბელ?

— მართლა, — რამდენადაც შეეძლო მშვიდად, უბრალოდ თქვა აბელმა.

მერის ხელები ოდნავ აუკანკალდა და, ეს რომ დაეფარა, ჭიქას მაგრად მოუჭირა. საფეთქელთან ძარღვი უთრთოდა. ოთახში სიჩუმე იდგა. ბოლოს მერიმ ხმამაღლა გაიცინა.

— გადავირევი! — თქვა სიცილით და ისევ გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ჭიქა აიღო და ერთი ყლუპი შამპანური მოსვა. ჭიქა ისევ დადგა. სახე დაძაბული ჰქონდა, თვალები — დაფიქრებული და ცოტა დამწუხრებული. — ეს სახლი თავიდანვე საიდუმლოებით იყო მოცული, — ხმადაბლა თქვა ბოლოს, ისე რომ არც ერთისთვის არ შეუხედავს. — ჩემს მახსოვრობაში აქ არავის უცხოვრია. მე რომ პატარა ვიყავი, უფროსებსაც კი არ ახსოვდათ, როდის მიატოვეს აქაურობა. ბავშვებს გვიშლიდნენ აქ შემოსვლას, მოჩვენებები ცხოვრობენო, გვაშინებდნენ... და-ძმობა უთხარით ერთმანეთს... ვინ იცის, იქნებ მართლა ცხოვრობდნენ მოჩვენებები. იქნებ ახლაც ცხოვრობენ. პირველი უკლება ჩასახლდა. ზღაპრის გმირებივით და-ძმობა უთხარით ერთმანეთს... ბედნიერი ხალხი ხართ. — აქ მერიმ აბელს შეხედა. — მე რომ შენი დაძმობილება მომენდომებია, თქმით მაინც ვერ გეტყოდი. ეს შეიძლება გულში გაიფიქრო. ხმამაღლა რომ იტყვი, სისულელე გამოდის. თქვენ როგორ მოახერხეთ... — და ისევ აარიდა თვალი. — დარწმუნებული ვიყავი, რომ გიცნობდი, აბელ. თურმე არ მცნობიხარ. შენ თურმე და-ძმობის თქმა შეგძლებია. მაგრამ ეს სახლი მაინც ახლოა ქალაქთან... არ შეიძლება, მეც თქვენი დობილი გავხდე?

— როგორ არა! — სახე გაუნათდა ანის, მაგრამ რაღაცამ აიძულა წამსვე გაჩუმებულიყო.

— მართლა? — აიტაცა მისი თანხმობა მერიმ. — შეიძლება? ოღონდ სადმე შორს გადავიკარგოთ. მდინარის გაღმა. ზემოთ, ტყეში. ორი და ვიქნებით და ერთი ძმა გვეყოლება. შენ რას იტყვი, აბელ, თანახმა ხარ? — მერის უცნაურად უბრწყინავდა თვალები. — შეიძლება ბავშვებადაც კი გადავიქცეთ, — აბელი უხმოდ უყურებდა. — არ გინდა? ხედავთ? — ანის მიუბრუნდა მერი. — არ უნდა. ჩემთან დაძმობილება არ უნდა. მე ცუდი და ვიქნები...

— კარგი და იქნები, მერი, — წყნარად თქვა აბელმა.

— მაშ, რაღას ვუცდით! ბარემ ჩვენც ვუთხრათ ერთმანეთს და-ძმობა.

— ხვალ, — ისევ წყნარად უთხრა აბელმა. — ახლა გვიანია.

მერიმ შეხედა, თვალი თვალში გაუყარა, მერე აღგზნება დაუცხრა და, როგორც ცოტა ხნის წინ, თვალები მოჭუტა და ალერსიანად გაუღიმა.

— ხვალ იყოს, — თქვა მერე სავსებით დამშვიდებულმა. — აბა, ახლა კი წავედი, თორემ მართლა გვიანია.

სახლს ქვემოთ, გზის პირას, მერის მანქანა ელოდა. დათიკო ბარაბაძის მოხუც მძღოლს თავი საჭეზე დაედო და ეძინა. მერიმ მანქანის კარი გააღო.

— წავედით, ძია ვასო, — უთხრა ხმადაბლა.

მოხუცი წამსვე გამოფხიზლდა.

— წავედით? — იკითხა და გასაღები გადაატრიალა.

მერიმ ღიმილით მოხედა აბელსა და ანის და ხელი დაუქნია.

წყნარი საღამო იყო. თბილოდა. მთვარის შუქზე მდინარე ზღაპრულად ელავდა, ნელა, მდორედ მიედინებოდა თავქვე და ხმადაბლა, თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას.

თავი მეცხრამეტე

მეორე დღეს, როდესაც აბელმა ქალბატონი სალომეს სასტუმრო დარბაზის კარი შეაღო და შევიდა, სტუმრები ერთბაშად, შეთქმულებივით გაჩუმდნენ და უხმოდ შემოაჩერდნენ.

უკვე ყველანი შეკრებილიყვნენ. აქ იყო ოქროს ქალბატონი, აქ იყო გარაყანიძე ყელში წაჭერილი ჰალსტუხით, აქ იყო ონოფრე პოეტი, პროკურატურის კაცი, რომელიც სატირული ჟურნალის ტიპიურ კარიკატურას ჰგავდა, დიდცხვირა და დიდპირა ახალგაზრდა კაცები, მომღერალი ქალწულები... ყველანი აქ იყვნენ. მერი დივნის კუთხეში იჯდა, გრძელი კაბის ქვეშ ფეხი ფეხზე შემოედო, ხელები მუხლებზე შემოეწყო და რაღაც გამოუცნობი ღიმილით იღიმებოდა.

აბელმა ის კი მოახერხა, რომ ზურგს უკან კარი მიეხურა, მაგრამ მოულოდნელად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ იმდენად შეაკრთო და დააბნია, რომ ადგილზე გაშეშდა.

საბედნიეროდ, დუმილი, სანამ მძიმე უხერხულობაში გადაიზრდებოდა, ქალბატონმა სალომემ დაარღვია. იგი სწრაფად გამოეყო სტუმრებს, გულღია ღიმილით, მსუბუქად, მოხდენილი სხეულის ოდნავი რწევით წამოვიდა აბელისაკენ.

— ჩვენი აბელიც მოვიდა! — ხალისიანი კილოთი თქვა მან. მერე გაბედული, მაგრამ რბილი, კეთილმოსურნე ხუმრობით, რომელსაც საბოლოოდ უნდა გაეღლო ეს უეცარი დაძაბულობა, დაუმატა: — აბელ გულთამპყრობელი!

ამ სიტყვებით შემოეგება და ხელი მკლავში გამოსდო.

— დღეს განსაკუთრებული გრძნობით უნდა ვიმღეროთ, აბელ. — უთხრა და ნელი, გამოზომილი ნაბიჯით წამოიყვანა სტუმრებისაკენ. — დღეს ქალბატონი ციცინათელას დაბადების დღეა და ეს ამბავი საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.

ქალბატონი ციცინათელა მოოქროვილი ქალბატონი იყო. ქალბატონმა სალომემ სწორედ მისკენ წაიყვანა აბელი და, ახლო რომ მიიყვანა, მკლავში გამოდებული ხელი გამოაცალა.

— ნუთუ მართლა?! — იმავე კილოთი გამოეპასუხა აბელი, რომელმაც ივარაუდა, რომ ქალბატონმა სალომემ ეს ცნობა უმთავრესად ვითარების განსამუხტავად მიაწოდა. — ნება მომეცით, მოგილოცოთ, ქალბატონო ციცინათელა!

ქალბატონი ციცინათელა გაფითრებული იყო და თვალებგაფართოებული მისჩერებოდა აბელს. ისე უცნაურად იდგა, თითქოს გაქცევა ეწადა, მაგრამ ვიღაცას ფეხებით იატაკზე მიელურსმნა. როდესაც აბელი საკმაოდ ახლო მივიდა, ძალთა უკანასკნელი დაძაბვით მაინც აჯობა თავის მიმლურსმნელს, ფიცხი მოძრაობით დაიხია უკან რამდენიმე ნაბიჯით და ხელიც კი გამოიშვირა, თითქოს ამით აბელის წინსვლა უნდა შეაჩეროსო.

— არა! — ყრონტისმიერი, ცივი ხმით წამოიძახა ქალბატონმა ციცინათელამ.

„იქნებ საგანგებოდ დადგმული სცენაა?“ — გაუელვა აბელს თავში.

ამ დროს საქმეში მერი ჩაერია და ღიმილით უთხრა ქალბატონ ციცინათელას:

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

— რამ შეგაშინათ, დეიდა ციცინათელა? ჩვენი აბელია, ბასკერვილების ძაღლი ხომ არ არის!

ქალბატონმა ციცინათელამ მწყრალად მოხედა.

— მსახიობები, გენაცვალე, იოლად უყურებთ ყველაფერს. მე ოჯახი მაქვს! — ამით ქალბატონმა ციცინათელამ საბოლოოდ დაამსხვრია სალონურ ურთიერთობათა საამო ბორკილები და ქვა ისე დააგორა ფერდობზე, რომ ახლა სკანდალი გარდაუვალი ჩანდა.

— სხვათა შორის, — დინჯად, ბრძნულად დაიწყო გარაყანიძემ. — დემოკრატია ყველაფრის არევას და ათქვეფას როდი ნიშნავს. რაც უნდა ფართო იყოს დემოკრატია, ქუჩა მაინც ქუჩაა, ოჯახი ოჯახია და საზოგადოება საზოგადოებაა.

აბელი გარაყანიძეს მიუტრიალდა და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ როგორ აახამხამა უცებ თვალები გარაყანიძემ და როგორი სისწრაფით დაიხია უკან, მიხვდა, რა სახე უნდა ჰქონოდა თვითონ. წამით თვალები დახუჭა, ალბათ თავადაც ვერ იტყოდა, შეგნებულად გამოიწვია ეს ხილვა თუ უნებურად მოხდა, რომ გონების თვალწინ ჯერ გედეონ რევიამ გაიელვა, მერე — სამსონმა. ამის შემდეგ თვალი ისევ გაახილა და მშვიდად, თითქმის უდარდელად გაიღიმა.

გარაყანიძე ამ დროს უკვე უხიფათო მანძილზე იმყოფებოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც შედარებით ხმადაბლა და ცოტა შემრიგებლური კილოთი თქვა:

— კაცი ან ქუჩაში უნდა ცხოვრობდე, ან საზოგადოებაში. იქაც და აქაც არ შეიძლება.

— სიყვარულმა არ იცის გარჩევა! — გაუბედავად წამოიძახა ერთ-ერთმა პროვინციალმა ქალწულმა და ჭარხალივით გაწითლდა.

— მაგ რომანტიკა, ჩემო ბატონო, პოეზიაშია კარგი, — ისევ გათამამდა გარაყანიძე. — პოეზია სხვაა, ცხოვრება სხვა. აგერ ბატონ ონოფრეს შეუძლია დაწეროს ლექსი, ლექსი კი არა — ბალადა, იმის შესახებ, თუ როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი მაღალი და წმინდა სიყვარულით საკუთარი სხეულით მოვაჭრე გოგონას და რომელიმე კეთილშობილ პრინცს. პრინცი სჯობს, იმიტომ, რომ... მმმ. — ხელები გაშალა გარაყანიძემ და სახეზე გაურკვეველი, შეთქმულის თუ გულის მესაიდუმლის გამომეტყველება გაუჩნდა. — წავიკითხავთ, გვეამება. ლექსი საშიში არაა.

ონოფრე პოეტმა ჩიბუხი პირიდან გამოიღო და იმავე ხელის საჩვენებელი თითი, რომლითაც ჩიბუხი ეჭირა, გარაყანიძეს მიუშვირა.

— ეგ კარგია, ხომ იცით!.. — უთხრა და მოწონების ნიშნად თავიც დაუქნია.

— აბელ! — დაიძახა ამ დროს მერიმ, რომელიც ჯერ ისევ დივანზე იჯდა ფეხი ფეხშემოდებული და იქიდან ადევნებდა თვალყურს ამბების განვითარებას.

აბელმა მიხედა. მაშინ მერი წამოდგა, მისკენ წამოვიდა, მოუახლოვდა, იდაყვში მოჰკიდა ხელ და საზოგადოებას მიმართა:

— რამ დაგაფეთათ, ხალხო! — და აბელს მიუბრუნდა. — აქაო და ქვეყნის ნათრევი ქალი სახლში დაისვაო, ეშინიათ რამე სენი არ შემოიტანო. — მერე ისევ საზოგადოებას მიუტრიალდა: — თქვენი შიში სრულიად უსაფუძვლოა. და, საერთოდ, ტყუილად გგონიათ, ვითომ ის ქალი რაღაც ურჩხული იყოს. არაფერი ურჩხული არ არის. გუშინ ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე. ერთი სოფლელი გოგოა, მორცხვი, მფრთხალი, საწყალობლად აბუზული. და, მე მგონია, არაფერი ისეთი არ უნდა სჭირდეს. ხომ ასეა, აბელ? — ღიმილით შეხედა აბელს, მაგრამ იმავ წამს ღიმილი მოიშორა, კოპები შეიკრა და კომიკური წყრომით, ვითომ გაბუტულმა უსაყვედურა: — რას მიღრჭიალებ კბილებს! — თუმცა აბელს არ შეუმჩნევია, კბილები თუ გააღრჭიალა. მერი კვლავ საზოგადოებას მიუბრუნდა. — ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს

აბელსა და იმ ქალს ინტიმური ურთიერთობა არა აქვთ, პლატონური სიყვარულით უყვართ ერთმანეთი. სულიერი მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან. თან ყოველი შემთხვევისათვის, სულმა რომ არ წაძლიოთ, და-ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს.

— მერი! — გამაფრთხილებლად წასჩურჩულა ქალბატონმა სალომემ.

მაგრამ მერის მისი ნათქვამი არ გაუგია, იდგა აღგზნებული, სახეგახურებული, თვალებაელვარებული და თავისას განაგრძობდა:

— ასე რომ, ნუ გგონიათ ეს ჩვენი აბელი თქვენისთანა და ჩემისთანა ადამიანი იყოს, რაღაც უბრალო და ჩვეულებრივი. არაფერიც! რომანტიკოსია, მეოცნებე. მაღლა-მაღლა დაფრინავს ღრუბლებში. მეც კი შემომთავაზეს, ჩვენი დობილი გახდიო.

აბელს ტუჩები მაგრად მოეკუმა, კბილი კბილზე დაეჭირა და ცდილობდა სიმშვიდე და საღი აზროვნება არ დაეკარგა. მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოერია თავს და მწარე ღიმილით წასჩურჩულა მერის:

— გეთქვა, ასე გამწარებული თუ იყავი, და შეგირთავდი.

მერი თეატრალურად სახეგაბრწყინებული მოტრიალდა მისკენ.

— მართლა? მართალს ამბობ, აბელ? — მერე იმედგაცრუებული კილოთი დაუმატა. — აბა რა ვიცოდი! — და ქალბატონ სალომეს მიუბრუნდა. — გესმის, სალომე? ხელსა მთხოვს აბელი.

— მერი... — წეღანდელივით წყნარად, მაგრამ გამაფრთხილებლად უთხრა ქალბატონმა სალომემ.

— დავთანხმდებოდი, მაგრამ მულმა რომ არ მიმიღოს?

ამ სიტყვებზე ვიღაცამ ერთი ჩაიფრუტუნა და წამსვე გაჩუმდა.

მერი აბელს მოუბრუნდა, თვალებში შეხედა და უთხრა:

— ვერა, აბელ. ნუ გეწყინება და ვერ გამოგყვები. თუ მაინცდამაინც რომანტიკოსზე და მეოცნებეზე გათხოვება დავაპირე, ბარემ სამსონს გავყვები, ის უფრო მაღლა-მაღლა დაფრთხიალებს.

აქ კვლავ გაიცინა ვიღაცამ. ამჯერად უფრო მონდომებულად. სამსონის ხსენებამ, საერთოდ, ვითარება თითქოს ცოტა განმუხტა. სტუმრებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ხოლო სატირული ჟურნალიდან ამოჭრილმა პროკურატურის კაცმა თავისი ისტორიული სიტყვაც წარმოთქვა:

— სამსონი ღმერთს ეკურკურება. იმას ქალი როგორ შეაცდენს!

მერი ფიცხლად მიტრიალდა მისკენ. რაღაცნაირად აიზიდა, უფრო მაღალიც გამოჩნდა, უფრო ზვიადიც, უფრო ლამაზიც.

— თქვენ ქალი კარგად არ გცნობიათ, ბატონო ვარლამ, — უთხრა და თვალები კიდევ უფრო აუელვარდა. — თორემ ქალსა და ღმერთს როგორ შეადარებდით! საკმარისია ერთი დავუწრუპუნო მაგ თქვენს სამსონს, რომ იმწუთას ღმერთიც დაავიწყდება და მისი ანგელოზებიც. თუ არ გჯერათ, დავნაძლევდეთ.

ქალბატონმა სალომემ წამსვე ისარგებლა იმით, რომ საუბარმა სხვა თემაზე გადაინაცვლა, და ჩვეული დაჯერებული ღიმილი დაიბრუნა.

— სანამ თქვენ იმ საბრალო სამსონის ბედს გადაწყვეტდეთ, მე და აბელი ცოტა ხნით დაგტოვებთ. ასე ვთქვათ, პატარა თათბირს გავმართავთ.

თათბირის ხსენებაზე აბელს ბატონი ვიქტორი გაახსენდა. მაგრამ, როგორც კი ქალბატონმა სალომემ ხელი მკლავში გამოსდო, ეს ჩვენება წამსვე გაქრა.

ქალბატონმა სალომემ აბელი გვერდით ოთახში შეიყვანა და კარი დახურა. ეს იყო შედარებით პატარა, მოგრძო ფორმის ოთახი ნაზი ცისფერი კედლებითა და ასევე ნაზი ცისფერი, ოღონდ უფრო ბაცი, ჭერით. იატაკი დაფარული იყო ვეებერთელა ჭრელი, სქელი ხალიჩით. ოთახში ორი დიდი,

ღრმა, ფაფუკი სავარძელი იდგა, სავარძლისავე სტილის ტახტი, დაბალი მაგიდა, ცისფერაბაჟურიანი ტორშერი, კიდევ ერთი, შედარებით უბრალო მაგიდა წნული სკამით და ერთიც წიგნების კარადა. ოთახის ერთი კედელი თითქმის მთლიანად ეჭირა მაღალსა და ფართო ფანჯარას, რომელიც ეზოში გადიოდა. ეზო გაჩახჩახებული იყო უხილავი ნათურით და ამ ხელოვნურ შუქზე მისი სიმწვანე იდუმალი და ზღაპრული ჩანდა. ფანჯრის პირდაპირ, ცოტა მოშორებით, მაღალი, აშოლტილი მსხლის ხე იდგა, რომელიც აბელს, სანამ კარგად არ დააკვირდა, ალვის ხე ეგონა.

— დაბრძანდით, — უთხრა ქალბატონმა სალომემ და სავარძელზე მიუთითა.

აბელმა შეიცადა, სანამ ქალბატონი სალომე დაჯდებოდა, და მერე თვითონაც დაჯდა. ქალბატონი სალომე მოხერხებულად მოეწყო სავარძელში, ხელები მაღალ მკერდზე ჯვარედინად დაიკრიბა და უხმოდ მიაჩერდა აბელს. მის მზერაში იყო დედოფლის უფლებამოსილება, ხელოვნურად გაღვივებული ინტერესი და საკუთარი ფიქრების გადაცემის ცოტა გულუბრყვილო და გვარიანად უიმედო მცდელობა. აბელმა ერთი კი შეხედა და თვალი აარიდა, რადგან დარწმუნებული არ იყო, რომ, მას შემდეგ, რაც დიდ დარბაზში მოხდა, ქალბატონი სალომეს ეს დაჟინებული და ხაზგასმული მზერა მის სახეზე ზედმეტად გულწრფელ პასუხად არ აირეკლებოდა.

ქალბატონი სალომე, ეტყობა, ამ მუნჯურ სცენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და დიდხანს არ მოუშორებია თვალი. ბოლოს ტკბილად, დაყვავებით უთხრა:

— მე იმედი მაქვს, აბელ, მერის აპატიებთ ამ ჭირვეულ გამოხდომას. ქალი, მოგეხსენებათ, ქარაფშუტა არსებაა, — ამ სიტყვებზე ოდნავ კეკლუცად გაიღიმა. შესაძლებელია, ქათინაურსაც ელოდა, მაგრამ აბელს გულზე ლოდი აწვა და ყველა ქათინაური ამ ლოდქვეშ იყო მომწყვდეული. — გარდა ამისა, მერი ემოციური ნატურაა, მძაფრად განიცდის ყველაფერს და მძაფრადაც გამოხატავს. ეჭვი არ მეპარება, მერე თვითონვე ინანებს. ამიტომ უნდა ვაპატიოთ...

— საპატიებელი არაფერია, ქალბატონო სალომე, — მიუგო აბელმა. — რაც მერიმ თქვა, სრული სიმართლე იყო.

ქალბატონი სალომე წუთით დაიბნა და მის მზერაში გამომცდელი დაეჭვება შემოიპარა. მერე გაიღიმა და კვლავ საჭირო კალაპოტს დაუბრუნდა.

— თუნდაც ასე იყოს. აქ ხომ მთავარი ის არ არის, თუ რა თქვა. მთავარი ტონია, დამოკიდებულება. მაგრამ პატიება მით უფრო უპრიანია, რომ მისი ირონიის უკან სულ სხვა რამ იმალება. მე ვფიქრობ, უჩემოდაც უნდა ხვდებოდეთ, რომ მერის... თუმცა ჯერ შევიცადოთ. ჯერ სხვა საქმეზე ვილაპარაკოთ. თქვენ, რასაკვირველია, სხვების გაღიზიანებაც შეამჩნიეთ. ცხადია, მათ საამისოდ სულ სხვა საფუძველი აქვთ. მას შემდეგ, რაც მოხდა, უფრო სწორად, მას შემდეგ, — აქ მარტო თვალებით, შემრიგებლურად თუ შემწყნარებლური მობოდიშებით გაუღიმა. — რაც ჩაიდინეთ, ისინი მოელოდნენ, რომ მე თქვენ ამ ჩემს პატარა, უპრეტენზიო საღამოზე აღარ მოგიწვევდით, და, რომ დაგინახეს, თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. რაღა თქმა უნდა, მე ჩემი შეხედულება მაქვს, ჩემი გეგმები და ჩემი გემოვნება, — აქ თავი ოდნავ უკან გადაიგდო და ხმაშიც სიამაყე გამოერია. — და არავის გავლენის ქვეშ არ მოვექცევი, მაგრამ, რაკი საზოგადოებაში ვცხოვრობთ, გვინდა თუ არა, ამ საზოგადოებას გარკვეული ანგარიში უნდა გავუწიოთ. მე არ მინდა, რომ ეს ჩემი პატარა, უპრეტენზიო საღამოები ჩამეშალოს, რადგან, შესაძლებელია, ესეც ქალური ჭირვეულობაა, — ისევ ცოტა კეკლუცად გაიღიმა. — მაგრამ მგონია, ამით ცოტაოდენი სინათლე შემაქვს ჩვენს ქალაქში, ასე ვთქვათ,

პატარა ჭრაქს ვანთებ, და ამას ვერ შეველევი. მეორე მხრივ, არც თქვენი დაკარგვა მინდა, აბელ. არამც და არამც. თქვენ ჩემი პატარა წრის მშვენება ხართ. ჩემი სტუმრების უმრავლესობა დაშტამპული ხალხია. თქვენ კი სულ სხვა ხართ. მერწმუნეთ, მე დიდად ვაფასებ თქვენს ნიჭს, თქვენს განათლებას, თქვენს მაღალ სულს (სხვათა შორის, ვიქტორიც ამ აზრისაა). ვერც თქვენ შეგელევით. რაღაც გზა უნდა გამოვნახოთ, აბელ. მე, თქვენ ეს კარგად იცით, მეშჩანი არა ვარ და ცხოვრებას ისეთი წვრილმანი თვალით არ ვუყურებ, როგორც ჩემი სტუმრების უმრავლესობა. მე კარგად მესმის ხელოვანის ბუნება და თქვენი გატაცებაც კარგად მესმის. ხელოვანს დროდადრო განტვირთვა სჭირდება, ბოჰემაც სჭირდება. და, საერთოდ, ხელოვანი იმ საზომით ვერ გაიზომება, რომლითაც სხვებს ვზომავთ. ოღონდ ეს კია, რომ, — აქ თითქოს შეყოყმანდა, თითქოს დაფიქრდა, თითქოს საჭირო სიტყვას დაუწყო ძებნა. — რაღაც ზომა მაინც უნდა დავიცვათ. ზოგი ამბობს, რომ ის, რაც თქვენ ჩაიდინეთ, პოპულარობის გულისთვის ჩაიდინეთ. მე, ცხადია, ეს არ მჯერა. თქვენ ეს არ გჭირდებოდათ. თქვენს პროფესიულ დონეს რომ თავი დავანებოთ, პოპულარობისთვის განა ის არ კმაროდა, უკლებას ნასახლარზე რომ დასახლდით, ან ის, რომ გედეონ რევიას, — აქ ქალბატონ სალომეს სულ ოდნავ გადაჰკრა სიწითლემ. — განუყრელი მეგობარი შეიქენით? არა, ცხადია, ეს პოპულარობის გულისთვის არ გაგიკეთებიათ. ეს გატაცებაა, ხელოვანის ბუნებრივი და სავსებით გულწრფელი გატაცება, რომელიც მალე თავისითაც გაივლის. რა თქმა უნდა, გაივლის. მაგრამ იქნებ ანგარიში გაგვეწია გართულებული ვითარებისათვის და ცოტა დაგვეჩქარებია... მე, ჩემის მხრივ, მუდამ თქვენკენ ვიქნები და, რაც შემეძლება, დახმარებას არ მოგაკლებთ, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევაა, როცა სხვისი შემწეობის იმედად ყოფნა ძნელია. საზოგადოება ისეთი რამაა, აბელ, ანგარიში თუ არ გაუწიე, დაუნდობლად მიგჩიხავს და გაგრიყავს. საზოგადოება მისივე წესებით უნდა მართო. მაშინ ყველაფერს გაპატიებს და თვითონვე დაგემორჩილება. თქვენი საქციელი კი ისეთია, რომ, თუ დროზე არ მივხედეთ საქმეს, თქვენს კარიერას მძიმე დაღს დაასვამს. თქვენ რომ ვინმე რიგითი, საშუალო ნიჭის მსახიობი იყოთ, ამას არც ვინაღვლებდი, მაგრამ ასეთი გაქანების შემოქმედი მომავალზე უნდა ზრუნავდეს... თუმცა მთავარი იქნებ არც ესაა. — ქალბატონი სალომე წამოდგა. იმწამსვე წამოდგა აბელიც. — მთავარი, წეღან რომ დავიწყე და აღარ დავამთავრე, ისაა. — ქალბატონი სალომე ახლოს მივიდა, აბელს მეგობრულად, გამამხნევებლად მოჰკიდა ხელი მაჯაზე და ხმადაბლა, თან რატომღაც ცოტა დიდაქტიკური კილოთი უთხრა: — მერის თქვენ უყვარხართ, აბელ, და, ვინც ბრმა არ არის, ამას ყველა ხედავს, — აქ თვალი თვალში გაუყარა და ცოტა ხანს რეაქციას დაელოდა. — არც თქვენ უყურებთ მერის გულგრილად, მე ვერაფერს გამომაპარებთ. ერთი სიტყვით, ბედი კარზეა მომდგარი. გაუღეთ, აბელ, ნუ ალოდინებთ. — ამ სიტყვებზე გაიღიმა და შეეცადა საუბარი უფრო მსუბუქ კალაპოტში გადაეგდო. — სხვათა შორის, საქორწინო საჩუქარი უკვე მზადა მაქვს. — როგორც ჩანს, აბელის სახეზე ვერავითარი გარკვეული პასუხი ვერ წაიკითხა და ისევ სერიოზულ კილოზე გადავიდა: — მეტი აქტიურობა, აბელ, მეტი აქტიურობა! ქალი თქვენს ერთ სიტყვას ელოდება, რათა ორივენი ხელიხელჩაკიდებულნი, გვრიტებივით შეხვიდეთ სამოთხეში, თქვენ კი რას სჩადიხართ? მთელი ქალაქის დასანახავად პირდაპირ ქუჩიდან მოგყავთ ვიღაც მეძავი, რო-

მელიც ხიდის თავში დგას და მუშტარს ელოდება...

აქ ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ქალბატონ სალომეს ისეთი დაჯერებული და ამაყად მოწყალე სახე ჰქონდა, რომ აბელს წამით მოეჩვენა, თითქოს მისი პატარა, მრგვალი, ლამაზი თავი გადაიხსნა და გამოჩნდა პაწაწკინტელა ტვინი, რომელიც უკიდურესი კლაკვნით იკლაკნებოდა და თავგანწირვით ცდილობდა იმაზე მეტი რამ გაეკეთებინა, ვიდრე შეეძლო. ამ დროს აბელი სხვა რამეზე არ ფიქრობდა, საკუთარ საქციელს კონტროლს ვერ უწევდა და ამიტომ არ გაუგია, როგორ მოხდა, რომ მარჯვენა ხელის ცერი ქალბატონი სალომეს ნატიფ, სანთელივით ჩამოქნილ, ქრესტომათიულ ცხვირს მიაჭირა და სიგნალი მისცა:

— პი-პიი!

ძნელი სათქმელია, რა უფრო მძაფრად და მკაფიოდ აღიბეჭდა ქალბატონი სალომეს ლამაზ სახეზე: განცვიფრება თუ შეურაცხყოფა. ის კი ფაქტია, რომ ქალბატონმა სალომემ ერთი მსუბუქად, ხმადაბლა შეჰკივლა და იმავ წამს გაშლილი მარჯვენა ხელი მთელი ძალით ლეწა აბელს ყბაში.

ტკივილისაგან აბელი გამოფხიზლდა და შეძრწუნებული ახლაღა მიხვდა, თუ რა ჩაიდინა. ქალბატონი სალომე კი უკვე წელში ამაყად გამართული იდგა, როგორც პირგამეხებული დედოფალი, და ხელი ზვიადი ჟესტით კარისკენ გაეშვირა (საჩვენებელ თითზე, თითქოს ისიც აღშფოთებულიაო, ელავდა და ცეცხლს აფრქვევდა ბრილიანტის ბეჭედი).

— გაეთრიე აქედან, შე ვიგინდარა! — მოკუმული ტუჩებით, სისინით თქვა ქალბატონმა სალომემ და თავის ზვიად, მეფურ პოზას, საერთოდ, მთელ სალონურ ატმოსფეროს ამ გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ფრაზით წყალი შეუყენა.

აბელი თავდახრილი, სახეალეწილი გაემართა კარისაკენ. ის იყო, სახელურს ხელიც მოჰკიდა, რომ უკნიდან ისევ მოისმა ქალბატონი სალომეს ხმა:

— მოიცათ.

აბელი შეჩერდა და ნელა მოაბრუნა თავი. ქალბატონი სალომე ახლა მეფურ პოზაში აღარ იდგა, ხელი ჩამოეშვა და ისეთი სახე ჰქონდა, ეტყობოდა, რაღაც სხვა საფიქრალი გასჩენოდა. მერე აბელისკენ წამოვიდა.

— კახპებში შეძენილი ჩვევები, — უკვე წყნარად, მშვიდად ლაპარაკობდა. — საზოგადოებაში უნდა დავივიწყოთ, აბელ. მე ყოველმხრივ ვეცდები, რომ ამ თქვენი საქციელის გამო უახლოეს მომავალში კისერი წაიტეხოთ. ახლა კი ყური დამიგდეთ. ასე წასვლა არ შეიძლება. ცოტა ხანს დარჩებით და ისე მოიქცევით, ვითომ არაფერი მომხდარა. მერე კი რამე საპატიო მიზეზს მოიგონებთ და წახვალთ. აბა, გავედით სტუმრებთან! — ამ სიტყვებზე სახიდან ერთბაშად ჩამოეწმინდა და ჩამოეწურა ყველაფერი ზედმეტი და იქ მხოლოდ ძველებური, სალონური გამომეტყველება დარჩა: ზომიერი სიხალისე, ზომიერი სილაღე და მშვიდი, კეთილმოსურნე ღიმილი. სცენაზე ასეთ გარდასახვას, ვინ იცის, რამდენი ვარჯიში და წვალება სჭირდება.

— კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას, — ტკბილი ღიმილით მოათვალიერა ქალბატონმა სალომემ სტუმრები, როცა აბელთან ერთად ისევ დიდ დარბაზში გამოვიდა. — იმედი მაქვს, უჩვენოდ არ მოიწყინეთ.

— მოვიწყინეთ კი არა, ბევრიც ვიცინეთ, — გამოეპასუხა პროკურატურის კაცი, რომელიც ასეთი ხალისიანი და სიტყვაუხვი არც ერთ საღამოს არ ყოფილა. — და თქვენი დავალებაც შევასრულეთ.

— რა დავალება? — გაკვირვებით გაიღიმა ქალბატონმა სალომემ.

ამჯერად პროკურატურის კაცს გარაყანიძემ დაასწრო:

— სამსონის ბედი გადავწყვიტეთ, როგორც გვიბრძანეთ. და სანაძლეოც დავდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერი... — კითხვის თვალით შეხედა ქალბატონმა სალომემ მერის.

— პაემანი დავუნიშნე, — გაიცინა მერიმ. იგი ისევ ისე აღგზნებული იყო. — კვირას, საღამოს რვა საათზე, პარკში, საზაფხულო კინოს გვერდით. სამიჯნურო წერილი უკვე შევადგინე. სტილის საკითხებში აგერ, ბატონი რედაქტორი მომეხმარა. წლობით ვმალავდი სიყვარულს და გულში ვმარხავდი, მაგრამ ვულკანმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც ამოხეთქა და წალეკვით ემუქრება ქვეყნიერებას. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. სანიმუშო წერილი გამოგვივიდა. გაგზავნაღაა საჭირო. აბელს გავატანდი, — მერი შეყოყმანდა, გაიღიმა და აბელი თავით ფეხამდე შეათვალიერა. — ეგ და სამსონი ძველი მეგობრები არიან... — აქ ისევ შეყოყმანდა. აბელს კი სახე წამოუხურდა და გედეონის ნათქვამი გაახსენდა, ამ ქალაქში ერთმანეთის შესახებ ყველამ ყველაფერი ვიცითო. მერიმ განაგრძო: — მაგრამ ვერ ვენდობი. მეშინია, გზაში არ დაკარგოს. ეგ არაფერია. მივაწვდი როგორმე. სანაძლეო ასეთია: თუ სამსონი პაემანზე წვერგაპარსული გამოცხადდა, მოგებული ვარ, თუ წვერგაუპარსავი გამოცხადდა, ან, მით უმეტეს, საერთოდ არ გამოცხადდა, წაგებული ვარ. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ სამსონმა ღმერთი ამჯობინა ჩემს თავს...

— ძალიან ღრმად ხომ არ შევტოპავთ, მერი, ამ ცელქობით? — წყნარად ჰკითხა ქალბატონმა სალომემ.

— ასე რომ, — მერის ყურადღება არ მიუქცევია ქალბატონი სალომეს ეჭვისათვის. — კვირა საღამოს ყველას გეპატიჟებით პარკში, საზაფხულო კინოს გვერდით, გაპარსული და გამოწკეპილი სამსონის სანახავად.

— თქვენ იცით... — თავი გადაიქნია ქალბატონმა სალომემ. — მაგრამ მე ეს ოინი არ მომწონს. — მერე აბელს მიუბრუნდა. ახლა კი, აბელ, დანაპირები შევუსრულოთ ქალბატონ ციცინათელას და ერთი ტკბილი სიმღერა ვუთხრათ.

აბელი ამას არ მოელოდა.

— სიამოვნებით, ქალბატონო სალომე, მაგრამ სამწუხაროდ, მეჩქარება.

— ისე სად გეჩქარებათ, რომ ხუთი წუთი ვერ გაიმეტოთ ქალბატონი ციცინათელასათვის. არა, აბელ, ასე ვერ გაგიშვებთ.

— უმორჩილესად გთხოვთ მაპატიოთ, მაგრამ უნდა წავიდე, — აქ ცოტა შეყოყმანდა და მერე ღიმილით დაუმატა: — შინ ანი მელოდება.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

ქალბატონი სალომეს მშვენიერი სახე წამით მარმარილოს ქანდაკებად იქცა. მაგრამ სალონის გამობრძმედილი დედოფალი მყისვე მოერია თავს, შეჩერებული სისხლი ისევ ამოძრავდა ძარღვებში, მარმარილო კვლავ გაცოცხლდა და ქალბატონი სალომე ღიმილით მიუბრუნდა საზოგადოებას:

— გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საქმე არტისტთან გვაქვს, და ეს მიზეზი საპატიოდ ჩავუთვალოთ. ნახვამდის, აბელ.

— მერე მე ვინ გამაცილებს? — მერიმ თვალი თვალში გაუყარა აბელს.

— წამოდი.

— მე რომ სახლში არავინ მელოდება?.. — გათამაშებული, კომიკური სევდით თქვა მერიმ. — სამსონი რომ მელოდებოდეს, კიდევ ჰო...

პროკურატურის კაცმა და ონოფრე პოეტმა ხმამაღლა გაიცინეს.

აბელი წავიდა.

— უკვე მოხვედი? — გაუკვირდა ანის, აბელი რომ დაინახა. — აბა, რომ თქვი, პირველ საათამდე ვერ მოვალო?

— ვთქვი და ვერ შევასრულე სიტყვა. რა ვქნა? გავბრუნდე უკან?

— გაბრაზებული ხარ? — მზრუნველი და ოდნავ შეშფოთებული კილოთი ჰკითხა ანიმ.

აბელი ამ მზრუნველობამ და შეშფოთებამ კიდევ უფრო გააღიზიანა.

— ვითომ რატომ უნდა ვიყო გაბრა-

ზებული?! — ძალთა უკანასკნელი დაძაბვით ცდილობდა ყელში მოწოლილი ბოღმა უკანვე ჩაებრუნებია და, თავი რომ არ გაეცა, მაგიდასთან მივიდა და წიგნებში დაიწყო ფათური. — ჰეგელი რა იქნა?

— ჰეგელი ვინ არის?

— გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხი. შავყდიანი წიგნი, გუშინ რომ ვკითხულობდი.

— მაგერ არ დევს, კუთხეში?..

მართლა იქვე იდო, ცხვირწინ, და აბელს ახლა იმაზე მოუვიდა გული, რომ თავისით ვერ შეამჩნია. მერე შეეცადა რბილად ეთქვა:

— წიგნებს ნუ გადამიადგილებ, ანი.

— მტვერი გადავწმინდე, — მობოდიშების კილოთი მიუგო ანიმ.

„ძალიან შეიფერა დიასახლისობა..." —გაიფიქრა აბელმა. იმავ წამს იგრძნო, როგორ შიებჯინა ტვინში შუბი, და რაღაცამ აიძულა ანისკენ მიეხედა. ანი ტუჩებმოკუმული მწუხარე სახით შემოსცქეროდა. მერე უცებ თქვა:

— თუ გინდა, წავალ.

— სად წახვალ?

ანიმ უხმოდ აიჩეჩა მხრები და თავი ჩაღუნა.

აბელმა ერთხანს უყურა. მერე უთხრა:

— მეც წამოვალ, ანი. მოდი, მართლა წავიდეთ აქედან. დავიხრჩვი ამ ქალაქში:

— შენ ვერ წამოხვალ.

— რატომ?

— იმიტომ.

„იმიტომ" ანის ჩვეულებრივი საბოლოო პასუხი იყო.

საუბარი ჩაქრა. აბელი თავს უხერხულად გრძნობდა იმის გამო, რომ გარედან შემოტანილი გაღიზიანება ანისაც მოახვია თავს, უფრო კი ის ერთი ფრაზა უღრღნიდა გულს, რომელიც თავის გუნებაში წამოაყრანტალა და რომელიც ახლა ჭინჭარივით სუსხავდა შიგნით, გულგვამში. აბელს უნდოდა ყველაფერი ეთქვა ანისთვის, რაც დღეს გადახდა, როგორმე აეხსნა, რომ მის უგუნებობას, მის გაღიზიანებას სხვა მიზეზები ჰქონდა და ანი არაფერ შუაში იყო, რომ ეს პატარა ადამიანების ჩვევაა, ბოღმას რომ ვერ მოერევიან და განურჩევლად ანთხევენ მტყუანსა და მართალს. მაგრამ რაღაც აკავებდა და ვერ ამბობდა, რომელიღაც გრძნობით გრძნობდა, რომ ნათქვამი ისეთი არ გამოვიდოდა, როგორიც იყო ნაფიქრალი, და შეიძლება უფრო მეტად არეულიყო და აბურდულიყო ყველაფერი.

აბელი მთელი საღამო წრიალებდა და ანი მთელი საღამო თვალს ადევნებდა მის წრიალს.

— წადი, ანი, დაიძინე, — უთხრა ბოლოს აბელმა.

— კარგი, — მიუგო ანიმ და მაშინვე გაემართა მეორე ოთახისაკენ. მაგრამ გზაში შეჩერდა, მოტრიალდა და აბელს მშვიდად შეხედა სახეში. სადღაც, ღრმესი ფენებიდან დაძრული თბილი ღიმილი სხივებად გადმოიფრქვა თვალებიდან, ნელ-ნელა მოედო მთელ სახეს და, პატარა ფოსოებსა და ტუჩის კუთხეებს რომ მიწვდა, აბელს მოეჩვენა, თითქოს ანი ჰგავდა არა ბავშვის ხელით დახატულ სასაცილო და საოცარ მზეს, არამედ იმ განცდას, რომელიც ეუფლება ბავშვს, როცა სასაცილო და საოცარ მზეს ხატავს და მთელი არსებით ამ საქმეშია ჩანთქმული.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდი

გწერ,
მაგრამ ალბათ არ გამოვგზავნი,
ბარათზე შენს გვარს არ დავაწერ...
ამ სიტყვებისგან თაიგული არ
შეიკვრება,
ვერც გვირგვინს დაიწნავ,
ვერც ბროლის ლარნაკს დაამშვენებ.

თუ მორწყავ —
მხოლოდ ცრემლებით...

ამ ბარათს არ გამოვგზავნი.

და თუ მაინც ვწერ,
მხოლოდ იმიტომ,
გულიდან გამოწურული სიტყვები
რომ ქაღალდს მივაბარო.

შავად მოხნული თეთრი ფურცლები
ნეგატივია ჩემი გულის.
თუკი როდესმე მისი ნახვა მოიწადინო,
დააკვირდი ამ ნეგატივს,
დინჯად, მშვიდად, აუჩქარებლად,
როგორც ყავის ჭიქას ჩამზერენ.
აქ შენ იხილავ...
თუმც ვერაფერს აქ ვერ იხილავ!
არ გეხუმრები,
არ შეიძლება სხვისი ბედისა
და ტკივილის გაზიარება.
ჩვენ მხოლოდ ისე, წესისათვის...
მიახლოებით...

ქარი რომ წელში გადასტეხს მუხას,
იმ მუხის გარდა სხვა ვინ მიხვდება
გადამსხვრეული ხერხემლის ტკივილს?
მე შენ გიტოვებ
მხოლოდ შედეგს მკაცრსა და ხილულს,
როგორც კლდეს ლაღუმებით
ჩამონგრეულს...
შეგიძლია წამით შეჩერდე,
დააკვირდე ჩამოშლილი ლოდების
გროვას,
წარმოიდგინო ძალა ამ კლდის
დამანგრეველი,
ვეება ლოდებს შუა რომ ხლეჩდა
და უფსკრულებზე მიაფრენდა...
შეგიძლია წარმოიდგინო,
გონებას ძალა დაატანო.
შეიძლება წამით გულზე
თანაგრძნობის თბილმა ნაკადმაც
გადაგიაროს.
სხვა არაფერი.
სხვა საჭირო ალბათ არცაა.

ბრალს კი არა გდებ, კი არ გავალებ...
როგორ აზიდავ ამ ლოდებს
და კლდეს როგორღა შეაკოწიწებ?
რაც დაინგრა — აღარ შენდება.
რაც გადატყდა — აღარ მთელდება.

და ერთხელ ხდება ყველაფერი ამ
ქვეყანაზე.
ჰო, ერთხელ ხდება
ყველაფერი ამ ქვეყანაზე —
ცოდვის ფესვზე კი
სინანულის იზრდება ყლორტი...

მონანიების ნაყოფია
ათივე მცნება.

სიცრუისა და ფარისევლობის
ქსელში გახლართულ გულის ფართქალი
ძლივსღა მოისმის...
და ჰყვავის, ჰყვავის
დაბინდული ოაზისები.

საკუთარი გამოცდილების ღორღიან
გზებზე
მოვბორძიკობთ ქვეყნად ყველანი...
და მაინც,
უცებ რომ გვკითხოს ვინმემ —
— რა ვისწავლეთ ამდენი ხანი,
რა გაკვეთილი დავიზეპირეთ? —
ვინ გასცემს პასუხს?

შავ ლიდერინის მძიმე ტომებში
სძინავთ ბრძენთა ნავლწაყრილ აზრებს,
ვით მიწაში დამარხულ ოქროს.
წყალი ნაყეს და უდაბნოში თესეს
მარცვალი.

არ მოგვიმკია მათი ყანა,
არ შეგვისვამს მათი ზედაშე,
შუბლს არ შერჩა მათი მირონი.

მოვიდა ღამე.
აიკრიფა მზემ დალალები...
მზეჩასულს გზებზე მობორძიკენი
ველარ ვხედავთ რა დარჩა უკან,
ანდა ეს გზები რა უფსკრულზე
გადაეკიდა...

დახუჭე თვალი.
სულ ერთია, ღამეა მაინც.
გზა მაინც არ ჩანს,
ვარსკვლავიც კი არა ჩანს არსად.
დახუჭე თვალი.
თვითონ მოვა მსაჯული ხვალის,
ეს მიწა თვითონ უპატრონებს
ცოცხალსაც, მკვდარსაც.
ვით გადაჩეხილ ფურის ცური
სულელი ხბოსთვის
ჯერ კვლავ დედაა —
ვლოღნით მიწის გამომშრალ ჯიქანს,
რომ გვეჩვენება,
მალე შარბათს დავეწაფებით —
შხამით ივსება ბროლის ჭიქა
მოულოდნელად...

მხოლოდ საკუთარ
ცდომილების მსუყე ნიადაგს
ჩაზრდია ჩვენი ცხოვრების ფესვი.
ნიადაგს სავსეს ღალატით, გესლით
რა ყლორტი უნდა ამოეყარა?

მონანიების ნაყოფია ათივე მცნება.
ზეიმი სულის
სამუდამო ზმანებად დარჩა,
მზის ჩაწვერვისას
სევდიანად გალობს ფრინველი...
შენ ნუ დაძრახავ,
ჩემს უნებურ კვნესას და ჩივილს,
ყლორტს ვერ აიყრის,
ჩანს, სუყველა ფესვი და ღივი,

ყველა გულამდის
ჩანს, ვერ აღწევს უხრწნელი სხეული
არ ეწამლება. ჩანს,
სუყველას ვარამს და ტკივილს.
ყველა ვარსკვლავი არ კაშკაშებს
ცაზე ნებივრად...
თუ რამეს ვჩივი,
შენს ნაცვლადაც ვდარდობ და ვჩივი
როს იმედების
დამშრალ წყაროს დავჩერებივარ...

დიდხანს ვიარე
მე ამ წყაროსთვალის საძებრად,
გავცვითე რკინის ქალამანი,
დავლალე მუხლი.
ახლა თავს ვუხრი მზეს ჩამავალს...
სამშობლოს მთებზე
ღმერთო, რა ტკბილი,
შემპარავი ეშვება მწუხრი!
ნეტავ თუ ვიყავ
თქვენი შვილი, ამაყო მთებო,
ცხოვრება ჩემი,
ბედი ჩემი თუ გტკენდათ გულსა?
კალთები თქვენი
ცხელი სისხლით არ შემიღებავს,
ჩანს, მხდალი ვიყავ,
მაგრამ, მთებო, ნუ იტყვით ნურსად...

თქვენ დაიმარხეთ
თქვენს დიდ გულში ეს მოკანკალე
და კურდღელივით მფეთქავი დღენი,
თოვლი და ღორღი
წააფარეთ დამფრთხალ ნაკვალევს,
ვერ გადაევლო ბედის საზღვარს
ბეხრეკი ცხენი...

მოვიდა ღამე.
აიკრიფა მზემ დალალები.
„მზეო, დადექ და დაგვიანდი..."
ხელს აღარ ვუწვდი გულგრილ
მნათობს —
არა ღირს ხვეწნად...
თუმცა ვიცოდი,
ყველა ციხე შიგნიდან ტყდება,
შიშია ყველა დამარცხების ფუძე და
დედა,
რომ მხდალი კაცი
სიკვდილამდე ათასჯერ კვდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიცოდი,
მაგრამ ბედისწერას გვერდს ვინ
აუვლის?

ყველაზე ნათლად
წარსულსა და მომავალს ვხედავ.
ნუთუ ხიდი ვარ
გადებული დროის უფსკრულზე?
არ შეიძლება,
რომ წარსული იწვევდეს სევდას,
არ შეიძლება გვტკიოდეს —
რაც ჩვენი არ არის...
ხოლო მომავალს
მუდამ დიდი იმედი ჰკვებავს...

ო, ჩვენი დრტვინვა
ჩანს, დღევანდელ დღეთა გამოა,
სიხარულის და შვების ტაძარს
ვერ შევეფარეთ
და წარმავალი დროის ტალღამ,
მღვრიემ, მჩქეფარემ
დახრამა კლდეზე დამყნობილი
ჩვენი ბურჯები...
მაინც ჯიუტად გულს არ ვიტეხთ
და ვეურჩებით
ტალღებს, რომელთაც
ბნელ მორევში დაგვატრიალეს.

მაგრამ ვინ მოსდევს თმაგაშლილი
მღვრიე მდინარეს,
შეძრწუნებული, ვინ ჩაჰყურებს
ცოფიან ტალღებს?
ვის დააკლდება
ულიმღამო სიცოცხლე ჩვენი?
ჩვენი დღეები უფერული,
ვისთვის ბრწყინავენ?

ამოუხსნელი, იდუმალი, გაუგებარი
რამდენი კითხვა დასამარდა,
ღმერთო, აქამდე!
დადექი მზეო! —
ო, რამდენი ვინმე ევედრა,
მაგრამ მზეები ბნელში დაქანდნენ...

იქ იქნებ ბნელეთს
სხვა მზეების შუქი ანათებს?

იქ იქნებ შვების საუფლოში
კარებს გვიღებენ?
ვინც იცის, იქნებ...
გაუგებრის რა გაიგება,
იქიდან აქეთ
არ აგზავნის არვინ ბარათებს.

და სანამ აქ ვარ...
თუმც ამ ბარათს არ გამოვგზავნი,
მაინც ვწერ...
უფრო საკუთარ თავს ვებაასები,
ვგრძნობ, სურნელება
ცრემლით მორწყულ ამ ყვავილების,
რომ შენამდის ვეღარ მოაღწევს...

მაინც ვწერ,
რადგან ქვეყანაზე
ყველაფერი ერთხელა ხდება
და თუმცა გვერდით
ვერავის ვერ ამოვიყენებთ,
რაკი თავისი ტვირთის უჭირს
ტარება ყველას —
მინდა იცოდე,
როს ჩემსავით აიღებ კალამს —
რომ მეც დამშალა
ულმობელმა იგივე ძალამ,
რომლის ტალღებიც
შენი ციხის ბურჯებსა შლიან...
მინდა იცოდე,
რომ იმ გულგრილ ტალღების გრიალს
ვიღაც ჩახედავს თმაგაშლილი,
ღაწვდახოკილი...
წარსულს ყოველი
დავიწყების მორევში მიაქვს
და მის ბნელ ტალღებს
მომავალი მწარედ მოჰკივის...

P. S.
ამ ბარათს შენ არ გამოგიგზავნი,
მაგრამ თუ მაინც სადმე შემთხვევით
ნახო ნაპირზე გამორიყული
ვით დაღუპულ გემის მგზავრისგან
ოკეანეში ნასროლი ბოთლი —
ნუ წაიკითხავ —
აიღე და დაუბრუნე კვლავ ტალღებს
უკან!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის ხეობაში

ჟინვალელ არქეოლოგებს

...მეათე ღამეს გაიღვიძა სულმა...
სარკოფაგს გადაუარა,
გადავიდა ცისფერ ჭალებში,
საფლავებიდან გამოსული მიკრობებივით
მოედო ტყეებს სევდა ჩემი გაუცხოვების...
მერე ამოხდა მდინარიდან ჭრელი კალმახი —
ამ ხეობაში დამალული თევზი ცამცუმის...
და სულკალმახის სანადირო ბადე ნაქსოვი
სულ თვალთვალობით გამოჰქონდა წყაროს ჟინვალთან...

მერე ცხელოდა...
წყაროები დაშრა უეცრად
და მგზავრები ველარ დავრწყულდით.
აი წყალი!
წყალი!!.
წყალი!!!
შესძახეს ჩემმა მეგობრებმა...

წყალი წმინდა ნინოს ნატერფალში იყო ჩამდგარი
და ჩვენ გავგრილდით...

პაწაწინა, ცისფერ გუბეში თევზები ისხდნენ!..

ლამაზი ფეხის ნატერფალში ნაკურთხი იყო — იგი წყალი,
წმინდად ჰვიოდა,
დავეწაფენით!

ბოდორნაში ხომ ნინოს კლდე არის,
მერე წყაროა,
ხოლო მთაზე ეკლესია დგას —
წმინდა ნინოს ლამაზი სახლი!..
ახლა ამ სახლში ჩამოფლეთილ ფრესკებთან ერთად
თვალებბრიალა მგლები ცხოვრობენ...
ხოლო ჭალებზე ჩვენს ლიტანიებს
უთვალთვალებდა უცნობი კერპი!
. . .
„ნუ გეშინიათ, ჩემო შვილებო,
წყაროებს ღმერთი არ დააშრობს!
აქ ხელმწიფენი... სვამდნენ ხოლმე...
თამარ მეფე ჰკოცნიდა ამ წყალს...
თქვენ საიდან ხართ?
რისგანა ხართ ეგრე გამკრთალნი!?.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს როცა ყოველივე შეივსება ბაქტერიებით
ა ეს წყარო მაინც იქნება...“ —

გაგვილიმა ბოდაველმა კამეჩის მწყემსმა.
. . . . .

ის ნაღვლიანად ჩაჰყურებდა გათხრილ სარკოფაგს
საიდანაც პიტიახშმა გამოაჭენა თავისი ცხენი!..
იქვე ახალი ჯვაროსნების მიერ გათხრილი
ქრისტიანი და ქრისტემდელი მკვდრები გამოჩნდნენ; —
ერთნი წელში მოხრილნი წვანან,
მეორენი — სწორად, გულაღმა!..
თუმც ორივენი მკვდრებია მაგრამ არ არს სულ ერთი
ვინ როგორა წევს!..
აქვს მნიშვნელობა მათს თავის ქალებს...
ისინი მიაქვთ და ისევ მოაქვთ...
მათ სამკაულებს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან,
ხსნიან...
და ყრიან შიშველ ძვლებს მზეზე — საწყალი ხალხი!..
...მარცხნივ ძალისის მოზაიკა ანათებს ბნელში —
ხოლო ყივჩაღის 400 საფლავს
გარჯობილი აქვს მონღოლის შუბი —
მათი სისხლიც სიცხეშია ამოგანგლული...
. . .

ჟინვანის კართან ნინოს წყარო დის
და სულ იდენს რა გინდ ჟამიც არ უნდა ვლიდეს...
გინდა შავი...
გინდა წითელი...
ეს ხეობა არაგვისაა —
რომელსაც მოსდევს ჩაშლილი თვალი,
კარატის წვერის ბებერი გველი
და დევის სისხლი...

ხოლო ყოველი შეპყრობილია კოპალას მითით!

ეს ხეობა, მტრებისათვის, ჩაკეტილია კოპალას ქვებით,
და ღიაა მოკეთისათვის...
გაპობილია შუაზე მთები
და ისწრაფვიან შეერთებისკენ...

ღმერთო, მაღალო!
სულ ადინე ამ ხეობაში მწვანე მდინარე...
სულ აჩქეფე ისტორიის მწარე სისხლი მყუდრო ჭალებზე...
გამოიყვანე სამას მეერთე მეომარი ამ ხეობიდან...
გინა პოეტი!..

ჩვენს იქ ყოფნაში დაიცხრილა ბუნიობის ცა
ცრუ სარკმლები გაჩნდნენ სივრცეში...
ჩვენ გვეშინოდა:

რომ მტრედები არ გაგვიფრინდნენ იმ სარკმლებიდან
და ყვავები არ შემოფრინდნენ: —
ნაქალაქრების სიჩუმეში... თამარ მეფის ნადაბნარებში...

იმ დღეებში საშინელი სიცხის ქსელი ჩამოიქსელა...
მაგრამ ჩვენი ზურმუხტოვანი —
ქედები იდგნენ და უბერავდნენ...
სამი მდინარე აგრილებდა სისხლიან მიწას...
სადაც ვნება არს დამარხული... ჩვენი სიცოცხლის...

აქ თუ ამოხვალთ სამკურნალო ბალახებისთვის
და ნინოს ქვაზე მიპოვით გაკრულს; —
აღარ იკითხავთ:
„რარიგადა ხარ?
როგორ სწერ ლექსებს ამ უჟამო-ჟამს...
მაშინ როცა მზე სხვარიგად დგას,
მთვარეც კი დამპალ ბიისფრად ღვივის...
სიტყვაც იმგვარად მჭლეობს და მწირობს...
როგორც ყანა... სხვების მოვლილი..."

...რაკი სულნი ამ ხეობისა
ჩვენთვის ტირიან,
გინდა ქვანი წყლით გამოსხმულნი
გინდა თევზნი — ფიქრობენ ჩვენთვის;
ხოლო მთებზე ჩაივლის კაცი თეთრის ცხენით...
ხუთშაბათ დილას... ნიაღვრის მთვარე დადგება ცაზე...
გამოვა გველით ხოგაის მინდი,
„წვიმას დასწვიმენ" ლეგა ღრუბლები, —
იქნებ გაგვეხსნას სული ტკივილით,
ვიყოთ,
ვიყოთ... ამ ხეობაში!..

ᲙᲕᲘᲠᲘᲐᲡ ᲮᲘᲚᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ

სამოსელი რომ არ მქონოდა, დარდს ჩავიცვამდი...
თუმცა რად მინდა სამოსელი:
ტან-ფეხშიშველა ვივლი და ვივლი...

ყველგან დავიჩოქებ სადაც სალოცავი და ნიშია,
სადაც ქვა ქვაზე დევს —
ჩვენი მამული ქვიანია!

რაკი ირგვლივ თეთრად შეღებილი ეკლესიები
და მტვრიანი გზებია
ყველგან ჩვენი მხრების ანაბეჭდი
და ნაფეხურები რჩება —
ზოგს წაშლილი ფრესკები ჰგონია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ვისი სანთლებია ბინდ-ბუნდიან გორაკებზე რომ თრთიან?
ვისი ტყეებია წითელ-ყვითელი, თოვლიან მთებზე?
რომელია ჩვენი ქოხი —
სადაც ჩვენი ცრემლის წყალი დუღს და
ჩვენი სინანულის ფაფა იხარშება?..

რომელია, რომელი —
ჩვენი დაბინდული ქლიავის ხეები,
სხვები რომ სჭამენ და ალაბლობას სჩადიან?

რა იქნა ის მღვდელი ალავერდელი,
რომ შეიპყრეს და პატივ-აჰყარეს. —
ის ბერი ახლაც კახეთიდან ჩაბალხეთისკენ ჩატირის
და თავზე ბედისწერის ფრინველები დასჩხავიან...
ეს ჩემი მამულია და იქ —
შეშფოთებულ ხალხს რატომღაც მთელი ღამე არ სძინავს,
განმკრთალია მათ სული! —
ამის გამო მკვდრებიც კი
იძულებულ არიან ფეხზე დგომად!..

ძნელია მტერმორეულის ცხოვრება
მით უფრო — თუ მტერი იგი ურწმუნოა და მულიდი.

ჩვენ მაინც ვივლით, ვივლით...
გავეხახუნებით ლეგა ნისლებს —
დავანთებთ ეკლესიებივით თბილსა და მაღალ ცეცხლს
და მივეყრდნობით მხრებით!..
სულები მაღლა ავლენ და შეეყრებიან ერთმანეთს!

მაგრამ, რა,
რა დარჩება მიწაზე? —
მიწაზე გმირები დარჩებიან და დაიცავენ მას
დაიცავენ ყანასა და სახლებს,
ჯიშს,
სისხლს,
და თავისუფლების სისხლისას... (?)
დარჩებიან ისინი, ვისაც მწირის სახე აქვს
და წელზე ხმალი აბია წნელით!

იქნება ჩვენ დავრჩენილიყავით აქ?
მე თანახმა ვარ,
კიდევ ვინაა თანახმა?!
კიდევ...

რევაზ მიშველაძე

ნოველები

ნაგაზი

ხუთნი იყვნენ. მომღერალ-კუპლეტისტი მაია კილასურია, დეკლამატორი გერვასი ზუმბაძე, კონფერანსიე (იგივე მხატვრული ხელმძღვანელი) გივი ჩაფიჩაძე, ილუზიონისტ-მეჩონგურე გოგია შერვაშიძე და ადმინისტრატორი (იგი სცენის მემანქანეც გახლდათ და სკეტჩებშიც აქტიურად მონაწილეობდა) ბენიამინ მელაძე. გერვასის გარდა ყველანი ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ. გამოიყურებოდნენ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მათი ასაკის განსჯას თავზე ვერ ვიდებ. მსახიობები, მითუმეტეს სახელმწიფო ფილარმონიის რაიონული ფილიალის აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები, ყოველთვის მხნედ და მხიარულად (ბავშვურად მეთქი კინაღამ წამომცდა) აჩვენებენ თავს დღიური შრომით დაღლილ მოქალაქეებს. გერვასი ზუმბაძე კი სამოცსგადაშორებული მსახიობი გახლავთ. სერგო ზაქარიაძის სახელობის დრამატული თეატრიდან ერთი წელი არც იქნება, რაც პენსიაზე გავიდა. ღმერთი, რჯული არავინ უბიძგა პენსიისაკენ. თვითონ ისურვა. „რას ვუცადო აქანა. ორმოცი წელი დავაღამე ამ თეატრში და წესიერი როლი არ მღირსებია. აწი მომცემენ მაგენი როლები?“, წამოცდა ერთხელ რეკვიზიტორ საშურა გვანცელაძესთან. წამოცდა და კარგა ხანს ელოდა პასუხს. საშურა რომ შეკამათებოდა, თუნდაც ერთი სიტყვა ეთქვა — რა გეჩქარება, რა დროს შენი პენსიააო შეიძლება უკან დაეხია, მაგრამ რეკვიზიტორის დუმილმა წელში გატეხა. რეპეტიციის დამთავრებისთანავე განცხადებით წარუდგა თეატრის დირექტორ-განმკარგულებელს პავლე კოხრეიძეს და პავლემაც (ყველაზე საოცარი ეს იყო) მისი სკოლის ამხანაგმა, ალმასკომის ნაინსტრუქტორალმა პავლე კოხრეიძემაც, თითქოს გულმოდგინედ ელოდაო, უსიტყვოდ წააწერა: „დაკმაყოფილდესო“. გერვასი ზუმბაძის წასვლა თეატრს იმდენად დააკლდა, რამდენადაც გივი ჩიფიჩაძის ისედაც სახელგატეხილ აგიტმხატვრულ ბრიგადას შეემატა. სამხატვრო ხელმძღვანელი თავს იკლავდა: „ძლივს დავაშვებინე მეგიტარის შტატი, ზუმბაძე მინდა ახლა მეო? დეკლარატორები ჩვენც ვკმარვართ, ბატონო. აღარ უნდა ხალხს ეს შენი მხატვრული კითხვა და მოკალი თუ გინდაო“, მაგრამ დირექტორმა კატეგორიულად უბრძანა — „უნდა შევინახოთ ეს ერთი კაცი, სხვას კიდევ სჯობია გერვასი ზუმბაძე, პატიოსანი მაინც არისო“. ასე და ამგვარად დანიშნეს ფილარმონიაში ნახევარ შტატზე ჩვენი გმირი. მომთმენი, დამჯერე, შემსრულებელი კაცია (ეს მაინც ისწავლა თეატრში), რეჟისორს არ ეკამათება, დაწინაურებას არ მოითხოვს, ჩხუბსა და ინტრიგებში არ მონაწილეობს... ერთი ასეთი კაცი უსათუოდ უნდა იყოს ბალაგანის სისტემით მცხოვრებ ანსამბლში და გერვასიც ყველას შეუყვარდა, პატივისცემით ეპყრობიან, ბატონობით მიმართავენ, ავტობუსში კი მძღოლს უკან, სამხატვრო ხელმძღვანელის გვერდით სვამენ.

ამ დილით საგულდაგულოდ გამოეწყო: ხუჭუჭა, ჭაღარა თმა ბრიოლინით შეიზილა და თავისი საყვარელი პეპლა ჰალსტუხიც გაიკეთა. სუფთად გაპარსული მკლავზეპლაშგადაკიდებული, მისი ასაკისთვის საკმაოზე უფრო მსუბუქად შემოფრთხიალდა ამ დილით ავტობუსში და ბრიგადის წევრების აღფრთოვანებაც გამოიწვია, მაგრამ მგზავრობამ მოქანცა და ახლა სახეჩამოღვენთილი, მოწყენილი, დაბორკილივით მოდის. ირგვლივ არც კი იხედება. სოფლის იდილიამ და სუფთა ჰაერმაც ვერ გამოუკეთა გუნება. "რა დროის ჩემი წანწალი და სოფლის კლუბებში ლადაობააო", ბრაზობს თავის თავზე.

სოფელ ნაყანევის კლუბის გამგე ჩირარებთან შეეგება ბონდის ხიდზე გამოსულთ. ხელმძღვანელად გერვასი მიიჩნია. ჩამორთმევით ხელი ყველას ჩამოართვა, მაგრამ გერვასის აეწეპა გვერდით, ჩემოდანიც გამოართვა და თვალებში შესციცინებს.

— მე დილით გელოდით, ბატონო, შეგაგვიანდათ.

კლუბის გამგეს თმა და ულვაშები ჰინით შეუღებავს, რაც დაკვირვებული კაცის თვალში, არასერიოზულ იერს აძლევს.

— ჩვენი „რაფით" უნდა წამოვსულიყავით, მაგრამ გაგვიფუჭდა და სამარშრუტოს გამოვყევით — იცრუა გერვასიმ. რაც ფილარმონიაში მუშაობს, „რაფში" იგი მხოლოდ ერთხელ იჯდა. მძღოლი ხალტურაზე დადის და კონცერტებისთვის არ სცალია. არაერთხელ მიმართეს ფილიალის დირექციას მსახიობებმა, მაგრამ „რაფის" მძღოლი კვლავ ჯიუტად დადის თავის საქმეებზე. ამ ბოლო დროს ხელოვნების მუშაკებსაც მოსწყინდათ მძღოლთან ჩხუბი და თავი მიანებეს.

— იქნება ხალხი? — გერვასი მაყურებლით დაინტერესდა.

— კი ბატონო... ისე... რა დაგიმალოთ და კინოს უფრო ეტანებიან ამ ბოლო დროს... ბილეთები გუშინვე რომ გამოგეგზავნათ, კარგი იყო. ბრიგადებში ჩამოვარბენიებდი მოლარეს. რა-ფასიანი ბილეთები გაქვთ? — კლუბის გამგე საქმიანი კაცი ჩანდა.

— მაგისი მე არაფერი ვიცი. ეგერ ჩვენი ხელმძღვანელი მოდის და ჰკითხეთ — გერვასი შეჩერდა და ჩამორჩენილ მსახიობებს გახედა.

— რომელია? — კლუბის გამგემ ჩემოდანი დადო.

— კიდეზე რომ მოდის, შავჩანთიანი, სომბრერო რომ ახურავს.

სოფელ ნაყანევის ესთეტიკური განვითარების მებაირახტრემ დაბეჯითებით გაიფიქრა, ამ უშველებელ ჭილოფის ქუდს სომბრერო ჰქმევია, ეს მაინც ვისწავლე დღესო.

მერე გივი ჩაფიჩაძემ დაავლო გერვასის ჩემოდანს ხელი. გერვასიმ რასაკვირველია, არ დაანება. „არაა მძიმე, მე თვითონ წამოვიღებ, მთლად ასე კი არაა ჩემი საქმეო". შეცბუნებული კლუბის გამგე მომღერალ-კუპლეტისტ მაია კილასურიას ეცა ხელებში და კალიუს კლეის გამოსახულებიანი ჯვალოს ჩანთა თითქმის ძალით გამოგლიჯა. „ამ ლამაზი ქალის სანახავად მაინც არ მოვა მაყურებელიო?" მხარზე ხელის გადადებით შეათამამა კლუბის გამგე ჩაფიჩაძემ. ვის დავუმალოთ; ქმარსგაშორებული მომღერლისა და ბრიგადის სამხატვრო ხელმძღვანელის დრამატული ეპიზოდებით სავსე სასიყვარულო ურთიერთობებისგან სისხლი ჰქონდათ გამშრალი მსახიობებს. ხან გრძნობათა მოჭარბებისგან გულწასული მაიას მოსულიერებას უნდებოდნენ, ხან ეჭვიანობისგან გაბრუებული გივი ჩაფიჩაძის დამშვიდებისთვის ხარჯავდნენ ხელოვნების სამსახურისთვის გამოყოფილ ოქრო წუთებს. მაგრამ ბალაგანის წევრები ამაზე სხვებთან დიდსულოვნად სდუმდნენ.

— აბა სად წავა. — კლუბის გამგემ ტანკენარ მაიას ისე გახედა, რომ არც თავისი მოწონება დაუმალავს და არც

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველი მასპინძლის იერი შეუც-ვლია.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკით კლუბის ეზოს მიადგნენ.

კონცერტამდე დარჩენილ საათნახევ-არში მსახიობებს უნდა დაესვენათ და როგორც იტყვიან, თავი წესრიგში მო-ეყვანათ.

მაისის მზიანი საღამო იყო, მაგრამ ნაწვიმარი გახლდათ და მაინც გრილო-და.

ჰაერში სველი მიწისა და აკაციის ყვავილის სუნი ტრიალებდა.

ხის ფარღალალა კლუბი სოფელ ნა-ყანევსა და ერთ-ორ სოფელში შემო-რჩა მხოლოდ და კლუბის გამგე კოლმე-ურნეობის ხელმძღვანელთა სახელითაც იხდიდა ბოდიშს.

თეთრად გადაპენტილ აკაციას რომ გაცდნენ, გერვასიმ ყურადღება მიაქცია ზედ კლუბის შესასვლელშივე, სამსა-ფეხურიან კიბესთან, ბალახებში მიწო-ლილ უზარმაზარ შავ ნაგაზს, რომელ-საც დრუნჩი თათებშუა გაეწვდინა და აუღელვებლად შეჰყურებდა მო-სულთ.

გერვასი, ყოველშემთხვევისთვის, უკუდგა და ბრიგადის ახალგაზრდული ფრთა წინ გაატარა.

— არ შეგეშინდეს, ბატონო არ იკბი-ნება, — მიუხვდა კლუბის გამგე.

— აბა რას შვრება? — შიშგარე-ულად იხუმრა ღვაწლმოსილმა მსახიო-ბმა.

— კბენის გარდა ყველაფერი იცის — არ დაიბნა მასპინძელი.

— თქვენია? — ისევ ძაღლის თემას დასტრიალებს გერვასი.

— ჰო... ასე ვთქვათ... ჩვენი დარაჯი მაგია.

გერვასიმ კლუბს გახედა, რა აქვს სადარაჯო და საყარაულო ამ გაფუ-ქვნილ შენობასო, გაიფიქრა, მაგრამ სიტყვით არაფერი უთქვამს.

კლუბის გამგემ ბურატინოს გასაღები დააძრო და ღია კარებში ჩადგა.

ძაღლთან პირველად მეჩონგურე გო-გია შერვაშიძემ გაიარა. მეჩონგურეს ზედაც არ შეუხედავს და არც ძაღლს გამოუჩენია დიდი ინტერესი.

მაია კილასურიამ რომ ჩაისურნელ-ჩაიშრიალა, ნაგაზმა დაამთქნარა და თავი ასწია. გერვასიმ თვალი ჩაჰკრა ძაღლის უძირო, შავ ხახას და გააჟ-რჟოლა.

არც ბენიამინ მელაძის არღანისხელა სავარდეროზე ჩემოდნისთვის მიუქ-ცევია კლუბის ერთგულ დარაჯს ყურა-დღება.

გერვასი მეოთხე იყო.

„რაღაცა არ მოვეწონე, თვალებში მიყურებს“, გაიფიქრა გერვასიმ და რა-კი უკანდახევა სირცხვილი იყო, ძაღლს ალალი ღიმილი შეაგება, აქაოდა მეც ამათთან ვარ, არ ვარ ცუდ საქმეზე მო-სული, ნუ გეშინიაო.

ნაგაზს რას გაუგებ, თვალს არ აშო-რებდა იგი გერვასის და თუ წამით მოარიდებდა წყრომაჩამდგარ თვალებს. მხოლოდ მისთვის, რომ ღია ჰიშკრი-სკენ გაეხედა.

„არ მოვეწონე, აშკარაა, ახლა მეცე-მა“, გული ამოვარდნაზე ჰქონდა გერ-ვასის, „რავა კუპრში ამოვლებულს უგავს დრუნჩი ამ უპატრონოს“.

მოხუცმა მსახიობმა მეტის გაფიქ-რება ვეღარ მოასწრო, შავი ელდა ქუ-ხილით წამოხტა და კიბესთან მისულს ცხვირ-პირში შეასკდა.

გერვასი კიბიდან გადავარდა და ლა-ფაროში უთავბოლოდ გაზრდილ ჭინ-ჭარში პირაღმა დაეცა. ძაღლის მძიმე უხეში თათები იგრძნო მკერდზე და სუნთქვა შეეკრა. „ცხვირპირს დამაგ-ლეჯს“ გაუელვა, სახეზე ხელები მიიფა-რა და განწირულის ხმით კივილი მორთო.

კლუბის გამგემ მეტი ვერაფერი მო-ისაზრა, ავად შებმულ კაც-ძაღლს თა-ვზე დაახტა და სანამ კლუბის დარაჯი უდანაშაულო მსახიობის ნიკაპს კბილე-ბში მოიქცევდა, ძაღლი მსხვერპლს ააგლიჯა და მოისროლა.

ამასობაში ყველას მიელო ის პოზა „საბრძოლო პირველ მდგომარეობას“ რომ ეძახიან. ბენიამინ მელაძემ თავისი გიგანტი ჩემოდანი იფარა და ძაღლს

შეუტია, გოგია შერვაშიძემ ჩიხოლჩაძოცმული ჩონგური სპორტულ უროსავით დაატრიალა და გაოცებულ ძაღლს ესროლა. ძაღლმა მშვიდად ჩაატარა ჩონგური, განზე გადგა და დამნაშავის იერით შეაცქერდა კლუბის გამგეს, რომელიც გაფითრებულ გერვასის ტანსაცმელს უფერთხავდა. გულშეღონებული მაია სამხატვრო ხელმძღვანელის მკლავებზე მისვენებულიყო. ჩაფიჩაძე ამ საპატიო მიზეზის გამო ძაღლისგან თავდაცვის საერთო ღონისძიებაში აქტიურად ვერ მონაწილეობდა.

— ბატონო გერვასი.. ბატონო გერვასი... ფსლუკუნებდა ილუზიონისტი, ამ ფსლუკუნში შეკითხვაც ჩანდა, „ხომ არაფერი დაგიშავათ იმ ბალანამოსაწყვეტმაო“.

— მგონი გადავრჩი, — კარგა ხნის შემდეგ ამოიღო ხმა სავარძელზე წამოწოლილმა დაზარალებულმა და კატეგორიული ტონით მიმართა სასთუმალთან მიმჯდარ კლუბის გამგეს:

— ესაა, შე კაცო, არ იკბინებაო?

— პირველი შემთხვევაა, ბატონო, სამ შვილს გეფიცებით, მაგისი კბენა კი არა, უბრალო დაყეფებაც თუ გამეგონოს.

— ახლა რა სიკვდილის პირკატა ეცა, რა ვაწყენინე ასეთი, — სრულიად სერიოზულად თქვა ფერგადასულმა გერვასიმ, მაგრამ გივი ჩაფიჩაძეს რატომღაც მაინც გაეღიმა.

კონცერტამდე დარჩენილმა დრომ ძაღლისა და ადამიანის ისტორიულ ურთიერთობაზე საინტერესო მოგონებებში გაიარა. ბოლოს ბალაგანის სამხატვრო ხელმძღვანელმა სრულიად გულწრფელად სთხოვა გერვასი ზუმბაძეს — თავს ძალას ნუ დაატანთ, ნერვული სტრესიდან ჯერ გამოსული მაინც არ ბრძანდებით. დაისვენეთ, კონცერტს როგორმე უთქვენოდ, ჩავატარებთო. მოხუცი დეკლამატორი ამ წინადადებას ელოდა, ესიამოვნა რომ თავის გამოჩენის კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცა, გულზე ხელი დაიდო და ხელოვნებისთვის თავშეწირული მსახიობირაინდის მტკიცე გადაწყვეტილებით განაცხადა: — შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, თავს მხნედ ვგრძნობ და კონცერტზე უსათუოდ გამოვალ. ბატონი გერვასი დარწმუნებული იყო რომ არჩეული პროფესიისადმი მისი ერთგულების დამტკიცების ეს ერთი გაკვეთილი ხვალ მთელ ქალაქს ეცოდინებოდა.

... კონცერტი, როგორც მოელოდნენ, ერთი საათით გვიან დაიწყო. როცა კონფერანსიემ გამოაცხადა, ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „თაგვის წერილს“ წაიკითხავს ცნობილი მსახიობი გერვასი ზუმბაძეო, გერვასი ფარდის ხავერდით ფეხსაცმელს იპრიალებდა და თუმცა კარგად იცოდა, რომ მისი ნომერი გოგია მეჩონგურეს „კოლხური მელოდიების“ მომდევნო იყო, მაინც დაიბნა. საყელოს წამოდებული პეპელა-ჰალსტუხი ვერ გაისწორა და სცენაზე გასვლისას კულისებში რაღაცას ისე ღონივრად წამოჰკრა ფეხი, რომ კინაღამ გაიშხლართა. მაგრამ სასწაულებრივად შეიმაგრა თავი. მაყურებლებს გერვასის უნებლიე მალაყი ნომერი ეგონათ და ტაში დასცხეს. არანაკლები წარმატება ჰქონდა დეკლამატორის მიერ ჰალსტუხის გასწორების უნებლიე მიზანსცენასაც, რაც არაჩვეულებრივ სიცილ-ხარხარში ჩატარდა. ბოლოს გერვასი წელში გასწორდა, ჰალსტუხს ხელი უშვა და დაიწყო:

— ჩემს გმირს, ქოსა იოსება მეეტლეს, იქნებ არ ეყოლოს თავისი ბიოგრაფი — ვინმე მაკოლიე ან პლუტარხი. ღირსი კი არის!“

თქვა თუ არა ეს პირველივე ფრაზა, დარბაზი გაისუსა, უეცრად კარმა გაიჭრიალა და დეკლამატორს მუხლთ მოეკვეთა. მაყურებლით გაჭედილ დარბაზში ზლაზვნით შემოვიდა შავი ნაგაზი, დინჯად გამოიარა სავარძლებსა და სცენას შუა დარჩენილი ადგილი, გერვასის რომ გაუსწორდა, შეჩერდა, უკანა თათები ჩაიკეცა, წინა თათებს დაეყრდნო და სმენად იქცა.

გერვასის შიშისაგან ხელები გაუცივდა.

დარბაზში აქა-იქ ფხუკუნი გაისმა, მაგრამ მაშინვე შეწყდა.

აშკარა იყო, მაყურებელი ძაღლის ვიზიტს მნიშვნელოვან ამბად არ მიიჩნევდნენ და ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა ძალიან აინტერესებდათ.

„ახლა ვეღარაფერი მიშველის", გაიფიქრა გერვასიმ ძაღლს დამარცხებულის იერით გახედა და მწარედ ინანა, რომ წელან გივი ჩაფიჩაძეს არ დაეთანხმა.

ავანსცენა თვალით გაზომა, კულისებში შევარდნას ვეღარ მოასწრებს.

„—რაც იქნება იქნება, უნდა გავაგრძელო", ეს ფიქრი დაეუფლა და გულმუცელი აეწვა. „გაქცევა უარესია, ხალხის წინაშეც შევრცხვები და გასწრებით მაინც ვერ გავასწრებ. როგორც ჩანს ეს ყოფილა ჩემი ბედი... ეს მეწერა ალბათ"...

და გერვასი ზუმბაძემ განაგრძო:

„ხომ ადვილი მისახვედრია, რომ ბაბუამისი უექველად იცხოვრებდა ბატონყმობის დროს...

და ბატონყმობის დროს, ცნობილია, — როგორც დაგვიმტკიცა სახელმწიფო კინომრეწველობამ და ზ. ჭიჭინაძემ, — ბატონები დილით ჭამდნენ ფარეშს, შუა დღეზე უღელში აბამდნენ შინაყმას და ღამე კი აუპატიურებდნენ მოახლეებს, ზოგჯერ თავის საკუთარ ქალებს და უფრო ხშირათ კი ყმების ცოლებს და ქალიშვილებს".

დარბაზში აქა-იქ კვლავ გაისმა სიცილი, ვიღაცამ ტაშიც კი დასცხო.

გერვასიმ ძაღლს გახედა. ნაგაზი მონუსხულივით შეჰყურებდა და მოხუც დეკლამატორს მოეჩვენა, რომ უჩვეულო მსმენელმა ერთი-ორჯერ კუდიც კი გაარხია.

გერვასი გათამამდა და მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, ისე ოსტატურად, ლაღად გემრიელად წაიკითხა ნოველა, რომ ზუმბაძის შემოქმედებით ზრდაზე მუდამ ხელჩაქნეული გივი ჩაფიჩაძეც კი გააოცა.

„ამის შემდეგ იოსება არ გამობრუნებულა, გონება არ დაბრუნებია, არც ექიმებს აქვთ მორჩენის იმედი, წევს საგიჟეში".

ეს ბოლო სიტყვები გერვასიმ მაყურებელთა სიცილ-ხორხოცში წარმოსთქვა, მკლავების დაწყვეტამდე უკრავდნენ ტაშს, ბევრს სიცილისგან ცრემლიც სდიოდა, ფეხებს აბაკუნებდნენ, მერამდენედ იხმობდნენ სცენაზე.

ძაღლი?

მარტო ზუმბაძის ფხიზელმა თვალმა შენიშნა: დაამთავრა თუ არა გერვასიმ, ძაღლი გასწორდა, წელში გაიზნიქა, ერთხელ კიდევ გამოხედა სახეგაბადრულ მსახიობს და საიდანაც შემოვიდა, ისევ იმ გზით, ისევ ნელა და აუღელვებლად გავიდა.

კონცერტზე სხვა საინტერესო ნომრებიც შესრულდა, მაგრამ ნაგაზი აღარ გამოჩენილა.

პაჭუღია

— ყველაფერი გავიგე ამ ქვეყანაზე, მაგრამ ზღვა რატომ არ იმატებს, ეს ამბავი მაინც გამოცანად დარჩა ჩემთვის.

— რომელი ზღვა?

— დავუშვათ კასპიის. მარტო ვოლგა და მტკვარი რამდენ ტონა წყალს ჩაიტანს ერთ საათში, სხვას დავანებოთ თავი. ერთ საათში, ერთ დღეში, ერთ კვირაში, ერთ წელიწადში. რამდენი ასი წელიწადი იქნება, რაც ვოლგა კასპიის ზღვაში ჩაედინება? ერთ სანტიმეტრს რომ არ იმატებს, რანაირადაა ეს საქმე? ა, ნასწავლი ვარო, რომ იძახი, ამიხსენი აბა.

— რაც ჩადის, ორთქლდება და წვიმად მოდის — მოვიშველიე ოდესღაც სკოლაში გაგონილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაჭულიას გაეცინა.

— ისე აშენდა ვინც შენ მაგი გასწავლა. გუშინაც მასე მითხრა წვერებიანი რომ დადის მესამე კორპუსიდან, პროფესორი ვარო, მაგრამ შევატრიალებინე ქუდი უკუღმა. რა ორთქლდება, სადაა ამდენი ორთქლი? კარგი, ვთქვათ მზე რომ დააჭერს მაშინ ორთქლდება ზაფხულში. ზამთარში? რვა გრადუსი ყინვა რომაა მაშინაც ორთქლდება? წვიმები რომაა, რომ გადააბამს ხანდახან ერთთვიან წვიმას, არ მითხრა მაშინაც ორთქლდებაო. არ ჭამო ეგ ამბავი შენ. ჯერ წვიმა ხომ თავისთავად ჩადის და ემატება, ეს მდინარეები რომ მოდიდდება წვიმაში და ერთი ხუთად მოდის, ხომ ჩადის ზღვაში? სად გადის მერე ეს წყალი. სანტიმეტრი რაა, სანტიმეტრიც არ უნდა მოიმატოს კასპიის ზღვამ?

დაახლოვებით ასეთ რთულ საკითხებზე გვქონდა კამათი, როცა ალაგეზე ძლივს გადმოხოხდა ასე ორმოციოდე წლის, უსაშველოდ გასუქებული, პიჟამოიანი კაცი და ხვნეშით დაგვადგა თავზე.

— ბოდიში პაჭულია რომელია თქვენს შორის?

— მე ვარ, რა იყო? — მშვიდად უთხრა პაჭულიამ.

— მანქანებზე თქვენ ბრძანდებით ხომ აქანა?

— მე ვარ, რავა, რა იყო? — მუხლებზე დაიდო თავისი მოკლე თითები პაჭულიამ.

უცნობმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ხუთმანეთიანი ამოიღო და გაუწოდა.

— იყოს, არ გინდა არაფერი — დაიმორცხვა პაჭულიამ.

— როგორ გეკადრებათ, ინებეთ.

— იყოს, არ მაქვს მაინც მაგის ხურდა მიდიხარ სუულ?

— არა. ცოლ-შვილს გავაკატავებ პატარას და საღამოს მოვბრუნდებით — დაბეჯითებით თქვა მსუქანმა კაცმა.

— ჰოდა მერე იყოს. რა გვეჩქარება. თუ არ იქნება და შენ კარგად იყავი. არც მაგაზე დავიწყვეტთ გულს — განზე გაიხედა პაჭულიამ.

— შენთან იყოს მაშინ. ასე უფრო უპრიანი იქნება — ამ სიტყვებთან ერთად უცნობმა კვართის ჯიბეში ჩაუკუჭა ფული პაჭულიას და სანამ მანქანასთან მივიდოდა, ერთხელაც მოუხედა — ხუთი დღის მოცემული მექნება.

— შენ კარგად იყავი! — მიაძახა პაჭულიამ და სწრაფად გადმოირთო ჩვენთან — იმას ვამბობდი, მეცნიერებაო დაიჯინებს ზოგიერთი. შენ გგონია ყველაფერი იცის მეცნიერებამ? იმის არ იყოს, დედამიწა რგვალიაო. რა არი, ბიჭო რგვალი. რგვალი რო იყოს ეს ოკეანეები არ დაგვესხმებოდა თავზე? მიზიდულობაა შიგნიდანო. რა მიზიდულობაა ამნაირი, ამხელა წყალს რომ აჩერებს თავდალმა. გაგაგიჟებენ მაგენი რომ დაუჯერო. დედამიწა პატარა ბურთიაო ამ სამყაროში. ტრიალებს, ფრიალებს ეს პატარა ბურთი. არც წყალი იღვრება ძირს და არაფერი. იფ, რა მშვენიერია! როდის იყო ბურთზე წყალი ჩერდებოდა? რა გაცინებს? მიუბრუნდა პაჭულია გვერდით მჯდომ ხელჯოხიან დამსვენებელს, რომელმაც გუშინ ფეხბურთის თამაშისას ქვას წამოჰკრა და ახლა „ადიდასზე" ბინტით აქვს დაკრული მარჯვენა ფეხი. — არა ვარ სწორი? — პაჭულიამ დოინჯი გაიკეთა.

— მაგაზე კი არ მეცინება. ფული რომ მოგცა იმ უბედურნახევარმა და აქეთ რომ დააწყებინე ხვეწნა.

— არაა გლახა ბიჭი, — წყნარად თქვა პაჭულიამ და უცბად თვითონვე წასკდა სიცილი.

— სანამ გაგიგებდნენ ხომ კარგი, მერე ხარ ცოდვა — არ ეშვება თითნაღრძობი.

— გაგებამდეა, ბიძია, ეს ქვეყანა, თქვენც ასე ბაირამობთ თქვენს საქმეში, სანამ გაგიგებდნენ. რომ გაგიგებენ, მერე მეყოლე კარგად — ძალად დასე-

რიოზულებული პაპულია სიცილს ბაწრით იჭერს, მაგრამ ველარაფერს აწყობს, მიუშვებს და წარბებიანად ძიგძიგებს.

— რა გაცინებთ? — მთვარიდან ჩამოსულივით ვკითხულობ მე.

— მე რა მაცინებს ქე ვიცი, ბატონო, მარა ამას რა აცინებს ამ ფეხის პატრონს. ხომ ხედავთ ბზიკის ნაკბენივით აქვს დასიებული თითები. ჩამოვლენ და დამიწყებენ აქანა, დიეტაო, ბანგლინტონიო, ამ ხნის კაცს რა ფეხბურთი აუტყდა. როცა დრო იყო, მაშინ ეთამაშა. არეულია ქვეყანა. სერიოზულ კაცს ვერ ნახავ ამხელა დაბაში. ვინც ავადმყოფია მართლა და ვისაც წამლად სჭირდება ეს წყალი, იმას ვინ აღირსებს საგზურს, ამნაირებითაა სავსე მთელი კურორტი. გეკითხები ახლა მე შენ, რაზე ჩამოდი აქანა? — მიუბრუნდა პაპულია გვერდით მჯდომს.

— დაკლება მინდა — ღიმილი შეაგება ფეხბურთის მოყვარულმა.

— მერე დასაკლებად, შე კაი კაცო, ამხელა გზაზე მორბიხარ? მოუკელი ცოტა ჭამას და გახდები. შენი ჯანმრთელობა უნდა მქონდეს მე და შენ ჩემი ჭკუა, მაგრამ სადა აქვს ღმერთს სამართალი, რაღაც თუ არ დაგაკლო, რაღაცაში თუ არ დაგჩაგრა, ისე გაგიშვებს? მაგლახავებენ ახლა ეგენი თავის ჭკუით, მეცინიან ვითომ, მაგრამ, ა, დახედე ფეხზე? ახლა მე შემხედე სახეზე და, შეგნებული კაცი ხარ, შენ თვითონ მიხვდები, ვინაა ჩვენს შორის საგლახაო.

პაპულია ორმოცდაათამდე არ იქნება და არც დიდი დრო უძევს. დაბალი კაცია, სქელკისერა. შეთხელებული თმა ისე გულმოდგინედ აქვს დავარცხნილი რომ პარიკი გეგონებათ. დიდი პირი აქვს და მეჩხერი კბილები. მზედაკრულ სახეზე ფერიჭამელები დაპყრია. ცალი თვალი ჩაწითლებია და საუბრისას ცხვირსახოცით ცრემლს იწმენდს. გაბმულად, უპაუზოდ საუბრობს მოშლილი დინამიკის ხმით. იმერეთში ასეთ ლაპარაკს ჭიჭყინს ეძახიან.

— სანამ ეგენი გეტყოდნენ, ბატონო, მე მოგიყვები ჩემს ამბავს და მერე ამგენმა გააფორმონ, რავარც უნდათ. მაგის შნო ქე მიუცია გამჩენს, მეტი არაფერი შეუძლიათ თვარა. ავადმყოფი კაცი ვარ მე. კუჭის წყლული მაქვს სამი წელიწადია. რავა არ გექნება კუჭის წყლული, რაც მე ნერვიულობა მხვდება ყოველდღე — თუ შინ და თუ გარეთ. შინ, შენ ხარ ჩემი ბატონო, სამი ბავშვის პატრონი ვარ და წიგნი დასანახავად ეზარება სამივეს. მე მაბრალებს ცოლი, შენი ტვინი გამოყვათო. შეიძლება ასეცაა, არ ვარ ნასწავლი, ბატონო, მეორე კლასიდან დამანებებია მამაჩემმა შკოლას თავი, მარა ყოველდღე ამის ძახილი ვარგა რამედ? გაიგეს ბავშვებმა ბაბაიასავით უნიჭო გავჩნდით ჩვენცო და აიცრუეს გული წიგნზე. ვისი ბრალია ეს? არაა ჩემი უბედური ცოლის ბრალი? გარეთაა და ძაფსაღებში ვმუშაობ დაზგების შემკეთებელ-მეთვალყურედ, არ იცი ჩვენი ამბავი? ამხელა საამქროში მოიშლება რაღაც, აბა რა იქნება, ძველდება რკინა, ბატონო. გაჩერდება მქსოველი და დაიწყობს უკან ხელებს. არიქა პაპულია! დამარბენინებენ წინ და უკან. გაცდება დაზგა და ჩემს მეტი არავინაა პასუხისმგებელი. მე მომკიდებენ ყურში ხელს. მე შენ გეტყვი, ყუთებით მიწყვია სათადარიგო ნაწილები. ჩემი ხელით ვჩარხავ და ვაკოწიწებ რაღაცას.

რაღა გავაგრძელო, ამ თვენახევრის წინ ჩავიდევი სიმწრით ნაგროვები ხუთასი მანეთი და წამოვედი აქეთ. წყლული მაქვს-მეთქი მოგახსენეთ. წყლული კი არა, კიბო რომ არ მჭირს არ გიკვირს? ბევრი ვუცადე საგზურს, ბევრი ვუწრუწუნე ჩვენს ადგილკომს, მაგრამ ვინ გაღირსა. ვის დაეკარგე, შენს კუჭის წყლულს ტირის ჩიჯავაძე, მეტი არა აქვს საქმე. ხო, ჩემო ბატონო და ვაგონში ქე ამაფცქვნა ვიღაცა არდასაცალებელმა ჩემი დასვენების ფული. პიჯაკი მეკიდა კუპეში. პიჯაკი ქე დოუტოვებია და ფული გოუყოლებია ხელს. რა ვიცი ვინ წაიღო. სამტრედიამდე რვა კაცი შემოვიდა და გავიდა. ხელებში ხომ არ

მიაჩერდები, ვინ შემოდის და ვინ გა-დის. ასე რომ სამი მანეთით ჩამოვედი ამ დაბაში. აქანა სამი მანეთი კი არა ჩემი ხუთასი მანეთიც არაფერს მიზა-მდა, ისე იხარჯება ფული. ყველას ხელი აქვს გამოწვდილი. ყველა შოვნაზეა გადასული. არა და უკან დაბრუნება, გითხრა სიმართლე ქე შემრცხვა. დაბ-რუნდი ახლა ქუთაისში ამხელა კაცი და მომპარეს ფული თქვა, გამოაცხადე. ცოლმა რომ არაფერი გითხრას, მეზო-ბლებში ხომ მოგეჭრა თავი. ჯერ მივ-იარ-მოვიარე, პატარა გევიკითხ-გამოვი-კითხე, ნაცნობი არავინ შემხვდა და უც-ნობი ვინ გასესხებს ფულს, ვინ გენდო-ბა. იქეთ მივდექი, აქეთ მოვდექი, გადა-ვხედ-გადმოვხედე საქმეს და გავიწყვი-ტე შუბლზე ერთი ძარღვი. ის ძარღვია თურმე რომ გაკავებს, მეტი არაფერი. რავარცხა იქნება უნდა გავიტანო თავი თქვა, ვუთხარი ჩემს თავს. ამ პანსიონ-ნატს დავადგი თვალი. შევედი და დი-რექტორს მივაჩეჩე ჩემი პასპორტი ხე-ლში, ახალდანიშნულია, კაი ბიჭი, სხვა-თა შორის, ალმასკომიდან გადმოუყვა-ნიათ, წესიერი კაცია, ჯერ არა აქვს ნა-სწავლი სიგლახე. ქუთაისიდან გამომი-შვეს, მე ვუთხარი, ქალაქკომმა იცის ეს ამბავი თქვა, მანქანების სადგომი რომ არაა ამხელა კურორტზე, ჩივიან დამ-სვენებლები და ამაზე გამომიშვეს-მეთ-ქი. გამომიყავი ახლავე ტერიტორია და სანამ ავტოსადგომს გააკეთებდნენ, დროებით იქ დავაყენოთ მანქანები მეთ-ქი. კი მაგრამ შტატი რომ არ მაქვს მა-ნქანების დარაჯისო? რამდენი ეღირება სადღეღამისოდ რომ არ ვიცი არაფე-რიო? შენ მაგას ნუ დარდობ, მე ვუთ-ხარი. გამომიძებნე პატარა ოთახი სად-მე, მე ვუდარაჯებ მანქანებს უფასოდ მეთქი. შენ აგაშენა ღმერთმაო დამსვენე-ბლების ჩიჩინს რომ გადავრჩები, მარტო ეს რად მიღირსო. ოთახი ვერ მოძებნა, მაგრამ უკან, ფინურ ბინაში, მზარეუ-ლთან ერთად შემასახლა.დღე მაინც აგერ ერთად ვზივართ ყველანი და ღამე რად უნდა დარაჯი მანქანას. აქ ვინ ამოვა მოსაპარავად. ყოველ დილას სულ ცო-ტა ოცმანეთიანი ვარ, შაბათ-კვირას მე-ტია. მანეთს იძლევიან ღამეში. ისე უკა-რაულა შენმა დამაწყევარმა, მე რომ ამ მანქანებს ვყარაულობ, მაგრამ დამ-სვენებელს გული მაინც დამშვიდებული აქვს. პატარა ფული რომ მოვაქუჩე, საგ-ზურის ფასი გადავუხადე პანსიონატს და ახლა ამ პირველ კორპუსში ვარ მე-სამე სართულზე, ნახევრადლუქსში გაჭიმული. ვუშავებ ვინმეს რამეს? ხომ საჭირო იყო ავტოსადგომი, ხომ უკეთე-სად გამოიყურება ჩემი აქ ჩამოსვლით კურორტის მომსახურება? აბა, რა გი-ნდა მეტი. მე უფასოდ ვდარაჯობ, ასე მაქვს ნათქვამი ყველასთვის. სადღეღა-მისო ავტოსადგომი უფასოდ ამის გარდა გინახავს სადმე? იქეთ არავის ვთხოვ ფულს, მაგრამ მაძლევს ის კაცი და არ გამოვართვა? ახლა მეორე ამბავი. ექსკუ-რსიების ამბავი, როგორცაა ჩვენთან სა-ერთოდ მოგეხსენებათ. არა და ყველას უნდა უღელტეხილის დათვალიერება. აქ ჩამოვიდა კაცი და რაღაც ოცდაექვს კილომეტრზე არ დაათვალიეროს უღე-ლტეხილი? სანატორიუმ „ტრაპიზონის" ავტობუსს პარასკევობით გამოსასვლე-ლი დღე აქვს. მივედი შოფერთან: არა-ვინ არ დაგალრჩობს მაგისთვის შენ, მოგიგროვებ ხალხს და გაასეირნე პარა-სკევს უღელტეხილისკენ-მეთქი. დამთა-ნხმდა კი არა სიხარულისგან ტაშიც შემოჰკრა. ახლა, ყოველ პარასკევს მიჰ-ყავს ექსკურსანტები. ვინ მიდის? არ მეხვეწებიან? სია არ მაქვს შედ-გენილი სამი კვირის წინასწარ? სა-მასამდე კაცი ხომ მაინც ისვენებს მთელ დაბაში. ყველას უნდა წას-ვლა. ხუთ მანეთად დიდები მიჰყავს, სამ მანეთად პატარები. ოცდაოთხკაციანი ავტობუსით მინიმუმ ას მანეთს იდებს ჯიბეში. თუმანს მე მაძლევს ხალხის შე-გროვებისთვის, თუმნის ბენზინი ვთქვათ, თუმცა ბენზინი უფასო აქვთ მაგენს. რვა თუმანი ხომ რჩება ხელზე. პატარა საქმეა? კიდევ გეტყვი ერთს: სამი ებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაელი ფოტოგრაფია ამ დაბაში. ჩემზე ამოდით მზე და მთვარე. რატომ იცი? გავივლით თუ არა ასე ჯგუფად დამსვენებლები, ერთს ვიტყვი, გადავიღოთ სურათი სამახსოვროდ მეთქი. ათიდან ერთი თუ იტყვის უარს. უღელტეხილზე წასვლის წინ ექსკურსანტებისთვის ავტობუსთან ერთ სურათს გადავაღებინებ იოსკას ან გაბრიელს, ჩამოსვლისას მეორეს. არ იქნებიან ჩემი მადლიერი? ჩემს სურათს ხომ უფასოდ მაძლევენ, ერთმა მათგანმა გუშინწინ საჩუქრად უნგრული პერანგი მომიტანა.

ასე ვცხოვრობ, ჩემო ბატონო, თვენახევარია აქ ვარ, კიდევ თხუთმეტ დღეს დავრჩები, თან ვმკურნალობ, თან თავსაც ვირთობ ცოტას, დრო რომ გავიდეს. ვაშავებ რამეს მითხარი შენ? შენ დამიჯერებ. აქვს ახლა მილიციას ჩემთან საქმე? პირიქით, მთავრობამ მადლობა უნდა მითხრას და დამსვენებლებმაც. თურმე თუ თავს გაანძრევ, მთლად გლახა თუ არა ხარ, ყველგან გაიტან თავს კაცი.

დამცინიან ახლა ამნაირები თავის ჭკუით. ქირქილებენ რაღაცას. „პაჭულია ასთე და პაჭულია ისთეო“. ყველამ თავის ჩაშავებულ საქმეს მიხედოს. პაჭულია არ დაიკარგება იმნაირ ქალაქში და იმნაირ ხალხშია გაზრდილი.

განათლებული და შეგნებული კაცი რომ ხარ იმიტომ მიყვარს შენთან ლაპარაკი, თორემ რა ველაპარაკო ამგენს. რანაირად გაგამასხრონ და გაგაშაყირონ, იმაზე არიან გამეცადინებული დღედაღამ.

ნუ დააგდებ...

ვუძღვნი პავლე აძინბას

„მოსკვიჩ 412“ სწორედ რომ შუაგზაზე გაჩერდა. ჯერ საეჭვოდ აფრთქიალდა ძრავა, მანქანას ძალა წაერთვა, მერე თითქოს რაღაცას ჩიფჩიფებსო, ვენტილიატორი ერთი-ორჯერ უკუღმა დატრიალდა და დადუმდა. დოცენტ კოჩა გუნიას ცივმა ოფლმა დაასხა. მისი მანქანის პატრონი ასეთ შემთხვევებს მიუჩვეველი როდი იყო, მაგრამ ამ დილით დოცენტის განერვიულებას, სხვათაშორის, ორი სერიოზული მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი ლექციის დაწყებას თხუთმეტი წუთი აკლდა და მეორეც, ეს ამბავი ხდებოდა ქალაქის მთავარ არტერიაზე — რევოლუციის პროსპექტზე პიკის საათს რომ ეძახიან იმ დროს. ყველას რომ ეჩქარება, მძღოლები ფეხით მოსიარულეებს მგლებივით რომ აწყდებიან და პარპიზის აკვარიუმიდან კბილებს რომ უკრაჭუნებენ, მანქანები მარჯვნივ-მარცხნივ რომ მიძვრებიან და გამოუცდელ მძღოლს შიშის ქარს რომ უყენებენ მუხლებში.

ავტოინსპექტორი არსად ჩანდა. გზის გუშაგებმა იციან, რომ პიკის საათებში სულერთია, ვერაფერს შეცვლიან. მოძრაობას ამ დროს ჯუნგლის კანონი აწესრიგებს და საოცარი სწორედ ის გახლავთ, რომ „საგზაო შემთხვევები“ ამ დროს ყველაზე ნაკლებია. ამ და სხვა მიზეზთა გამოც ფარხმალდაყრილი ავტოინსპექტორები ქუჩა რომ მიწყნარდება, სწორედ მაშინ გამოდიან ჩირგვებიდან და გზას დაეპატრონებიან. კოჩამ კარგა ხანს აღუღუნა სტარტერი, მაგრამ რომ ვერაფერი გააწყო, მანქანიდან გადმოვიდა და მკლავებჩამწყვდეული, ზურგით მიეყუდა თავის ჯიუტ ტრანსპორტს, იმის იმედით, რომ არ შეიძლება ვინმეს არ ეცნო და არ მიშველებოდა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს სოხუმში ვინ არ იცნობს, მაგრამ არ ვიქნებით მართალი, თუ აქ იმის მტკიცებას მოვყვებით, რომ კოჩას მხოლოდდამხოლოდ მისი კაცური კაცობისა და უკიდეგანო პატიოსნების გამო იცნობენ. გუნიას სახელის განთქმას თხუთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტიოდე წლის წინათ შეძენილმა ამ მოსკვიჩმაც შეუწყო ხელი.

„გუნიას მოსკვიჩი" კარგა ხანია დამკვიდრდა ქალაქურ ფოლკლორში სიძველის, გაუმართაობის და ზოზინის სიმბოლოდ. ვისაც ბედნიერება არა ჰქონდა დოცენტის ღრმაშინაარსიანი ლექციები მოესმინა, კოჩა გუნიას იგი იცნობს პოპულარული კინოფილმის კადრებივით ათასჯერ ნანახი ორი სურათით. პირველი — ქუჩის პირას დგას კაპოტახდილი „მოსკვიჩი" და ძრავაში თავჩარგული მისი კანონიერი მფლობელი გატაცებით ჩაჰკირკიტებს. ხანდახან თავს აწევს, მაჯით შუბლზე ოფლს მოიწმენდს, რაღაცას ჩაილაპარაკებს და ისევ საქმეს ჩაუღრმავდება. მეორე — კაბინაში საჭესთან ზის კოჩა (ეს გაცილებით უკეთესი ვარიანტია) თავი გადმოუყვია და სიცხისგან გახვითქულ „მომწოლთ" ამხნევებს, ცოტაც და დაიქოქებაო.

დაძველდა „გუნიას მოსკვიჩი". კარებს ქვემოთ, კარნიზები ჟანგმა ისე შემოაჭამა, რომ თაგვი თავისუფლად შეძვრება. ზეთს ძრავა უზომოდ ნთქავს. ძარა ისე ფართხუნობს, რომ კაცი იფიქრებს ეს მანქანა ერთი მაგრად რომ გაჰენდეს ოღროჩოღროზე, შეიძლება, წინა-უკანა ფრთები დასძვრეს და ხოჭოსავით მარტო სალონი დარჩესო. სიჩქარეთა კოლოფი ხშირად ჭირვეულობს, სახელური ხანდახან თავისით უბრუნდება საწყის მდგომარეობას, სანთლები სველდება და, როგორც ახლახან დავრწმუნდით, ძრავა გაურკვეველი მიზეზის გამო იშვიათად, მაგრამ მაინც უდროო დროს ქრება. დაბერდა კოჩას „მოსკვიჩი". მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ განსხვავებით ამ მარკის სხვა. მანქანებისაგან, „გუნიას მოსკვიჩი" არც სიახლის წლებში იყო დიდი ბედაური. ქარხნისა თუ გზაში შეძენილი ნაკლის გამო, იმთავითვე ჭირვეულობდა, საეჭვოდ ახველებდა, ავადმყოფობდა. შეძენის მეორე წელს ერთი გადაწყვეტა გადაწყვიტა კოჩამ გავყიდიო, მაგრამ დოცენტს მოწყალე — შემბრალე გული ჰქონდა. სწორედ ამ გულმოწყალობა იყო, რომ „მოსკვიჩი" თხუთმეტი წელი შერჩა გუნიას. ჯერ ეცოდებოდა, მერე შეეთვისა და ბოლოს შეუყვარდა კიდეც. დოცენტი მეცნიერებისთვის განკუთვნილ ოქროს საათებს ხშირად ავტოპროფილაქტორიუმში ატარებდა და „მოსკვიჩიც" ურცხვად ნთქავდა დეკანის ოჯახის ისედაც მჭლე ბიუჯეტს. კოჩასთვის ისე მშობლიური გახდა ეს მანქანა, როგორც სხეულის ნაწილი, ან უაღრესად ახლობელი პიროვნება. ხშირად დასიზმრებია კიდეც, რომ მისი მოსკვიჩი სასწაულებრივად გაახალგაზრდავებული ენერგიულად კეცავდა კოდორის ჭალებს. იშვიათად უსიამოვნო სიზმარსაც გაუღვიძებია: თავდაღმართში მიქრის მანქანა, მუხრუჭებმა უღალატეს, კოჩა საჭეს ჩაფრენია და სადაცაა ორივენი ზღვის ტალღებში ამოყოფენ თავს (ღმერთო მიხსენი!). გამოღვიძებია და მშვიდად ამოუსუნთქავს. ყველაფერი რიგზეა. გვერდით მეუღლე ფშვინავს, ფანჯარასთან ახლოს ეზოში, „მოსკვიჩი" დგას და თავის ბებრულ ღამეს თეთრად ათენებს.

გუმანმა არც ამჯერად უღალატა დეკანს. მანქანიდან გადმოვიდა და მკლავი მკლავში ჩაიხვია თუ არა, მის ირგვლივ ერთიმეორეზე დაიღრჭიალეს მუხრუჭებმა. ჩვეულებრივი ამბავია: „გუნიას მოსკვიჩს გაუჭირდა". დოცენტმა იცის, ახლა აქ გაიმართება კონსილიუმი. ვიღაც კაბინაში შეძვრება და ისედაც მოშლილ სტარტერს მანამ ატრიალებს, სანამ აკუმულატორი არ დაიცლება, მეორე სანთლებს დაუწყებს წმენდას, მესამე კარბურატორის თავს ახსნის, ერთი საათის ამბავია... და კოჩამ, ყველასაგან მოულოდნელად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

— გადავაგოროთ კიდეზე. დავტოვებ და მერე მოვაკითხავ. ახლა ამის დრო არა მაქვს. ათ წუთში ლექცია მეწყება.

მანქანა გზის პირას გააჩერეს. ტაქსის

მძღოლმა უნივერსიტეტამდე მიყვანა შესთავაზა. „ახლა კი ნამდვილად გავყიდი, აღარ შემიძლია, ნერვები მღალატობს“, გაიფიქრა კოჩამ კიბეზე ასვლისას და გაახსენდა, რომ გასაღები მანქანაში ჩატოვა. თავისი ბებერი მოსკვიჩის კარებს საერთოდ არ კეტავდა (ვინ იყო მომპარავი), მაგრამ ახლა შიშმა გაჰკრა გულში, ვიანორ ბლაჟბას მიერ ინდოეთიდან ჩამოტანილი ბრელოკი არავინ მომიძროს გასაღებებზეო.

ლექცია უგემურად წაიკითხა. ზარი ისევ წკრიალებდა, ქუჩაში რომ გაჩნდა და პირველივე მანქანას დაუქნია ხელი. მძღოლისკენ არც გაუხედავს. მასპინძელი რაღაცას ჰყვებოდა, მაგრამ დეკანს ერთი სიტყვაც არ მოუსმენია. სირბილით გადმოჰქრა ქუჩა და მანქანის კარის გამოღებისთანავე გულზე მოეშვა — გასაღებები თავის ადგილას იყო.

ცოტა ხანს იდგა და ვერ გადაეწყვიტა მოსკვიჩი ბუქსირით მიეთრია პროფილაქტორიუმში თუ ელექტრიკოსი ვალერი ქეცბა მოეყვანა ტაქსით. სანამ არჩევანს გააკეთებდა, საჭეს მიუჯდა, კონუსი გათიშა და გასაღები უიმედოდ გადაატრიალა, ჰოი საკვირველებავ! ძრავი ჩაირთო. ცოტა ხანს მაღალ გზაზე ამუშავა. გახურების შემდეგ ბენზინმწოვის სახელური ჩასწია, ყველაფერი რიგზე იყო. ფეხი დააჭირა და რამდენჯერმე აალრიალა ძრავი. თანაბარზომიერად ილებდა ბრუნს. დოცენტმა მხრები აიჩეჩა, მანქანა დაძრა და პილასურის პროფილაქტორიუმს მიადგა. ვალერი ქეცბას წვრილად უამბო ამდილანდელი შემთხვევა.

— ბენზინი ხომ არ გადაუყლაპავს? — ჰკითხა გამოცდილმა ელექტრიკოსმა.

— არა. მესამით მოვდიოდი ბენზინს საიდან ჩაყლაპავდა.

— დაქოქვისას რას მოკიდე ხელი? — ოსტატმა მანქანის კარი გამოაღო.

— რას მოვკიდებდი, პირველად ხომ არ ვქოქავ.

— დილით შოფრებმა კაპოტი ახადეს?

— ხელი არ უხლიათ. ლექციებზე მაგვიანდებოდა, გვერდზე გადავ[illegible]რეთ, ეს იყო და ეს.

ქეცბამ რამდენჯერმე აამუშავა და ჩააქრო ძრავი. პროფილაქტორიუმის ეზოში გაატარა მანქანა, კოჩას გასაღები დაუბრუნა და დაბეჯითებით აუწყა.

— ახლა არაფერი სჭირს, ამ წუთას. ხომ ხედავ, ნახევარბრუნზე იქოქება, წადი, მშვიდად იარე, ნუ გეშინია.

— ვითომ აღარ გაიმეორებს? — შეფიქრიანდა კოჩა.

— ხვალ ჩვენ რა გველის ვიცით? — კითხვა შეუბრუნა ქეცბამ, ხელი მოშავო ფერის ტილოთი შეიწმინდა და თავის ელექტრიკული საქმეებისკენ გასწია.

სანამ უნივერსიტეტამდე მოაღწევდა, გუნიას მოსკვიჩს ახალი სენი აღმოაჩნდა. მესამე სიჩქარიდან მეორეში გადმორთვისას (რაც, როგორც მოგეხსენებათ, ნელი სვლის დროს ხდება), მანქანა ძიგძიგებდა, საეჭვოდ აწყდებოდა წინდაუკან, მერე ერთბაშად შექანდებოდა და პოლესოვის მოტოციკლეტივით გავარდებოდა წინ. უნივერსიტეტის ეზოში შემოსვლისას დეკანს მოსკვიჩის უთავბოლო ხტუნვისაგან კისრის ძარღვები სტკიოდა. „ახლა კი ნამდვილად გავყიდი“ მტკიცედ გადაწყვიტა კოჩამ, ეზოს წრე დაარტყა და ისევ პროფილაქტორიუმისკენ მოუსვა.

ელექტრიკოსმა სერგო მკრტიჩიანმა ყურადღებით მოუსმინა და ბოლოს მაინც ჰკითხა ახლა, ორიოდე სიტყვით მითხარი, რა ემართებაო.

— მესამიდან მეორეზე გადმორთვისას დაბალ სიჩქარეში თითქოს ყალყზე დგებაო, — გუნიამ შუბლზე ჩამოყრილი თმა მუშტით გადაიწია. ამაზე მოკლედ რაღა ავუხსნაო.

— რაზე დგება? — „ახ ეს სწავლულები“ გაიფიქრა სერგომ.

— ყალყზე.

— ყალყი რა არის?

— დიორგანიეს აკეთებს წინ და უკან — ნათქვამს დეკანმა თვალსაჩინოებაც მიახმარა. ერთი ნაბიჯით წინ გახტა და ნაბიჯით უკან გადმოხტა. სასაცილო შესახედავი გახლდათ, ამ დროს, დო-

ცენტი, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ სტუდენტები არ უყურებდნენ.

— გასაგებია, — მცირე პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა სერგომ — დაჭექი აბა, გავიაროთ.

საჭეს კოჩა მიუჯდა. ქუჩაში გამოვიდნენ და მაიმუნთსაშენის გზას დაადგნენ. გუნიას ლამის გული გაუსკდეს. სადღაა ყალყი. „მოსკვიჩი" სიჩქარეების გამოცვლისას რხევითაც კი არ ირხევა.

— კიდევ გადართე! — წამდაუწუმ ჩასძახის სერგო.

კოჩა რთავს მესამიდან მეორეში, მეორიდან პირველში, პირველიდან მეოთხეში, მეოთხედან მესამეში... თქვენც არ მომიკვდეთ, სიჩქარეთა გადამცემი მექანიზმი საათივით მუშაობს.

— რა დაემართა? — პირი გააღო კოჩამ და ოსტატს მიაჩერდა.

— მე თქვენ გეკითხებით, — იღიმება მეკარბურატორე.

— როგორ, კაცო! ახლა ნახევარი საათის წინ სისხლი გამიშრო. კისრის ძარღვები დამაწყვიტა.

— იქნებ მოგეჩვენათ? — ირონიას მიმართა კარბურატორის დოსტაქარმა.

— კარგი ერთი.

— აბა კიდევ ერთხელ გავიაროთ.

ბარათაშვილის ბაქანთან მოუხვიეს, ბოტანიკურ ბაღს გამოცდნენ, მცირე ბაზარს ჩაუარეს და ისევ პროფილაქტორიუმში დაბრუნდნენ. მიუხედავად პატრონის დიდი სურვილისა, „მოსკვიჩს ჩვეული შეტოკება აღარ დამართნია.

კოჩამ საათზე დაიხედა, საღამოს ცვლა ხუთზე იწყებს. ტიტე ჰანიას ლექციას უნდა დაესწროს. ტიტე კარგი ყმაწვილია, სტუდენტებიც მადლიერი ჰყავს, მაგრამ წესია, დეკანი სემესტრში ერთ ლექციას მაინც უნდა დაესწროს. ტიტემ თვითონ თხოვა და ვერ გააწბილებს.

უნივერსიტეტის ეზოში შემოაგრუხუნა თავისი უკვდავი „მოსკვიჩი" კოჩა გუნიამ. „გრუხუნს" იმიტომ ვამბობ, რომ ხმისჩამხშობი (მოფერებით „გლუშიტელს" რომ ეძახიან) ჟანგისგან რომელიმე ადგილს გახვრეტილი იყო და რეაქტიული ძრავების ხმას გამოსცემდა. კარი მიიჯახუნა და საათს დახედა. ხუთს სამი წუთი აკლდა. ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა დეკანს გამოვლილი, რომ მანქანამ გაბმული სიგნალი მისცა. მივარდა კოჩა, ჯერ საჭეს დაწვდა და კარგა ხანს ურტყამდა ხელს, მერე კაპოტი ახადა და რელეს დაუწყო კაკუნი. „მოსკვიჩი" გაბმულად, გულისწამღებად ჰკიოდა. დოცენტს შერცხვა. ფანჯრებიდან მისი კოლეგების და აბეზარი სტუდენტების სიცილისაგან ცრემლჩამდგარი თვალები შემოჰყურებდნენ. აკუმულატორის მავთულს მიწვდა და გამოგლიჯა. კაპოტს ხელი დაჰკრა და კიბეს აუყვა. „ახლა კი ნამდვილად გავყიდი", ფიქრობდა დეკანი და ტიტე ჰანიას აუდიტორიისაკენ მიაბიჯებდა.

კოჩას ისე მოეწონა ლექციის პირველი ნახევარი, რომ გულმა არ მოუთმინა და შესვენებაზე, საპროფესოროში, გულიანად შეაქო ახალგაზრდა მეცნიერი. რა თქმა უნდა, კომპოზიციური ხასიათის ერთი უმნიშვნელო შენიშვნაც მისცა. ბოდიში მოუხადა, ჩემთვის ყველაფერი ნათელია და მეორე საათზე დასწრება, მე მგონი, საჭირო არ არისო. ტიტე ჰანია არ მოეშვა. მთავარი სათქმელი მეორე საათისთვის მოვიტოვე და გთხოვთ დამესწროთო.

ათს თხუთმეტი აკლდა უნივერსიტეტის შენობის უკანა კარიდან რომ გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. ტიტემ მაშველ ქამარს დაუწყო ძებნა, მაგრამ დეკანმა დაამშვიდა: — ჩემს „მოსკვიჩს" უსაფრთხოების ქამარი არ სჭირდება. ისედაც უსაფრთხოა. საათში ორმოცდაათ კილომეტრზე ჩქარა ველარ დადისო.

შრომის ქუჩაზე, პურის მაღაზიასთან, ციებიანივით აძიგძიგდა მანქანა, ძრავამ ავად ამოიხრიალა და დადუმდა.

— რა მოუვიდა? — იკითხა ტიტემ.

კოჩამ კაპოტის ბაგირი დაქაჩა და

მანქანის კარი რომ გამოაღო, ყრუდ ჩაილაპარაკა: „ახლა კი ნამდვილად გაეყიდი, პირველსავე მუშტარს მივყიდი კიტრის ფასად. თუ კაცი მომეწონა, შეიძლება ვაჩუქო კიდეც."

სახლამდე კილომეტრნახევარზე ცოტა მეტი რჩებოდა. ოფლში გახვითქული ტიტე იობის მოთმინებით აწვებოდა გაჯიქებულ ტრანსპორტს. ჯერ ორივე ხელით აწვებოდა, როცა რევოლუციის პროსპექტზე დაეშვნენ, ხელებს უნაცვლებდა, ამას მორცხვობის გამოც აკეთებდა (აქაოდა, სიამოვნებს ხელის დადება, თორემ ჩემი მიწოლა რად უნდა, ეს ისეთი მანქანაა, თავისიდაც მშვენივრად ივლისო) და თან შარშაწწინ ნაღრძობ მარჯვენას ასვენებდა.

კოჩა კი, უმცროსი მასწავლებლის საქციელით უსაზღვროდ მადლიერი კოჩა, ხანდახან მანქანიდან თავს გამოყოფდა და გულს მოუფონებდა: „ბრწყინვალე ლექტორი ხარ. ასეც ვიტყვი ზევ, საბჭოზე. დისერტაცია მალე უნდა დაიცვა. ხომ ხედავ, უნიჭობამ წალეკა ქვეყანა!"

„ვრემია" გათავებული იყო და ტელევიზორში მოდებს უჩვენებდნენ. დეკანმა და მისმა ახალგაზრდა კოლეგამ ეზოში „მოსკვიჩი" რომ შემოაგორეს.

ბერძენმა მენარდეებმა ერთმანეთს შეხედეს, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამთ. ასეთი სურათი მათთვის ახალი როდი იყო.

„მოსკვიჩის" პატრონმა ტიტეს ტაქსის დაჭერაში უშველა და მანამ უქნევდა ხელს, სანამ საზოგადოებრივი ტრანსპორტი თვალს არ მიეფარა.

მთელი ღამე არ სძინებია. მუშტშეკრული და პირმოკუმული იწვა. „უსათუოდ გავყიდიო", წამდაუწუმ ეჩურჩულებოდა მეუღლეს. აშკარად ჩანდა, თავის ბებერ მეგობარზე ნაწყენი იყო.

იცოდა, მანქანის ბაზრობა ადრიანად იწყებოდა მერხეულის გზაზე. ექვს საათზე ეზოში იყო, სათადარიგო ნაწილების დიდი ჩანთა საბარგულში ჩააგდო და ქუჩაში გამოვიდა, ვინმე ღვთიან — მადლიან მძღოლს დავიჭერ და ელექტრიკოს ვალერი ქეცბას, სანამ გამასწრებდეს, შინ მივაყენებ ამ შავი ჭირივით მოუშორებელ მანქანასო. სახელდახელოდ გავამართვინებ და მერხეულისკენ გავქუსლავო.

იქნებ ქუჩაში მაინც გამოვაგოროვო სტარტერით, საჭეს მიუჯდა გასაღები გადაატრიალა და ძრავა ამუშავდა. ეს მართლაც სასწაულს ჰგავდა. თანაბრად, მსუბუქად, საათივით წიკწიკებდა კოჩას „მოსკვიჩი", საკისრების ხმაც კი არ ისმოდა.

ჩაჯდა, უკაცრიელ პროსპექტზე გავიდა. ჩააქრო, ისევ აამუშავა. ელვის სისწრაფით ცვლიდა სიჩქარეებს. ხან გამეტებით დააჭერდა გაზს, ხან ერთბაშად აუშვებდა. მანქანა სრულ წესრიგში გახლდათ.

სიბრაზისაგან ტუჩები გაუშრა და ნერწყვი გადაყლაპა.

...პრორექტორ ოთარ გაზრდილიას ჭიშკართან სიგნალი მისცა და პერანგისამარა გამოსულ მასპინძელს სანადირო თოფი სთხოვა იხვზე გავივლითო. ჭალარა, ლამაზი პრორექტორი კოჩას წასვლის შემდეგ კარგა ხანს იდგა თავის ჭიშკართან და თავს ეკითხებოდა: — კოჩას ნადირობა კაცს არ გაუგია, ხომ არაფერი ჩაიფიქრაო, ამ ყმაწვილმა.

მოსკვიჩმა კოდორის ხიდიდან მარჯვნივ ჩაუხვია და ჭყანტობს მიადგა, შორიახლო ისმოდა თოფების გრიალი. სოხუმის მონკავშირის წევრები ერთგულად სწვავდნენ ვაზნებს, ისეთ საეჭვო საქმეზე, როგორიც გახლავთ ოთხმოცამდე მეტრის სიმაღლეზე მფრენი გამამაძაღლებული იხვის მოკვლა.

კაცმა არ იცის მოკლავს თუ არა იხვს კოჩა გუნია (სხვათაშორის სანადიროდ იგი პირველად მიდის), მაგრამ თავისი, ძმასავით თანშეზრდილი „მოსკვიჩის" გამყიდველი დღეს რომ არ გახლავთ, დასახვრეტად მოვაწერ ხელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განთუა

რაკი ეგრეა, ერთ ამბავს მეც გიამბობთ. ცოტა უჯერებული მოსაყოლი კია, მაგრამა ქალი არავინ გვისმენს და გავბედავ. ხათრიჭალელ განთუას, მთელი გარეკახეთი იცნობს. დიდი ბედენა ვინმე არ გეგონოთ, სოფლის მაღაზიის ნოქარია. რაც ეს ოინი უყვეს ძმაკაცებმა, თავის ფერფურზე ვეღარ არი, ყურებჩამოყრილი დგას დახლში. ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო, ხომ გაგიგიათ — სუყველგან ხაფანგი ეჩვენება. ყველას ეჭვის თვალით უცქერის. იმ დღესაც ვიღაცას მანქანა გაეჩერებინა, განთუას მაღაზიაში შემოსულიყო, მგზავრი, უბრალო. ეკითხება გამყიდველს: ეს რა ღირსო, ის სადაური საქონელიაო, განთუა კიდე დგას თურმე დახლში და იბღვირება. არაფერი ეყიდნა იმ კაცს, რავი განა მაღაზიაში აუცილებლად რამე უნდა იყიდო, ისეც ხომ შევსულვართ, უსაქმოდა. კარებში დასწეოდა იმ საწყალსა განთუა, მე ვიცი შენ აქ რისთვინ შემოხვედიო, დასაცინი თქვენკენ მოიკითხეო, ვინც ეგ ამბავი გიამბო, შენი ჭკუისაა ისიცაო. აქ მეორედ აღარ დაგინახო, თორემაა, ვინ იცის, იქნებ ეგ ფეხები ძირში მოგატეხოვო. ერთი მოეხედნა იმ კაცსა, ე ვინ დასაბმელი გიჟი დაუყენებიათ აქაო, ჩამხტარიყო თავის ჟიგულში და ცხრა მინდვრის აქეთ აღარ დამდგარიყო.

ალბათ სული დაგელიათ, ეს დროული კაცი რას მიედ-მოედება, ბარემ თქვას და გაათავოსო. ვიტყვი და გავათავებ კიდეცა. იმ დღეს თურმე რაიკავშირის კრება ყოფილიყო და განთუას მაღაზია ადრე დაეკეტნა. ბიჭებს ციგნი მკითხავი დაეჭირნათ და ზედ გზაზე დაეხვედრებინათ. იცოდნენ, სადაც უნდა გამოევლო. სულ დამავიწყდა, ცოტა არ იყოს პურძვირი კაცი ყოფილიყო ჩვენი განთუაი. ვილას დავუმალო, იმ მაღაზიაში მარტო ჩემი სარგებლობითვინ როდი იდგა, ზოგჯერ თავისკენაც ითლიდა და კარგა მსუქან ნაჭრებსაცა ითლიდა მაგრამ მის ოჯახში წლიდან წლამდე ჭიქა არ აიწეოდა. სამი შკოლიწლის ქალიშვილი ჰყავდა თურმე და ძალიანაც სწუხდა უვაჟობასა. რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენი ჭირიმე, დაერიგებინათ თურმე ციგნი მკითხავი ბიჭებსა, ეგერ რომ კაცი მოდის, განთუა ჰქვიან, ხათრიჭალაში ცხოვრობს, ერთი ცოლი და სამი ქალიშვილი ჰყავს, როგორც ბლაღოჩინი წირვას, ისე ელოდება ბიჭს, მაგრამ არაფერი გამოსდის. დანარჩენი კიდე შენ იცი და შენმა ქალობამაო. ეგრე და ეგრე უთხარ, ესა და ეს დაავალე, ფული გამაართვი და ბიჭის იმედი მიეციო. დაუმოძღვრავთ განთუას ძმაკაცებს მკითხავი და იქვე, ბუჩქებში მიმალულან. ციგანს კიდე რა დარიგება უნდა, ისედაც გემრიელად სტყუის მკითხაობის დროსა.

გადაუდგება თურმე ის შავტუხა ციგანი ქალი განთუასა, გინდა თუ არა უნდა გიმკითხაოო. გამშორდი ქალო, თქვენისთანებისა აღარაფერი მჯერა, კრებაზე მიგვიანდებაო, გარბის განთუა. წინ განთუა და უკან მკითხავი, წინ ხათრიჭალის ნოქარი და უკან ფეხშიშველა მარჩიელი ხელში კარტით და თავის ფაშფაშა კაბითა. „შენ განთუა არის, ცოტა ჭკუა და ფული გინდა, შენი ბედი აქ არი" არ ეშვება ციგნი დედაკაცი განთუასა. „განთუა არიო?" შედგა და მობრუნდა თურმე განთუაი, „აბა იქნება ისიც იცი, ვინა ვარ და სადა ვმუშაობო", უკითხავს. მკითხავს ცარიელი ხელისგული უჩვენებია, შენ ხელის ჭუჭყი მაიტა, ეგეთ რამეებს გეტყვი, თმა ყალყზე დაგიდგებაო. ამოაცოცა განთუამ წითელყურიანი თუმნიანი ჯიბიდანა, ამააცოცა და გაუტკაცუნა ხელისგულზე მკითხავსა. „შენ განთუა არის, ხათრიჭალის მაღაზიაში არის, შენთან სამი ქალიშვილი არის, ვაჟი ზალიან გინდა". მოუყრია იმ ქალს ტყვიამფრქვევივითა.

რევაზ მიშველაძე

ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა ციგნი მკითხავს ენაზე რა ჰალი მოედება. წამხდარა განთუაი, მიუხედ-მოუხედავს, ჩაუვლია ხელი მარჩიელითვინა, აბა, შენ გენაცვალე, ჩემო მხსნელო და მშველელოო, კიდევ რას მეტყვი ახალსაო.

რაკი დაუნახავს მკითხავს, რომ განთუა მოჯდა ალჩუზედა, მეორე თუმნიანიც დაუცანცლავს მისთვინა, დაუჭერია თავის ჰუჰყიან ხელებში განთუას ნიჩბისოდენა მარჯვენაი და მითამ ზედ კითხულობდა, სხაპასხუპით ჩაუმარცვლავს: „შენ განთუა არი. სამი ქალიშვილის მამა არის, დალონებული არის შენი გული. რატომ ეს სამი ქალიშვილი შენთანა? ახლა ერთს გეტყოდე, თუ ზუსტად შეასრულებდე, ცხრა თვის თავზე ვაჟიანობა შენს ოჯახში იყოს. ყური დამიგდე: დღეს მზის ჩასვლამდე შენს ცოლს სამჯერ ჰიპზე აკოცებდე. ერთ კარგ ჭედილას დაჰკლავდე, შარშანდელ სამკოკიანს მოხდიდე და ერთ კარგ ქეიფს გამართავდე. თუ ამას ზუსტად ასრულებდე, ცხრა თვის თავზე ბიჭი კალთაში ჩაგიგორდეს, თუ არა და მერე ნუღარ დამენდურებოდეს განთუაი", ზუსტად ისე უთქვამს ციგნი მკითხავსა, როგორც ბიჭებმა დაარიგეს.

კატას ეუვანი შებმული აქვსო, წამოსულან განთუას ძმაკაცები, მისდგომიან ნოქრის კარსა, განთუასთან საქმე გვაქვს, თუ შინ არისო? ცოლითვინ უკითხავთ. განთუას ეგრე ადრე სახლში რა მაიყვანდა, ავად კი არ არის. განა თქვენ უკეთ არ იცით, სადაც იქნებაო, გაოცებულა განთუას ოჯახობა — საბუეთელი ფაციაი ამ უდროო სტუმრობითა. ჩვენ კიდე ისეთი საქმე გვაქვს, რომ ხვალამდე ვერ მაითმენს, შენ ნარდი გამოგვიტა, აქ დაველოდებით, უპასუხნიათ ბიჭებსა.

სხედან განთუას ძმაკაცები კაკლის ქვეშ და ნარდს ამღერებენ, განთუა კი ამ დროს ეკლებზე ზის. რომელი კრება დამთავრებულა დროზე ადრე და მითუმეტეს რაიკავშირის კრებაი. მიედმოედებიან მოკამათენი, განთუას გონება კი სხვაგანა ჰქრის. ფანჯარას მიშტერებია სამი გოგოს მამა და ჩამავალ მზეა შეჰყურებს. რაც კრებაზე ითქვა, ერთი სიტყვაც არ გაუგონია. თავის მომავალ ვაჟზე და ციგნი მკითხავზე ფიქრობს. ბოლოს, როცა მზის ჩასვლამდე ოთხი თითისდადება დარჩენილა, წამომხტარა განთუაი და ცოფნაცემივით დაუყვირნია: — თქვენ აქა ჭოტის თავები გამაგსხმიათ, ზლაპრებსა ჰყვებით, მზე კი ჩადის და ჩემი ვაჟის, ბედი ნიავქარდება. თქვენა ჩემი სატკივარი ფეხებზე გკიდიათო. გაწეულა კარებისკენა, მაგრამ გზა გადაულობავთ. რას სჩადი, კრება ჯერ არ დამთავრებულა, ჯერ დადგენილება არ მიგვილია, შენ ჭკუაზე აფრაკად ხომ არა ხარო. გაიწით, თქვენცა და თქვენი დადგენილებაცა, ბიჭის საქმე მეღუპება, რა დროს დადგენილებააო, შემოუბღერტავს განთუას მეკრებენი, დაუკრავს ფეხი და გამოქცეულა.

ნათლიმამისთვის კარგა მოზრდილი ჭედილა შეუწერია, გამოუგდია შინისკენ და გამალებული მორბის. მზე ჰა და ჰა, სადაცაა ქედს მიეფარება. ჩამოვარდნილა განთუა თავის ეზოში, მონარდეთათვის ზედაც არ შეუხედავს. ჭედილა სარზე დაუბამს და ცოლისკენ გაქცეულა. ფაციას თონე გაეხურებინა და ცომსა ზელავდა. შევარდნილა განთუა სამზადში, სარკმელი გამოუღია და ცოლს უყვირის: „დედაკაცო, დედაკაცო, ახლავე აქ გაჩნდი, გეყურება!" ფაციას ცომიან ხელებზე წყლის გადავლებაც ვერ მოუსწრია. ამ კაცს რაღაც სჭირსო, გაუვლია გუნებაში და იმ წამსვე იქ გაჩენილა. „ჩქარა დედაკაცო, მზე ჩადის, სამჯერ ჰიპზე უნდა გაკოცოვო" შეუკვეთავს განთუასა და ცოლს მკლავზე წაპოტინებია. „ოი, მეხი კი დაგაყარე, მე ფარცაგი რამ მეგონა, თავიდან მომწყდი თორემა, იქნებ, ეგ ქვასანაყი ზურგში გდრუზოო", ალრენილა ფაცია. „შე სულელო, ახლა ახსნის დრო არ არი, მერე გეტყვი ყველაფერსაო" არ იშლის თავისას თურმე განთუა. ფაციას უფიქრია, გამიგიჟდა ქმარიო, შატრიალებულა და გაქცეულა.

ურტყამენ წრეებს კერიასა ფაცია და განთუაი. ბოლოს უმარჯვენია ნოქარსა, დაუჭერნია ცოლი და როგორც მკითხავმა დაარიგა, სამჯერ ჭიპზე უკოცნია.

...მეთვრამეტე სადღეგრძელო ასეთი უთქვამს ხათიჭალელ რაფიელსა: „მოდი, ამ სასმისით იმ ხარირემს გაუმარჯოს, მზი ჩასვლამდე ჭიპზე რომ ჰყოცნის თავის ფურსა, აქაოდა ბიჭი მეყოლებაო". მიმხვდარა ყველაფერს განთუაი, შემხტარა და შემოტრიალებულა, მაგრამ რაღა დროს. სტუმრებს ხომ ვეღარ დაიფრენდა: ხარმა თქო: თქვენ დასაბმელი მიშოვნეთ, დასაწოლს მე ვიშოვიო, რაკილა განთუას სამკოკიანს თავი უწყეს, დილამდე უქეიფნიათ [illegible] ხოვნია-გახმაურებით მაინც ნუღარ გაახმაურებთ ამ ამბავსა, მთელს დუნიაზე თავი მომეჭრებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავი, რომელ ძმაკაცს აეშალა სადღეგრძელი, ვინ მოხსნა თავი გუდასა, ეგ არი, მეორე დღესვე მთელმა სოფელმა იცოდა განთუას თავზე დატრიალებული ოინბაზობა.

განთუასა მეც კარგად ვიცნობ. არ მიყვარს ქილიკობა, მარტო თქვენ გიამბეთ ეგ ამბავი, განთუას მზემა, სხვებს განა ვუამბობდი.

ჯორი

ჰყინავს.

ხეებს ჩრდილი როგორც კი მარცხნივ მოექცა, ქარმა წამოუბერა და სუსხმაც იმძლავრა.

„წანწალიია ამინდს" ეძახიან ასეთ ამინდს ჩვენში.

ამ ტყეს დღის სინათლით თუ გავაღწიე, საკურდღლიას სერიდან სოფელი გამოჩნდება და მთვარის შუქზეც იოლად გავიგნებ გზას.

მთელი დღე მზის გულზე ვიარე. შუადღისას დამცხა კიდეც და ტყაპუჭი ნახევარი გზა ხელზეგადაკიდებული მომქონდა. ქარი რომ აკვნესდა, თოვლჭყაპი მალე შეკრა და ჩემს ფეხქვეშ ხრაშუნი უფროდაუფრო გამოკვეთილად ისმის.

— ძმობილო! — ისე ახლოს მომესმა, რომ მოულოდნელობისაგან კინაღამ განზე გადავხტი.

ფიქრებში გართულმა ვერც კი გავიგე მხედრის მოახლოვება.

— გამარჯობა! — ან ჯორზე ზის და ან მომცრო ტანის ცხენზე, „ხევსურულს" რომ ეძახიან.

სალამზე რომ ვუპასუხე, ჩემსკენ გადმოიხარა და მოკრძალებით მკითხა:

— ყურები თეთრი მაქვს?

— რაი?

— ყურები თუ მაქვს თეთრი.

ამ ულმერთო ყინვაში ქუდი არ ახურავს. ოცდაათიოდე წლის კაცია უზანგებში გაყრილი ფეხები გაშლილი უჭირავს. ხუჭუჭა თმა ყინვისაგან ისე გაჩიკინებია, რომ ორთქლის აბანო ვერ გაალღობს. უხელთათმანო მარჯვენაში მათრახი უჭირავს. ბრტყელი სახე აქვს და დიდი პირი. გამოხუნებულ წარბებზე თრთვილი ადევს. რაც შეეხება ყურებს, თეთრი არა, მაგრამ წითელი კი აქვს, რაც დაუფარავად მოვახსენე.

— თეთრი ხომ არ არის და წითელს არა უშავს — ღრმა დაჯერებით ამიხსნა.

— გეწვის?

— ამეწვა კი. ასე გვიანობამდე არ ვაპირებდი დარჩენას. დილით თბილოდა და ქუდი არ დავიხურე, ეს ოხერი.

— ჰყინავს.

— დაკვირვებული ვარ თებერვალში ჩვენთან უფრო ცივა, ვიდრე იანვარში.

— აქეთ?

— ზემო სოფელში ვცხოვრობ. ქარჩხალს ვეძახით.

— ქარჩხალი ვიცი. ქარჩხალში ბერძნებიც ცხოვრობენ?

— ცოტა ბერძნებიც არიან.

რევაზ მიშველაძე
ნოველები

— ბერძნები რალამ ამოიყვანა ამ სიმაღლეზე.

— რა მოგახსენოთ. ბაბუაჩემი იტყოდა: ეგენი ჩვენზე ადრე დასახლებულან აქაო.

— შეიძლება.

გასწრებას არც კი ფიქრობს. მგელი მგელს ეძებს ამ ძვალხვრეტია ყინვაში და რა გასაკვირია, კაცმა კაცის სიახლოვე ისურვოს.

— ხომ არ დაიღალეთ, ჯორს დაგითმობთ — თავაზიანად შემომთავაზა.

— გმადლობთ, ბატონო. ფეხით მირჩევნია.

— ქალაქიდან ბრძანდებით, ალბათ.

— კი, მაგრამ, ფეხით სიარულს გადაჩვეული არ გახლავართ. მთამსვლელი ვარ. ყოფილი, უფრო სწორედ.

— აქ?

— ბანაკი გვაქვს გაღმა. ალპინისტებს ვავარჯიშებ.

— აგაშენათ, ეგ კაი საქმეა — ჩამოქვეითდა — ცოტა მუხლს გავმართავ.

ცოტა ხანს უბრად ვიარეთ. მეწამული მზე ზურგზე გვაფენს უკანასკნელ სხივებს და ჩვენი გაწელილი ჩრდილები თოვლზე დინოზავრის ჩონჩხებს წააგავს.

შეჩერდა, მომიბრუნდა და დამაცქერდა.

— უკაცრავად ვიყო. არც ახლა მაქვს ყურები თეთრი?

— არა ბატონო. თოვლით დაიზილეთ, თუ გეწვით.

— თოვლი უარესს მიზამს. ამ ერთი კვირის წინათ მომეყინა და შეშინებული ვარ.

— დაბამბული ქუდი უნდა დაიხუროთ, ჩემგან არ გესწავლებათ.

— ჩვენ ცხვრის ტყავის ქუდები ვიცით, ფაფახს ვეძახით, მაგრამ სუნს ვერ ვიტან, ეს ოხერი. საერთოდ ქუდს ვერ ვეგუები.

— ჯერ ახალგაზრდა ხართ, დრო მოვა მიეჩვევით.

— გაგიკვირდებათ, ალბათ, ჯორზე რომ ვზივარ. ჯორი ვილას ჰყავს ახლა. ჩვენს სოფელშიც მარტო ეს ჩემი ჯორია, მართალია, ცხენის მუხლი და წევა ამას არა აქვს, მაგრამ მიყვარს ეს ოხერი. შევეჩვიე. გასაყიდად არ მემეტება. გულისხმიერი პირუტყვია. ჩემი რომ არის იმიტომ არ ვაქებ. დღეის სწორის ამბავს მოგახსენებთ და თავად განსაჯეთ: ბინებში გახლდით მაღლა, მეცხვარეებს ფოსტა ავუტანე. ფოსტალიონი დაგვიბერდა და საძოვრებზე კი არა, სოფელშიც ძლივს დააჩოჩიალებს ჩანთას. იქ, როგორც იფიქრებთ, ცოტა გეახელით კიდეც და მთვრალ კაცს ხომ თავისი ხუშტურები აქვს — ვილაცის რალაცა არ მომეწონა, ავიხირე; ამალამ უკან უნდა გავბრუნდე მეთქი. გიჟი მიუშვი ნებასაო, ხომ გაგიგონიათ. ჩემი დაკავება არც უცდიათ, იციან რა ღვთისპირიდანგადავარდნილი გახლავართ. თუ ვთქვი რამე, განსაკუთრებით სიმთვრალეში, მორჩენილი ამბავია. ჩემს სიტყვას არ გადავალ. შევკაზმე ჯორი და დავადექ გზას სოფლისაკენ. სად მიდიხარ ამ წკვარამში? თოვს, თვალთან თითს ვერ მიიტან. ეს ადგილები ცუდად როდი ვიცი, ამ ტყე-ღრეში მაქვს ჰიპი მოჰრილი, მაგრამ რამე ხომ უნდა დაინახო. ბილიკი ისე ამოულესია ნამქერს, რომ მამაზეციერიც ვერ გაარჩევს. სამიოდე კილომეტრი ასე აჩა-ბაჩად, უკომპასოდო, რომ იტყვიან, ვიარეთ. გზა რომ საბოლოოდ დავკარგე, ცოტა არ იყოს შიში შემეპარა. ყველაფერს რომ თავი დაანებო, ნადირი შეიძლება დაგაცხრეს თავზე. ყვირილი დავიწყე, მაგრამ გაციებულს ხმა მალე წამერთვა. უქუდოდ ვარ, ყელ-კისერი ისე მაქვს თოვლით ამოტენილი, რომ სულის მოთქმა მიჭირს, ჯანდაბას ჩემი თავმოყვარეობა, უკან გავბრუნდებოდი, მაგრამ გავიგნებ გზას? ამასობაში ცოტა გამოვფხიზლდი და გამახსენდა, რომ ქვევით „დევის ნამუხლარს“ რომ ვეძახით, ტყეში, პატარა მინდორივით არის და იქეთობას შევნიშნე, გაღმა სოფლის მეჯოგეებს კარვები დაუდგამთ. იქნებ იმ კარვებს მაინც მივაგნო! კარგა ხანს ვიარე ასეთ დღეში. ერთიც ვნახოთ,

ჯორი გამოიჩნდა. ჩემს დაბინდულ გონებას ძალას ვატან, გუმანით ვიცი, რომ „დევის ნამუხლარი“ მარჯვნივ უნდა იყოს. მოვქაჩავ აღვირს მარჯვნივ, ჯორი დამყვება, ხუთიოდე ნაბიჯს გადადგამს, უცებ ჯიუტად დაიქნევს კისერს და მარცხნივ გავარდება. მოვუღრეჯ კისერს. კვლავ მარჯვნივ შევაბრუნებ. გაგიგონია? მაინც მარცხნივ იწევს. ესღა მაკლია. ვაჭამე ერთი ორი მათრახი, მაგრამ ვერა და ვერ დავიყოლიე. ხელები და ყურ-ცხვირი ჩემი აღარ არის. ლამის ვიტირო ამხელა კაცმა, „რა გინდა, რას მერჩი ჩემი სიკვდილი გინდა, შე ღმერთგამწყრალო?“ — ვეუბნები ჯორს. არაფერი ეყურება. ვქაჩე მარჯვნივ და ბოლოს სულ დადგა. მიადგა ფეხები და აღარ იძვრის, რა აღარ ვიღონე, ვურტყი, ვეფერე, უკნიდანაც (თქვენთან ბოდიში მომითხოვია) მივაწექი, მაგრამ ნაბიჯი არ გადადგა, ფეხი არ მოიცვალა. ვიყინები, ილაჯი აღარა მაქვს. გაგებული მქონდა, ასეთ დროს პირუტყვი უნდა დაკლა და ფაშვში უნდა შეძვრე. დავაძრე ხანჯალი, მაგრამ ხელი აღარ მემორჩილება. ყველაფერი ერთბაშად გამახსენდა, რა სამსახურიც ჩემთვის გაუწევია ამ დალოცვილს. ვერ დავკარ, ვერა. მივატოვე და მარტო მივარღვევ თოვლს. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამომდის, ახლა იმაზე ვფიქრობ, მკვდარს მაინც მიპოვნიან თუ არა. ჩაიჩუმქრები თოვლში სადმე და გაზაფხულამდე ვინ მოგაგნებს. ასეთ ყოფა-წამებაში ალბათ კილომეტრამდე გავიარე. ადამიანი ძაღლზე უარესია. რომ გგონია, მეტს ვეღარ შევძლებო, სწორედ მაშინ გაქვს ერთი ჭყანა ხელებში, სიცოცხლის დასაცავად რაღაცა თადარიგივით აქვს შენახული ჩვენს ძარღვებში ღმერთს. ბოლოს, ყველაფერს აქვს საზღვარი, და ძალაც გამომელია. ფარ-ხმლის დაყრას ვაპირებდი, ჩემს წინ რომ ქოხი აღიმართა უკუნეთში. მაშინვე ვიცანი მონადირის ქოხი. სად წამოვსულვარ. სოფლის გზას ავცდენილვარ და ხევსგაღმა, ზემოთ, კუპრატყეში ამომიყვია თავი. მივაწექი კარებს. ღმერთს არ ვყოლივარ განწირული. მონადირეებს წესად აქვთ, ქოხში ფიჩხსა და ასანთს უეჭველად დატოვებენ. ასანთი, რასაკვირველია, ნესტიანი იყო. ჩემი მოყინული ხელებით ვერა და ვერ მოვუკიდე. წარმოგიდგენია? ბოლო ღერი შემრჩა. ან უნდა აინთოს, ან უნდა გავიყინო ამაღამ. აინთო. რაღაც არსებობს, არ უნდა ლაპარაკი. აბა რაღა ის ბოლო ღერი აინთო? გავაჩაღე ცეცხლი და ახლა კაცი ვარ. ყურები მოჭრილივით მეწვის, მაგრამ ყურებს დავეძებ? ისე გავთამამდი, რომ დილისკენ ცოტა არ იყოს, ჩამთვლიმა კიდეც. ანგელოზების დილას ეტყვიან — მზიანი, წყნარი, უქარო — სწორედ რომ ისეთი დილა გათენდა. გამოვიხურე ქოხი და თოვლს აღმა შევყევი. რაღაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემი ჯორი უნდა ვიპოვო, მკვდარი ან ცოცხალი. გამოვვლე ხევი. ავყევი აღმართს და ესეც შენი „დევის ნამუხლარი“. მეჯოგეების კარვებიდან კვამლი ამოდის. მივედი კარვებთან, აგერ არაა ჩემი ჯორი? თბილ კარავს ზურგით მიყუდებია და ფრუტუნებს. მოვკიდე აღვირში ხელი და გზაზე გამოვიყვანე. ეტყობა, წუხელის თოვა ადრე შეწყდა, ნაკვალევი ჩანს. სულელო, ჩემო თავო. ოციოდე მეტრზე ვყოფილვარ წუხელის ამ კარვებიდან. აგერ, ა, ხელის გაწვდენაზე აგვიქცევია. თურმე ჯორი რომ მარცხნივ გავარდება, ზედ კარვის კარებს მივადგებით. იცის თურმე თავის საქმე. მე ვყოფილვარ ჯორი, ეს კი არა. სად წავსულვარ, საით გამიხვევია. ახი არ იყო ჩემზე რომ დავღუპულიყავი.?

— საინტერესო კია. მსგავსი ამბავი ბევრჯერ მსმენია. ხედავს ნეტა ღამეში პირუტყვი?

— ხედვაზე რა მოგახსენო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი, ისე ბნელოდა. მაგრამ გრძნობს კია. რა ვიცი, ყნოსვით გრძნობს, გუმანი აქვს? ცხოველია მაინც. ხომ იცით, ნადირი ამაღამ მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეს შემოირბენს და ბოლოს მაინც თავის სოროში შეძვრება. ასე მოხდა ჩემო ბატონო, სწორედ დღეის სწორ პარასკევს შემემთხვა ეს ამბავი. არ არის ახლა ეს ჯორი დასაფასებელი? მითხარი ერთი. იქნებ შვილმა ვერ გცეს ხანდახან ისეთი პატივი საქონელი რომ გცემს.

ტყიდან რომ გამოვედით და ჩავივაკეთ, ფათერაკებიანი ოსი კვლავ გადმოიხარა ჩემსკენ.

— ძალიან მეწვის ეს ოხერი. ერთხელ კიდევ შემავლეთ თვალი თქვენს გახარებას, ყურები თეთრი მაქვს ხომ?

— არა.

— აბა რა ჯანდაბა მოუვიდათ. თითქოს მარწუხს მიჭერენო. ფაფახი უნდა ვატარო აწი, სხვა გზა არაა.

ნელი ნიკურაძე

დირექტორმა, რასაკვირველია, პროექტი დამიწუნა, მაგრამ მიღებით ტკბილად მიმიღო. ეტყობა, კარგ ხასიათზე იყო ამ დილით და ცოტა იმაზე მეტიც მითხრა, რაც ევალებოდა. შენაო, ნიჭი არ გაკლია და მიკვირს, ასეთი გულუბრყვილო რატომ ხარო. ხშირად ვფიქრობ შენზე, რაღაცით ვერა ხარ სრულყოფილი კაცი. სადღაც ერთი ჭანჭიკი დაგაკლო გამჩენმაო. მოკლედ რომ გითხრათ, მიეთ-მოეთებით მიმახვედრა; ეს კონკურსები რომ ცხადდება, შენ მართლა კონკურსები ხომ არ გგონიაო. ჭეშმარიტმა არქიტექტორმა სათუოდ რატომ უნდა გაიხადო საქმეო. რა ტყუილად ხარჯავ ოქრო ენერგიას, მეცოდები პირდაპირო. წინასწარ ვიცით ვისი პროექტი უნდა გავიდეს ჩვენც და პროექტის ავტორმაცო. ბავშვი აღარა ხარ, ან თავს რატომ იწვალებ და ან ჩვენ რაღაზე გვამაიმუნებო. კანიდან ვძვრებით რაიმე ნაკლი რომ მოვუძებნო ამ შენს ოქროსავით პროექტსო. ვხვდებოდი, მაგრამ მთლად ასე თუ იყო საქმე, არ მეგონა-მეთქი, გავუცინე და ხელი ჩამოვართვი. ისე კეთილად და თანაგრძნობით მიცქეროდა დირექტორი, რომ ჩხუბი და ლანძღვა-გინება არ დამიწყია, ისედაც ბევრს მოვაბეზრე თავი. გამომაცილა და დერეფანში შემოფეთებული ქალიშვილი ხელით გააჩერა — გაიცანი, ეს ცნობილი არქიტექტორი კოკი გახოკიძეა, ეს კი ჩვენი ახალი თანამშრომელი — ნელი გახლავთო, წარგვადგინა ერთმანეთს.

იცით როგორ ჩამომართვა ნელიმ ხელი? დუბლით დაღლილი კინომსახიობი რომ იქნება. დარწმუნებული, ფილმში პირველივე კადრი რომ მოხვდება და ახლა რეჟისორის ჭირვეულობასღა რომ აკმაყოფილებს. თითქოს ათასჯერ შევხვედროდით ერთმანეთს. არც გაოცება, არც ხელოვნური — „ნუთუ მართლა? სასიამოვნოა სასიამოვნო“. მკერდზე აფარებული მუყაოს საქაღალდე მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა რომ გამომიწოდა, საოცარი რამ ვიგრძენი: მე რომ არ გამეშვა, თვითონ ხელის წაღებას არ ჩქარობდა, თითქოსდა სამუდამოდ მიტოვებდა თავის თბილ, ჩიტივით მსუბუქ ხელს ნევროზისგან გალიგვებულ ჩემს უხეშ თითებში. ოციოდე წლისა იქნებოდა. ახალმოშინაურებული ირმის მიმოხვრა ჰქონდა. თვალი რომ გამისწორა გარემოების გამო იძულებით შებოჭილი ველური ცხოველის მზერა დავიჭირე. თითქოს თვითონაც იგრძნო თვალებმა რომ გასცეს და განზე გაიხედა. მაღალი იყო, ამორძალივით გაშლილი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ოდნავ მაღალი და თხელი, აწეული ცხვირი და ამობურცული ვარდივით ამოსული ტუჩები /ასეთი ტუჩები მხოლოდ ამ ასაკის გოგონებს აქვთ/. საქაღალდე ისევ მარჯვნივ გადაიტანა — თუ შეიძლება წავალ, ბატონო ნოდარ, მეო, დირექტორს შეანათა მეტყველი, მომნუსხავი თვალები, კარგად ბრძანდებოდეთო, თქვა და დერეფანს გაუყვა საჩ-

იხეში შეტყუებული ირმის მსუბუქი, მაგრამ შფოთიანი ბაკიბუკით.

მთელი დღე ჩემს გასაცოდავებულ საქმეებს გადავყევი და, სიმართლე გითხრათ, ნელი არც გამხსენებია. არქიტექტორთა კავშირში შევიარე, კაცს დაველაპარაკები, ცოტა გულს გადავაყოლებ-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მსიამოვნებს იქ ყოფნა. ერთადერთი ადგილია, სადაც შემიძლია დილიდან საღამომდე უსაქმოდ ვიდგე და კაციშვილი არ მკითხავს, ვინ ხარ, აქ რა გინდაო. კოლეგას დაელაპარაკები, პატარა იმედს შეიყუჟებ გულში და წახვალ შენს გზაზე. სხვა დაწესებულებებში მე მარტო „საქმეებზე“ დავეხეტები. თუ როგორ მიდის ჩემი „საქმეები“, ეს მხოლოდ მე და ჩემმა ცოლშვილმა ვიცით, მაგრამ მაინც ვფართხალებ რიყეზე ამოგდებული თევზივით. აზრები მაწუხებს, ხელშეკრულებებს ვაწერ ხელს, პროექტს ჩავკირკიტებ, ხან რისი აგება მინდა, ხან რისი გადაკეთება. დავდივარ ამ ჩემი ჩანაფიქრებით ერთი კაბინეტიდან მეორეში. ყურადღებით მისმენენ, ღიმილით მეთანხმებიან, ხელს მართმევენ კი არა, ხშირად თავაზიანადაც გამომაცილებენ. ამით ყველაფერი მთავრდება. მიამიტი კაცი არ გეგონოთ, მე კარგად ვიცი, რომ იმ კოჰორტის წევრი არა ვარ, იმ წრეში არ ვტრიალებ, იმ მაგიდას არ ვუზივარ, მაგრამ მე ჩემი ცხოვრების წესი მაქვს და ბებერი კავალერისტივით სასაცილოდ გავიჭიმები ხოლმე, როცა ორკესტრი გუგუნებს. თუმცა კარგად მესმის და ვხედავ, რომ ის ორკესტრი ჩემთვის როდი უკრავს. განზე დარჩენილი კაცისგან, არც არავინ ითხოვს იმის ნახევარსაც კი, რასაც ვაკეთებ, მაგრამ, ჩანს სხვანაირად არ შემიძლია და სიმართლე გითხრათ, დაწუნებულ პროექტს რომ იღლიაში ამოვიჩრი და შინ მივდივარ, ხელმოცარულობის განცდა არასოდეს მეუფლება და არც უბედურ კაცად მომაქვს თავი. ჩემი ოჯახის სარჩენი ფული რომელიღაც ინსტანციაში უღალატოდ იჩითება. ასე რომ არ იყოს, ძალიან გამიჭირდებოდა. რომ მივდგებ-მოვდგები და თითქოს არსაიდან საშველი არ ჩანს, სწორედ მაშინ დამიძახებენ პროექტის თანაავტორად, ან სახელდახელო (არქიტექტორები „ხალტურას“ ვეძახით) საქმეს დამავალებენ და თითქოს ჩემს გულში ისხდნენო, ჰონორარსაც წინასწარ იძლევიან. ამიტომაც ნერვებს არ ვიწეწავ და ხვალინდელი დღის შიშიც როდი მღრღნის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი პურის ფული უკვე დევს რომელიღაც მაგიურ კარადაში და ხვალ ან ზეგ თეფშით მომართმევენ.

მახარობლიშვილი თავისი კაბინეტიდან გამოვიდა და თავმჯდომარის კაბინეტისკენ გულმოსული რომ გარბოდა, დამინახა და თავი დამიქნია. კარებთან, თითქოს რაღაც გაახსენდაო, შემოტრიალდა და ულვაში მოიქექა — კოკი რომ გავგზავნოთ? გახოკიძე, წახვალ აჩინჩარაში?

კედელს არ მოვშორებივარ, არ მიყვარს ზედმეტად ცეცხლოვანი, ცქვიტი ადამიანები. — რატომ, რა საქმეზე-მეთქი, მშვიდად ვკითხე.

თავმჯდომარის კაბინეტის კარი გამოაღო და შესძახა — კოკი გახოკიძეს გავგზავნი! სხვას მაინც ველარავის ვიპოვი! აქ არის, კი! — კარი მიხურა და მომიბრუნდა — აჩინჩარაში ხვალვე უნდა წახვიდე. აბანოს პროექტი სჭირდებათ. რაღაც ორიგინალური გვინდაო. არ გაგიჭირდება ეგ ამბავი. შენი პროექტებიდან (ალბათ დაწუნებულებს გულისხმობდა) რომელიმე გადააკეთე. შევთანხმდით. მანანა, გამოუწერე მივლინება!

ჩემს პასუხს არც კი დაელოდა, ღია კარებში ტუცა თავი. მდივან გოგონას მამის სახელი შევახსენე, დანარჩენი თვითონ იცოდა, მივლინების ფული ავიღე, დღის ბოლომდე გამომცემლობაში ვიყურყუტე და როგორც იქნა, მოიღეს მოწყალება, მაღირსეს შარშან რომ ჰკუასელის ნოველები გავაფორმე, იმის ორიოდე გროში. აწი წიგნს ალარ

გავაფორმებ. ჯერ ერთი, კაპიკებს იძლევიან და მეორეც ცხრაჯერ მაინც უნდა მიხვიდე და ღარიბი ნათესავივით ელოიჯო თავგაბეზრებულ ბუღალტერმოლარეებს.

ავტობუსის გაჩერებასთან იდგა, ლენინის ქუჩაზე, ფილარმონიის წინ. ხალხს გამოყოფოდა. განზე გამდგარიყო გაბუტულივით. ყავისფერი საქაღალდე ისევ ისე ეჭირა. მანქანებს ხელს არ უქნევდა, თავს ასწევდა მხოლოდ და ტაქსს მაღალი ყელის მოხდენილი მოძრაობით ანიშნებდა, თუ თავისუფალი ხარ, გააჩერეო. ფეხებთან დავუმუხრუჭე და წინა კარი გამოვაღე. ჩემს „ჟიგულს" ამრეზილად შეავლო თვალი და განზე გაიხედა.

— ქალიშვილო!

ზურგი შემაქცია. ამაოდ ველი რომ გამოიხედავს და მიცნობს.

— ამხელა კაცმა თავმოყვარეობა სად დაკარგე. ვერ გაეტევი შენს გზაზე? — დამგესლა ხელჩანთიანმა, მძიმე წონის მანდილოსანმა.

— ნელი! — სიბრაზისაგან გამშრალი ხმით დავუძახე.

— ბატონო კოკი! მაპატიეთ — თითქოს ხმაზე მიცნოვო, ერთბაშად შემობრუნდა, საქაღალდე გამომიწოდა და ევროპულად ჩაეშვა სავარძელში. ევროპულად-მეთქი რომ ვამბობ, არ გაგიკვირდეთ. მოსკოვში, შარშან, ერთმა ტაქსის შოფერმა ამიხსნა: ჩაჯდომის მანერაზევე ვცნობ, ვინ ევროპელია, ვინ მოსკოველი (რატომ გამოყო, არ ვიცი) და ვინ პროვინციელიო. პროვინციელები ჯერ თავს შემოყოფენ მანქანაში და მერე ხუთნაირად იგრიხებიან, სანამ სავარძელზე მოკალათდებოდნენო. მოსკოველები, რატომღაც, ჯერ ფეხს შემოდგამენ და მერე სხდებიანო. ეს გაცილებით უფრო მოსახერხებულია, ვიდრე თავის შემოყოფა ტაქსში. ევროპელები კი ელვისსისწრაფით ჯდებიან. კარს გამოაღებენ თუ არა, უკვე სხედან სავარძელში. სასიამოვნო საყურებელია მათი დაჯდომაო. ნელი, როგორც მოგახსენეთ, ევროპულად დაჯდა. საქაღალდე გამომართვა, უკან გადადო და თეთრი, ჩაწიკწიკებული კბილები შემომანათა.

— შეგაწუხეთ, ვინ იცის გეჩქარებოდათ.

— ასე რომ ყოფილიყო, არ გაგიჩერებდით, — რა უხეიროდ გამომივიდა, მაგრამ ენიდან გასულ სიტყვას ვეღარ დაიბრუნებ.

— თქვენ გინდოდათ გეთქვათ, გამიჩერებდით და ბოდიშს მომიხდით, რომ გეჩქარებათ. ხომ?

— დაახლოვებით. საით წავიდეთ?

— პავლოვის ბოლოში, ძალიან შორს ხომ არ არის? — შეშფოთებით მკითხა.

— არა. მეც იქეთ ვცხოვრობ.

— თქვენ ხომ ვაკის პარკთან ცხოვრობთ?

— საიდან იცით?- — რა მემართება, რა ცივად და უხეშად ველაპარაკები ამ ანგელოზივით გოგოს.

— ერთხელ დაგინახეთ. ვაკე-საბურთალოს გზაზე, მაღალფეხებიანი, თეთრი სახლიდან გამოხვედით.

გმირთა მოედნის წრეში კარგა ხანს ვერ შევედით, ვარაზისხევიდან მანქანების ნიაღვარი მოგვაწყდა.

მთელი ტანით შემობრუნდა და თითქოს სილა გამაწნაო:

— ბატონო კოკი, რატომ ხართ ცუდ ხასიათზე?

მოვხედე და შეშფოთებულ ირმის თვალებს რომ წავაწყდი, გამეცინა:

— მაპატიეთ, ეგ თქვენ არ გეხებათ... საერთოდ ამ ბოლო დროს მე უფრო ხშირად ცუდ ხასიათზე ვარ.

წინ გაიხედა და ფიქრიანად ჩაილაპარაკა.

— ვიცი.

საიდან იცის. ვერ ვიტან პატარა გოგოცუნების ყალბ, რომანტიკულ, ამოოხვრებით სავსე ლაპარაკს. ესეც ალბათ ისეთივეა, როგორც მისი ასაკის ლამაზმანთა უმეტესობა — ყურადღებით განებივრებული, ქარაფშუტა, ცხოვრებაუნახავი, ნოტებზე მოლაპარაკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორი კაცია თქვენი დირექტორი?

მცირე პაუზის მერე მიპასუხა.

— მე მგონი კარგი პიროვნებაა, იცით, მე შეიძლება ვცდებოდე, მე მხოლოდ ერთი თვეა მანდ ვმუშაობ. ჩემთვის კარგია. სამსახურში მიმიღო. ინსტიტუტში პროფილის ცნობა რომ არ მიმეტანა, გამომრიცხავდნენ.

— არქიტექტურულზე სწავლობთ?

— დიახ, დაუსწრებლად, მეორე კურსზე.

— მამა რა მოხელეა?

— მამა არ მყავს, ბატონო კოკი.

— ?

— ერთი წლის გახლდით, მამამ თავი რომ მოიკლა. დედამ და დეიდამ გამზარდეს.

— რატომ მოიკლა თავი?

— ვერ გეტყვით.

— არც დედამ იცის?

— დედამ, ალბათ, იცის, მაგრამ როცა ვკითხავდი, რაღაც სისულელეებს თხზავდა. შევატყვე რომ არ უნდოდა, სიმართლე ეთქვა ჩემთვის და კარგა ხანია მეც აღარ ვეკითხები.

— რა გვარი ხართ?

— ნიკურაძე.

ხელნაწერთა ინსტიტუტთან გამაჩერეს.

— რა უნდათ? — ეს არ იყო გულგრილი მგზავრის მიერ მოვალეობის მოხდის მიზნით დასმული შეკითხვა. აშკარად ჩანდა, ნელის არ უნდოდა, ჩემს უგუნებობას კიდევ ერთი მიზეზი დამატებოდა.

მანქანაში რომ დავბრუნდი, პირველ რიგში მისი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილე.

— რეიდია. საბუთებს ამოწმებენ. ტექდათვალიერება არ გამივლია და კინაღამ დამაჯარიმეს. ხვალ ვაპირებდი, მაგრამ ხვალაც ვერ მოვასწრებ, აჩინჩარაში მგზავნიან:

— რაზე?

— მივლინებით.

— რა კარგია. — ჩემსკენ არ იხედება. პროფილი ისე ლამაზი არა აქვს, როგორც ანფასი.

— რად გინდოდათ არქიტექტურული? — რაღაც ხომ უნდა ვკითხო.

— ამ შეკითხვას მხოლოდ არქიტექტორები მაძლევენ. ვიცი, ახლა თქვენ მეტყვით, ნერვების გლეჯის მეტს არაფერს მოგიტანს არქიტექტორობაო. ახლა არქიტექტურის საუკუნე არ არისო. თუ მოხდა და დამკვეთი დაიყოლიე, მშენებელი ისე გაათახსირებს შენს პროექტს, რომ ვეღარ იცნობო. მასალა არ არსებობს, ამიტომაც ყოველგვარ გადახრას გულისამრევი სტანდარტიდან, „არქიტექტურულ ზედმეტობას“ ეძახიან და ამოშანთვით ემუქრებიანო. შენ ლამაზი გოგო ხარ. შესულიყავი უცხო ენებზე, ან მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზეო. ეს, ყველაფერი, ათასჯერ მომისმენია და მაინც არქიტექტურულზე ვსწავლობ. დიდ ნიჭს ვატყობ-მეთქი თავს, ვერ გეტყვით, მაგრამ მიზიდავს ეს სპეციალობა. ძალიან მიყვარს.

— აგაშენა ღმერთმა, — ვთქვი და გულში დავაყოლე: ღმერთო, რა კარგია, რომ ასეთი „ჯიუტი“ ახალგაზრდები მოდიან არქიტექტურაში. ამ სიჯიუტეს, თუ ჭკუაც ახლავს, ისინი უთუოდ გაიტანენ ლელოს. ასეა, ბოლოს ნებისყოფა იმარჯვებს.

ტროლეიბუსების პარკთან, პავლოვზე, რომ ჩამოვუხვიეთ, კუთხის სახლთან გამაჩერებინა მანქანა. ამ სახლში ვცხოვრობ, მეხუთე სართულზეო. ის პატარა აივანი, წითელი პილპილის აცმა რომ ჰკიდია, ჩემიაო. აივნის კარი ღიაა, დედაჩემი მოსულია სამსახურიდანო. მაპატიეთ, ვერ გეპატიჟებით, არა ვართ ისე მოწყობილი, თქვენ რომ გეკადრებათო. დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვისო. კარი გამოაღო და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. საქაღალდე დაგრჩათ-მეთქი, მივაძახე. მოირბინა. ასეთი დაბნეული არასოდეს

ვყოფილვარ, რა მემართება, არ ვიცი. მორცხვად გაიღიმა, კიდევ ერთხელ მომიბოდიშა და წავიდა.

მოვდიოდი შინისაკენ და ვნანობდი, რომ ასე მალე დამშორდა. ბოლოსდაბოლოს კაცი ვარ, გასეირნება მაინც შემეთავაზებინა-მეთქი, ჩემს თავს ვტუქსავდი. ვინ იცის, კიდევ როდის შემხვდება შემთხვევით. ბოლოს დავასკვენი, რომ კარგად მოვიქეცი. ნელი ფლირტის ქაღალდის მოწოდების სიტუაციას არ ქმნიდა. ისე ალალად და გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ ჩემგან „კუს ტბაზე ხომ არ ავსულიყავით სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად" სრულიად უადგილო იქნებოდა. თავს გავიბითურებდი და მეტი არაფერი. იქნებ მომეჩვენა, იქნებ იგი უბრალოდ კარგად გაზრდილი გოგონა იყო, ან ისე ეშმაკი და ჭკვიანი, რომ ახერხებდა თავი მიამიტ გოგონად მოეჩვენებინა-მეთქი. ერთი გაფიქრება ესეც კი გავიფიქრე. ბოლოს „ჟიგული" ჯაჭვით რომ დავაბი, ფეხზე ვივახშმე და ჩემი ბიჭების, ჩემდა ჭირად შეძენილ, ასაწყობ „ხომალდს" ჩავუჯექი, ნელი ჯერ ოდნავ გაფერმკრთალდა და თანდათანობით მიიცრიცა მეხსიერების ფსკერზე.

აჩინჩარა პატარა ქალაქია შავი ზღვის სანაპიროზე. იმდენად კოხტა ქალაქია, რომ ორმოცამდე ეროვნება ცხოვრობს. მსოფლიოს ხალხთა პატარა მუზეუმია პირდაპირ. იქნებ ამის გამოცაა, რომ ქალაქს ერთიანი არქიტექტურული იერი არა აქვს. ყველას თავის გემოზე უშენებია, ყველას თავისი სტილის დამკვიდრება უცდია, მაგრამ თუ რაიმე არ უხდება აჩინჩარას, ეს გახლავთ ამ ათიოდე წლის წინათ აშენებული სამი მაღალი სახლი, რა მტრული მოსაზრებით ჩამოაფარეს ეს სახლები იაშთხვას მწვანე ფერდობებს, კაცმა არ იცის.

ხელშეკრულება გავაფორმე, ლანდშაფტი ჩავიხატე და მეორე დღესვე უკან გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე. სასტუმრო „აქაბია", სადაც ჩემმა თავაზიანმა მასპინძლებმა დამიდეს ბინა, ზღვას გადაჰყურებს, ამინდები მშვენიერია. ერთ კვირას დავრჩები, ცოტას გავივლ-გამოვივლი, ზღვაში წავიჭყუმპალავებ, რა ხშირად კი მე ვისვენებ-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდნენ. რამდენ ხანსაც გაგეხარდებათ, ბრძანდებოდეთო. ღმერთო, ნუ მოშლი საქართველოში სტუმარ-მასპინძლობის გასაოცარ ადათს. რა მოწიწებით მეპყრობიან, თვალში შემციცინებენ, რესტორნიდან რესტორანში დამატარებენ, ამათთვის მე მართლა ხელოვანი ვარ. თუ შენს თავზე რწმენა შეგერყა, შენს ძალებში თუ დაეჭვდი, მკითხველო, აიკარი გუდა-ნაბადი და ერთი კვირით ეწვიე რომელიმე პროვინციულ ქალაქს. ძალა დაგიბრუნდება, გამხნევდები, სულ სხვა კაცად დაბრუნდები.

აჩინჩარაში ჩასვლის მეორე დღესვე ნელის სახე დამიდგა თვალწინ და მოსვენება დავკარგე. რა ხდება ჩემს თავს? სენტიმენტების და რომანტიკის კაცი არასოდეს ვყოფილვარ და ახლა მით უმეტეს. აღარც ასაკი მაქვს აცუნდრუკების და არც გარემოება მაძლევს დიდ გასაქანს. უეცრად ჩამოფრინდება ნელის სახე გონების თვალში და ვერ ვიცილებ. ზღვას გავყურებ. ესეაა ლურჯი ტალღებიდან ამოყო ხუჭუჭა თავი და ჩემსკენ მოცურავს, პირაღმა დავწვები, ღრუბლებში გაკრთება და გაბუტული სახით ცის კაბადონზე დგას და მიცქერის. რესტორანში ვზივარ, სადაცაა შემოვა ტანის ლამაზი რხევით, მასპინძლებს ბოდიშს მოუხდის და ჩემს გვერდით დაჯდება. მალი-მალ კარებს გავყურებ. ხომ გამოგიცდიათ ასეთი გრძნობა, — ვიღაც გაკლია, ვიღაც შენს გვერდით უნდა ყოფილიყო და აუხსნელი მიზეზის გამო არ ჩანს. იგვიანებს. ღმერთო ჩემო, რას ველი, ვის ველი. ყველა შეიძლებოდა ახლა ჩემს გვერდით ყოფილიყო, გარდა ნელისა. რა ვარ მე მისთვის? ხეირიანად არც კი მიცნობს გოგო. სასაცილოდ არ ეყოფა, ალბათ, თბილისში რომ ჩავალ და ვეტყვი, ტკივილამდე მენატრებოდით, სულ

თქვენი ხატება მედგა-მეთქი თვალწინ. ვტუქსავ ჩემს თავს, ვცდილობ სხვა რამეზე გადავიტანო ფიქრი, მაგრამ არა და არ გამოდის.

მთელი ღამის უძილო, დილით, სალაპარაკო პუნქტს მივადექი. საპროექტო ინსიტუტში დავრეკე და ნოდარის მდივან გოგონას ვთხოვე, თუ შეიძლება, ნელი ნიკურაძეს დამაკავშირეთ-მეთქი. ახლავე ვნახავ თუ არისო, ღმერთო, როგორ გაგრძელდა ეს ერთი წუთი. გული ბაგაბუგით მიცემს. მოვა ახლა, „გის მენთ, გისმენთ?", რა ვუთხრა, ვინა ვარ, რაზე ვრეკავ? რამ ამამჩატა ორმოცდაორი წლის კაცი, რა ეშმაკი შემიჯდა. „ალო, ალო," — ნელის ხმა არ არის, — „ბატონო, არ არის, არ მოსულა ჯერ, იქნებ კიდევ დარეკოთ? ვინ ბრძანდებით, რა გადავცე?" „არაფერი გმადლობთ, თქვენის ნებართვით კიდევ დავრეკავ". ჯიხურიდან გამოვედი და ღრმად ამოვისუნთქე. „კიდევ კარგი, არ დამხვდა, ახლა ზღვაზე წავალ, გავერთობი და მეტს აღარ დავრეკავ".

აღარც კი მახსოვს, სად ვიარე დაახლოებით ორი საათის განმავლობაში და როგორ აღმოვჩნდი ისევ სალაპარაკო ჯიხურთან. „იცით რა, არ მოსულა, მგონი ნელის ლექციები დაეწყო და შეიძლება ამ დღეებში არ მოვიდეს". ყურმილი დავკიდე და გამშრალი გამოველ გარეთ. „დეპეშას გავგზავნი", გამიელვა. ბევრი აღარ მიფიქრია, ფოსტაში ჩავირბინე და ასეთი ელვა დეპეშა ვაფრინე თბილისს: „თბილისი, მაღალ შენობათა საპროექტო ინსტიტუტი, ნელი ნიკურაძეს, დაგხვდები ხვალ, პარასკევს, აჩინჩარას მატარებელზე, მოკითხვა დედას, ჩამოდი აუცილებლად, მერი, სასტუმრო „აქაბია". ეს რა კარგად მოვიფიქრე. ალბათ, დღეს, ან ხვალ უეჭველად შეივლის სამსახურში. ეჭვსაც ვერავინ აიღებს, „მერი" ზღვაზე ეპატიჟება. მორჩა და გათავდა. მაგრამ თვითონ? თვითონ მიხვდება, რომ ამ დეპეშას მერი კი არა, მე ვუგზავნი, მხოლოდ ორი დღის ნაცნობი, ერთი საშუალო არქიტექტორი კოკი გახოკიძე, რომ ზღვარი არ აქვს ჩემს სითამამეს და გაბედულებას?

რაღა გავაგრძელო, პარასკევს გავარდი მატარებლის დასახვედრად. ბაქანზე რომ ავრბოდი, უჩვეულო სიმსუბუქე ვიგრძენი.

ასე გაბავშვებულად და გალაღებულად თავი დიდი ხანია არ მიგრძვნია. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩამოვა. საქმიანი იერით დავაბიჯებ სადგურის ფილაქანზე. მატარებელმა ორი საათი დაიგვიანა, მაგრამ მოწყენა წუთითაც არ მიგრძვნია. ეს მოლოდინი ყელამდე მავსებდა. გულის სიღრმეში მიხაროდა კიდეც, რომ მატარებელმა დაიგვიანა. დავაბიჯებდი ბაქანზე და თვალწინ მეათასედ იშლებოდა ძვირფასი კადრი. იგი ვაგონის კიბეზე დგას, ხელს შევაშველებ, ხელჩანთას გამოვართმევ, მხარზე ხელს გადავდებ და ასე, ტკბილი მუსაიფით მივდივართ ტაქსის გაჩერებისკენ. გზადაგზა ხუჭუჭა ქოჩორს ვუვარცხნი. მეჭიკჭიკება რაღაცას, მაგრამ არაფერი მესმის. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ.

ჩემს თვალწინ ჩაილალნენ ვაგონები, მაგრამ ნელი არ ჩანდა. მატარებელი რომ გაჩერდა, ბაქანის გასასვლელისაკენ გავიქეცი. თუ ჩამოვა, უსათუოდ აქ გამოივლის, აქ ნამდვილად არ ავცდებით ერთმანეთს. სანამ უკანასკნელმა მგზავრმა და მისმა დამხვდურმა არ ჩაათავეს კიბე, ფეხი არ მომიცვლია. არ ჩამოვიდა. გულდამძიმებული დავბრუნდი „აქაბიაში" და მთელი დღე ტანსაცმლიანად პირაღმა ვეგდე ტახტზე, ჭერს მიშტერებული. გაცუდდა ჩემი ოცნებები? არა. ასე არ ხდება. ასე არ უნდა მომხდარიყო. მე ხომ ასე საოცრად მინდა, რომ იგი ახლა ჩემს გვერდით იყოს. რაღაც ლოგიკა მაინც ხომ აქვს ცხოვრებას? ხანდახან მეჩვენება, რომ მთელმა ქვეყანამ იცის ეს ამბავი. თითქოსდა ყველამ ერთად შეკრა პირი ჩემს მოსატყუებლად. თითქოსდა, ისიც წინასწარ იყო დაგეგმილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დერეფანში გაეცნოთ, მერე გაჩერებაზე დაეხვედრებინათ, საჩინჩარაში მივლინებით გამოვეგზავნეთ, რათა ანგელოზისსახიანი გოგოთი გაგიჟებულს სულელური დეპეშა გამეგზავნა თბილისში. უჭირავთ ახლა ჩემი დეპეშა და ხარხარებენ. ნელი? ნელის სუფთა, შვლის თვალები რომ გამახსენდებოდა, ავი ფიქრები საპნის ბუშტივით ქრებოდნენ. არა, არა მის სიტყვებში თვალთმაქცობის ნატამალი არ ჩანდა. უბრალოდ დეპეშა დაუგვიანეს, ხვალ უსათუოდ ჩამოვა.

მთელ ღამეს არ მეძინა. დილით წამთვლიმა და თვალი რომ გავახილე, ცხრა საათი იყო. შეშლილივით წამოვვარდი. წყალი შევისხი, პირის გამორსვას ვინ დაეძებს, ღილებს გზაში ვიკრავ. დამაგვიანდა. მატარებელი (თუ დღესაც არ დააგვიანა) ზუსტად ცხრაზე ჩამოდის. კარგა ხანს ფეთიანივით ვაწყდებოდი აქეთ-იქეთ ქუჩაზე, მაგრამ არა და არ გამოჩნდა. ბოლოს ძალით ჩავუხტი ვიღაცას მანქანაში და დავეღრიჯე, თუ ძმა ხარ, სადგურში მიმიყვანე, ბავშვი მოყვება მატარებელს, გზა-კვალი არ იცის, თუ არ მივუსწარი, დავიღუპები-მეთქი.

სამი ნახტომით ბაქანზე გავჩნდი. მატარებელი ჩამოსულა და ჩამოცლილა კიდეც. არავინ ჩანს, საათის ქვეშ გაჩერებული ერთი წითელქუდიანი რკინიგზელის გარდა. გულჩამწყდარი ჩამოვბრუნდი ავტობუსის გაჩერებაზე. ბოძს მივეყრდენი და ის იყო ჩემს უიღბლობა-უნიათობაზე მწარე ფიქრებმა გამიტყუეს, რომ ზედ ყურის ძირში მომესმა:

— ბატონო კოკი.

— ნელი! — ვიყვირე. ალბათ ასე ყვირიან ზღვით გაწამებული მეზღვაურები „მიწას“, ხმელეთს რომ დაინახავენ.

— გამიშვი, ძალიან გთხოვ გამიშვი, თორემ ვიყვირებ — ნელიმ სასოწარკვეთილი სახით მომიცილა და ჩემს პირდაპირ, ნარზე გადაჯდა.

— რა მოხდა?

— ჯერ ერთი მატარებელი მცხეთაში შედის და მეორეც. მანდ იჯექით, უნდა გელაპარაკოთ.

— რა უნდა „მელაპარაკოთ“ — „თ“-ს დავაწექი.

მიყურა, მიყურა, გაიღიმა და ჩუმად თქვა.

— მაპატიეთ, ვერ მივეჩვიე თქვენთან შენობით ლაპარაკს.

— რა ხდება ნელი?

— მომისმინეთ ყურადღებით. იცით რა, მე თქვენ არ მიყვარხართ და — თითქოს ეშინია ვაი თუ ვერ მოვასწროო, სხაპასხუპით მიაყარა ერთმანეთს — ძალიან გთხოვთ, თბილისში ნუ ვნახავთ ერთმანეთს. რაც იყო, იყო.

— ნელი! გაჩუმდი.

— ჰო, ჰო დედას გეფიცებით, მართალს ვამბობ. მე თქვენ არ მიყვარხართ.

— გძულვარ?

— არ მძულხართ, მაგრამ სულერთი ხართო ჩემთვის. რაღა თქვენ და რაღა ის კაცი, ხედავთ? ჯიხურს რომ მიყრდნობია. ეს გრძნობა სიძულვილზე უარესია, რომ იცოდეთ.

— როდის მიხვედი ამ დასკვნამდე?

— დიდხანს ვფიქრობდი, მაგრამ ახლა, ამ წუთში საბოლოოდ დავრწმუნდი. ახლა რომ გადმოიხაროთ და მაკოცოთ, შეიძლება გავგიჟდე.

გადავიხარე, გულზე მივიკარი და ვაკოცე.

— გამიშვით, ხომ ხედავთ, არ გპასუხობთ. არ მიყვარხართ, არა, არა, არა. მანდ იჯექით და ვილაპარაკოთ — საათს დახედა და ამოიხვნეშა — ღმერთო, რა ნელა გადის დრო. არაუშავს თხუთმეტ წუთში დამთავრდება ეს ყველაფერი.

— შენ ასე ფიქრობ?

— დარწმუნებული ვარ: ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა. რაც იყო, იყო. კარუსელს უკუღმა ველარ დავატრიალებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ხუთი დღე?

— ხომ გეუბნებით, რაც იყო იყო-მეთქი.

— ნელი შენ ჭკუაზე ხარ?! ეს ხუთი დღე ხომ ყველაზე უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში. და თუ ასეა, რატომ მეჩვენებოდა, რომ შენც ბედნიერი იყავი ჩემს გვერდით.

წელში გაიმართა, ვაგონის კედელს მიაყრდნო ლამაზი, ხუჭუჭა თავი.

— დავუშვათ. ეს არაფერს აღარ ნიშნავს. გახსენებაც არ მინდა. დავი-ღალე. ახლა მე თქვენ სრულებითაც არ მიყვარხართ.

— ნუთუ ამ ხუთმა დღემ სხვაში ვერაფერში დაგარწმუნა?

— რაში უნდა დავერწმუნებინე. ეს ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა, დაბნეული გოგოს ხუთდღიანი არშიყი იყო. მინდოდა და გავაკეთე. ახლა აღარ მინდა. თქვენი დანახვაც აღარ მინდა. ხვალ შეიძლება სხვა მომეწო-ნოს და ასეთივე წარმატებით...

— ნელი! — გავარტყი.

სახეზე ხელი მიიფარა. გაოცებით შემომხედა.

— რატომ გამარტყით ასე ღონივ-რად, ბატონო კოკი, ხომ შეიძლება დამაჩნდეს ლოყაზე. მე ხომ ხუთდღი-ანი მივლინებით წამოვედი სამსახუ-რიდან. ასე იცის დედაჩემმაც — ლო-ყიდან ხელი მოიცილა და ჯიქურ შე-მომხედა — აი, იმდენად სულელი ხარ, ჩემთვის, რომ შენი სილა არც კი მწყენია.

— რატომ ჩამოხვედი?

— მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ. ბავშვობიდანვე თქვენნაირი კაცები მომწონდა. ნიჭიერი ნეუდაჩნიკები. თქვენს მიმართ რაღაცნაირი გრძნობა მქონდა. არა ამას სიბრალული კი არ ერქვა. რაღაც მშობლიური, რაღაც სხვანაირი. სიყვარულსა და სიბრალულს შუა.

— გმადლობთ თანაგრძნობისათვის, ყველა ხელმოცარული მამაკაცის სახე-ლით. მერე?

— თქვენი დეპეშა, როგორც ჩამო-სვლის დღეს გითხარით, გვიან მოვედი ხუთშაბათს. ოთხშაბათს სამსახურში საერთოდ არ ვყოფილვარ. ვიცოდი მიდეპეშებდით, ან დარეკავდით. აქ გა-საოცარი არაფერია. თქვენ ნორმალუ-რი კაცი ხართ და უსათუოდ უნდა გა-დმოგეგდოთ ანკესი, მით უმეტეს ჩემთ-ვის, რაკი, როგორც ამბობენ, ლამაზი ვარ.

გაჩუმდა. სარკმლის ფარდა გადასწია.

— ვიცოდი რომ თქვენი დეპეშა იყო, მაგრამ მაინც გავბრაზდი. თქვენ-მა უტიფრობამ გამაბრაზა. ეს ყველა-ფერი ისე ტლანქი იყო, ისე მამაკაცური. თქვენ მარტო იყავით სასტუმროში. ნომ-რის გასაღები ჯიბეში გედოთ და მე, დიაცს საალერსოდ მიწვევდით. დეპე-შის დახევა მინდოდა, მაგრამ მერე უც-ნაურმა ჟინმა შემიპყრო, ჩამოვსული-ყავი და გამეოცებინეთ. ეტყობა, პატა-რა ავანტიურისტიც ზის ჩემში. თქვენ ხომ არ მელოდით. ჩვენი ნაცნობობის დროით და ჩემი ცხოვრების წესით თუ ვიმსჯელებთ, მე არ უნდა ჩამოვსუ-ლიყავი. შეიძლება უბრალოდ იმიტო-მაც გამოგზავნეთ დეპეშა, რომ სამო-მავლო ალიბი გქონოდათ: „პატარა გო-გო, იცი რამდენს ვფიქრობდი შენზე მივლინებაში?" მივლინებაში... დიდი ამბავი.

— ცდები. ვიცოდი რომ ჩამოხვი-დოდი.

— ეტყობა, თავიდანვე ვერ დავტო-ვე თქვენზე კარგი შთაბეჭდილება. ან ვინმემ ინფორმაცია მოგაწოდათ — ჩქარი გოგოაო. თუმც, დედას ვფიცავ: ამის საბაბი არასოდეს, არავისთვის არ მიმიცია. თუმცა ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ან, იქნებ, ჩემს გამოუცდელობაზე ითამაშეთ. მე ხომ ოცი წლისა ვარ. მისმენთ?

— განაგრძე. როგორც ახლა ირკვე-ვა, შენ ოცი წლის გულუბრყვილო

გოგო კი არა, ჩემზე უფროსი ქალი ხარ.

— კარგი, კოკი, — გაიღიმა, — ნუ დამცინი, — წარბები ისევ შეჰყარა და მკაცრი იერი მიიღო — და აი, ჩამოვედი. მე არ ვნანობ. კარგად ვიყავი თქვენთან ეს ხუთი დღე. მომხიბვლელი მამაკაცი ხართ. ალერსიანი. სიმართლე გითხრათ, მაინტერესებდა კიდეც, როგორი იყავით საერთოდ. მეტი არაფერი. დილით საწოლიდან რომ ავდგებოდით და სასაუზმოდ ჩავდიოდით, აღარ მიყვარდით და მინდოდა ჩქარა დაღამებულიყო. თქვენს გვერდით უცხოდ ვგრძნობდი თავს. მარტო ლოგინში მიყვარდით, მორჩა და გათავდა. მაპატიეთ ასე უხეშად რომ გელაპარაკებით.

— მერე?

— არ ვიცი, რისი ბრალია, ყოველივე ეს. შეიძლება ჩემი ასაკის. მე ჯერ კიდევ ძიების, ადამიანებთან ურთიერთობის გარკვევის პროცესში ვარ. ან იქნებ, თქვენ არა ხართ ის მამაკაცი, ვისაც სიყვარული შეუძლია საერთოდ. ან იქნებ, მე არ დამაყოლა ბუნებამ სიყვარულის ნიჭი. ან... და შეიძლება ერთი მიზეზი ესეც იყოს — სიტუაცია არ გვიწყობს ხელს. ჯერ ერთი, თქვენ ოცდაორი წლით ხართ ჩემზე უფროსი. ეს ცოტა როდია. თუმცა მე ჩემი ასაკის ბიჭები არასოდეს არ მომწონდა. ასეთი ხასიათი მაქვს. იცით რა, დავიღალე. ჩამოსვლისთანავე სირცხვილი მიწვავდა ზურგს. თქვენ რომ ამაოდ უმტკიცებდით ადმინისტრატორს, ჩემი ცოლია, მაგრამ პასპორტი თბილისში დარჩაო. მერე ყოველღამე საცოდავი ღიმილით რომ უნდა დაგედოთ „ბამბანერკა" სართულის მორიგისათვის და ნომერში აგეპარებინეთ. ახლაც მზარავს იმის გახსენება, რომ, შეიძლება, ბაქანზე ცოლი დაგხვდეთ. გითხრათ როგორ მოიქცევით? ერთს უმწეოდ, დაბნეულად გამიღიმებთ, შემთხვევით დამგზავრებულ გოგოსავით დამემშვიდობებით, ცოლს ხელკავს გამოსდებთ და წახვალთ. რა საშინელება.

— ნელი, მე შენ გაგიჟებით მიყვარხარ.

— მე არ მიყვარხართ. და საერთოდ ძალიან გთხოვთ ნუ ლაპარაკობთ ამ სიტყვებს. მე თქვენ გინდოდით, როგორც ქალი. და მე ვიყავი თქვენთვის, ჩემი სურვილით. უფრო მარტივად უნდა შეხედოთ ამ ამბავს. ეს სიყვარული არ იყო. ბუზს სპილოდ ნუ აქცევთ. თქვენ სიყვარულის უფლება არა გაქვთ. არა, უფლება კი არა, ისე ვერ ვთქვი, როგორც მინდოდა, თქვენ სიყვარულის პირობები არა გაქვთ. არ გჭირდებათ ეგ რომანტიკა. კიდევ კარგი, რომ დროზე ვშორდებით ერთმანეთს. ეს რომ ნამდვილი სიყვარული იყოს, საშინელება იქნებოდა. გატანჯული სიყვარული. ლოდინი. კონსპირაცია. ცოლ-შვილისთვის წართმეული დრო და ფული. საზიზღრობაა პირდაპირ.

— ესე იგი შენ თვალთმაქცობდი ეს ხუთი დღე.

— სრულიადაც არა. ხომ გითხარით, მე მსიამოვნებდა თქვენთან ყოფნა და არ გეკამათებოდით. კარგად გაზრდილი გოგო ვარ და თქვენ რომ სიყვარულზე მეჩურჩულებოდით, საწოლში კამათს ხომ არ დაგიწყებდით.

— ახლა?

— ახლა სხვა სიტუაციაა. ჩვენი ხუთდღიანი ეპოპეა დამთავრდა და სიმართლე, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა მეთქვა.

— ნელი — ყელი გამიშრა, თავბრუ მესხმის, ნუთუ ეს ყველაფერი მართალია, ნუთუ ყველაფერი გათავდა. როგორ დავიჯერო, რომ მას შეეძლო, ხუთი დღის განმავლობაში დაუჯერებლად გულწრფელ ქალად მოეჩვენებინა ჩემთვის თავი — ჩვენ ხომ ამაზე ერთხელ უკვე ვილაპარაკეთ.

— დავიწყეთ, მაგრამ ბოლომდე ვერ ვთქვი, ძალა არ მეყო. წვეულებაზე შენ სასურველი კაცი ხარ. კარგი თამადა, ენაწყლიანი. იუმორის ნიჭით დაჯილდოვებული. მაგრამ სწორედ მაშინ იყავი ჩემთვის ყველაზე უცხო. თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწონებდი, ყველას უღიმოდი. მაღალფარდოვნებდი. თითქოსდა ყველას ეკუთვნოდი. ჩემითაც თავი მოგწონდა. შემომხედეთ, რა ძლიერი ვარ. ოცი წლის ასე ლამაზი გოგოს სიყვარულის მოპოვება ხუმრობა ხომ არ არისო, მეტყველებდნენ შენი თვალები. და როცა მე დამიწყე „გალამაზება“ სხვების თვალში — ფრიადოსანი სტუდენტია, არქიტექტურულზე სწავლობს. მამიდასთან სტუმრად ჩამოსულა. შემთხვევით შემხვდა ქუჩაში და თქვენთან მოსვლაზე დავიყოლიეო, ეს კი ვეღარ გაპატიე და სამადლობელში ვთქვი, მე მამიდაჩემთან არ ჩამოვსულვარ, და საერთოდ კარგად ვიცი ჩემი ადგილი და ჩემი ფუნქცია-მეთქი. შენ შეცბი. არ მოელოდი. მერე მთელი საღამო მეკითხებოდი — „ფუნქციაში“ რას გულისხმობდიო, მაგრამ მაშინ მიკიბულმოკიბულად აგიხსენი. ძალა არ მეყო. ჯერ ერთი ყველამ იცოდა, რომ შენს ნომერში ვათევდი ღამეს და მეორეც, მე ის გოგო არა ვარ, ვისაც ყველაფერზე მეტად სახელის გატეხვისა ეშინია.

ხომ შეგეძლო, არც ახლა გეთქვა — მაჯა ამოხტომას ლამობს. მეშინია გული არ შემიღონდეს.

— რა?

— შენი „სიმართლე“.

— ამით რა შეიცვლებოდა. მე ხომ თქვენ დღეიდან აღარ გნახავთ.

— შევინახავდი ამ სიყვარულს. მე ეს მჭირდებოდა. მე ეს მაცხოვრებდა ბოლომდე. მე ხომ ოცი წლის არა ვარ და საერთოდ აწი აღარავის შეყვარებას აღარ ვაპირებ. შენ იცი, რა ჩაიდინე? თუმცა... შენ მაინც ვეღარ გაიგებ.

— არა ბატონო კოკი. მე ყველაფერს გავიგებ, მაგრამ დამერწმუნეთ, ასე სჯობდა. თქვენ დროზე უნდა გცოდნოდათ. თქვენ ისე სუფთა კაცი ხართ, რომ მე ვერ მოგატყუებდით. მე არ მინდა იდარდოთ. გაწვალდეთ. უკეთესია ფიქრობდეთ, რომ მე ერთი ტუტუცი გოგო ვარ და ღირსი არა ვარ თქვენი სიყვარულისა.

— ეს რომ არ არის სწორი?

— სწორია! გეხვეწები, ნუ მტანჯავ! არ მიყვარხარ! არ მიყვარხარ! არ მიყვარხარ!

ისტერიული ცახცახით თქვა. სახეზე ხელები 'აიფარა და აქვითინდა.

მატარებელი თბილისის სადგურში შედის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ მოლაშხია

შემომკვნესიან მთვარის ველები

შემომკვნესიან მთვარის ველები
გადატრუსული უჟამურ ხვატით.
უნდა დაფრენდნენ აქ ფრინველები,
აქ უნდა იყოს სამოთხის ხატი.
აქ წყაროსწყალი უნდა გალობდეს
და დადიოდეს თებრონე სურით;
აქ ვაზებივით უნდა ჰყვაოდეს
ჩემი წინაპრის ნატანჯი სული.
აქ უხილავის ხილვას ველოდი,
ვით ასრულებას მარადი ნატვრის...
შემომკვნესიან მთვარის ველები
გადატრუსული უჟამურ ხვატით.

გამომხურვალდა ზეცის მეუფე

გამომხურვალდა ზეცის მეუფე, —
მზემ ჩამოხედა მძინარ ქვეყანას,
ქალაქის ქუჩებს თუ გარეუბნებს
ნათლის სხივები გადაეყარა.
მოფუსფუსებდა კაცი მაშვრალი,
ხანმოთეულიც მოფარფატებდა...
წმინდა ბინული ჯერ არ დამშრალა,
ჯერ არ გამქრალა წმინდა ხატება...
ჯერ ისევ ცოცხლობს დიდი ნუგეში,
მარადი ისევ მარადიულობს...
თუმც ამ მიწყრულ საუკუნეში
ქალაქი შფოთავს და ნერვიულობს...
არყოფნას ნიშნავს დაძაბუნება
და შენც მოძრაობ, ჩემო მამულო!
წერენ: — „მტრობას თუ დაძაბულობას“
ბოლო ელება სასიხარულოდ...
გამომხურვალდა ზეცის მეუფე, —
მზემ ჩამოხედა მძინარ ქვეყანას,
ქალაქის ქუჩებს თუ გარეუბნებს
ნათლის სხივები გადაეყარა.

●

I

ხანდახან ხდება:
მშვენიერ ამინდში,
ღამის მატარებლით გაემგზავრები,
გათენებისას გაგეღვიძება
და ქარყინული — ცოფიანივით —
შეგეფეთება ვაგონის კართან...
თუ არ გიყვირია,
გულში მაინც ხომ დაგიჩივლია:
— შენთან მოვედი გაზაფხულისთვის,
შენ სუსხიანი დღე დამახვედრე...

II

ასეც მომხდარა: —
შემხვედრია გზად მეგობარი,
გვისაუბრია,
წუხილით უთქვამს: —
„...ძველი გავყიდე და ახალი
გამოვიყვანე,
მაგრამ რად გინდა, უგემოვნოა
მანქანის ფერი,
ნუთუ არასდროს არ შეიძლება
ისე მოეწყოს კაცის ცხოვრება,
რომ გულს არ აკლდეს და რაიმე
არ აწუხებდეს?..“
მე თანაგრძნობით ყურს ვუგდებდი
გულშეჭირვებულ მეგობარს ჩემსას!

გვერდით კი მედგა ორი ბიჭი,
პატარ-პატარა ჩანთებით ხელში —
იდგნენ ბავშვები — სიცივისგან
მობუზულები...
და, იცინოდნენ, იცინოდნენ
ჩემი შვილების
ძირმორღვეული ფეხსაცმელები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მგზავრი გზისპირას მარტოკა იჯდა —
განშორდა ყველას და გაემიჯნა.
იჯდა ეული, ჩუმად კვირობდა
ამდენ ტკივილთა უსატკივრობას.
როგორღა გახდა მისთვის სულ ერთი —
ის ქვეყანა თუ ეს ხილულეთი.

არარად უჩანს ხვედრი ყოველთა —
ბედიანის თუ ბედუპოველთა...
თუ გასულერთდა ქვეყნად ყოველი,
მაშინ რა დარჩა აქ საპოვნელი?!
...იჯდა მგზავრი და ჩუმად კვირობდა —
ამდენ ტკივილთა უსატკივრობას.

●

კამკამებს სივრცე, მზეა ღვთისთვალი, ხილულეთს შუქი
ლურჯად ენთება,
ცა — წინაპართა თვალთა ნამზერი, თანდათან იწვის
და იფერფლება, —
რამეთუ მისთვის არვის სცალია!
დრო ფეხაკრეფით გარბის და გარბის, ადამიანი
ისე ბერდება,
ვერ იმახსოვრებს ცისფერს თუ მზისფერს,
თითქოს ფერებიც წარმავალია!
სამაგიეროდ ხშირად ეწვევა
კინოთეატრებს, ბარებს, ლუდხანებს,
ატელიეში შედის ტუსტუსით, ახალ პიჯაკს თუ
შარვალს იზომებს...
საღამოს ექვსზე გამორბიან სამსახურიდან
და წიგნის ნაცვლად „კითხულობენ" ტელევიზორებს.
ცას დაეკარგა ფერი ნამდვილი, ვარდს — სურნელება,
ტირიფს ტირილი დაავიწყდა, მაფშალიებს კი —
ტკბილი გალობა.
მთვარემ დაკარგა ძველი მთვარობა
და ქველმოქმედი თუ მწყალობელი გადაეჩვია
უანგარობას...
ის კი... მიწაზე ამაყად დადის, —
საკუთრად უჩანს მთელი ხმელეთი.
გვერდით კი დასდევს არყოფნის ლანდი —
გაჩენის დღიდან ღრმა სიბერემდის...
მიწას დაჰყურებს ცა დაკარგული... გაუქმებულა
ზესკნელ-ქვესკნელი...
და სადღაც მიაქვს ლეთის მდინარეს მისი ხატი და
მისი ფრესკები...
...ფრთხილად, ო, ფრთხილად, თორემ წესრიგი სამყაროული
ჩუმად ირღვევა,
მოდის მდინარე თვალშეუვლები, უშქართუშქარი
ტალღა იმღვრევა...
სად შეჩერდები თავაწყვეტილი... დროა, გონს მოდი,
ძეო ადამის
და შენი სულის წესრიგს მიხედე, საქმე ითავე
პირველთაგანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა ოთარაშვილი

ციკლიდან „შემოდგომის მელოდიები"

●

შემოდგომაა... ქონავს სიგრილე
და ეძნელება სიკვდილი ფოთოლს...
დრო მიდის, გული რჩება იგივე
და მოგონება კაფეში ლოთობს...
ყვითელ ფოთლებით ავსებულ ლანგარს,
წაავავს გუბე, გზაზე რომ ბრწყინავს...
ყოველდღე თითო ოცნებას ვკარგავ,
რა ბედნიერი ვიყავი წინათ...

●

ჩუმად ცვივიან ფოთლები ხიდან,
მოწყვეტამდეა ერთი შეკრთომა...
ქარი ურჩ ტოტებს მიწისკენ ხრიდა,
ეომებოდა ცას შემოდგომა...
უკვე აცივდა... შენ ალბათ თბილად,
შეიფუთნები და ფოთლებს მოგვი
და აივსება თრთვილნარევ დილას,
სანაგვე ყუთი — ფოთლების მორგი...

●

ეგ ლაჟვარდები ცაზე მეტია,
ყოჩივარდებით ოცნებებს რთავენ...
ზეცა ვარსკვლავებს დაუჩხვლეტია
და ჩამოთლილა ჩანჩქერში მთვარე...
ღამე ამოდის წყლიდან კვიცივით
და შეიმშრალებს ნიავზე სველ ტანს...
ჰგავს სადედოფლოს ლაღი სიცილი,
მწუხრზე მომწყდარი ვარსკვლავის
სევდას...

●

გაუფრთხილებლად სიბერეც მოვა,
ჩამოგიმუხლებს ზამთრის სიცივე...
საღებავებით დაბინდულ თვალებს,
დაეკიდებათ ცრემლები შავად...
უკანასკნელი კავალერიც მიხურავს
კარებს,
შენი სახლიდან გულგრილად წავა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაღა — 1976

ისე მაკვირვებს თოვლის სირბილე,
ვით გადაფრენა ცაზე წეროთა...
მთები მომდევენ უკან სირბილით,
როცა მივდივარ საქართველოდან...

. . . .

ევროპის ცენტრი... ლუდით, ბარებით,
მაგრამ არც ერთი მე არ მარგია...
ტკბილი „ურმულის“, ღვინის „გარეჯის“
და დედის პურის მწვავს ნოსტალგია...

პონტოს ზღვასთან

ტალღას ისევ ტალღა უღებს ბოლოს,
განა მხოლოდ კლდის პიტალო ქიმი...
ყოველ ღამე ძმათა მტრობას გლოვობს,
ზღვა მალულად თევზის ცრემლით
ტირის...
გრიგალების მომლოდინე დილით,
(ზოგს გონია გული მოისარკა,)
თუ გინახავთ მიმწუხრისას სხივი
ასე ნელა ჩვენ სიცოცხლეს ვკარგ.
მელანდება ძველ კოლხების ქორო,
სადიდებელს მღერენ მზეთა სხივის...
ტალღას ისევ ტალღა უღებს ბოლოს,
თორემ
რას დააკლებს სანაპირო სილის...

●

დრო მოვიდა, უფრო მალე ივიწყებენ,
დრო მოვიდა, უფრო მალე მიდიან
და მიწიდან ოცნებამდე ირიბწყება
და ჩამქრალი ვარსკვლავების ხიდია...

●

თოვაში თითქოს ყველა მარტოა,
(ზოგჯერ როგორ გვღლის სითეთრე
თოვლის...)
თოვლი დაფარავს მალე ამ რტოებს,
ჩამოღვენთილი ფანტელთა
ორთოლვით...
ისევ გიგონებ იმ ალტაცებით,
მაგრამ სქელია ფიფქის კედელი...
როგორ გულგრილნი ვრჩებით კაცები,
ცოდვის — წასულის და ჩადენილის...
შემაძრწუნებლად მომენატრები,
(ბინდი კი ალალ სიმშვიდით მოდის),
როგორ ხატავენ ნეტა მხატვრები,
ღამეში თოვლს და თოვაში ლოდინს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ აბაშიძე

ცეროდენა ანგელოზი

1.

ღამე იყო. არ მახსოვს, სასთუმალზე წამოწოლილი, რა წიგნს ვკითხულობდი.

ჩავთვლიმე.

როცა თვალი გავახილე, უეცრად შევკრთი.

საწოლთან მოდგმულ პატარა მაგიდაზე ცეროდენა ანგელოზი იჯდა და ნაღვლიანად მიმზერდა.

თვალები მოვიფშვნიტე.

არა, ეს არ იყო ღამეული ზმანება...

ხორცშესხმული, უნაზესი არსება იჯდა ჩემს წინაშე.

— აი, მეც მოვედი, — თქვა და თვალებში უცნაური სინათლე აუციმციმდა.

ჩავახველე.

მაინცდამაინც არ გაუოცებივარ მის გამოჩენას, რადგან უჩვეულო ამბებს შეჩვეული გახლავართ.

— ვიცი, რომ არ გაგიკვირდა, — ამოიოხრა ანგელოზმა, — ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც უნდა მომხდარიყო ეს.

არ ვიცი, რას გულისხმობდა.

— ალბათ იმასაც მიხვდი, რატომ მოვედი შენთან!

უხმოდ გავაქნიე თავი.

— ვერ ხვდები?

— ვერა.

— მაშ ნახე — თქვა და მხრებზე მიმანიშნა. ახლაღა დავინახე, რომ ფრთები შეტრუსოდა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა. ქუჩიდან ვერცხლისფერი სინათლე იღვრებოდა. საათის წიკწიკი აუტანლად მეჩვენა. შევყურებდი ცეროდენა ანგელოზს და ვერ ამეხსნა, რატომ ხდება ხოლმე ასე: მოდიან მაშინ, როცა აღარავის ელი. რა იყო ეს — ბედისწერის დაცინვა თუ ჩვენში თუ ჩვენს გარეთ არსებული სამყაროს გამოვლინების მკაცრი კანონზომიერება? აი, რა ვერ გამეგო.

— ახლა მე შენი ხელით უნდა მოვკვდე, — თქვა ცეროდენა ანგელოზმა ჩურჩულით.

გამეღიმა.

რაოდენ გულუბრყვილო ჩანდა იგი.

— ეს მე ვარ გულუბრყვილო? — მკითხა ოდნავი დაცინვით. — ცდები!

სასიამოვნოდ გამაჟრჟოლა. მივხვდი, ფიქრების წაკითხვა შეეძლო.

— არ გესმის, რატომ უნდა მოვკვდე შენი ხელით?

— არა, — მხრების აჩეჩვით ვთქვი მე. — თუმცა, იცი რა, ძვირფასო, მოდი, ჩემს მაგიდასთან ვისაუბროთ ამაზე. მე დილამდე არ მძინავს ხოლმე. ჰოდა, ყავას მოვიდუღებ. მერე კი დავსხდეთ და გამთენიამდე ვისაუბროთ,

ცეროდენა ანგელოზმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

ფრთხილად ავიყვანე იგი.

ხელში აყვანის ჟამს უხერხულად შეიშმუშნა.

ეტყობა, ეუხერხულა, რადგან ქალი იყო და არავითარი ქალური მისთვის უცხო არ გახლდათ.

ნეკის სიგრძე თუ იქნებოდა.

მაგიდაზე დავსვი და სამზარეულოში გავედი.

2.

როცა შემოვბრუნდი, იგი წიგნზე იჯდა.

ყავა მაგიდაზე დავდგი და დავჯექი.

— ჰო, — ვთქვი მე. — მაინც არ მესმის, რატომ გსურს ჩემი ხელით მოკვდე?

— ეჰ, — ამოიოხრა მან. — განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?!

— მაგრამ ცოტა ხნის წინ თითქოს ამის ახსნას მიპირებდი.

— ძალიან გინდა იცოდე? — მკითხა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— ჰო!

— იმიტომ რომ შენ სხვაზე მეტად გიყვარს სილამაზე. უცნაურად გიყვარს და განიცდი მას.

— მაინც არ მესმის...

— აბა, რა გითხრა... ფრთები როგორ შემეტრუსა, ეს საინტერესო არ არის. მთავარი ისაა, რომ პირველსაწყის მშვენიერებას ამიერიდან ვეღარ დავუბრუნდები. ამას კი სიკვდილი სჯობს. იმიტომ მინდა შენი ხელით მოვკვდე. როგორც სხვაზე უფრო ღირსეულისგან.

— მაგრამ, ძვირფასო... როგორ შემიძლია ხელი აღვმართო შენზე!

— უნდა შეძლო! — თქვა მან მკაცრად. — თუმცა, — ნაღვლიანად დაუმატა, — ვიცი, რომ შეძლებ.

— საიდან?

— მე სიკვდილზე გელაპარაკებოდი, შენ კი ამ დროს ყავა მოგინდა, — ცივად თქვა მან, თუმცა ცდილობდა გულგრილი იერი მიეღო, — ვიცოდი, რომ სხვა განცდას ვერც აღძრავდი შენში.

— ცდები, — ვუთხარი მე. — შენ ვერც წარმოიდგენ, თუ რამდენს ნიშნავს შენი გამოცხადება ჩემთვის. ფრთაშეკვეცილი სილამაზე მეცხადება და ჩემი ხელით მოითხოვს სიკვდილს... რა უნდა იყოს ამაზე დიდი?

— ამაზე დიდად არაფერი გესახება?

თავი გავიქნიე.

— ეჰ, — ამოიოხრა მან უცებ, — რა ლამაზი იყო იმ დღეს ცა!

— არ მესმის...

— ჰო, არ გესმის... არც არის საჭირო. მაშ, შენ ამბობ რომ თუ მშვენიერება გთხოვს, მისი სიცოცხლის აღმსრულებელ ქურუმად იქცე, ეს დიდი რამაა ხელოვანისთვის?

— რაღა თქმა უნდა...

— ჰოო, — ჩაფიქრებით თქვა მან და დაკვირვებით შემომხედა. — ახლა კი დავიძინოთ.

უცებ ვიგრძენი, რომ მართლაც ძილი მომერია.

— დაიძინე, — თქვა მან. — მეც აქ ვიქნები, — ამ სიტყვებით მაგიდაზე წამოწვა და ხელი თავქვეშ ამოიდო.

ერთხანს ღიმილით დავყურებდი.

მერე თავი მაგიდაზე ჩამოვდე და ჩამეძინა.

3.

გვიან გამეღვიძა.

თერთმეტი საათი იყო.

ცეროდენა ანგელოზს ისევ ეძინა.

სადაცაა, ნელიც უნდა მოსულიყო.

სამზარეულოში გავედი და ჩაი ავადუღე.

მცირე ხანში ზარმა გაიწკრიალა.

გავაღე.

ჩემს წინ ნელი იდგა.

— შემოდი!

იგი შემოვიდა.

კატასავით შემპარავად ადგამდა ნაბიჯს. გრძელი თმა დალალებად ეყარა მკერდზე.

მერაბ აბაშიძე
ცეროდენა ანგელოზი

ჩანთა მაგიდაზე დააგდო და ტახტზე ჩამოჯდა.

— ცხელა, — თქვა.

— ჰო!

დაკვირვებით შემომხედა:

— რაღაც არეული მეჩვენები.

მხრები ავიჩეჩე.

— ისევ არ გძინა?

— როგორ არა, მეძინა.

— ალბათ იმ სურათზე მუშაობამ გაგაწვალა, არა?

— სამი დღეა, იმ სურათს არც გავკარებივარ.

— აბა, რა მოგივიდა?

— რა უნდა მომსვლოდა?

— შეცვლილი ჩანხარ!

— არა მგონია, — ცოტა არ იყოს გაღიზიანებით ვუთხარი.

— შემოიტანე მაგნიტოფონი, — თქვა უცებ, — მოვუსმინოთ.

სამზარეულოში გავედი, მაგნიტოფონი ავიღე, მოვბრუნდი, მაგიდაზე დავდგი და ნელის გვერდით დავჯექი.

— ჩართე!

ღილაკს თითი დავაჭირე.

ნელი ტახტის საზურგეს გადააწვა.

— არ მოგენატრე? — მკითხა.

ხელი მოვხვიე.

თავი მკერდზე დამადო.

უცებ მეორე ოთახიდან რაღაც შრიალი მომესმა.

გაოცებით შემომხედა.

— რა არის?!

— თაგვი იქნება, — ვთქვი და მეორე ოთახში გავედი.

ცეროდენა ანგელოზი მაგიდაზე ჩაფიქრებული დადიოდა.

— ჩუმად იყავი, თუ ღმერთი გწამს, — ჩურჩულით ვუთხარი მე.

წარბშეკვრით ამომხედა.

ერთხანს ასე მიმზერდა, მერე თავი დამიქნია, წიგნზე ჩამოჯდა და გაირინდა.

მე ნელისთან გავედი.

იგი ტახტზე იწვა.

— მოდი, — თქვა და ხელი გამომიწოდა.

4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელის წასვლის შემდეგ თავი მიბრუოდა.

ფანჯრებზე ფარდები ჩამოვაფარე, ტახტზე წამოვწექი და სიგარეტს მოვუკიდე.

უცებ გამახსენდა რომ მეორე ოთახში ცეროდენა ანგელოზი მელოდა.

წამოვდექი და მასთან გავედი.

— საინტერესო იყო, იცი! — თქვა მან.

— მაპატიე, — დარცხვენით ვთქვი მე. — სულ დამავიწყდა, რომ აქ იყავი.

— ვითომ დაგავიწყდა? — ათვალწუნებით იკითხა მან, — არა, შენ უბრალოდ არაფრად ჩამაგდე. ფუჰ, რა საზიზღრობაა!

შეცბუნებული ვიდექი.

— გიყვარს? — მკითხა მოულოდნელად.

გამეღიმა.

— განა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს შენთვის?

— გიყვარს? — გაიმეორა ჯიუტად.

— არა, — ვთქვი და სიგარეტს მოვუკიდე.

— აბა, რატომ ხარ მასთან?

— რა ვიცი... ალბათ მსიამოვნებს.

— „მსიამოვნებს“, — გამომაჯავრა მან. მერე ჩაფიქრდა. ერთხანს ასე ვიყავით. ის წიგნზე იჯდა. მე სიგარეტს ვეწეოდი. ოქროსფერი თმა ჰქონდა, ლურჯი თვალები და მოკლე, ცისფერი კაბა ეცვა. პაწაწინა ფეხებზე ოქროსფერი სანდლები შემოსალტვოდა. მშვენიერი იყო დღის ნათელში მდგარი: პატარა და სიფრიფანა.

— რა სურათზე გეკითხებოდა ის ქალბატონი? — თქვა მან უცებ.

— აი, ამაზე, — კედლისკენ შებრუნებულ ტილოზე მივუთითე.

— შენ ხატავ კიდეც? — ცნობისმოყვარედ იკითხა მან. — აბა, მაჩვენე.

უხალისოდ დავემორჩილე.

სურათზე მოღრუბლული ცის პეიზაჟი იყო გამოხატული.

— არა უშავს, — თქვა ცეროდენა

ანგელოზმა. — სხვა სურათებიც მაჩვენე.

— ახლა არა... მერე. ახლა უნდა წავიდე.

— სად?

— საქმე მაქვს.

— არავითარი საქმე არა გაქვს, — თქვა მან. — შენ ახლა გასეირნება მოგინდა. მე კი რა ვქნა მარტომ შინ? ჰა, რა ვაკეთო?

— თუ გინდა, შენც წამოდი.

— მეც? — დაფიქრებით თქვა, — არა, არ არის საჭირო... სჯობია დაგელოდო.

დადუმდა.

კართან მივედი.

ერთხანს ასე ვიდექი.

ვფიქრობდი, იქნებ დარჩენა სჯობდეს-მეთქი.

ბოლოს კარი გავაღე და ქუჩაში გავედი.

5.

ქუჩაში გრილოდა.

ნელა მივყვებოდი დაღმართს.

სასაუზმეში შევედი და სასმელი მოვითხოვე.

ოფიციანტმა გოგონამ შეკვეთილი მოიტანა.

სასაუზმეში ამ გოგონასა და მებუფეტის გარდა, არავინ იყო.

არაყი დავისხი და გადავკარი.

გოგონამ თევზი და პური მომიტანა თეფშით და წინ დამიდგა.

— საჭმელი რომ არ მითხოვია? — გავუღიმე მე.

— ჭამეთ, თორემ დათვრებით, — გაიღიმა მანაც.

— კარგი, — ვუთხარი. — იქნებ ჩამოჯდე?

მან ნამალევად გაიხედა მებუფეტისკენ.

მებუფეტემ მზერა აარიდა და ქუჩაში დაიწყო ყურება.

გოგონა დაჯდა.

მეორე მაგიდიდან ჭიქა ავიღე და შევავსე.

— ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, — ვთქვი და ჭიქა მივუჭახუნე.

გოგონამ არაყი მოსვა, მერე პირზე ხელი აიფარა და თეფშზე მანიშნა: — ჭამეთ, თორემ მოგერევათ.

— შენ არ გინდა?

— მე უნდა წავიდე, — თქვა მან. — ნახეთ, რა დღეშია, — და თვალით მებუფეტეზე მანიშნა, რომელიც უკმაყოფილოდ წრიალებდა ერთ ადგილზე.

— შენი ქმარია?

— ქმარი არა... — გაწითლდა გოგონა და წამოდგა.

— ისევ მოხვალ?

— მოვალ, — თქვა მან, — ვეტყვი რომ ნაცნობი ხართ და მოვალ.

— მართლა, რა გქვია?

— მეე? ნატა.

— კარგი, ნატა. მაშ, გელოდები.

ნატა წავიდა.

ზედიზედ ვსვამდი.

თევზი არც გამხსენებია.

შევთვერი.

კარგი იყო ამ სიმყუდროვეში ჯდომა, შორიდან ნატას თვალთვალი და სმა.

„შინ კი მოგელიან", — გავიფიქრე უცებ.

— ჰო, მომელიან, — ვთქვი ხმამაღლა, — ნატა, სადა ხარ, ნატა?

იგი უმალ ჩემს წინ გაჩნდა.

— მიანგარიშე, ნატა!

— უკვე მიდიხართ?

— ჰო, — მივუგე, თან ენას ძლივს ვაბრუნებდი. — შინ მელიან.

— ვინ, თუ საიდუმლო არ არის?

—ოო! — ვთქვი მე: — ეს კი მართლაც საიდუმლოა!

— მეც არ გამიმხელთ? — ეშმაკურად მკითხა.

— შეენ?

— ჰო, მე!

სანდომიანი სახე ჰქონდა და დიდი, თაფლისფერი თვალები.

— კარგი, გეტყვი, — ვთქვი მე. — დაჯექი!

მერაბ აბაშიძე
ცეროდენა ანგელოზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი დაჯდა.

მე მისკენ გადავიხარე.

— ცეროდენა ანგელოზი... — ვუჩურჩულე ყურში.

— რა, ცეროდენა ანგელოზი? — ვერ გაიგო მან.

— ცეროდენა ანგელოზი მელოდება შინ!

— ჰოო! — ტუჩაბზუებით თქვა მან, — ამდენი არ უნდა დაგელიათ.

— შენ გგონია, მთვრალი ვარ? არა, მე მართლა გეუბნები. თუმცა, შენ კი არა, მეც არა მჯერა ახლა მისი არსებობა!

ნატა გაფართოებული თვალებით შემომყურებდა.

— ის ისეთი ლამაზია! — ვთქვი მე.

— მაინც რამხელაა? — მკითხა ნატამ.

— აი, ამხელა, — ნეკივაჩვენე. — ზღაპრულად ლამაზია.

ნატამ ტაში შემოჰკრა:

— ხომ მაჩვენებთ?

— არა, — ამოვიხვნეშე მე. — ეწყინება!

— რა უნდა ეწყინოს, — ადგილზე ვერ ისვენებდა ნატა. — მოვეფერები და ისევ დაგიბრუნებთ.

— არ შეიძლება, — ვთქვი მე, თან ჩემს თავზე ვბრაზობდი, რა მალაპარაკებდა ამ ამბავს-მეთქი. ამავე დროს ვგრძნობდი, ნატასგან თავს ვერ დავიძვრენდი... ამიტომ შევპირდი მეორედ რომ მოვალ, გიჩვენებ-მეთქი და [illegible]რეთ გამოვედი.

6.

კარის საკლიტეში გასაღები გადავაბრუნე და ოთახში შევბარბაცდი.

ცეროდენა ანგელოსი რემინგტონის კიდეზე იჯდა.

ჩემს შემოსვლაზე თავი აიღო და დამაშტერდა.

— მაპატიე, — ბრიყვულად გავუღიმე. — ცოტა დავლიე და...

— ეს ცუდია, — თქვა მან, — დაჯექი, — თითით სკამზე მანიშნა. — რო[illegible]არ შეიძლება, ისეთი სულის ადამიანი, როგორიც შენ ხარ, ასე პირუტყვულად დათვრეს.

— რა იცი შენ ჩემი სულის შესახებ? — ვკითხე ჩახლეჩილი ხმით.

— მე ყველაფერი ვიცი!

— მაინც, საიდან?

— ვიცი!

— მართლა, — გამახსენდა უცებ. — იცი, ცოტა ხნის წინ ერთ გოგოს ვუამბე შენს შესახებ.

ცეროდენა ანგელოზი შეკრთა.

— რატომ? — ხმადაბლა იკითხა.

— რა ვიცი... სისულელე მომივიდა.

— უამბე და უამბე... — ტუჩაბზუებით თქვა მან, — შენ ის მითხარი, რატომ დალიე?

— მე ასე ვმკურნალობ, ძვირფასო. თუ ჩემი სულის შესახებ რაიმე იცი, მიხვდები, როგორ მჭირდება ეს.

— არ უნდა დალიო!

— აბა, სულ ფხიზელი ჩემი მტერი იყოს.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა.

— კიდევ ერთხელ მანახე ის სურათი, — თქვა უცებ.

— რომელი?

— ცა.

— მე სხვა სურათებიცა მაქვს, — ვუთხარი, — გაჩვენებ.

ცოტა ხანში ცეროდენა ანგელოზი დაკვირვებით ათვალიერებდა მის წინ ჩამოლაგებულ პატარა ტილოებს.

— კარგია, — თქვა ბოლოს.

— წერით როცა დავიღლები, ხატვით ვირთობ, ხოლმე თავს, — ვთქვი მე.

— მაინც რა გიზიდავს ხელოვნებაში, — მკითხა მან. — რა არის შენი ამოსავალი წერტილი?

— ალბათ სიყვარული, გააფთრებული სიყვარული ყოველგვარი ჭეშმარიტი სილამაზისა.

— მე გიყვარვარ? — ხმის კანკალით მკითხა უცებ.

შევცბი.

— რა თქმა უნდა, — ვთქვი ოდნავი დაბნევით, — შენ ხომ სრულყოფილი არსება ხარ.

ცეროდენა ანგელოზი ისევ სურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს მიუბრუნდა. ცოტა ხანს ასე იყო, მერე შემოტრიალდა და თქვა:

— კარგია, რომ შეგიყვარდი. ახლა მე აღარ გამიჭირდება შენი ხელით სიკვდილი.

— მაგრამ, ძვირფასო! — შევედავე მე.

— გაჩუმდი, — შემაწყვეტინა მან. — წადი და დაიძინე.

ძლივს წამოვდექი, მეორე ოთახში გავედი, ტახტზე დავემხე და იმწუთშივე ჩამეძინა.

7.

მეორე დღეს ზარის წკრიალმა გამაღვიძა.

კარი გავაღე.

ჩემს წინ ნელი იდგა.

იგი ჩუმად შემოსხლტა ოთახში და სკამზე დაჯდა.

მე მის წინ მოვთავსდი.

— აქამდე გეძინა?

— ჰო! — მივუგე, — რომ არ მოსულიყავი, ალბათ კიდევ გავაგრძელებდი ძილს.

— მაშ, ხელი შეგიშალე?

არაფერი მიპასუხნია.

— საშინლად მშია, — თქვა უცებ. — გაქვს შინ რაიმე?

ახლაღა ვიგრძენი, რომ მეც გულის კოვზს მიწვავდა შიმშილი.

— არა, არა მაქვს, — ვუთხარი და უმალ გუშინდელი სასაუზმე გამახსენდა, — მაგრამ ჩვენს გვერდით მშვენიერი სასაუზმეა. იქ კარგად დანაყრდება კაცი.

— მაშ წავიდეთ, — თქვა ნელიმ.

სულ მალე სასაუზმეში ვისხედით და მადიანად შევექცეოდით ლორს, თევზსა და პურს. ხანგამოშვებით ლუდს ვაყოლებდი საჭმელს. ნატა შორიდან გვიღიმოდა.

ერთიც ვნახოთ, ჩვენს მაგიდასთან გუშინდელი ღიპიანი მებუფეტე მობაჯბაჯდა და ჩვენს წინ ჩამოჯდა.

— რაშია საქმე? — ვკითხე ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა.

მებუფეტე აშკარად ღელავდა.

— რა მოხდა? — გავუმეორე.

— ნუ ღელდებით, — თქვა მან. — მე ნატამ ყველაფერი მიამბო!

— რა უნდა ეამბნა?

— მე სანდო კაცი ვარ, — ხელი გულზე დაიდო, — ეს ქალბატონი, ალბათ თქვენი მეუღლეა, არა?

— ეგ რაში გაინტერესებთ?

— ნუ ბრაზობთ, — თქვა მან ხვნეშით, — თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ, ჯერ კიდევ გამოუცდელი... მე კი ფულს მოგცემდით, ძალიან ბევრ ფულს...

— კი მაგრამ, რაში?

— ჰე! ჰე! ეს თქვენ უკეთ მოგეხსენებათ!

— ნამდვილად არაფერი მესმის.

— თქვენ სახლში ცეროდენა ანგელოზი გყოლიათ... ჰოდა, — მან სიტყვა არ დაამთავრა.

— ღმერთო ჩემო, ეს კაცი ნამდვილად გიჟია, — თქვა ნელიმ. — რა ცეროდენა ანგელოზზე ლაპარაკობს?

— აჰ, ახლა კი ვხვდები, — ნაძალადევი სიცილით ვთქვი მე, — გუშინ იმ იხვის ჭუჭულს ვუთხარი, — ხელით ნატაზე ვანიშნე: — სახლში ცეროდენა ანგელოზი მყავს-მეთქი. გახეთქილი მთვრალი ვიყავი. იმას ამისთვის უთქვამს, ჰოდა, ამ სულელმაც დაიჯერა.

— მე ბევრ ფულს მოგცემთ, — გაიმეორა მებუფეტემ.

— ჯანდაბას შენი თავი, — ვთქვი მე. — რა გინდა ჩემგან?

— მომყიდეთ. 10.000 მანეთს გადაგიხდით.

— წავიდეთ, — თქვა ნელიმ. — ეს კაცი აფრენს.

მაგრამ მე ახლა თვალამღვრეული ვუყურებდი მებუფეტის ოფლიან, სიხარბისაგან აჭარხლებულ სიფათს და ძალიან მინდოდა გამერტყა.

ასეც მოვიქეცი.

მებუფეტე მოწყვეტით დაასკდა ცემენტის იატაკს.

ნატამ შეჰკივლა.

მე და ნელი სასაუზმედან გამოვედით.

8.

აღგზნებული მოვდიოდი სახლისკენ. მხოლოდ სახლთან მისვლისას გამოვედი ამ უჩვეულო მდგომარეობიდან.

მოვიხედე.

ნელი არსად იყო.

ხელი ჩავიქნიე და შინ შევედი.

ცეროდენა ანგელოზი ისევ მაგიდაზე იჯდა თავჩაქინდრული.

— მოვედი, — ვთქვი და სკამზე დავეშვი.

— ნელი სადაა?

— ჯანდაბას ნელიც და ყველაც, — ვთქვი აღგზნებით. — აღარავისი ნახვა არ მინდა.

ცეროდენა ანგელოზმა გაკვირვებით შემომხედა.

— რა მოგივიდა?

ერთხანს ვდუმდი.

— ახლა კი ვიცი, ვინა ხარ, — ვთქვი ბოლოს. — აგრერიგად რომ ამაღლდი ყოველივეზე, რაც კი ღირებული არსებულა ჩემს სულში. მე მგონი, ვიცი... მაშ რატომ არ მეშინია გრძნობათა მოზღვავებისა, რად არ მეშინია იმ ნათელის, სულში რომ ჩამეღვარა და კი არ მააფთრებს, პირიქით, მამშვიდებს და მაიმედებს?

ცეროდენა ანგელოზი დუმდა.

— ვიცი, თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავი, — განვაგრძე მე, — მაგრამ, რა ვქნა, ღმერთი ხომ არა ვარ. ახლაღა ვხვდები იმ შეცდომას, რაც ჩავიდინე! ახლაღა! ახლაღა! შენს წინ გავიყავი სარეცელი იმ დედაკაცთან, შენს წინ ვიგრიხებოდი მთვრალი და ბანალურ სენტენციებს ვაფრქვევდი, შენი საიდუმლო გავთქვი ენაჭარტალა გოგონასთან, რის გამოც დღეს შენში ფული შემომაძლიეს...

— მაგრამ შენ ხომ დაიცავი ჩემი ღირსება, — ჩურჩულით თქვა ცეროდენა ანგელოზმა.

— შენ ესეც იცი! და მე, იმის ნაცვლად, რომ უხმოდ მეცა შენთვის თაყვანი და მონად გაგხდომოდი, შენი ყოველი ბრძანება შემესრულებინა, მოგექეცი, როგორც უგუნურ ბაღლს ექცევიან ხოლმე... ეს მაცოფებს, მაცოფებს, რადგან თავიდანვე ვერ მივხვდი, რომ შეუცნობი იყავი, შეუცნობი და მარადიული ნაწილი იმ დიდი ჭეშმარიტებისა, რასაც ადამიანები სილამაზეს უწოდებენ.

— გაჩუმდი! — თქვა ცეროდენა ანგელოზმა. — გაჩუმდი!

დავმორჩილდი.

ცეროდენა ანგელოზი წელში გაიმართა, ხელი მბრძანებლურად ასწია, ჩემს ნახატზე მიმითითა, რომელზედაც ცა იყო გამოხატული და თქვა:

— დახატე ელვა!

მაგიდაზე დაგდებულ ფუნჯს დავწვდი, ვერცხლისფერ საღებავში ამოვავლე და ნახატზე ფრთხილად გავავლე მქრქალი ხაზი.

ცეროდენა ანგელოზმა ნელა შეაბიჯა ნახატში, ელვისკენ ხელი აიშვირა და... გაიყინა.

მთელი ხმით შევყვირე.

გვიანღა იყო.

ხორცი გაყროდა ცეროდენა ანგელოზის სულს და იმ სამყაროს დაბრუნებოდა, საიდანაც მოვიდა, მაგრამ ასე იყო კი?! იქნებ ის არსებანი, ვინც მშვენიერების საუფლოდან არიან მოსულნი და ვისაც ფრთები ეტრუსება ამქვეყნიურ ვნებათა ცეცხლზე, ჩვენთან, პოეტებთან და მხატვრებთან მოდიან, რათა გამეფდნენ ჩვენს სულებზე და მათივე ბრძანებით ხორცგაცლილნი (ისევე, როგორც შიშვლდება გრძნობა), ჩვენივე კალმით, ყალმითა თუ საჭრეთლით აღვიდნენ ცად, რათა შემდეგ, ოდესმე, კვლავ გადმოვიდნენ სტრიქონიდან, საღებავიდან და ახლა სხვა სულთ ჩაეღვარონ იმ სიყვარულად, რასაც ჰქვია ჭეშმარიტი შემოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ხოდაშნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხეთში

ნაქალაქარი, ნაოხრები,
წყალთბილა, ვალე,
კვლავ სინანულით მომაბრუნებთ
მალე და მალე.
თვითონ სახელი შინაარსსაც
მეტყველებს თქვენსას,
მე დავამატებ, დავამატებ,
ძვირფასნო, ერთსაც.
აღორძინება, განახლება,
ნეტავი, გერქვათ...

თუმცა წასული ისტორიის —
გაისმის ფეთქვა:
ხელს არ უშვებდით
ხმლის ტარს, ქაფჩას
თოხსა და ერქვანს...
გვყავს წინაპრები საამაყო
ბეშქენ და ბექა
და კაი ყმები ებადება
ჩემს მამულს ეხლაც...

ნაძვი

პატარა ნაძვო, — გეხლება ქარი,
ზამთრის ქარი და თოვლი,
სუდარას გაფენს ეს იანვარი,
ტყეს ჟამი უდგას გლოვის...
გაწყდება ქარი, უნდა როგორმე
იქნებ მიწაზე დაგცეს.
ნუ გერცხვინება თუ გაჭირვებულს
ოხვრა და კვნესა დაგცდეს..
შენ მაინც უნდა იდგე, ძამია,
ყოველგვარ ჭირში გასძლო.
რა ვქნათ თუ ახლა თოვლის ქარია,
მზეც გადმოგხედავს, ნაძვო.

სიცოცხლის გაზაფხული

ახლა გაზაფხულია,
კვირტი გამობერილა,
და მინდორში ნახნავი
ჩანს სტრიქონად — წერილად.
გადასტრიქონებულა
ვაზი კოხტა მწკრივებად,
მზეზე ბრწყინავს წვეთები
მარგალიტის მძივებად.
თებერვალმა ამ შიშველ
ხეებს ქარი ასტუმრა.
ილვიძებენ წვეთები
ფესვენი რომ აქვთ სასთუმლად,
ბუდეები... ხარობენ
ცას რომ კარგი ფერი აქვს.

ზეცას მისჩერებიან
და პატრონებს ელიან!
მალე მოვლენ ფრთოსნები
ქარებს გამოჰყვებიან.
ბუდეებში ბარტყები
აჟივჟივდებიან...
ჯერ კი ქარი უბერავს.
დადექ ქარო, აშარო!
დააცადე ამ ხეებს
ჯერ ფოთოლი გაშალოს.
გაზაფხულო — მოგელით
რამდენ ხანსა გნატრობდით.
მიტოვებულ ბუდეებს
დაუბრუნე პატრონი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეციხოვნე

ვუძღვნი თელავის ციხის მცველთა შთამომავალს ფარნაოზ რაინაულს.

იზრდებოდით მეციხოვნედ
და მამულის მცველებად.
შაჰს და სულთანს აძრწოლებდათ
თქვენი ერთი ხსენებაც...
ქვეყნის ბურჯად იდექით და
მამულისთვის ომობდით.
მეციხოვნე კაცი, აბა,
მაშ სად უნდა ცხოვრობდეს?
დაულეწელ ციხის ბურჯებს
მკვიდრად რომ ნაშენი,
ეგ ბრიალა, ბლუჯა-ბლუჯა
ყვავილები ამშვენებს.
პოეტმა და მეციხოვნემ
ბურჯად რომ დამდგარი —
დაითვალოს იარები
ნათოფარ-ნახანჯლარი...
მაშ ვის გულში ენთოს ქვეყნის
სიყვარულის ხანძარი?

შაჰს თუ სულთანს ნეტავ ვისი
ედგათ შიშის ზანზარი...
ვის წინაშე ქედს იდრეკდნენ
არაბი თუ ხაზარი?
საქართველოს მეციხოვნეს
ხმაში ჰქონდა სხვა ზარი.
ვერ აკრთობდა ვერც ლახვარი,
ვერც ხმალი და ხანჯალი...
ვერც უგვანო დამსმენი და
საჭურისი — არჯალი...
იდგა მარად მამულისთვის
ციხესავით ჩამდგარი...
გქონდეს მარად სალოცავი
ქართულ ლექსის ტაძარი...
მამულის და ხალხის არი
უკეთესი რაც არი...
ერთი არ ხარ ციხის მცველი —
იცოდე რომ სხვაც არი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ამოძახილი

შორს სიმღერა „ლალესი",
მიიძვრება ნახირი,
მიწის სუნთქვა ჩამესმის,
მისი ამოძახილი:

„მიდი, ბიჭო, იარე,
ცისკენ ნუ იყურები,
დააცქერდი ხვიარებს,
დავსებულან ჭურები!

ყური მიწას დაუგდე,
სიცოცხლე რომ გათხოვა,
ციხე-კოშკი აუგე
გლახაკთა და მათხოვართ.

მერე ალბათ მამულის
მიწას ჩაეხუტები,
გლოვის ზარი გაბმული,
განშორების წუთები..."

ჯერ კი მთაზე იალაღს,
გადავყურებ შორიდან,
მოვისინჯავ იარაღს,
იქნებ მტერი მოვიდა.

ხმალს დავცქერი ალესილს,
წელში ოდნავ გახრილი,
მიწის სუნთქვა ჩამესმის,
მიწის ამოძახილი:

„მიდი, ბიჭო, იარე!
ცისკენ ნუ იყურები,
დაბზარულან ჭურები,
დაბზარულან ჭურები".

წამოუშლიათ ოცნება ქარებს

წამოუშლიათ ოცნება ქარებს,
და ჩემი რაში სადავეს მართმევს...
გული სიმშვიდეს არ გაიკარებს
მზე ჩემთან ერთად ღამეებს ათევს.

შუაზე ვფანტავ დუშეთის ნისლებს
და ქარიშხალი მაბრუნებს თითქოს.
გზააბნეული არაგვი მისმენს
და ჩემზე ლამაზ ოცნებებს ითხოვს.

ლექსი დავარქვი რაც ჩემ ცხოვრებას
და ბედაური ვიხმე ზღაპრული,
ჩემი სიცოცხლე და მოგონება
შენზე ფიქრშია გადახლართული.

მამულის მთებში გადავიკარგე,
რომ ალიონზე ასე გიმღერო,
სირცხვილით წითელს მოგაყრი ვარდებს,
რომ ჩაიხუტო და შეიფერო.

რა გული უძლებს ამდენ ოცნებას,
ქარბუქშიაც რომ ცეცხლი აჩაღა,
შენთვის რამდენი დაიხოცება,
გული გავარდა მთებში ყაჩაღად.

მწევართა ყეფა სმენას აყრუებს,
გადმოვარდნიათ ენა მადევართ,
ჯერ არ უნახავს ჩემს გულს საგულე,
როგორც ქარქაში ქართულ სატევარს.

მზიანი ღამე

იასამნებით თვრებოდა ღამე,
შორს სამრეკლოდან რეკავდა ზარი.
ვიღაცა ჩუმად ითვლიდა წამებს,
როგორ მოთქვამდა მეტეხთან მტკვარი...

იდგა სიჩუმე შენ ქუჩის ბოლოს,
მე კი ვუხმობდი ფრთააშლილ ქარებს,
შენთან ალერსი მინდოდა მხოლოდ
და ხელში შემრჩა ნამგალა მთვარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დუდუკი ისევ ძვრებოდა სულში,
თითქოს უნდოდა ერთად გვეტირა.
მადლობას ჩუმად ვწირავდი გულში,
სიყვარული რომ გამაბედინა.

და მივდიოდი მზიან ღამეში,
აღარც მინდოდა მოხედვა უკან,
და იმ ღამინდელ სიმხურვალეში
ვერ ჩავუარე ამაყად დუქანს.

იასამნებით კვდებოდა ღამე,
შორს სამრეკლოდან რეკავდა ზარი,
ყანწი ბანცალით ეძებდა დამლევს,
როგორ მოთქვამდა მეტეხთან მტკვარი.

წიწამური

წიწამურისკენ თოფი გავარდა,
განა ეს ჩვენთვის უცხო ხილია?
თითქოს ვერ შეძრა მთები, არადა
თურმე სამიზნედ იდგა ილია.

იყო ზაფხული, სიცხე აჭერდა
და წიწამურთან ულმერთოდ თოვდა.
დილა მამლის ხმას აღარ დასჯერდა
და გათენებას ისევ შენ გთხოვდა.

იწექ გულაღმა, გინდოდა გეთქვა:
— ჯერ არ დამცხრალა ამ გულის ფეთქვა.
გადაუფრინა ზეცას ქედანმა,
ქართლს უშენობა ვერ აეტანა.

ნუგეშად დარჩა ნათქვამი შენი: —
„მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა".

წლები მიდიან, მაგრამ ვთქვათ მაინც,
რომ არ ჩამქრალა ცეცხლის ღადარი
დადგეს მიზანში წიწამურისკენ
ქართველი კაცის გული მზად არი.

მამუკა დოლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოველები

ნამი

ნაზი, თითქო ხელში ჩაგემსხვრევაო, ცისფერი ქედი, წყალნარევი საღებავივით ცაში გახსნილი, ჩრდილებად ეცემოდა სოფელს. ქალი იდგა კლდის ჩანჩქერთან და ავსებდა დოქს. უეცრად მზის ჩასვლის მხრიდან შრიალი მოესმა, პირი იბრუნა და გაშრა... ნახევრად სავსე სურა შერჩა ხელს და ტუჩმოკლე ყელიდან სახეზე ჩამოეღვარა ცივი ჩანჩქერი. ტყის პირზე ტოტების ფარდა გაიხსნა და გამოვიდა თეთრი მხედარი. ქალს თვალთ დაუბნელდა. ველარაფერი გაარჩია ზვავად მოხეთქილი სითეთრის მეტი, შემდეგ იგრძნო, რომ ორი გედივით ხელი შემოეჭდო წელზე და მიწას მოწყვიტა...

წუთიერ თავდავიწყებაში კაცის საავდროდ მოღრუბლული სახე ესიზმრა; დაინახა, თუ როგორ დაადევნა გაქცეულს მზერა, როგორ შეანათა გაყინული თვალები მზეს, თითქო სხივთა მხურვალებით სურდა მათი გალღვივება და გათბობა. რისხვით შეპყრობილი, ალვირს უჭერდა მოწოლილ სურვილს, მთელ ცისქვეშეთს რომ დალეწავდა განუკითხავად, რადგან თვითონაც არ იცოდა რა ცოდვა უნდა მოეკითხა ამ პირქუში, უსიცოცხლო კოშკებისათვის; არ იცოდა და მაინც ეძლეოდა გულში ხანძარივით მოდებულ სიბრაზეს. რა იყო ეს? არასოდეს ყოფილა ასე დაძაბული, ოდნავი მოგონებაც რომ ტკივილს აყენებდა. ვინ იცის, სად და როდის მოიქარგა ეს უხილავი აბლაბუდა გონების თვალზე, ყველაფერს რომ აფერმკრთალებდა, ეჭვის ქვეშ აქცევდა... კაცი ფიქრებიდან გამოერკვა და მძიმე, ფეხათრეული ნაბიჯით, თითქო საპალნეს ეზიდებაო, აღმართს შეუდგა. გული ახლა ბარტყივით უფართხალებდა, ადი-ჩადიოდა, ვერ ეთვისებოდა ჩონჩხის გალიას, ტყვედ ჩაგდებულს რომ ბოჭავდა. ერთი მიზანი ამოძრავებდა, ერთი მისწრაფება — როგორმე გაქცეულს დასწეოდა და შური ეძია; საშვილიშვილოდ, თაობიდან თაობას რომ გადასცემოდა მისი შიში და ბოღმა, შიშნარევი ბოღმა, ო, რა ნეტარებას მიეცემოდა მაშინ! ოფლად დაღვრილი, ვალმოხდილი მსაჯულივით მდგარი სისხლის მორევში! ახლა მთლიანად შურისძიებაზე ფიქრს დაეპყრო მისი გონება. სხვა საწუხარი და დარდი წლების მანძილზე უჩუმრად მოზღვავებულ და ერთბაშად მომსკდარ სიბრაზეს წაელეკა, წაელეკა ოცნებებთან და მოგონებებთან ერთად, რომლებიც ამდიდრებდნენ და ავსებდნენ მის მარტოობას, აქარვებდნენ და აყუჩებდნენ მწუხარებასა და ტკივილს, ქალის გაქცევით გამოწვეულს, და ისიც სიხარულით ცას ეწეოდა, რომ მის გულსაც ერგო შფოთი და ღელვა; განა დღეს არ მოარყია ხე ძირფესვიანად, რათა ქალის მიმართ გააფთრება ტოტების მტვრევაში დაეხარჯა? მხედარით გატაცებული კი რაღაცას დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცინოდა. მწარე სიტყვებით გესლავდა. სიტყვების აზრი ვერ აღწევდა გონებას, მაგრამ გული გრძნობდა მათ შხამნარევ ნაკბენს, მათ მტკივნეულ სიმართლეს და ეს უფრო ამძვინვარებდა, უფრო უკარგავდა აზრსა და სიცხადეს. ეს არ იყო მომძლავრება, ეს იყო სისუსტე, ადგილზე რომ გარბიხარ, ამაოდ რომ ირჯები; რადგან ხეც კი ვერ ამოგლიჯა ბოლომდე, დაენანა, შეეშინდა და ამ შიშნარევმა სინანულმა გაუქარწყლა რისხვა. ბოლო უნდა მოეღოს უმოქმედობასა და თვითგვემას! ამიტომ უფრო ეჩქარება, უფრო ესაჭიროება შურისძიება, რომ რაღაცა მაინც გააკეთოს, ბოლომდე მიიყვანოს, ირწმუნოს თავისი ძალა, თავისი არსებობა. რაც უფრო უღრმავდება თავის განცდებს, მით უფრო ხვდება, რომ მას გული კი არ უბიძგებს, არამედ ანგარება და გონება; რომ მას არც სიყვარული შეუძლია, არც მტრობა, რომ ეს რისხვით ანთებული, ფოცხვერის თვალები მხოლოდ ნიღაბია სარკის წინ დაჭიმული, რომ ამდენმა ფიქრმა, ჭვრეტამ და ზმანებამ მოწყვიტეს სიცოცხლეს! სისხლი კი არ სწყურია, სისხლი სჭირდება, ვალი რომ გაისტუმროს, თავი რომ იმართლოს. განრისხებაც რომ არ შესძლებია! თითქოს აინთო შურისძიებით, დააქცია ცა და ქვეყანა, დაიფიცა, რომ ცოლს არ შეარჩენდა ღალატს, მთელი დილა ამ სიბრაზით ცხოვრობდა, სათუთად ინახავდა როგორც ნაკვერცხალს, ძლივს რომ ბჟუტავდა გონების წყვდიადში და სულს უბერავდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიეცა ძალით გაღვივებულ განცდას და მისი მძვინვარებაც ნაძალადევი, არაფრისშემძლე აღმოჩნდა.

ახლა შორეული, წარსულის სიღრმეში ჩამარხული დრო გაახსენდა, როცა სამყარო არ იყო ფერგაძარცვული, ჩამქრალი; როცა არ არსებობდა ყოვლისმომცველი ეჭვი, ყველაფერს რომ ანგრევდა და საყრდენს აცლიდა. ეს უცნაური სიყვარულიც — ათასჯერ განცდილი, ოცნებად ქცეული და მაინც უსიცოცხლო. ცხოვრება ხორცს არ ასხამდა იმას, რასაც ხატავდა წარმოსახვა, რასაც აშენებდა ოცნება, გონების ნათება ვერ აღვივებდა გულის ცეცხლს.

კაცი მოუთმენლად ექვეთა აღმართს, რომლის გადასახედზე უკვე მოსჩანდა ბინდისფერი სოფელი, ცხელი, ალმურავარდნილი. ირგვლივ მწვერვალებს ეფინებოდა მზის აბლაბუდა, ცეცხლის ძაფები ტყდებოდნენ ყინულში, ცისარტყელებად ხვრეტდნენ სითეთრეს და ეცემოდნენ ჯადოსნურ სოფელს, ფერსავსესა და მოლოდინით დამუხტულს. ეს ის სოფელი იყო, რომელიც მის მახსოვრობას ასაზრდოებდა, რომელიც მოკლავდა ან გააცოცხლებდა, შეიწირავდა ან მსხვერპლს გაიღებდა... ისევ მოცურდა აზრი და წამოვიდა სიბრაზის ტალღა. ფიქრის დამდნარი სათავეებიდან მოდიდებულმა მღელვარებამ მოწყვიტა მოგონებების ზვავი. ამოტივტივდა უხსოვარი დრო, დავიწყებას მიცემული განცდა და უცებ წყვდიადმა შთანთქა ეს ყველაფერი. ცისმჭამელი ღრუბელი მიწაზე ჩამოწვა და მის ნაზ, გამჭვირვალე სხეულში სოფელიც გამკრთალდა. ახლა მზით სავსე ნისლი მიაცილებდა, სიღრმეში ათამაშებული ჩრდილითა და სხივებით, ოქროს წყვეტილი სხივებით, თითქოს უნაპირო ცა ჩაქცეულიყო ზვინებად დამდგარ ფერთა ქაოსში! სისხლისფერი ტუჩივით გასდევს კლდის პირი ღრუბელს, ზევით კი ჯადოსნური ნოხივით აფრენილა ყინულოვანი მთის კალთა, რომლის ნაოჭებში რუხი კოშკები ჩასაფრებულან, მტრის თვალს გაქცეულნი, ერთი ზრახვითა და შელოცვით მდგარნი. რაღაც ახალი იგრძნო კაცმა. იგრძნო, რომ სხვად იქცა, რომ შემსუბუქდა, დაკარგა ხორცი, შეერია ქარვისფერ ღრუბელს, შეუერთდა ცასა და მიწას. ესეც უძრაობა იყო, უმოქმედობა, მაგრამ ეს იყო ფერიცვალების სიმშვიდე. ყოველი ნაბიჯით კაცი უჯერებდა საკუთარ თავს; საკუთარ, წლების მანძილზე შენახულ გრძნობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მოგონებებით იყო შელამაზებული, შეფერილი; ბრჭყიალა სამკაულებით განზრახ მოკაზმული, რათა გამქრალიყო უსაფუძვლო ეჭვი, ყველაფერს რომ შხამავდა და ამწარებდა. ჯადოსნურ ნოხში ჩაქარგული ხეები კი მისკენ იწვდიდნენ ხელებს, მისკენ გამორბოდნენ თავაწყვეტით; იყო რაღაც შეუკავებელი, გიჟური, მათ მისწრაფებაში, მოძრაობით სავსე დგომაში. წამით შეჩერდა. არ იცოდა საით წაეღო თავი, შემდეგ თითქო გზა გაიხსენაო, ტყისკენ დაიძრა. ღმერთო ძლიერო! ისევ დაიმსხვრა სიზმარის ტალღა, ესოდენ სასურველი, ტანჯვით მოქცეული. ისევ მიხვდა, რომ ეზარებოდა შურისძიება, რადგან მისი არსი სიზმარზე კი არ იყო, არამედ თვალი, რომელიც ყველაფერს ჭვრეტს, იმახსოვრებს, იწოვს, ვერ ძლება, თავიდან ეწაფება, მაგრამ თვით არ ინძრევა, ასეთად დაიბადა და ეს მისჯილი უმოქმედობა ბოლომდე უნდა ზიდოს.

ამ ფიქრებში კვლავ დაეკარგა რწმენა, ბრმა, მაცდური თავდაჯერება, რომ სამაგიეროს მიუზღავდა გაქცეულს. საკუთარ გულგრილობაში ვერ ჰპოვა ვერაფერი, რასაც მოერგებოდა შურისმაძიებლის ნიღაბი. ნისლი გაიფანტა. წითლად ჩაბნელებულმა ტყემ დაიპყრო სივრცე. მეწამული ღრუბლები მზეს მიაცილებდნენ ქვესკნელში. კაცი კი არ მიაბიჯებდა, გარბოდა. გაურბოდა თავის უმწეობას, ნაძალადევ გრძნობა-სურვილებს. უცნაურად იზიდავდა უღრანი ტყე, ისეთი ძალით, თითქო იქ ელოდა ის, ვისაც სხვაგან ეძებდა, თითქო იქ იყო მისი ხეტიალის აზრი და მიზანი. გამოცდილებით იცოდა, რომ ეს მაცდური ლტოლვა იყო, რომ ტყეში განმარტოებულს მხოლოდ სინდისის ქენჯნა ელოდა, მაგრამ გულგრილი ცოდნა ვერ კლავდა ბრმა მისწრაფებას; რადგან ამ მისწრაფებას მიზანი კი არ გააჩნდა, არამედ მოუსვენრობა და ადგილის გამოცვლის სურვილი აძლევდა ბიძგს.

საღამოს მზე თანდათან ამოეფარა მთაგრეხილს, შუქ-ჩრდილთა თამაშმა ააჭრელა და გააფერადა დაბურული ტყე. რაც უფრო ღრმად მიიწევდა, მით უფრო ატკბობდა სიმარტოვე და სიჩუმე, ცივი, ბნელშეპარული ჰაერი; ნელ-ნელა იძირებოდა საკუთარ თავში, სადაც ფესვებს იდგამდა რისხვანარევი სინანული, დამარცხებულის ხვედრი, რომელიც ისევ აღაგზნებდა და წინ გაიტყორცნიდა. უკვე იგრძნო შემპარავი წუხილი, გულზე შემოაწვა ხევის მდუმარება და ბინდი, ნისლში გახვეული ჩონჩხიანი ტყე და მაინც დამშვიდდა აქ ყოფნით, ფოთლების მწვანე წყვდიადში, მზის კრიალოსნებით მოფენილ ბილიკზე, და როცა მიწის სურნელმა გააბრუა, თვალმა ერთბაშად აღიქვა და დაადასტურა გონებით ხილული — სხივთა თამაშით შექმნილი ბიჭი. ოდნავ მიუბრუნდა, დაიხარა, სახეზე დააშტერდა; თხელ, ფაქიზ, ნათელ სახეზე, რომელიც სათუთი ნაკვთებით იყო მოხატული და მოპირკეთებული. დედის სილამაზე ხელუხლებლად იყო გადმოტანილი ბიჭის სახეზე. ეს იყო ხელშეუხები, საგრძნობი და მაინც საოცრად არამიწიერი სილამაზე. ბავშვი ხმას არ იღებდა, არაფერს ითხოვდა. მისთვის ისიც საკმაო იყო, რომ კაცის გვერდით სუნთქავდა, მის ცხოვრებას ინაწილებდა, მეტყველი სიჩუმით სავსე ცხოვრებას, როცა დუმილის ერთფეროვნება კი არ გაღარიბებს და გაცარიელებს, პირიქით, ყურადღებას გიმახვილებს და საკუთარ სულში გახედებს. ბიჭს მოსწონდა ასეთი უთქმელობა, ძალისა და სიჯიუტის ნაყოფი, რომელიც კი არ არღვევდა, უფრო ამძაფრებდა კაცის მარტოობას, რადგან ამ მარტოობას ახლა მაყურებელი გაიჩნდა.

დრო კი არც მიიზლაზნებოდა, არც გარბოდა. ის ქალის თავდავიწყებამ შეაჩერა და ამ თავდავიწყების იქით მდგარმა სინამდვილემ შიშითა და მო-

ლოდინით აავსო. კაცი ვერ გრძნობდა გაჩერებულ დროს, საერთოდ ვერაფერს ამჩნევდა, ზოგჯერ თუ შეცბებოდა შვილის დანახვაზე, უცხოსავით ჩააშტერდებოდა, მაგრამ მალე ეფანტებოდა მზერა და ისევ თავის დარდს უბრუნდებოდა. გაქრა ეჭვი. მოზღვავდა ძალა, რომელიც ახალ მისწრაფებას აძლევდა ბიძგს. ამ ფერიცვალების მიზეზი ბიჭი აღმოჩნდა, თავად შეუმჩნეველი, მაგრამ გვერდში მყოფი, კვალის დამტოვებელი და კაციც უფრო მტკიცედ იყო, უფრო თავდაჯერებულად. ახლა მას უეჭველად უნდა ეძია შური, უნდა ეკისრა თავისი წილი დანაშაული, რომ ისევ ადამიანი გამხდარიყო. ამას ჩასძახოდა ხმა იდუმალი, ამას ევედრებოდა ბიჭი თავისი გამჭრიახი, მეტყველი თვალებით; თითქოს შვილი იმიტომ გამოეცხადა, რომ ძალა დაეტანებინა ეჭვებში ჩავარდნილისთვის, ძილი დაეფრთხო, მოსვენება წაერთმია, როგორც მეხივით დაცემულ მოძალადეს, დამხვდურს რომ აღარაფერს ეკითხება და დაპყრობილ ბუდეს ყირაზე აყენებს. იცოდეს მაინც ვინ დასცა მეხი, რა ბედმა არგუნა ეს მოძალადე, ტყუპისცალივით რომ იმეორებდა მის ბავშვობას, მასავით მგრძნობიარე, გულჩახვეული და ამიტომაც უფრო ახლობელი, უფრო საშიში! მამამ იცოდა, რომ შვილს დაუშრეტელი მოთმინება გააჩნდა, რომ ის ასე, ცხვრის მორჩილებით გაეგებოდა ფეხქვეშ და სწორედ ეს მორჩილება მოუღებდა ბოლოს, რადგან ამ უთქმელობაში, ამ უსასრულო მორჩილებაში იყო ჩაქსოვილი ბიჭის სიმტკიცე და სიჯიუტე. და ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი. სამყარო არ ასვენებდა განდეგილ სულს! საკუთარი შვილიც კი, საკუთარი სისხლი და ხორცი, ვითომ უცხო და ვითომ არამიწიერი, განგების ხელით იყო ჩამოსხმული და გამოძერწილი, მისი მორჩილებითა და სიკერპით ცხოვრება შემოიჭრა ოცნების კოშკში, ტლანქი, ყინულოვანი ზვირთებით წალეკა მარტოსულის მყუდროება და სიმშვიდე, განგების ნება მოახვია თავს. შურისძიება! არა ბოროტების, არა თავმოყვარეობის, არამედ საკუთარი არსებობის სახელით! როცა განაჩენს სისრულეში მოიყვანს, როდესაც სული დამძიმდება ცოდვებისაგან და მიწას მიეჯაჭვება, მაშინ გაწყვეტს ეჭვის არტახებს და მის ნაბიჯს გაიგებს ქვეყანა! ქალსაც ქვეშეცნეულად სასჯელის მოლოდინი აქვს, რადგან ახსოვს კაცის ორპირი ბუნება. სწორედ ასეთი, მერყევი და ეჭვიანი, მეორე წუთს რომ არ იცის რას ჩაიდენს, ყველაფრის შემძლეა, რადგან ბრმა და განუზომელია ის ძალა, მას რომ მოქმედებისკენ უბიძგებს. ქალი არ უფიქრდებოდა ამ მოლოდინს, არ ჰქონდა ის გააზრებული, მაგრამ ეს იდუმალი მზადყოფნა აწუხებდა როგორც ავი წინათგრძნობა, როგორც ხიფათის გარდაუვალი ნიშანი.

საღამოს ფერითა და სიმშვიდით ივსებოდა სოფელი. ღრუბელთა თხელი, სიფრიფანა ბურბუშელები ციური ცხვრებივით კრთებოდნენ. მთელ მიდამოს ბინდის უნაზესი ფარდა გადაფენოდა, რომლის მიღმა ცისარტყელებად იმსხვრეოდა შუქის ჩანჩქერი. ქალი იდგა სხივთა კორიანტელში და სადღაც შორს, წარმოსახული ქედის ტუჩზე აკვირდებოდა ბუზივით წერტილს, რომელიც ვერ გაიგებდი, იკარგებოდა თუ ახლოვდებოდა, იწურებოდა თუ მსხვილდებოდა. ხან უცაბედად ქარი ააღელვებდა ზღვადმოქცეულ ფოთლებს, მწვანე ტალღა შთანთქავდა ბინდისფერს და შორეული ლანდი იძირებოდა მოქცეულ ზვირთებში. მაგრამ ეს აღქმის სიტლანქე იყო, თვალის განურჩევლობა. მზერის დაძაბვით ადიდებული სიმწვანე თავის კალაპოტს უბრუნდებოდა და ბუზისოდენა წერტილი ილექებოდა ზედ. ქალმა იცოდა, რა იყო ეს წერტილი, საიდან გაჩნდა და რას ითხოვდა; სიმსივნესავით რომ აჯდა დროსა და სივრცეს, შეუბრალებლად რომ ფართოვდებოდა, ყლაპავდა მიწას, აღარიბებდა ფერს. ამ წერტილს სიკვდილი მოჰქონდა. ქალმა ეს იცოდა,

მაგრამ თავს იტყუებდა, არაფერს იმჩნევდა, უფრო მეტი ვნებით, შიშნარევი სიცხოველით ეხვეოდა თეთრ მხედარს. საჭირო იყო ოცნებიდან მიწაზე დაბრუნება და გაქცევა, მაგრამ საშინელ უიმედობას გრძნობდა, უიმედობასა და სიზანტეს; თითქო სიყვარულიც და სიცოცხლეც არ ღირდა თავის შეწუხებად, არ ღირდა გაქცევად, რადგან შურისმაძიებელი მდევარი თუმცა ნელა, მაგრამ თავდაჯერებითა და რწმენით მოიწევდა თავისი მსხვერპლისაკენ, თავისი უძვირფასესი არსებისაკენ, რომლის სიყვარულს მომავალი მკვლელობა დაუსვამდა წერტილს.

მზის ჩასვლამ სოფელში მიუსწრო. გულამოვარდნილი მიადგა კოშკებს, რამოდენიმე წუთი ჰქონდა დრო, თუმცა უქმად და ხელაღებით მაინც ვერ დახარჯავდა მიწაზე დაბრუნებით მოგებულ დროს, რადგან ამ საბედისწერო წუთების გარდა ცხოვრებაში აღარაფერი გააჩნდა. რა ქნას, კოშკის გაღებას დაელოდოს თუ ტყეს შეაფაროს თავი? არადა მოლოდინის დროც აღარ არის, მიფრინავენ წამები, მძიმე ნაბიჯით ახლოვდება მდევარი და ეშმაკმა იცის როდის გაიხსნება ეს ჯადოსნური კოშკი! ამიტომ უნდა ირბინოს — უგზოდ, უმიზნოდ, თავაწყვეტით, ვიდრე ამოხდება სული! უკვე ესმის მდევარის სუნთქვა ქარის სისინში, უკვე ეცემა ნაცნობი ჩრდილი ჩანჩქერის მხარეს. ქალმა აშკარად, შიშით გამძაფრებული აღქმის მთელი სისავსით იგრძნო, რომ შურისმაძიებელი უკვე ტყის პირზე იდგა და მას უყურებდა, რომ წამიც და ჩრდილიდან სინათლეზე გამოიკვეთებოდა ქმრის წვერაბურძგნილი, ჭიანაჭამი სახე საავდროდ შეყრილი წარბებითა და ჩონჩხის ფოსოებში ჩაცვენილი უძლები თვალებით, და მაშინ ვეღარ გაექცეოდა ამ თვალების რისხვას, გაექცეოდა კი არა, ფეხსაც ვერ მოიცვლიდა, იმდენად თავზარდამცემი იქნებოდა მათი შემოხედვა. ამიტომ დროზე! აღარ შეიძლება ბედის ცდუნება! გაეცალოს აქაურობას და ტყეს შეაფაროს თავი! მყისვე გამოფხიზლდა, აღსდგა რწმენა და ცივი გონების ნათელი. დღე-ღამის გასაყარზე დაფანტული ფერები, ბგერები და სილუეტები საგნებად და მოვლენებად შეერთდნენ. ქალმა თვალი შეაპარა ქარვისფერ ზეცას, მიწაში ჩასული მზის მოოქროვილ კუთხეს, ჩანჩქერის სათავეს და უცებ ყვირილით უკან დაიხია, რადგან ნაცნობმა ჩრდილმა მისკენ ნაბიჯი გადმოდგა და სინათლის ზოლი ჩაყლაპა. ტყისკენ დაეშვა. ცეცხლს აკვესებდნენ მისი შიშით ანთებული თვალები. ფეხქვეშ ვერ გრძნობდა ქვასა და ღორღს; ქაჯივით უხორცო, თითქმის არ ეკარებოდა წყალნარევ მიწას. უძრაობა, უხილავობა, სიჩუმე მისდევდა და ამ უკუნეთში სხვადასხვა ხმები, ხილვები ესახებოდნენ; ხან ზურგიდან ეპარებოდნენ, ხან გვერდებიდან უტევდნენ, ხანაც ჭინკებივით თავზე ახტებოდნენ და წინ გზას უჭრიდნენ. ხეობაში მომწყვდეულმა ექომ ბიჭის ხმა მოიტანა. შვილი, ალბათ, მამას ედგა გვერდში, მამას ამხნევებდა, მამას აგულიანებდა; შვილი იყო ნამდვილი შურისმგებელი და არა სინდისის შეგონებაზე დათვივით გამობმული ნაცარქექია! თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა — ვისი ხელი გამოასალმებდა სიცოცხლეს? უზენაესი მსაჯული თვით ბედისწერა იყო; ქალი გრძნობდა ამას, გრძნობდა როგორც მოსახდენსა და გარდუვალს, როგორც იმ უცილობელ ძალას, რომლითაც ბუნება სასჯელს დაადებდა თავისუფლების მომხვეჭელს, მაგრამ ახლა არ იყო ფიქრის დრო. როგორმე გამოსავალი უნდა ეპოვნა, მსაჯული მოეტყუებინა და განაჩენს გადარჩენოდა. რა ქნას, საით გაიქცეს? წინ ჭაობიანი ტყეა, უკან ავისმეტყველი სიჩუმე — ისეთი მკვდარი და შემზარავი, რომ ისევ ტალახში გზის გაკვლევა სჯობია. მაგრამ მალე მზე ჩავა, ცის გუმბათი სისხლით შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებება და მაშინ ის ბილიკიც გაუჩინარდება, რომლის გაყოლებით შეიძლება ჭაობის გადალახვა და ბუჩქებთან გასვლა, თავის შეფარება, ტოტებში ჩაწოლა. ისეთ სამალავს მოიწყობს, ვერც თვალი იპოვნის, ვერც ხელი მიწვდება. ოღონდ სწრაფად! დაღამებამდე უნდა გადალახოს ჭაობი და შეასწროს თავშესაფარში! ქალის გონებაში ეს უცაბედი ფიქრები ფეთქდებოდნენ და ქრებოდნენ და კვლავ უსაშველო, ბნელი სიცივე მეფობდა ირგვლივ. მხოლოდ ფეხები, ჯიუტად, ერთტაქტში სცემდნენ და სცემდნენ ფაფასავით სივრცეს, თვალშეუვლებსა და მთვარის მოლოდინით გატრუნულს და ეს წონასწორობა წყლისა და მიწისა ცემისაგან იკეცებოდა, უკან გარბოდა; ფეხები კი მაინც ვერ ძლებოდნენ, რადგან მათ მიერ მოგებულ დროსა და სივრცეს შიში აიაფებდა, შიში, რომელიც თავზეხელაღებული მხედარივით შემოფრენოდა ზურგზე და მიაჭენებდა, მიაქროლებდა უგზო-უმიზნოდ, თვალუწვდენელი ჭაობის ძლივს გამოკვეთილ ბილიკზე. ამასობაში წყვდიადმა იმძლავრა. მეწამული ცა შავად შეიღება და ჩაბნელდა. ქალი შედგა გულამოვარდნილი, გაოფლილი ფაშატივით, ქშენითა და ცრემლისღვრით. ჯერ სველ, ბნელშეპარულ ბურუსში გაარჩია ხავერდოვანი ველი, ჩამავალ სხივთა შარავანდედი რომ ადგა თავს; შემდეგ ცრემლი მოიწმინდა და მინდვრის შუაგულში ნათლად დაინახა ბუჩქნარის ღია მწვანე ლაქა. მდევარი არ ჩანდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. საუბედუროდ თვითონ გახდა ხილული, ცხადად გამოკვეთილი. ქავილითა და ძრწოლით იგრძნო, როგორ გაშიშვლდა უცხო თვალისთვის, იგრძნო, რომ მიზანში იყო ამოღებული და ამ უსიამოვნო განცდამ ჟრუანტელივით დაურბინა. მთელი გარემო, ახლა უკვე რუხად მოღუშული ტყე — ჭაობი ობობასავით ხლართავდა მახრჩობელა ტოტებიც ბადეს, გზას აცდენილი რომ არსად გაქცეოდა. მდევარი ახლოს იყო, სულ ორ ნაბიჯზე; ქალი გრძნობდა ამას, ბალახის ყოველ გაშრიალებაზე, ყოველ უცაბედად დაცდენილ ხმაზე, მაგრამ ჯერ ვერ ავლებდა თვალს, თავს იტყუებდა ბავშვივით, იმედს იდგამდა გულში, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ნიავი ასე არასოდეს ატკაცუნებს ბალახს, რომ ეს ჩექმა იყო, ტლანქი, ყველგანმავალი და მაინც მთელი არსებით ებღაუჭებოდა ნიავის მოლოდინს, ვით წყალწაღებული ხავსს და გარბოდა; გარბოდა ახალი სუნთქვით, ახალი ძალითა და რწმენით, ახალი სიბრაზით. ახლა შორს აღარ იყო მწვანე საფარი, ერთი ამოსუნთქვა და ნახტომი აშორებდა სანატრელ ბუჩქნარს. ნეტა, ვიდრე მოჰკრავენ თვალს, მოასწროს დამალვა. მერე? მერე ახალ სვლას მოიფიქრებს. მთავარია ჯერ მწვანე ჭერი დაიდგას თავზე! მამა-შვილი შორს აღარ არის, არჩევს კიდევაც მათ გარუჯულ, მზემოკიდებულ სახეებს, შეუმჩნევლად რომ ფართოვდებიან. არა! გამოსავალი უნდა მონახოს, როგორმე გადაურჩეს მათ ავისმეტყველ ღიმილს; სახეები კი შეუბრალებლად ახლოვდებიან, მაგრამ არც ქალი კარგავს დროს, ტანშემოგლეჯილი, გველივით იკლაკნება, ჩირგვებს შორის მიხოხავს, აღწევს თითქმის შეუვალ ჯაგნარს, მის უკან სამალავი თავდება და ისევ ჭაობი გრძელდება. როგორმე უნდა გაფატროს ეს ზღარბივით ბუჩქი, მოიკუნტოს და ეკლებში ჩაჯდეს. სწრაფად! თორემ ჯალათები ახლოვდებიან! წუთიც და აქ მოაღწევენ და მაშინ... ქალმა აღარ დაამთავრა ეს საზარელი ფიქრი, თვალები დახუჭა და ერთი ამოსუნთქვით შეიჭრა საფარში. ეკლიანმა ტოტებმა მთელი სხეული დაუკაწრეს, მაგრამ ჯანდაბას სხეული! სულია ტკბილი! სული და სიცოცხლე! როგორც იქნა შეაღწია სოროში და ახლა თვალგაფართოებული ელოდება ბედს, მეტი გასაქცევი აღარსადაა, ეს არის უკანასკნელი თავსაცავი, უკანასკნელი იმედი! თუ თავის მოტყუებაა მხოლოდ... მაგრამ ჩუმად! ნაბიჯი ახლოვდება, უნდა შეწყვიტოს ფიქ-

რი, რადგან მდევარის ყურმა შეიძლება ფიქრიც დაიჭიროს. გულს რაღა უქნას? ჩაქუჩივით რომ სცემს, ურახუნებს, აყრუებს! ორივე ხელი მკერდზე! უნდა დაფაროს გულის ხმა! ამასობაში ტოტები ფარდასავით იხსნება და სულ ახლოს, დამალულისგან სულ ერთ ნაბიჯზე ბიჭი იბადება. ბიჭი თუ ლომი? ღმერთო მაღალო! ბავშვს სახე და ყბები გამსხვილებია, კბილები ეშვებად ჩამოზრდია, თავის ქერქი, კეფა, კისერი, ხვადის მოკლე ფაფარს დაუფარავს. ლომ-კაცი ღრმად, გულმოდგინედ ქექავს ეკალბარდებს, შემდეგ დევივით ტანაყრილ მამამისს უბრუნდება, რომელსაც ხელში კომბალი უჭირავს; „აქ უდარაჯე, არ გაგეპაროს"; თვითონ კი წინ მოდის და ქალს ესმის, როგორ ჩეხავს ცულით ტოტებს, როგორ ღმუის ჭინთვისა და სიბრაზისაგან; თავშესაფარი ბუჩქი კი ნელ-ნელა იწურება, მეჩხერდება, კლებულობს იმ ადგილისკენ, სადაც შიში არის ჩასაფრებული — ოთხზე შემდგარი, თვალგახეული. ბოლოს აღარაფერი რჩება ეკლების გარდა, თავდაჯერებული ლომი კი ახალ ნაკვალევს პოულობს და წინ მოისწრაფვის. „აქ უნდა იყოს", — ეუბნება თავის თავს და ფოთლების წყვდიადში იხედება. „ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველე" — გულში პირჯვარს ისახავს შიშადქცეული ქალი და ცდილობს არ ისუნთქოს, არ ააძგეროს გული, არ იცოცხლოს, მოკვდეს, ოღონდ გადაურჩეს ამ შურისმაძიებელ ურჩხულს, მოქნეული ცულითა და ლომის მახვილი მზერით რომ უსწორდება მსხვერპლის შიშისგან გაფართოებულ სახეს...

მზის თვალისმომჭრელმა, მტკივნეულმა ისარმა გაგლიჯა ზმანების უხილავი გარსი, პირმა სანატრელი სიგრილე იგრძნო. ჩანჩქერის ნაკადი ტუჩმიუდებლად გადადიოდა დოქიდან ყელში. ყველაფერი, რაც თავს გადახდა, იყო გაჩერებული წამის სიზმარი, მყისიერი სხივთა თამაში. სხვა არ ყოფილა არაფერი! არც თეთრი მხედარი, არც ბნელი კოშკი, არც მძიმე ჩექმა და არც საშინელი, გულისწამსვლელი მოლოდინი! ეს იყო მხოლოდ მხედარივით ნაქანდაკარი კლდე ჩაბნელებული ხეობის პირზე! ქალმა შვებით ამოისუნთქა, სახე მოიწმინდა, ზურგი შეაქცია წვიმით გამოკვეთილ მხედარს, დოქი ხელახლა გაავსო და მზერა გაუსწორა ბინდისფერ სოფელს, რომელიც მკრთალი ნახატივით მოსჩანდა ზღვადმოქცეული წყვდიადის ფონზე.

მოგზაურობა მთვარეზე

თქვენთან გავრცელებულია აზრი, რომ მთვარეზე არ არსებობს სიცოცხლე. ეს ცრურწმენაა. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის გადავსახლდი მთვარეზე, როდის გავხდი ამ მოსაწყენი და მკვდარი პლანეტის მკვიდრი. თუმცა ვჩქარობ გამოვტყდე, რომ მთვარის ერთფეროვნება მოჩვენებითია. ეს ნათელი გახდა ჩემი გადაფრენის იმავე დილას, როცა ცის მშვენიერმა ასულმა ერთი ნახვით შემაყვარა თავი. დავსახლდი ჩამქრალი კრატერის ფერდობზე, რომელიც მდინარის ვარდნობში მიექანებოდა. ამერიკელები ყოფილან აქ, მაგრამ სკაფანდრების ფანჯრიდან ვერ უხილავთ დადუმებული მწვერვალი, ჭმუნვით რომ დასცქეროდა გამქრალი მდინარის ქარქაშს. სიცარიელე მოჩვენებითი აღმოჩნდა! თვალი რომ შევაჩვიე, პლანეტის ჩონჩხი ფერითა და ხორცით აივსო. მდინარის კალაპოტში პლაზმის ნაკადი ჩადგა. ვულკანმა ცეცხლის ფრქვევა დაიწყო, რის გამოც ვარდნობი ოქროს ფერფლით დაიფარა. ახლა მიწა! ის შორს ტრიალებდა, მარადიულ ღამეში, ცის პერანგის ამარა, ვარსკვლავების მეჯლისზე! ამიხდა

ნატვრა. რა ოფლი ვღვარე, რა მწვერვალებს არ შევაკვდი, ვიდრე ამ გულდახურული მნათობის სილამაზეს გავხსნიდი! ჰიანჭველასავით ვეწეოდი ჩემს ბუმბერაზ სკაფანდრს მაღლა და მაღლა, მაგრამ სიმძიმე ისე არ მაწუხებდა, როგორც სიმსუბუქე. საერთოდ, მთვარის ყოველ წერტილში და ყოველ წამს განათება იცვლება, რაც არ სტოვებს ქაოსისა და არევ-დარევის შთაბეჭდილებას. მთვარეზე ყველაფერი დუღილსა და მდინარებაშია — არაფერია დასრულებული და მკვდარი. თვით შენი სულიც ირღვევა, სადღაც მიექანება და გრძნობ, როგორ კვდება დრო, როგორ ჩერდება ღამე, რადგან დაკარგულია ღერძი, რაზედაც ტრიალებს საათის ისარი. ამიტომ მთვარეზე მყისიერება დგას. არც მოგონებაა, არც მოლოდინი. ერთია აწმყო, ნამყო და მერმისი. ერთი ამოსუნთქვაა მთელი სამყარო! ახლა მხატვრობა! თვალს ვერ მოწყვეტ! ცისარტყელათა ფერადი ჩანჩქერები უფსკრულში მიფრინავენ, ზვირთების ბოლი ცამდე ასულა, ათასი ცრუ მზე იცინის სხივთა თამაშით შემდგარ სივრცეში, ნამდვილი მზე კი აბლაბუდას ქსოვს კუდიანი ვარსკვლავებისთვის და მაინც ნახშირივით ღამე დგას, ღამე მწვერვალების ფონზე ცაში მოცეკვავე ცისფერი მიწით...

ნეტავ რა დროა? იქნებ საუკუნე გადაგორდა? იქნებ წამი შედგა? რაც მიწას მოვწყდი, მახსოვს მხოლოდ საშინელი გრუხუნი, გრუხუნის შემდეგ ბიძგი, ბიძგის შედეგად დაუსრულებელი შინაგანი ძაბვა. გონება იყო მისი წყარო, მძლავრი და მახვილი აზრი, რომელიც სულიერი ძალიდან ფიზიკურ ძალად იქცა და მისი წნევისაგან ელ-გრეკოს წმინდანივით გავიწელე... წუხილს შეყინული, პატარ-პატარა ფიქრები შეინძრნენ და აზრმა დინება იწყო. სად იყო მისი სათავე? იმ მოუსვენარ დღეებში? თვით განცდის ასეთი გარდატეხა, ასეთი მდგომარეობის ნივთიერი გარსი იყო ერთგვარი საწყისი, საიდანაც აჩქარებას ვიღებდი. ჩემს ირგვლივ შეიქმნა წარმოსახვის ველი. ქვემოდან შერჩენილი შიში და მოლოდინი ასხივებდა მის ტალღებს, იწვევდა აზრის მოძრაობას, თან აფაქიზებდა და წახნაგებს უთლიდა იმას, რაც მარგალიტივით იდო გონების ნიჟარაში; ქვესკნელის გველეშაპი კი ჯიუტად მებღაუჭებოდა თავისი ბრმა საცეცებით, მაგრამ ხომალდმა ცეცხლი გამოსცა, გახეთქა მიზიდვის უხილავი გარსი და სიმძიმე წამართვა. უმალ დაპატარავდა და სათამაშოდ იქცა ის, რაც წამის უკან უსაშველო და გარდაუვალი მეგონა. ყოველდღიურობიდან ამოზრდილი დარდი და წუხილი განმშორდა მიწის ცისფერ სხეულთან ერთად. უჩვეულო სიმსუბუქე ვიგრძენი, სიხარული და სილაღე, რომ განვთავისუფლდი ტყვეობისაგან და დავრჩი მხოლოდ თავდავიწყება, და ახლა სიტყვას ვეძებდი, რომელიც ამ თავდავიწყებისაგან სამყაროს შექმნიდა. ხომალდი კი მთელი ძალით მიაპობდა დროსა და სივრცეს; მზე ვერ ასწრებდა ცის კიდიდან კიდემდე გადაგორებას და მე ფიქრზე უსწრაფესი ფრენის წყალობით სულ დღე-ღამის გასაყარზე ვიდექი, შემოღამების იმ უკანასკნელ წკიპზე, როცა ეს-ესაა უნდა დაიმსხვრეს სისუსტისაგან ბნელშეპარული ნათელი.

ზუსტად ვერ გეტყვით, როდის მივაღწიე მთვარეს. იმიტომ კი არა, რომ შეწყდა დროის დინება ან მეხსიერებამ მიღალატა, არამედ იმიტომ, რომ მთვარეზე დაჯდომა ერთბაშად არ მომხდარა. ციური კიდობანი შეუმჩნევლად მოექცა ახალი სამყაროს მკლავებში, ვით მოხეტიალე პეპელა დიდხანს რომ არავინ აცლის თავის თავთან თამაშს. მთვარის რელიეფი, მისი არსი ნელნელა შემოიჭრა ჩემს წარმოსახვაში. ნელ-ნელა უკუიქცა წყვდიადი, ჯერ მორცხვად მოიხაზა, შემდეგ ჩადრი მოიხსნა მისმა მშვენიერმა სახემ. მოხვედრილხართ ოდესმე ვარსკვლავების წვიმაში? ზესკნელს რომ შეესევა ციცინათელების ლაშქარი და მათი კვალი ცის მინდორზე ამოუცნობ სტრიქონებს

რომ სტოვებს. კინაღამ გამისკდა თავი! მუზარადი დავიხურე და ხომალდისაკენ გავიქეცი, მაგრამ ვერ მივუსწარი! ხომალდი სულ დაიწვა, დაპატარავდა ვით ფანქარი. ახია ჩემზე. აკი ვგრძნობდი, რომ ცუდად დამთავრდებოდა ჩემი გადაფრენა. მაგრამ ის, რასაც თქვენ უბედურებად მიიჩნევთ, თურმე ბედნიერება ყოფილა. ბედნიერებაა, როცა შენზე ბრძენი და შენზე ძლიერი ძალა სულით-ხორცამდე შეგიპყრობს და სადღაც, თავის სამყოფელში გაგაქანებს. იქნებ ამ ძალას შენს გულში ჰქონდა ფესვები? შენს არსებაში ეძინა ისე ღრმად და ისე უშფოთველად, რომ არ გაუმხელია თავისი სუნთქვა? საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს იღბალს ან ბედისწერას? რა მნიშვნელობა აქვს გამოთქმებს? როცა ორბიტაზე ტრიალებ და ხომალდის ფანჯრიდან დასცქერი ცოცხალ გლობუსს, ჯერ კიდევ ცდილობ შენი განცდები სიტყვებად აქციო, რადგან **უკან დაბრუნების იმედი გაქვს**, მაგრამ თუ წრე გაირღვა, თუ გადალახე მიზიდულობის ველი, ისეთ მწვერვალზე ახვალ, ისეთ არსს ჩასწვდები, ენა ვერ იტყვის და აზრი ვერ გამოსახავს; ნათელ სიტყვასაც დააბნელებს მისი სიღრმე! მაშინ გონებაც გაწმენდილი გაქვს; არც გული გწყდება, არც სინდისი გქენჯნის; არა გაქვს შიში, რომ დაგემსხვრევა ოცნების კოშკი, ფიქრის ხვეულებში ჩასაფრებული, ნისლის სუდარაში გამოხვეული, ერთი ზრახვითა და შელოცვით მდგარი! კოშკი ისლის ღეროებით შემოვლობე, უხვად რომ ეყარა მდინარის რიყეზე. მართალია, მთელ პლანეტაზე მარტო მე ვიყავი, მაგრამ სადაც არ უნდა გადაგისროლოს შემთხვევამ, ყველგან ხარკი უნდა მოუხადო ჩვევას. თუ არ შემოისაზღვრე, თუ რაღაცა საწყისად არ მიიჩნიე, ისე ვერ გაფართოვდები, ვერ გადალახავ საზღვარს. ზღვარის არსებობა მისი დარღვევის საწინდარია. ამიტომ ისლის ღეროები ძახილის ნიშნებივით დავუსვი კოშკს. რა სიმყუდროვე ვიგრძენი! პატარა თავშესაფარი უსასრულო სივრცეში! არც საფრთხობელა დამავიწყდა. რაც კი რამ ძველმანი გამაჩნდა, რა ჯართი და სიმძიმეც მედო გულს, ყველაფერი ზედ ჩამოვკიდე; ასე რომ ძახილის ნიშანი მძიმესავით მოიხარა...

როცა კოშკის გადახურვა დავამთავრე, კრამიტებს შორის ერთი პატარა, მოგრძო საგანი შევნიშნე. ფრთხილად ავიღე და ტილო გადავუსვი, საგანი გაიწმინდა კოსმოსური მტვრისაგან და ჩემს საყვარელ კალმისტრად იქცა! ცას ვეწიე სიხარულით. დიდი სასოებით გადავასვენე მაგიდაზე, ნაწილ-ნაწილ გავწმინდე და ისევ ავაწყვე. სამიზნე დავუყენე, ლულა გავუკეთე, კონდახი შევაბი. ჩინებული თოფი გამოვიდა! ის იყო სიტყვა უნდა დამეწერა, რომ ქვესკნელიდან ამოვარდნილმა ყვირილმა მთელი სამყარო შეძრა.

კარში გაგდებული ციკლონი ეზოს გარეთ, ზედ საფრთხობელასთან ყმუოდა. მტვერსა და ბუქში უცხო სილუეტი იდგა. არამკითხე ქარს მისი ძახილი სულ სხვა მხრიდან მოჰქონდა. ჯერ კიდევ სხვაგან ქროდა ჩემი გონება, მაგრამ ხმა მაფხიზლებდა; ბრმად, შეუპოვრად მოარღვევდა სიჩუმის კედლებს, მოგორავდა, ირეკლებოდა, ფიქრს მიფანტავდა.

— მამუკა! — ახლა უკვე გარკვევით მომესმა. სხვა რა გზა მქონდა, კალამი ქარქაშში ჩავაგდე და მაგიდას მოვწყდი.

ალპინიზმის მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ ქვევით არ უნდა ჩაიხედო. ისე ჩავიცვი სკაფანდრი, ისე ავისხი თოფ-იარაღი, ისე მოვიგდე ზურგზე ჟანგბადის ბალიში, რომ ყვირილისთვის აღარც მიმიქცევია ყურადღება. გაფანტული აზრი მოვიკრიბე, ვძლიე ცთუნებას და ძახილზე პასუხი არ გავეცი, მაგრამ აქ დაყოვნება უკვე საშიში იყო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შიგ ვერავინ შემოაღწევდა, მე გა-
მიტყუებდნენ გარეთ. ამიტომ განვე-
წყე თუ არა, კარ-მიდამოს მოვწყდი
და სანადიროდ წავედი. ქარი ჩადგა.
თოვლი წამოვიდა. წყვდიადის შავი
თვალებიდან ფიფქების მოხეტიალე ვა-
რსკვლავები ცვიოდნენ. ნისლში ეძინა
ხეობას. მარადიულ ღამეს რაღაც გაუ-
რკვევლობასა და იდუმალ სიღრმეს ან-
იჭებდა ფიფქების მრავალწერტილი...
ჩინებული დარი შემხვდა სანადიროდ.
ვერცხლისფერ გრუნტზე მალამოსა-
ვით დაფენილი ფანტელები კვალს ინა-
ხავდნენ. ერთი ამოსუნთქვით ავათავე
ფერდობი და ხეობაში შევედი. მდი-
ნარის სათავეებს ავყევი. იქ, ყველაფე-
რის საწყისში, სადაც მყინვარის ხვრე-
ლიდან ჩანჩქერი იბადებოდა, უფრო
წავაწყდებოდი საპოვნელს. მართალია,
კვალი აქაც ავიღე, მაგრამ გული მეუ-
ბნებოდა, რომ პატარა და უმნიშვნელო
მიზანთან მქონდა საქმე. უნდა ავსუ-
ლიყავი მაღლა და მაღლა, თვალით მი-
უწვდენელ ნაკრძალში, რომ სხვა და-
მეჭირა ცოცხლად.

თოვლი კი ბარდნიდა და ბარდნიდა.
გადალურჯდა ზესკნელის ველი. გარს
ხილვადობა გაქრა. აღმართს იმით
ვგრძნობდი, რომ ძალას ვატანდი ფე-
ხებს და უცებ გაიხსნა სათავე! ყინუ-
ლის გზაწვრილით შეერთებული თოვ-
ლის მეწყერთან, ყინვით მოჯადოებულ
და გაქვავებულ ჩანჩქერში! თვალს ვერ
დავუჯერე! ჩანჩქერის ლოლუებზე ის
ვიხილე, რასაც ვეძებდი! სრულყოფი-
ლად და ცხადად, თვით ღვთაებრივი
სიტყვა! ის არ ირეკლავდა დედამიწის
ცისფერ ნათებას, თვით ასხივებდა
მზეს! ფრთხილად ავცოცდი მოჯადოე-
ბულ ზვირთებზე, მივეპარე და ხელი
ვტაცე, მაგრამ ყვირილმა გამცა.

— მამუკა! — მეძახდნენ ქვემოდან.

ვერ მოვითმინე და უფსკრულში ჩა-
ვიხედე. ფიფქების მტვერში, თოვლის
ძლივსგამაგრებულ ქოჩორზე უცხო სი-
ლუეტი იდგა. იდგა, იდგა და ცრემლი-
ვით ჩამოირეცხა. როცა გონს მოვედი,
ჩანჩქერზე აღარაფერი იყო.

გამწარებულმა ამაოდ დავუწყე ძებ-
ნა ფიქრის გაწყვეტილ ძაფს. რას დაი-
ჭერ გაფრენილ სიტყვას! მხოლოდ წვე-
თები მორბიან. ჩანჩქერი ტირის თავის
ობლობას ალბათ.

ცოტა სული მოვიბრუნე და მწვერ-
ვალზე ავედი. შავი ცა ქუხდა და ელავ-
და. კუდიანი ვარსკვლავები ტრიალებ-
დნენ წაღმა-უკუღმა. რა სჯობია ახლა
კოშკში შემყუდროებას! ნაცნობ, უკვე
მოშინაურებულ, ჩვეულ გამოთქმებ-
ში, ზედაპირის გარკვეულობასა და თა-
ვთხელში! მაგრამ თუ იმას არ მივაგე-
ნი, ვინც სულს მიმღვრევს, ეს კოშკიც
დამემსხვრევა! თავს დამეცემა მუხანა-
თურად და ჩემს პატარა კერასაც დამი-
ნგრევს. მტერია თუ მოყვარე? ვინც
უნდა იყოს, ორს ვერ დაიტევს მთვარე!
გული ახლა კრატერის პირისკენ მიმი-
წევს, სადაც სიტყვის ყუმბარები სკდე-
ბიან. თუმცა წრიაპები მიკეთია, მაინც
ყოველ წამს მინდა ქვაყინულს მოვწყ-
დე და მოუსავალში გავფრინდე, მაგრამ
ეს ასვლა არ გეგონოთ, ეს ვარდნაა, ჩა-
შვება, მთვარის წიაღში, მეწყერი
გრძნობების ზღვაში, ვნებათა მორევ-
ში. არაფრის დაჭერა არ იქნება აქ, პი-
რიქით, შენ გიჭერენ, თავბრუ თუ და-
გეხვა, თუ მოწყდი... ფენა-ფენა ვეშვე-
ბი. პლაზმის ქერქქვეშა ღრუბელი ურ-
ჩხულივით იგრიხება, ათას ფორმად
და ფიგურად იფანტება ზვირთების
ბოლი...

— ცოტა სული მომათქმევინე, —
ვეხვეწები შავ ღამეზე შემომჯდარ
მთვარეს.

— ნუ ჩერდები, — მოსვენებას არ
მაძლევს ფიქრი.

ქვაყინულზე ფეხი დამიცდა და
ზურგით დავეცი. ირგვლივ სისხლის-
ფერ ღრუში სძინავს ქვეშეთის ზღვას.
ჭაღარა ნაკადები კრძალვით უერთდე-
ბიან. შევცურე თუ არა, დინებამ წა-
მიღო! მძინარე ურჩხულმა ბრჭყალები
გამოყო! სადღაა გარკვეულობა და სი-
მშვიდე! თავდავიწყების მათრობელა
ჭავლი მორევში მიმაქანებს. წინ მოგო-
ნებების სრუტეა. ნაპირები ერთმანეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხეთქებიან, რათა გამსრისონ. გაუხედნავი კვიცივით იკრუნჩხება პლაზმის ფაფარი. დინებამ უკვე გამოქვაბულთან გამიყვანა, სირინოზების ბუდესთან, სადაც წარსულის ხმები ცხოვრობენ. ვცდილობ არ ვათხოვო მათ სიმღერას ყური, არ ავყვე გარდასულ დღეთა დამღუპველ მელანქოლიას, მაგრამ მივუახლოვდი თუ არა, გამოქვაბულიდან სტვენა-ხმაური მომესმა, თითქოს მაგნიტოფონის ფირი გადაახვიესო, შემდეგ ბგერა მოცურდა და შორეულ მელოდიაში გატკბილდა. ამოტივტივდა უხსოვარი დრო, დავიწყებას მიცემული ტკივილი და უეცრად, ზვავად მოხეთქილ მოგონებებში მამას ხმა ვიგრძენი, ფიქრივით ჩუმი და ცხადი:

— აქა ვარ, ამ გამოქვაბულში, მას შემდეგ, რაც გული შემიჭამეს...

აღარ მახსოვს, როგორ გავცურე იქით, რა თავდავიწყებით შევიჭერი მეწამულ ზვირთებში. ვერ ვგრძნობდი ტალღებს, ვერც სისხლის გემოს, მივაპობდი წყალმცენარეებს, მოჩვენებული გვირაბისაკენ, მაგრამ მოგონებების სრუტე უეცრად გვერდზე წავიდა და ოქროს მადანივით გამობრწყინდა ზვინებად დამდგარი ხმელეთი. ხმელეთს სამი მხრიდან დარაჯობდნენ მარმარილოს და ზურმუხტის კედლები. ვერცხლის ქონგურებიდან შემოპარულ სხივების ჯვარზე ტბა ელვარებდა. ქაოშუქი, როგორც ჩიტი გალიასთან, ისე სცემდა ფრთებს ზურმუხტის გალავანს, ოღონდ შიგ მაინც ვერ შემოდიოდა — მარადიული აზრის ხელშეუხებელ ნაკრძალში, მკაფიო, თვალისმომჭრელ და თავზარდამცემად ლამაზ მინდორზე, სადაც ფერმიხდილი მზე სითბოს მაგივრად სიცივეს ასხივებდა. მაბრმავებდა ეს ყინვა და სიცხადე, ამ მოჯადოებული ვარდნობით ტკბობა! ძლივს მივაღწიე გალავნის ჭიშკარს, ვიპოვნე ბილიკი ზევით, მაგრამ გულმა მაინც ვერ მომითმინა და ოდნავ მოვიხედე.

ტბის სარკეზე ისევ ის იჯდა, ცხადი და ნათელი, — თვით ღვთაებრივი სიტყვა! უკან გამოვყევი სტრიქონის ხნულებს, გადავეშვი რითმის ზვირთებში; ვერ ვგრძნობდი ყინვას, ვერც უჰაერობას, იქით მივიწევდი, ტალღების გაყინულ ქოჩორზე, პირველყოფილ ქაოსში, მფეთქავი შადრევანისკენ, სადაც ის სიტყვა იჯდა, მაგრამ უეცრად ხმამ დაიჭექა, ყინული ჩატყდა, ტალღებმა გამომაგდეს და გონს უკვე გალავნის ნანგრევებში მოვედი.

— მამუკაა! მამუკა! — მეძახდნენ ქვემოდან. წამოვდექი და გადავიხედე.

— რა იყო?

— არ მიდიხარ სამსახურში?

მოლოდინი

შემოდგომის ცივი, უმთვარო ღამე იდგა. წვიმით მოკრიალებულ ქუჩებში ნათურების ცეცხლი თამაშობდა თვალისმომჭრელად. შორს, მუქლურჯი ზეცის იდუმალებაში ქარი სისინებდა გველივით.

შორეული ქარიშხალი ქალაქის ჰაერსაც არხევდა და დაკრუნჩხული, სიბერისაგან მკვდარი ფოთლები იხვეტებოდნენ უხილავი ხელით.

მძიმე რაღაც მაწვა გულს. ვერ იქნა და ვერ დავუბრუნდი ჩემივე თავს. ასე მეგონა, ერთი საათის წინ დარეკილმა ტელეფონის ზარმა ამომაგდო ყალიბიდან და ძილში გამოქანდაკებული სიმშვიდე ნამსხვრევებად აქცია. კარგა ხანი მხოლოდ სუნთქვა მესმოდა ყურმილში, შემდეგ ვიგრძენი როგორ დაბრუნდა დაკარგული ხმა და როგორ ჩამეღვარა ძარღვებში თბილი, ქრუანტელის მომგვრელი ჩურჩული...

— შენს იქით გზა არა მაქვს, მიშველე...

ვიგრძენი, რომ გულწრფელი იყო ეს ძახილი, მხოლოდ სასოწარკვეთაში ჩავარდნილს თუ შეეძლო ასე მკრთალად, ასე მისუსტებულად ეყვირა. იარაღები ჩანთაში ჩავყარე და გარეთ გავედი. სადარბაზოსთან უკვე მელოდება ეტლი, უღელში შებმული ცეცხლისმფრქვეველი რაშებით. გაკვირვება არ შევიმჩნიე, ბოლოს და ბოლოს, რა ჩემი საქმე იყო როგორ მიმიყვანდნენ ავადმყოფის საწოლთან, ამიტომ უხმოდ მოვკალათდი და მეეტლეს ვანიშნე, დაძრულიყო. ცხენებმა ფიქრზე უსწრაფესად გადალახეს ძილად მიგდებული ქალაქი, რომლის ყურეებში, ღუზაჩაშვებული ხომალდებივით იდგნენ ავტომობილები. გარეუბანში გავიჭერით და ახლა უკვე ღამეს შერეულ მინდორზე მივქროდით. ტელეფონის ზარი თურმე სხვა სოფლიდან იყო. ბევრი მიხეტიალია ამ მიდამოებში, მაგრამ არასოდეს თვალი არ მომიკრავს ამ დასახლებისთვის, უეცრად რომ გაიხსნა ტყის წიაღში, სოფელი კი არა, ქალაქივით გაქვავებული და გაუცხოებული არე... ორი უზარმაზარი, თითქო ბრინჯაოსგან ჩამოსხმული, ცეცხლით ფაფარგაშლილი ცხენი კი უკან იტოვებს ტრიალ მინდორს და შუა ტყეში ნოხივით გადაგორებულ პროსპექტს მიჰყვება. მარჯვნივ და მარცხნივ მაღლივი შენობების რიგია გაჭიმული. ტყის სურნელება იფრქვევა სახურავებს ამოფარებული კენწეროებიდან. ათასფერი რეკლამები ტრიალებენ ვიტრინების თავზე. არ ვიცი, თავბრუ დამეხვა თუ ცხადად მეჩვენა ეს ყველაფერი, მაგრამ იგივე გულშიჩამწვდომი ხილვა გაიხსნა ტყის შუაგულში, გაიხსნა ბავშვობისდროინდელი და აწ არარსებული ქალაქის ქუჩით, რომელიც მაშინ სწორედ თავისი სიდიდითა და შეუცნობლობით მოქმედებდა ჩემზე.

და აი, შევუხვიეთ ნაცნობ ჩიხში; ცხენები ქანდაკებებივით [illegible] და გაჩირაღდნებული ეზოდან რამოდენიმე ჩრდილი გამოიქცა ჩემს შესახვედრად.

— როგორ ელოდა შენს დაბრუნებას — ცრემლს მაფრქვევდა დაბალი, ცისფერთვალება კაცი — დღეებს ითვლიდა, საათებს, წუთებს...

გულმა ავი მიგრძნო და პირდაპირ სახლში შევედი. აღარ ვუგდებდი ტირილნარევ ლაპარაკს ყურს, თითქო მეშინოდა არ გამეგო რაღაც საშინელი და თავზარდამცემი, რომლის იდუმალი მოლოდინი ისედაც მაწუხებდა მთელი ცხოვრება. ავრბოდი კიბის საფეხურებზე, მივქროდი დერეფანში და უკან მომდევდა ჩახლეჩილი ხმა.

დერეფნის დასასრულს, ოდნავ გამოღებული კარიდან, სანთლის მკრთალი შუქი დაეცა. ოთახში შევედი თუ არა, დადევნებული ხმა მიწყდა და ყურმა თითქო თვალებს გადაულოცა ხმით მოტანილი. გაუგონარი და დაუჯერებელი, წარმოუდგენელ, მაგრამ თვალმისაწვდომ სურათად იქცა:

ოთახის შუაგულში, სანთლის შუქჩრდილებით მოქარგულ სარეცელზე, უამრავი ცრემლიანი სახით გარშემორტყმული, ჩემი უსიცოცხლო სხეული ესვენა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინელი პოეტები

ედიტ სეედერგრანი
(1892-1923)

VIERGE MODERNE

მე არ ვარ ქალი.
თეთრი სხივი და
უცაბედი გადაწყვეტილება...
მე ვარ ფაცერი ხარბი თევზებისა!
მე ვარ ნაბიჯი განგებიდან
სიკვდილისაკენ, —
ლამაზმანეთის სამეფო თასი!
თავისუფლების მწვერვალების
სიქათქათიდან,
მე ვარ ნახტომი საკუთარ თავში!
მოთენთილ სხეულში
აკრძალვის რისხვა და
კაცის გასაგონი სისხლის კივილი ვარ!..
მე არ ვარ ქალი,
მე ვარ გაოცება,
ცეცხლსა და წყალს შორის
მარადი კავშირი...
მე არ ვარ ქალი!
მე ვარ უცაბედი გადაწყვეტილება.

პაავო ჰაავიკო
(1931)

კაცი, რაც უფრო გულუბრყვილოა

კაცი, რაც უფრო გულუბრყვილოა, მით უფრო
შორეულ წარსულში წარმოიდგენს ოქროს საუკუნეს.
და მართლაც, ის თუ საერთოდ იყო
ამა თუ იმ დროს ხომ უნდა მიეკუთვნოს...
მაგრამ წარსული, როგორც ამბობენ,
მომავალს ჩუმად ეკურკურება!
და მათ შვილობილს, რაღა თქმა უნდა,
სახელად ჰქვია მარადისობა.

ელმერ დიქტონიუსი
(1896-1961)

მეტაფიზიკა

დედამიწა ძალზედ ჰგავს
სამყაროში ჩვილის თავს...
მაგრამ, აბა, დაფიქრდით,
განა კარგი იქნება
ორპირ ქარში ჩვილი, რომ
გაუცივდეს სამყაროს!..
აქეთ ბავშვი მეცოდება,
იქით კიდევ სამყარო...

პოლიტიკური ფილოსოფია

ამან რომ თქვა იცოცხლოსო,
იმან — არა, მოკვდესო!
ამ შეხლა და შემოხლაში
მეფემ ფეხი გაჭიმა...
ე. ი. რა გამოდის,

გაუმარჯოს მეწაღეს?
როგორც ხედავთ ამ ბაზარში
ყველა მისთვის ჩალიჩობს...
მეწაღე და მეფე თვითონ
მოუვლიან თავის თავს.

კატრი ვალა
(1901-1944)

ფიალა

მე ვარ ფიალა უსათუთესი...
გამთბარი შენი ხელისგულებით,
მე ის თასი ვარ,
შენ რომ მალი-მალ
და მწყურვალივით დაეწაფები.
ეს უსაშველო გახელება საიდან მოგყვა,
ნეტავი რომელ უდაბნოდან
მოეშურები...
შესვი ბოლომდე!
აჰა, ფიალა!

იგი სავსეა სურვილებით და
სურნელებით...
იგი სავსეა ყვავილების ტკბილი
ნექტარით...
სავსეა მზით და მინდორ-ველებით,
ტალღებითა და იდუმალებით,
მარტოსულობით, სევდითა და
გარდაცვალებით...
შესვი ბოლომდე!
მე კვლავ ამავსებს
ზეგარდმოს ხელი უსათნოესი.

ვილიე კაიავა
(1909)

●

ულაზათოა ქვეყნიერება
თვალშევლებული ბოთლის ფსკერიდან...
დილა — საღამოც ულიმღამოა,
მზეც უფორმო და უსახურია!..
ცისარტყელაც კი
სიკვდილის ცელად
მოგელანდება ბოთლის ფსკერიდან...
მაგრამ ვარდისფერ შუშების იქით,

ანუ ჯადოსნურ საცალთვალედან,
იშლება ხედი ულამაზესი...
სულ სხვანაირი მოჩანს ცხოვრება!
აჰა, სასახლე უზარმაზარი
და დარბაზები მარმარილოსი,
სადაც შარვლები უძვირფასესნი
ლომისთათება სკამებში სხედან.

ფინურიდან თარგმნა **ამირან ბალაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ჭოხონელიძე

მზის ამღისას

„ჩუ̄ჲბ წელსა ივლისის კდ დღესა ბაჯის საზოგადოებაშიდ მოიქცნენ საჩივრათ...“

ასე იწყება ერთი ხელნაწერი.

შემდეგ მოთხრობილია ორ გლეხზე, რომლებიც უმოწყალოდ ანადგურებდნენ ტყეს.

დიდად საინტერესო არც ეს პირველი წინადადებაა და არც ხელნაწერის შინაარსი.

აქ მთავარი სხვაა. საჩივარს ბოლოში ორმოცამდე კაცი აწერს ხელს. ეს, რა თქმა უნდა, მთელი სოფელი არაა. ეს ის ორმოცია, ვისაც სოფელი ჭკუას ეკითხებოდა და მისი დასმული ჯვარიც კი იმედი იყო.

დღეს ამავე სოფელში ხუთიოდე კაცი თუა. სკოლა დიდიხანია დაიხურა.

ეს სოფელი იმ შვიდთაგანია, ერთ კოლმეურნეობას რომ ავსებს.

ბევრი ასეთი სოფელია რაჭაში.

— ზაფხულობით კი ვივსებით. მოდიან ჩვენებურები ბავშვებით, მონაგრით, — იმედიანი ღიმილით უცდიან ზაფხულს რაჭველები.

მოგეხსენებათ, მთელი ზაფხული ერთ ადგილზე აღარავინ ისვენებს. ეს ზაფხულიც შუაზე იყოფა და ხდება ისე, რომ დაახლოებით ერთ თვეს ივსება რაჭა. ერთი თვე ცოცხლდება გამოკეტილი სახლები. ერთი თვე ნახულობენ ნათესავები ერთმანეთს. მთელი წლის დახალაგებელ-მოსავლელი ამ ერთ თვეში მოდის წესრიგში... და ისევ იცლება ეს ლამაზი კუთხე.

„გაჭირვებამ მიაჩვია რაჭველები სხვა ქვეყნებში ხიარულსა და იქ მუშაობასა“.

ამას იაკობ გოგებაშვილი წერდა.

მიწის სიმცირე აიძულებდა რაჭველ გლეხს „სამოვარზე“ წასულიყო, მაგრამ რამხიშორესაც არ უნდა გადაეხვეწა ბედს, ბოლოს მაინც მშობლიურ კუთხეს უბრუნდებოდა. იქ კი ელოდა ცოლ-შვილი, ელოდა მშობლები... წინაპართა საფლავები.

„რაჭაში მცხოვრებლების რიცხვი 100000-მდის მიაღწევს“.

ისევ იაკობ გოგებაშვილი. 1912 წელი.

●

გვიანი შემოდგომაა.

მზე ისევ ძალუმად ანათებს. რა თქმა უნდა, აღარა აქვს ის, ჩვეული სიმხურვალე, მაგრამ უხასიათო კაცის გაღიმებისა არ იყოს, იმდენად სასიხარულოა, რომ ეს ნათელიც სითბოს მეტად გაგრძნობინებს, ვიდრე სინამდვილეშია.

სოფელი ხვანჭკარა.

რაჭაში რთველი მოგვიანებით იცის. უხდება მზის ნათელი ზვრებს.

ჩვენი წარმოდგენა, რომ თითქმის ყველა სოფელი დაცარიელებულია, უცებ იფანტება. ხვანჭკარის საშუალო სკოლის ეზოში საკმარისად ირევიან ბავშვები.

ეს, სამწუხაროდ, ერთი შეხედვითაა ასე. რადგან აქ მარტო ხვანჭკარელი ბავშვები არ სწავლობენ.

...სოფელში დასასვენებლად ჩასულ ბავშვს ბაბუდა უყვებოდა, — მოთხოვა ხენწიფის ქალმა ამ ლამაზ ყმაწვილს ჯადოსნური სარკე. ჩოუყვა ჩვენი სოფლიდგან, ჩვენებური იყო ის ყმაწვილი, — ამას სხვათაშორის ჩაურთავდა მოხუცი, — ჩოუყვა ჩვენი სოფლიდგან, ბევრი იარა, ყველა მოსახლეს ცალცალკე ეკითხებოდა, ხომ არ იცით ვინმემ ჯადოსნური სარკის ამბავიო. ცხრა დღე და ღამე იარა.

ბოლოს ხვანჭკარაში ასწავლეს...

შეიძლება იმ მოხუცისთვის სამყარო მშობლიურიდან ქმრის სოფლამდე მანძილი იფარგლებოდა, ოციოდე კილომეტრი ბევრს მოიცავდა („ჩვენი სოფლიდგან ხვანჭკარამდე“), მაგრამ აქ კიდევ ერთი ფაქტორი იყო, რომ ლამაზი

ყმაწვილი ყველა მოსახლის ცალ-ცალკე გამოკითხვას ცხრა დღე-ღამე მოუნდაო.

დღეს (ავტომანქანასაც თუ გავითვალისწინებთ) ამ გზას და რაც მთავარია, ყველა მოსახლეს დილიდან საღამომდე აუცილებლად აივლ-ჩაივლი. არც მაინცა და მაინც ადრე ადგომა და მზის გადასვლამდე მოგიწევს თითქმის დაცლილ სოფლებში სიარული.

ხვანჭკარაში გაგანია რთველი იყო.

სოფელში ალკკ ამბროლაურის რაიკომის პირველ მდივანს პაატა ისაკაძეს ამოვყევით.

— ჩვენ მრავალშვილიანი ოჯახები გვაინტერესებს, — გაცნობისთანავე ვაუწყეთ პაატას.

— ბევრს ვერაფერს შემოგთავაზებთ... ტოლაში... ბოსტანაში, — უჭირს ჩამოთვლა, — ისე, რა თქმა უნდა, თლუღში ჯობია კაციტაძეებთან მისვლა...

კაციტაძეებზე ბევრი დაწერილა. რაღა უნდა ითქვას ახალი.

— მოვიფიქროთ, — პაატა ცოტა ხანს თავჩაღუნულია, მერე გადის ოთახიდან, ერთი წუთით და შემობრუნებული დამნაშავესავით იღიმება, — ტოლასა და ბოსტანაში ოთხშვილიანები არიან... ისევ კაციტაძეები ვნახოთ... რაც არ უნდა იყოს, რვა შვილი ყავთ.

— კი, ბატონო.

— ჯერ, ცოტა ხნით ხვანჭკარაში შევიაროთ.

მოკლედ, ხვანჭკარაში გაგანია რთველი იყო.

სკოლის ეზოში უმცროსკლასელებს მოეყარათ თავი.

ერთი პატარა ბიჭი შორიახლოს გაგვიჩერდა და კარგა ხანს გვათვალიერა.

— ლექსი იცი? — ეს შეკითხვა ყველაზე ხშირად მოგვადგება ხოლმე პირზე, როცა ბავშვთან კონტაქტის დამყარება გვინდა (ან უარესი „დედა უფრო გიყვარს თუ მამა?“).

ბიჭმა თანხმობის ნიშნად თავი დაგვიქნია.

— გვითხარი მაშინ.

ბავშვმა იმდენად დაიმორცხვა, რომ მისი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგეთ.

— აბა, ხმამაღლა და გარკვევით.

მან უფრო დაიმორცხვა და თავჩაღუნული გაგვეცალა.

— მე გეტყვით, — ეს შედარებით გაბედული გამოდგა. პირველზე ცოტათი უფროსიც იყო.

— კი ბატონო, ბრძანეთ.

— „სასაფლაოა, სოფელი კი არა.
ზამთარში არ გვახსოვს კაცის ჭაჭანება
ეს უკვე რამდენმა წელმა ჩაიარა,
ბოდიშს მოვიხდი და ასე უნდა ვთქვა,
სასაფლაოა, სოფელი კი არა“.

— ვისი ლექსია.

— ზურიკუნა ხელმძღვანელის.

— ვისი, ვისი?

— ზურაბ ჯაფარიძის, ამ სკოლის პიონერხელმძღვანელის, — აგვიხსნა პაატამ, — ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრია...

მანქანა თლუღისკენ მიღუღუნებს.

გზა ზემოთ და ზემოთ მიიწევს.

ორღობეებში მანქანიდან გადმოვდივართ და ფეხით მივუყვებით თეთრ გზას.

ირგვლივ შემოდგომის სურნელია.

პაატა გვესაუბრება, — ახალგაზრდა მწერალთა წრეს მანანა ცანავამ ჩაუყარა საფუძველი. შარშან თბილისელი მწერლებიც იყვნენ სტუმრად... ამ მხრივ მეტი ყურადღება გვჭირდება.

ჩვენ კი აქეთ-იქით ვიყურებით. ვიყურებით გაფაციცებით. რა დასამალია და ორივე სტუმარს ძაღლის გვეშინია. ჩვენდა საბედნიეროდ ერთ ძაღლს არ შეუყეფავს. შეუყეფავს კი არა და თითქმის არ გამოჩენილა.

და ვითომ საბედნიეროდ?

მართლაც, ისე ჩაივლი რაჭის სოფლებს აქაიქ თუ შენიშნავ ძაღლს და ისიც იმდენად გაოცებულია უცნობის ხილვით, რომ გაავებას, მის ძაღლურ ინსტინქტს გაოცება ფარავს და ერთხანს დაბნეულიც კია.

— მანანა ცანავა, არა?

— მანანა ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანია და კარგი საქმე წამოიწყო... სამშაბათობით იკრიბებიან... არავის ეგონა ამდენი მოლექსე თუ იყო ამბროლაურში.

ნიავმა დამწვარი ფოთლების სუნი მოიტანა.

სხვა სასიამოვნო არომატიც მოყვა.

ერთი ეზოს კარი ბოლომდე მოეხსნათ. ეზოში ორი ხნიერი კაცი ჩამომჯდარიყო და საარყე ქვაბს მიჩერებოდა.

— გამარჯობათ.

— გაგიმარჯოთ... მობრძანდით ერთი აქეთ... გვიკადრეთ და მობრძანდით.

— გვეჩქარება, გვაპატიეთ.

— აქ ვისთან უნდა გეჩქარებოდეთ, — გაეღიმა სპორტულ პიჟამოში გამოსკვანჩულს, — თეატრში არ გაგასწროთ ან კინოში.

— მრავალშვილიანი ოჯახები აინტერესებთ, — აუხსნა პაატამ.

— ოჯახები?! — გაიოცა კაცმა. შემკრთალმა გაიოცა პატარა ბავშვივით და საშველად მშობელს უხმო, — დედა! დედა!

ფოთლების შარიშური.

მოხუცი კაფანდარა ქალი მოაბიჯებს. მოხვეტავს ათასფერ ფოთოლს.

— გამარჯობათ, — მოიჩრდილა ქალმა, — ქალაქიდან ხართ?

— მრავალშვილიანი ოჯახები აინტერესებთ, — ახლა შვილმა აუხსნა.

— კაციტაძეებში მიდიხართ? — უფრო დაკვირვებული გაუხდა მზერა.

სიტყვა მრავალშვილიანი აქეთ კაციტაძეების სინონიმად ქცეულა.

— ახალი საკარმიდამო გამოუყვეს... შარშან ისიც აჩუქეს, საკრავი რომაა, რა ქვია, ბოშო? — ჩაეკითხა მოხუცი შვილს.

— მაგნიტოფონი.

— სტერეო მაგნიტოფონი, — ღიმილით შაერია პაატა.

მასპინძელმა, რომ შეგვატყო წასვლას ვაპირებდით, გადაგვიდგა, — შემოდით, შემოდით... უნდა დაგვლოცოთ.

შვილების სადღეგრძელოზე მეორე კაცმა, რომელიც თითქმის ყველაფერზე ღიმილით გვიქნევდა თავს, უცებ თითქმის მოთქმით წამოიწყო:

— ჩემი თავის მიკვირს, ჩემი თავის... რავა გამოვსუნელდი და ქალაქში გავუშვი ბოში?!

ერთი შეხედვით დიდი უბედურება არაფერი დატყდომია თავს. მისმა შვილმა ამბროლაურში დაამთავრა სკოლა. წავიდა თბილისში და გახდა სტუდენტი. ისწავლა. აიღო დიპლომი და მამას შემოუთვალა, აქვე ვრჩები სამუშაოდ (სპეციალობით არ დაუწყია მუშაობა).

შეიძლება ბევრს გაეღიმოს, რაჭველი კაცი არ დაიკარგება, მაგათ აქვთ ვიწრო, მამაპაპეული პროფესიებიო.

თქვენც არ მომიკვდეთ — აღარც ამ ტრადიციულ (ამასთანავე ძალზედ საჭირო) საქმეს ეკიდებიან.

ასე იყო გულდათუთქული რაჭველი გლეხი. გლეხი, რომელიც წვალობდა, შრომობდა, იჭირვებდა და იქ, სასწავლებლად წასულ შვილს არაფერს აკლებდა.

— საკვირველია, — გაეღიმა სპორტულფორმიანს, — ისე მივეჩვიეთ ამისთანებს, რომ ასე რამ გადარია ეს შეჩვენებული, — მერე ისევ თბილისში დარჩენილის მამას მიუბრუნდა, — გაჩერდი ახლა, სირცხვილია... შვილს მოყვარული მამა აქეთ წამეიყვანს?..

პაატამ გვითხრა: — 1980 წელს რაიონიდან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე 840 ახალგაზრდა სწავლობდა.

— დაბრუნდა...

მასპინძლებმა ამ კითხვაზე სინქრონულად და ერთი განწყობით ჩაიქნიეს ხელი.

— არც მთლად ასეა საქმე... შარშან ხოტევლი სკოლადამთავრებულები დარჩნენ სოფელში სამუშაოდ.

— სუყველა? — გაოცებული მიაჩერდა პაატას ორივე კაცი.

— სუყველა.

— გაუმარჯოთ, — სპორტულფორმიანი ფეხზე წამოდგა, — მერე რომ ნახოთ, რა ბიჭუნები და გოგუნები არიან ჩვენს კუთხეში.

დიდებული ფრესკებისა და გადმოცემათა საშუალებებით ვიცით, რომ გარეგნულად არც თუ ურიგო წინაპრები გვყოლია. ურიგო კი არა და ქართველ ქალ-ვაჟთა სილამაზეს მთელი რიგი ქვეყნების ისტორიაში გარკვეული როლი უთამაშია.

მართლაც, ამბროლაურის ქუჩებში ჩავლილ კაცს ბევრი ყმაწვილი შეგხვდება და შემოგანათებს. დიახ, შემოგანათებს — პირმშვენიერი, გემოვნებით ჩაცმული.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა იქნებოდა მხოლოდ მოჯირითე თუ მავანთა და მავანთა მხლებლად ვარგებულიყო წარმოსადეგი ქართველი ვაჟკაცი; არ შემოენახა ისტორიაში სამაგალითო საქმეები, მამულიშვილური და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაც?!

ანდა, რაც მთავარია, ქართველი ქალი მხოლოდ სილამაზით ცნობილი შემოგვრჩენოდა. რა იქნებოდა, მათში თავი და თავი ქართვლის დედა არ ყოფილიყო?!

პაატა: — ბევრია დაუქორწინებელი, ესეც დიდი პრობლემაა... ისე რომ გაგიკვირდათ, დარჩენას კიდევ ორი სოფლის ახალგაზრდები აპირებენ.

— მერე რომ იცოდეთ, რა წესიერი ბოშები გვყავს, — სპორტულფორმიანი მეგობარს მიუბრუნდა, — ასე არაა?

— ასეა ასე, მაგრამ ჩემი არ უნდა გამეშვა ქალაქში.

●

აღმართს შევუდექით.

პაატა: — წეღან რომ ვთქვი, ბევრი დაუქორწინებელია-მეთქი რაიონში, ერთი უბედურება გვჭირს (ელიმება). შეიძლება ბედნიერებაცაა, რაჭველებში მტკიცედაა ქალ-ვაჟის მეგობრობა, ძმობილ-დობილობა.

— აბა, დარჩენილხართ კაციტაძეების იმედზე.

— გამრავლება ძალიან, ძალიან ჭირდება ჩვენს რაიონს... ისე, რაც მართალია, მართალია, უკეთესობისკენაა საქმე. ადგილობრივი ახალგაზრდობა წესიერია.

ხოტევის კოხტა ეკლესია გამოიკვეთა.

აფერადებულა ირგვლივ მიდამო.

ალაგ-ალაგ წითლად ელავს კუნელი.

მალე ყველაფერი გადათეთრდება.

პაატას ეამაყება, რომ რაიონში დაარსდა სამხატვრო სკოლა, ახალგაზრდული კლუბი, განახლდა თეატრი, იმედს იძლევა ფეხბურთის გუნდი...

თლუღს მივაღწიეთ.

მთელი ამ მგზავრობის მანძილზე ფეხით იყო თუ მანქანით მოგვაცილებდა...

ამ დიდებულ ბუნებასთან, ამ ძეგლებთან, აქა-იქ შემხვედრ ხალხთან ბოდიშს ვიხდით და მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე ღრუტუნი მოგვაცილებდა.

...ბაბუდა ასეთ ზღაპარსაც ყვებოდა მონადირეზე, — ცხრა დღე და ცხრა ღამე უცადა მონადირემ ღორს... რავარც იქნა გამოჩნდა. მოდის და მოაქვს ყველაფერი...

— მოკლა? — დაინტერესებულია ბავშვი, ვეღარ ითმენს.

— მოკლა, აბა.

— მერე.

ბადრი ჭოხონელიძე
გზის ავლისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მერე... მერე ის, პალატში რომ ლორი გვიკიდია, შენ რომ გიყვარს, ისაა იმ ლორის...

შლიგინ-შლიგინი გააქვთ ლორებს ტყეში.

დაღრუტუნებენ რაჭის თეთრ გზებზე რუხად ჭაგარაყრილები, შინაური არც გეგონება კაცს. აკნატუნებენ რკოს.

— ამ მხრივაც უკეთაა საქმე, — ეღიმება პაატას, — ბევრმა მოამრავლა.

ზემოთ და ზემოთ კლებულობს ვენახები.

პაატა: — უმთავრესად ცოლიკაურსა და რქაწითელს აშენებენ... ალექსანდრეული ნაწილობრივ, ხოლო მუჯურეთული მთლიანად აღსადგენია. ეს სუფთა რაჭული ჯიშებია.

პაატა ჩვენს წინ ყოჩაღად მიმავალ მოხუც ქალს დააკვირდა.

— პაშა ბებია, პაშა ბებია, — წამოეწია, — თქვენი სტუმრები ვართ... რვავე პაშა ბებიას გაზრდილია.

— გიჭირთ?

— მიჭირს, ბოშო, აბა, — გაიკვირვა მოხუცმა, — ტყეს ვართ მოდებული მე და ჩემი რძალი... რვა ბოშის ჭმევა არ გინდა... ნანულიკამ სოკო და ეკალა შეინახა საზამთროდ, მე კიდო...

ეზოდან ხმაური გამოვარდა.

— ჩვენი ბიჭუნა კი არაა სახლში, — მოიბოდიშა პაშამ.

— კიდევ ხომ არ აპირებენ მეცხრეს?

— მე მინდა... აქამდე მიჯერებდნენ და ალბათ არც აწი გადავლენ ჩემს სიტყვას, — ეჭუტება მოხუცს ღიმილისგან თვალები, — სანამ ვყევარ გამომიყენონ.

ეზოში შესვლამდე უკვე ვიცოდით, რომ ახალ სამოსახლოზე კაციტაძეები მალე დაიწყებენ მშენებლობას.

— მაინც, რატომ გარბიან ქალაქში?

— მე არ გოუშვებ ბოშებს... არც იმათ, აწი რომ დეიბადებიან... ქალაქში ჩვენებურებთან რომ ჩავდივარ, სულ ერთმანეთში მიდი-მოდიან, უცხო მე იმათთან არავინ მინახავს და არც ისინი სხვასთან წასული... აქ ვინ უშლიდათ მოყვრობას და ნათესაობას, — ქალმა ჭიშკარი მოაღო, — მობრძანდით, თქვენი ჭირიმე.

მალე ოჯახის დიასახლისიც ჩაება საუბარში. ნანული სულ შვილებზე ლაპარაკობს — ციცინოზე, ალექსიზე, ინგაზე, ლევანტიზე, ირმაზე, გაბრიელზე, იასონზე, პაშაზე.

ისიც გვიბოდიშებს, მეუღლე საქმეზეაო.

ოჯახის მამა იმბურგი კაციტაძე ბულდოზერზე მუშაობს. იგი საპატიო ნიშნისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერია.

ორი პატარა ბიჭი დედას რაღაცას ანიშნებს. ნანული ღიმილით უქნევს თავს. ეს ნიშანი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნაბოლარა კაციტაძეები ქათმებს დარეოდნენ. ატყდა ერთი კრიახი.

— ისე კომკავშირის მადლობლები ვართ, — ეღიმება ნანულის, — შარშან სტერეომაგნიტოფონი გვაჩუქეს.

— კარგი ბიჭუნაა ეს, — პაშა პაატას უყურებს, — კარგი.

— ჩვენთვის ნუ შეწუხდებით, — ქათმების კრიახი კულმინაციას აღწევს.

— რა შეწუხებაა, თქვენი ჭირიმე.

— დიდი ბოდიში, ქალბატონო ნანული, რა ხნის ბრძანდებით, — გვერიდება, მაგრამ გვაინტერესებს რვაშვილიანი მშობლების ასაკი.

იმბურგი ოცდათვრამეტი წლისა ყოფილა, ნანული — ოცდათოთხმეტის. მათი ასაკის ბევრი დაუქორწინებელი დადის დღეს.

ეზოში თამაშობენ პატარა კაციტაძეები. სწავლობენ უფროსები. შრომობენ მშობლები და რა თქმა უნდა, ბებია. შარშან ოჯახმა თხუთმეტი ტონა თივა დაამზადა.

მშვენიერი სანახაობაა ამ ოჯახის ერთად გასვლა. ფერდობსა თუ ველს ულამაზესი ყვავილებივით მოედებიან ხოლმე.

●

ნიკორწმინდა.

ცისფერი ნათლად ადგას ეკლესიას.

გალაკტიონმა ერთგვარად წერტილი დაუსვა ამ დიდებული ძეგლის ქებას. რომ არა მისი ქებათა ქება, ვინ იცის, რამდენი გაბედავდა ნიკორწმინდისადმი მიძღვნილი სახოტბო სიტყვების თავისებურ გარითმვა-გალექსვას.

ეზოში დიდხანს დავდივართ, გარს ვუვლით ამ სასწაულს.

იქვე ორი ბიჭუნა ჭიდაობს. ყველას ყურადღებას ისინი იქცევენ.

ბუღრაობენ ბიჭები.

მათი მხიარული ყიჟინა კვეთს ირგვლივ გამეფებულ ცისფერ სიჩუმეს და ზევით მიიწევს.

როგორ უხდებიან ამ მიწას, ამ ცას.

აქ, მშობლიურ ნიადაგში აქვთ მყარად გადგმული ფესვები და ამიტომ მხოლოდ ისინი თუ შეძლებენ ერთმანეთის წაქცევას.

და თუ გაივსება ეს წმინდა ეზო, თუ შეივსება რაჭის ლამაზი მიდამო მათი ძმებით, ნათესავებით, მოყვრებით, მონაგრით, მაშინ აქ, ამ არემარეში მათი მომრევი არავინაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუკური თორდია

დეკაბრისტები და გრიბოედოვი ახალციხის განთავისუფლების მონაწილენი

გეორგიევსკის ტრაქტატმა, რომლის 200 წლის იუბილეს მიმდინარე წელს ვზეიმობთ, ჭეშმარიტად მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას. მათი წარმომადგენლები ერთმანეთის მხარდამხარ გმირულად ებრძოდნენ საერთო მტერს — განსაკუთრებით მაჰმადიან მოთარეშეებს, რომლებიც საქართველოს აოხრებას და დამორჩილებას ლამობდნენ.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთი განუწყვეტელ ომებს აწარმოებდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ.

სწორედ თურქეთის წინააღმდეგ ახალციხის საქართველოსათვის დასაბრუნებლად იბრძოდნენ საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები და ქართველების სასიქადულო სიძე, ნინო ჭავჭავაძის დიდი სიყვარულის მატარებელი ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი.

„საქართველოში გადმოსახლებული იყო 14 დეკემბრის ამბების გამო დასჯილი მრავალი დეკაბრისტი, მათ შორის ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ვ. ვოლხოვსკი ნ. რაევსკი, ი. ბურცოვი, მ. პუშჩინი, ნ. კონოვნიცინი, ვ. ლაჩინოვი, ნ. სემიჩევი, ნ. ორჟიცკი, ა. განგებლოვი (განგებლაშვილი), დ. ისკრიცკი, ვ. სუხორუკოვი და სხვები“ — (ვკითხულობთ ცნობილი მკვლევარის ი. ენიკოლოპოვის წიგნში „პუშკინი საქართველოში“, გვ. 118).

თითქმის ყველა ჩამოთვლილი დეკაბრისტი მონაწილეობდა ახალციხის განთავისუფლებაში. ყველა დეკაბრისტის თავშესაფარი ადგილი იყო გენერალ პასკევიჩის არმია.

1828 წელი, აგვისტოს თვე. იერიშები ახალციხის გასანთავისუფლებლად. მძიმედ დაიჭრა დეკაბრისტი მიხეილ ივანეს ძე პუშჩინი. დაჭრილს მკურნალობდა ექიმი ანტონ მერაბიშვილი. ექიმთან ერთად თავზე ადგნენ დეკაბრისტები სემიჩევი და ბურცოვი, რომლებიც მალამოსავით ედებოდნენ დაჭრილი მეგობრის სხეულს. „მთებს გადაღმა, — წერს პუშჩინი, შევხვდი ბურცოვს“, „თბილისში დავბრუნდი ახალციხიდან განკურნებული ვოლხოვსკის მიერ ჩემთვის დაკავებულ ბინაში“.

1828-1829 წლების ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ დეკაბრისტები პეტრე კონოვნიცინი და ვოლხოვსკი. მათ მხარში edgat გაჭირვების დროს უანგარო მამულიშვილები, ხალხის საქმისათვის თავდადებულნი ნიკოლოზ ორჟიცკი, ნიკოლოზ სემიჩევი და ე. ლაჩინოვი.

აღსანიშნავია ის, რომ ახალგაზრდა პოლკოვნიკმა, დეკაბრისტმა, — ა. ს. პუშკინის დიდმა მეგობარმა 26 წლის რაევსკიმ სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებაში მონაწილეობის მიღებისათვის გენერლობა მიიღო ახალციხეში.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო დეკაბრისტმა ი. იუზეფოვიჩმა. იგი მოსკოვის უნივერსიტეტის კეთილშობილთა პანსიონის აღზრდილი იყო. სასწავლო კურსი 1819 წელს დაამთავრა. 1821 წლიდან სამხედრო სამსახურშია.

გენერალ რაევსკის ადიუტანტია. სამხედრო საქმეს დაუფლებული.

1828 წელს იგი ახალციხის მისადგომებთან დაიჭრა. ყველა დეტალი მისი დამსახურებისა სამხედრო საქმიანობაში ირანისა და თურქეთის ომების მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე ახალციხის მისადგომებთან ბრძოლებზე დეტალურად აქვს აღწერილი ნიკიტენკოს თავის „დღიურში“.

საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებს სულით და ხორცით მფარველობდნენ მე-19 საუკუნის რუსეთის დიდი მწერლები გრიბოედოვი და პუშკინი.

დიდი ზეგავლენა ჰქონდა გრიბოედოვს პასკევიჩზე. ჯერ ერთი, ისინი ნათესავები იყვნენ, ხოლო მეორე, ღვიძლ ძმასავით უყვარდათ ერთმანეთი.

პუშკინს ხულით და გულით უნდოდა ჩამოსვლა საქართველოში, მაგრამ ნებართვა იყო საჭირო. ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა უნდოდა პუშკინს, აგრეთვე ახლოს ყოფნა დეკაბრისტებთან რომ მათთვის თავისი აზრები გაეზიარებინა. გრიბოედოვს იოლად შეეძლო გამოეთხოვა პუშკინისათვის შესაფერისი სამსახური საქართველოში ან დახმარებოდა მას მოქმედ არმიაში გასამგზავრებლად ნებართვის აღებაში, რასაც ამაოდ ცდილობდა თვითონ პუშკინი. ამ საქმეს ხორცი შეესხა. გრიბოედოვს შეპირდა პასკევიჩი, რომ თავის არმიაში პუშკინს ჩარიცხავდა და ჩამოსასვლელად საშვსაც გაუგზავნიდა.

„გრიბოედოვს უკვე მაშინ, როცა არმიაში იმყოფებოდა ახალქალაქის (ჯავახეთი) მახლობლად, მიღებული ჰქონდა სიტყვიერი თანხმობა პასკევიჩისაგან არმიაში პუშკინის ჩამოსვლის თაობაზე“ — (ი. ენიკოლოპოვი, „პუშკინი საქართველოში“, გვ. 20).

ახდა პუშკინის ოცნება. იგი 1829 წელს გამოემგზავრა მოსკოვიდან საქართველოში, და პასკევიჩის არმიაში დაიწყო სამსახური.

ასეთ კეთილშობილ მისიას ასრულებდა ყოველთვის გრიბოედოვი. ქართველი ოფიცრების მომრავლებას პასკევიჩის არმიაში გრიბოედოვის დამსახურებად თვლიან. ბევრჯერ ჰქონია საუბარი გრიბოედოვს პასკევიჩთან ქართველების შესახებ, რომ „ქართველები მამაცნი, ვაჟკაცნი, გამტანნი და სანდონი“ არიანო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში მიღებული შთაბეჭდილება გრიბოედოვს წითელ ზოლად გაჰყვა თავის ხანმოკლე და მეტად შინაარსიან ცხოვრების ბოლომდე. ახლო გაიცნო და შეიყვარა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახმა რუსეთის სახელოვანი მწერალი ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი, რომელიც შემდეგში, ასე საყვარელ ადამიანად იქცა თბილისისა და მთელი საქართველოსათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბედით [illegible]ესებული იყო გრიბოედოვი. საქართველოს ღრმად შესწავლისა და მისდამი გულისხმიერი დამოკიდებულების ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია გრიბოედოვის პროექტი რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის შექმნისა. ამ პროექტით სამხრეთ საქართველოსაც ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება, კერძოდ, პროექტი ითვალისწინებდა ქრისტიანი მოსახლეობის დასახლებას, ფაბრიკების, სკოლების, სხვადასხვა სახელოსნოების გახსნას, მდინარე მტკვარზე ნავიგაციის შექმნას, ადგილობრივი რესურსების გამოყენებას, ვაჭრობის განვითარებას, ალმავლობას. ამის შესახებ პროექტს დიდ ხოტბას ასხამდა გაზეთი „თბილისის უწყებანი“, მას „ბუმბერაზული წამოწყება“ უწოდა.

გზად მიმავალი გრიბოედოვი, რომელიც მინისტრ-რეზიდენტად დანიშნეს სპარსეთში, ჯავახეთის მიწაზე ახალქალაქთან ახლოს კარავში შეხვდა გენერალ პასკევიჩს. ძალიან გაიხარეს ნათესავებმა უცხო მიწაზე შეხვედრით. ბევრ ახალ ამბებზე ილაპარაკეს. ყველაზე საინტერესო იყო გეგმის შედგენა თურქ დამპყრობლებისაგან ახალქალაქის, ხერთვისის, ასპინძისა და ახალციხის განთავისუფლებისა, რომლის შედგენაში მონაწილეობას ღებულობდა გრიბოედოვიც.

გრიბოედოვის თანადგომითა და მეგობრობით გადმოსახლებულ არა ერთ დეკაბრისტს შეუმსუბუქდა ცხოვრება საქართველოში. სამხრეთ საქართველო, კერძოდ პასკევიჩის არმია მათი საასპარეზო ადგილი იყო. დეკაბრისტების ინიციატივით გამოდიოდა ხელნაწერი გაზეთები, ჟურნალები. ისინი სხვადასხვა ფსევდონიმით გაზეთ „ტიფლისკი ვედომოსტში“ ათავსებდნენ ლექსებს, კრიტიკულ წერილებს, მოთხრობებს.

აი რას ვკითხულობთ იაკობ ბალახაშვილის წიგნში „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“: „1828 წელს ახალციხეში დეკაბრისტებმა: პეტრე ბესტუჟევმა, ლანკევიჩმა, ზუბოვმა და სხვებმა გამოსცეს რუსული ხელნაწერი გაზეთი „ახალციხსკიე მერკურია“.

— „ახალციხსკიე მერკურიას“ გამოსვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მეორე ნომრის შემდეგ გაზეთის მონაწილე დეკაბრისტები იძულებულნი გახდნენ დაეხურათ თავიანთი ორგანო.

დეკაბრისტთა ხელნაწერი გაზეთის გამოსვლამ კიდევ უფრო გაამახვილა ჟანდარმერიის ყურადღება, მაგრამ დევნილები და მათთან ერთად გრიბოედოვიც სულიერად არ დაეცნენ“.

სულ მალე 1829 წლის 30 იანვარს შეწყდა გრიბოედოვის მაჯისცემა. იგი ვერაგულად მოკლეს თეირანში საელჩოს სხვა წევრებთან ერთად. „ეს საშინელი ტრაგედია მოაწყვეს სპარ-

სეთის სამეფო კარის რუსეთისადმი არაკეთილ-საიმედოდ განწყობილმა ხელმძღვანელმა წრეებმა, ინგლისელების დახმარებით".

ახალციხეში როგორც ადგილობრივმა მოსახლეობის წარმომადგენლებმა, აგრეთვე გადმოსახლებულმა დეკაბრისტებმა გრიბოედოვის სიკვდილი ძალიან განიცადეს.

პეტრე ბესტუჟევი 1829 წლის 17 აპრილს ქ. ახალციხიდან სწერდა ირკუტსკში თავის ძმას — ალექსანდრე ბესტუჟევს (მარლინსკის): „არასასიამოვნო, სამწუხარო ამბავი უნდა გაცნობო, მაგრამ არ შემიძლია ვდუმდე: ჩვენი საერთო მეგობარი და მწყალობელი სრულუფლებიანი მინისტრი სპარსეთში, ა. ს. გრიბოედოვი მუხანათურად მოკლულია თეირანში თავის მისიასთან ერთად".

დიდი ძალა გამოაკლდათ დეკაბრისტებს გრიბოედოვის სიკვდილით, მაგრამ ისინი „ვაი ჭკუისაგან" ავტორის გაკვალული გზით მიდიოდნენ.

სამხრეთ საქართველოში ლეგენდები დადიოდა გრიბოედოვზე, ნინოსა და ალექსანდრეს უანგარო სიყვარულზე.

ხალხი, რაც კარგი და ძვირფასი იყო, გრიბოედოვის სახელს არქმევდა. მესხეთში, საზღვარზე წყალთბილასა და ბადელას გასაყარზე მდინარე ფოცხოვზე გადებული უძველესი ხიდი ამჟამადაც გრიბოედოვის სახელს ატარებს. თვითონ ხალხმა შეარქვა ამ ხიდს მისი სახელი. შესაძლებელია ეს მდინარე თვითონ გადალახა სპარსეთში მიმავალმა ელჩმა. ასეა თუ ისე, მდინარე ფოცხოვზე ამჟამადაც არსებული საუკუნე ნახევრის წინათ გადებული ხიდი — კიდევ ერთი ხიდია რუსი და ქართველი ხალხების დიადი მეგობრობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები და ქართული სინამდვილე

დემოგრაფიულ პრობლემებზე საუბრობენ პროფესორები: ედუარდ კოდუა, გივი ჭანუყვაძე, ოლეგ ვიაზოვი, დოცენტები: გია წულაძე, თენგიზ ნიჟარაძე, გივი ლოგუა

ე. კოდუა: პრობლემური სიტუაციები ლოკალური მასშტაბით ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ჩვენი საუკუნე იმით გამოირჩევა, რომ პრობლემური სიტუაციები უმთავრესად გლობალური მასშტაბისა გახდა. წარმოიშვა მრავალი პრობლემური სიტუაცია — ეკოლოგიური, დემოგრაფიული, გნოსეოლოგიური, სოციოლოგიური, და საერთოდ, ყოფიერებისეული. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით განპირობებულ პრობლემურ სიტუაციებს დაემატა დემოგრაფიული ბუმით გამოწვეული პრობლემური სიტუაციაც. ეს უკანასკნელი მე-20 საუკუნემდე არ არსებობდა. ხალხთმოსახლეობა იზრდებოდა ჩვეულებრივი ტემპით ისე, რომ პლანეტაზე ადამიანთა რაოდენობამ ერთ მილიარდს მხოლოდ 1880 წლისთვის მიაღწია. წარსული 5000 წლის განმავლობაში ხალხთმოსახლეობის განვითარების ჩვეულებრივი რიტმი ბატონობდა, მაგრამ მე-19 საუკუნის პირველი მესამედიდან იწყება ამ რიტმის რღვევა. იმას, რასაც წარსულში 50 საუკუნე დასჭირდა, 1880 წლიდან მხოლოდ ერთი საუკუნე ავსებს, ერთი საუკუნის განმავლობაში მოსახლეობა გაორმაგდა, 2 მილიარდი გახდა. შემდეგ რიტმი კიდევ უფრო დაირღვა, ციკლი დაჩქარდა და 3 მილიარდამდე მიღწევას მხოლოდ 30 წელი დასჭირდა. 4 მილიარდს კი კიდევ უფრო ნაკლები დროის მონაკვეთი[1]. ასეთ ვითარებაში დემოგრაფიის ჩვეულებრივი საკითხების განხილვა, რომელიც კაცობრიობის ცნობიერი ისტორიის მანძილზე ყოველთვის წარმოებდა, შეიცვალა დემოგრაფიული კრიზისის პრობლემური სიტუაციის განხილვით და დაიწყო გამოსავალი გზების ძიება. დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტის გზა არ შეიძლება იყოს არც მექანიკური და არც ანტიჰუმანური. ამავე დროს, დემოგრაფიული კრიზისი ზრდის ტენდენციის მქონეა. როგორც ვარაუდობენ, 2000 წლისთვის მოსახლეობის რაოდენობა შვიდ მილიარდს მიაღწევს. გერმანელი სწავლულის გუსტავ შენკის ნაშრომში, „21-ე საუკუნის საფუძვლები", ნათქვამია, თუ 2000 წლისთვის მოსახლეობა შვიდ მილიარდს გადააჭარბებს, 21-ე საუკუნეში 10-15 მილიარდს ანგარიშობენ. 2750 წლისთვის ერთ

1 პლანეტის მოსახლეობის დინამიკა უძველესი დროიდან შემდეგი ცხრილითაა წარმოდგენილი გერმანელი მეცნიერის ოტო რიულეს მიერ

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა

პერიოდი	ზრდა მილიონებში	რამდენ წელში ხდებოდა მოსახლეობის რაოდენობის გაორმაგება
7000-4500 ჩ. წ. აღ-მდე	10-დან 20-მდე	2500
4500-2500 ჩ. წ. აღ-მდე	20-დან 40-მდე	2000
2500-1000 "	40-დან 80-მდე	1500
1000-0 წლამდე	80-დან 160-მდე	1000
0-900	160-დან 320-მდე	900
900-1700 წლები	320-დან 600-მდე	800
1700-1850 წლები	600-1200	150
1850-1950 "	1200-2500	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვ. მ. მიწაზე ეს რიცხვი გაიზრდება 10 კაცამდე, შემდგომ 1000 წელში კი ადამიანთა რაოდენობის საერთო წონა დედამიწისას გაუტოლდება.

დემოგრაფი რიულე სვამს კითხვას, გადააჭარბებს თუ არა მსოფლიოს მოსახლეობა ტრილიონს. იგი აღნიშნავს, რომ 1900 წელს მოსახლეობის ზრდის ტემპი წელიწადში იყო 0,1%, ამჟამად წლიური მატება 1,7%. კითხვა ისმის — სად, როგორ დაეტევა ადამიანთა ეს მასა და, თუ მოსახლეობის რაოდენობამ მიაღწია 100 მილიარდს, რა მოხდება მაშინ? ო. რიულე იღებს ზრდის სამ მაჩვენებელს: მინიმალურს, საშუალოს და მაღალს. მინიმალური ზრდის პირობებში 2000 წლისთვის ანგარიშობენ 4,9 მილიარდს, საშუალო ზრდის პირობებში — 6,3 მილიარდს, მაღალი ტემპის პირობებში — 6,9 მილიარდს.

ამრიგად, კაცობრიობის მასშტაბით, დემოგრაფიული პრობლემური სიტუაცია ეკოლოგიურ კრიზისთან გადაჯაჭვული რეალური ვითარებაა, მაგრამ ეს პრობლემურობა თანაბრად როდია პლანეტაზე განაწილებული. მაშინ, როდესაც ერთ რეგიონში (აზიასა და აფრიკის კონტინენტი) მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოებაა, ევროპის კონტინენტზე მარტივ აღწარმოებასთან გვაქვს საქმე, ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოს კი ეს დონეც ვერ შეუნარჩუნებია და ყველა ღონეს ხმარობს, რათა შეაჩეროს დაცემის ტენდენცია, რომელიც განსაკუთრებით შეიმჩნევა საფრანგეთში და აიძულებს ფრანგებს გაატარონ ქმედითი დემოგრაფიული პოლიტიკა. ასეთ პოლიტიკას მიმართავენ სოციალისტური ქვეყნებიდან — ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი. საბჭოთა კავშირშიც არაა ერთმნიშვნელოვანი სიტუაცია. აზიური ნაწილი გამრავლების უმაღლეს ტემპს აჩვენებს, შუა აზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანში ყოველ 1000 სულზე მატება 28 კაცზე მეტია. ევროპულ ნაწილში კი მატების დაბალი ტემპია. ლიტვაში ყოველ 1000 კაცზე — 3,3, ოდნავ მეტია ბელორუსიასა და რსფსრ-ში. ამიერკავკასიის რეგიონშიც არაა ერთფეროვნება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აზერბაიჯანს, შემდეგ მოდის სომხეთი, საქართველო ბოლო ადგილზეა. 1979 წელს საქართველოში ყოველ 1000 კაცზე მატება უდრიდა 9,6-ს. ეს თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე 1921 წელს (17,9). მართალია, მოსახლეობის საერთო ზრდის ტემპით საქართველო საშუალო მაჩვენებლებზე დაბლა არ იმყოფება მსოფლიო მასშტაბით, რადგან დროის იმ მონაკვეთისათვის, როდესაც მსოფლიო მოსახლეობა 1 მილიარდი იყო, საქართველოს მოსახლეობა ერთ მილიონს აღწევდა. ამჟამად კი 5 მილიონს გადააჭარბა, მაგრამ რესპუბლიკის შიგნით სხვადასხვა ერების აღწარმოების ტემპი და ხასიათი არ არის ერთგვაროვანი. მატების ყველაზე მაღალი ტემპი ახასიათებს აზერბაიჯანელებს, უფრო მაღალი საქართველოში, ვიდრე საკუთრივ აზერბაიჯანში. მაღალი ტემპით ხასიათდებიან სომხებიც. ქართველები კი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე არიან რესპუბლიკის მრავალეროვანი მოსახლეობის გამრავლების ტემპთან შედარებით. რესპუბლიკის შიდა რეგიონებისა და რაიონების მიხედვითაც არ არის ერთნაირი სურათი. ზოგ რაიონში არაა საგანგაშო ვითარება, მაგრამ ზოგან მარტივი კვლავწარმოებაც კი არ ხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ პრობლემა დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს.

დემოგრაფიის პრობლემატიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია მიგრაცია, განსაკუთრებით კი ურბანიზაცია. სოფელი ყოველთვის იყო ერის ტრადიციების შემნახველი, ოჯახის სიმტკიცის, ერის სიმრავლის, ზნეობის სიმყარის ფუძე. მხოლოდ სოფელი ცხოვრობს ერთობით, სადაც ერთის ტკივილი ყველას ტკივილია, ერთის ლხინი ყველას ლხინია. სოფელია წყარო პროდუქციის სიუხვისა, გარემოს სიწმინდისა. სოფელში ადამიანი უშუალო კონტაქტში იმყოფება, როგორც ბუნებასთან, ისე ადამიანებთან, კომუნიკაბელურია. სოფელია ადამიანის ადამიანურობის ბუნებრივი გარემო. მაგრამ ჯერ კიდევ ანტიკურმა სამყარომ შექმნა პირველი ქალაქები, ამის შესაბამისად ჩამოყალიბდა ქალაქური ცხოვრების წესი, რომელმაც სრული განვითარება მიიღო ინდუსტრიალიზაციისა და ცივილიზაციის გზაზე. სანამ არ იყო დარღვეული თანაფარდობა სოფელსა და ქალაქს შორის, ქალაქის მოსახლეობა სოფლისაზე გაცილებით ნაკლები იყო, გლეხის ცხოვრების წესი იყო ძირეული, იგი დამაგრებული იყო სოფელში თავის კერიასთან და ეს დამაგრება კიდევ უფრო მტკიცე იყო, თუ მას ცოტაოდენი მიწაც გააჩნდა. ინდუსტრიალიზაციამ, სამრეწველო რევოლუციამ, მეცნიერებათა განვითარებამ, ქალაქური ცხოვრების წესის დამკვიდრებამ, ადამიანის იდეალად განათლების დასახვამ, ხოლო განათლების ცენტრად ქალაქის გადაქცევამ — გააუფასურეს სოფელი, ამავე დროს, ქალაქურმა ცივილიზაციამ შეიძინა დიდი მიმზიდველობა. ამას მოჰყვა სოფლების დაცარიელება, ახალი ქალაქების შექმნა, რის შედეგადაც არა მარტო ის სოფლები დაცარიელდა, რომლებიც ქალაქთან კომუნიკაციის უქონლობის გამო იძულებული გახდნენ აყრილიყვნენ, არამედ ქალაქთან ახლო მდებარე სოფლებიც, რადგან ქალაქების ზრდამ შთანთქა ისინი და გადააქცია გარეუბნებად. ათეულ და ასეულ ათასიან ქალაქებში, მილიონიან ქალაქებზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთად თავმოყრილ ადამიანებში დაიკარგა სოფელში არსებული ერთობის, კომუნიკაბელობის ფორმები. ადამი-

ანი გადაიქცა ინფორმაციის საშუალებათა, სანახაობათა აღმქმელ და შთანმთქმელ, ნივთებით დატყვევებულ მომხმარებელ არსებად. საკუთარ კერიასა და ტრადიციას მოკლებული, იგი გულგრილი ხდება საცხოვრებელი ადგილის მიმართ. მთავარია ცხოვრების პირობები. ადამიანი იქცა სტანდარტულ არსებად. მისი ცხოვრების რიტმი იმდენად მონოტონურია, რომ არც სჭირდება მის საქმიანობას გაცნობიერება. ადამიანის იდეალი გახდა ქონება. ის ესწრაფვის რაც შეიძლება მეტის შეძენას, სულერთია, იქნება ეს ნივთი თუ ინფორმაცია: მას სხვისთვის არ ცალია, იგი იზოლირებულია, განმარტოებულია, გადაღლილია, და როგორც ამბობენ, დაემსგავსა ინფორმაციის მიმღებ და გადამცემ აპარატს. და მაინც ადამიანები ესწრაფვიან ქალაქს, რადგან სწორედ ქალაქშია ცხოვრების ის წესი, რომელიც მათ იზიდავს. ყველა არხი ადამიანს სოფლიდან ქალაქში ეზიდება. ეს მიგრაცია და ურბანიზაცია იმდენად მასობრივი გახდა, რომ დღეს პროექტდება „ქალაქი-სახლები", რომლის მაცხოვრებელთა რიცხვმა შეიძლება ნახევარ მილიონს მიაღწიოს. ურბანიზაცია და მიგრაციის პროცესი ხალხთმოსახლეობის მოძრაობასთანაა დაკავშირებული და დემოგრაფიას სწორედ ეს აინტერესებს. საუკუნის წინ მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფელში ცხოვრობდა. ამჟამად კი ქალაქის მოსახლეობა აჭარბებს სოფლის მოსახლეობას. ასეა მსოფლიო მასშტაბით, როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ ქვეყნებში. ამ პროცესში ჩაბმულია საქართველოც, ურბანიზაციამ ქართულ სოფელსაც შეურყია საძირკველი. საქართველოში ამჟამად მოსახლეობის 52% ქალაქში ცხოვრობს. ურბანიზაცია ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა. 1897 წელს საქართველოში სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 80 %-ს, ქალაქისა — 20 %-ს. შემდგომი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობამ მხოლოდ 1%-ით მოიმატა. 1921 წლისთვის ქალაქის მოსახლეობა იყო 21%, სოფლისა — 79%. შემდგომ მრავალი ფაქტორი გამოჩნდა ისეთი, რომელმაც განაპირობა ქალაქისაკენ ლტოლვა. ეს იყო მრეწველობის განვითარება, საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა, მიწის ნაციონალიზაცია. ქართველ გლეხში მიწის სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ მიხეილ ჯავახიშვილი მას ქართველი გლეხის მეექვსე გრძნობად თვლიდა. გლეხის ცნობიერება არ აღმოჩნდა მზად მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმების სწორად აღქმისათვის. რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ქალაქური ცხოვრების წესს, განათლების იდეალს და ყველა იმ საყოფაცხოვრებო სიკეთეს, რაც ქალაქთანაა დაკავშირებული. ამან განაპირობა მიგრაციის დაჩქარება, რომლის ტემპმა იმატა დიდი სამამულო ომის შემდეგ. საქართველოში დიდი რაოდენობით გაჩნდა ნასოფლარი, ნასახლარი ადგილები, სასაფლაოები სოფლებისა და მაცხოვრებლების გარეშე, „მკვდარი სოფლები". ამას ხელი შეუწყო მთის რაიონებიდან ბარში ჩამოსახლებამაც, მესაქონლეობის მკაცრმა რეგლამენტირებამ. ინდუსტრიალიზაციის შედეგად გაჩნდა ახალი ქალაქები. მათ გარშემო არსებული სოფლები ქალაქის გარეუბნები გახდა. ჰიდროელექტროსადგურების მასობრივმა მშენებლობამ გამოიწვია ქალაქური ტიპის დასახლებათა წარმოქმნა და წარსულში ტრადიციული სოფლების ქალაქურ ცხოვრებაში ჩაბმა, ისეთი სოფლებისა, რომელთაც სხვა ვითარებაში ქალაქის სიო ვერ შეეხებოდა. მიგრაცია სოფლიდან ქალაქში ხორციელდება ორსაფეხურად — სოფლიდან რაიონის ცენტრში ან ახლომდებარე ქალაქში, აქედან კი დედაქალაქში. ასე რომ, დღეს საქართველო დაემსგავსა თავკომბალას, საქართველოს საერთო მოსახლეობის მეხუთედი თბილისში ცხოვრობს — 5 მილიონი მცხოვრებიდან ერთ მილიონზე მეტი მოდის თბილისზე. ამან გამოიწვია სიძნელეები სოფლის მეურნეობის პროდუქციით უზრუნველყოფის საკითხში. სასოფლო წარმოების ტექნიკა ვერ ავსებს იმ ხარვეზს, რაც მიგრაციამ გამოიწვია. ამიტომ სოხოფლო-სამეურნეო წარმოება ჩამორჩა პროდუქტებზე მოთხოვნილებას.

საქართველოს კომუნისტური პარტია და მთავრობა ამჟამად ახორციელებს მკვდარი სოფლების გამოცოცხლების ღონისძიებებს, სოფლის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქალაქიდან სოფელში მიგრაციის მიზნით. სასოფლო წარმოება სპეციფიკურია, დაკავშირებულია მრავალ ისეთ სიძნელესთან, რომელთა გადალახვა ქალაქის მცხოვრებს უჭირს. ისევე როგორც ურბანიზაციის პროცესში იდგა სოფლელის ქალაქთან შეგუების საკითხი, ქალაქიდან სოფელში დაბრუნებასთან დაკავშირებით ისევ დგება შეგუების პრობლემა. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე პირველი. სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის თანაფარდობის დღევანდელი ვითარება, ერთი შეხედვით, არ უნდა იყოს საგანგაშო და არც სასოფლო წარმოების სიძნელეთა მიზეზი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. აქ ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ საქართველოს რელიეფური პირობებით, ისევე როგორც სასოფლო კულტურის ბუნებით, განსაზღვრულია ის, რომ მექანიზაცია ჩვენში უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე სხვა რეგიონებში. ჩვენი კულტურები გაცილებით უფრო შრომატევადია, ვიდრე სხვა ზონის კულტურები. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა სრულიადაც არაა მწარმოებლური ასაკის პირთა უპირატესობის მაჩვენებელი და რომ თანამედროვე ქართულ სოფელს უფრო გერონტოლოგები სჭირდება, ვიდრე სხვა სპეციალისტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, ცხადი უნდა იყოს, რომ სიძნელეები რეალურია.

ურბანიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი შედეგია შობადობის შემცირება. თითოეულ ქორწინებაზე სოფელში უფრო მეტია შობადობა, ვიდრე ქალაქში. მაგრამ რადგან სოფელი ცარიელდება, ბუნებრივია, შობადობის კოეფიციენტიც მცირდება. საერთოდ, ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა, თუ შევაჯამებთ, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემური სიტუაცია მრავალგანზომილებიანი აღმოჩნდება. ქართველი ერის ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებლების დაცემა, ამიერკავკასიის რეგიონში ქართველობის ხვედრითი წილის საგრძნობი კლება, ურბანიზაციის შედეგად სოფლების დაცარიელება, სოფლის მოსახლეობის დაბერების აშკარად გამოხატული ტენდენცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემცირება, განსაკუთრებით, მეცხოველეობის პროდუქტებისა, ყოველ შემთხვევაში, თანაფარდობის დარღვევა მოთხოვნილებასა და წარმოებას შორის, რომელმაც გამოიწვია სასურსათო პრობლემა, თანაფარდობის დარღვევა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის, თანაფარდობის დარღვევა მწარმოებლურ და არამწარმოებლურ მოსახლეობას შორის, თანაფარდობის დარღვევა სასოფლო წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობასა და მათ შრომისნაყოფიერებას შორის და სხვა მრავალი დისპროპორცია გახდა იმ პრობლემური სიტუაციის წყარო, რომელმაც აუცილებელი გახადა დემოგრაფების, ეკონომისტების, ექიმების, სოციოლოგებისა და სხვათა შეკრება მრგვალ მაგიდასთან წარმოშობილ პრობლემურ სიტუაციათა განსახილველად. ჩვენი მსჯელობა ვერ მოიცავს ყველა პრობლემას და ვერც რაიმე მზა რეცეპტებს შემოგვთავაზებს. მისი დანიშნულება იქნება საფუძველი ჩაუყაროს დემოგრაფიული პრობლემატიკის მრავალ განზომილებათა განხილვას — იქნება ეს დემოგრაფიული რევოლუცია თუ შობადობის დაცემა, დემოლოგიის თუ დემომეტრიის პრობლემატიკა, იქნება ეს სოციალური დემოგრაფია თუ ურბანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები და მათგან გამომდინარე შედეგების გააზრება. დემოგრაფიულმა მეცნიერებამ უკანასკნელ პერიოდში დიდ აღმავლობას მიაღწია, დანაწევრდა ცალკეულ დისციპლინებად და ხალხთმოსახლეობის მრავალი რთული პრობლემა გახდა კომპლექსური განხილვის საგანი. ამ მიმართულებით საქართველოშიც გარკვეული მუშაობა წარმოებს. ამას მოწმობს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის განყოფილების არსებობა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ადამიანის გენერაციის ფუნქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არსებობა, დაკავშირებული სახიქადულო ქართველი მეცნიერის ი. ჟორდანიას სახელთან, რომლის ხელმძღვანელობით პირველი სოციოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა 50-იან წლებში. ამას მოწმობს ქართველ მეცნიერ-მუშაკთა მზარდი ინტერესი დემოგრაფიის პრობლემებისადმი.

პროფ. გ. ჭანუყვაძე გადმოგვცემს, რა პრობლემური სიტუაცია ესახება ეკონომისტს ქართული დემოგრაფიული სინამდვილის მიმართ.

გ. ჭანუყვაძე: დემოგრაფიული პრობლემის სიმწვავე, პირველ რიგში, თავს იჩენს შრომით რესურსებთან დაკავშირებით. აქ კრიზისული სიტუაცია ჯერაც ქმედითია, რადგან დღეს შრომისუნარიანია ის თაობა, რომლის მშობლები მონაწილეობდნენ სამამულო ომში.

40-იან წლებში შობადობის კოეფიციენტი დაბალი იყო ადრეულ წლებთან შედარებით.

შრომითი რესურსების უკმარობა, ენერგეტიკული კრიზისი საბჭოთა კავშირშიც გავრცელდა. დასავლეთის კრიზისის მოდელს ვერ გადავავრცელებთ საბჭოთა კავშირზე, თუმცა პრობლემა მაინც არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა ხორციელდება.

შრომითი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა და შრომაში პენსიონერებისა და ინვალიდების ჩართვა არ არის გამოსავალი. კავკასიაში შობადობა ერთი შეხედვით დამაკმაყოფილებელია. კავკასიისთვის ყოველ 1000 კაცზე საკმარისად მიაჩნიათ 2,5-3 ბავშვი. კავკასია დიდია, აუცილებელია დიფერენცირებულად მივუდგეთ ამ საკითხს. აზერბაიჯანში შობადობა 1000 კაცზე — 28, საქართველოში 1000 კაცზე — 9. საქართველოს ცალკეულ რაიონებში შობადობის კოეფიციენტი დაბალია (ზუგდიდი, მახარაძე). მოსახლეობის რეგულირების მიზნით ზემოქმედება აუცილებელია. საჭიროა ცალკეული რაიონის სპეციფიკის გათვალისწინება, ეკონომიური წახალისება უნდა დაიწყოს მეორე ბავშვიდან. ჩეხოსლოვაკიაში პირველივე ბავშვზე ეძლევა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ერთდროული დახმარება. ქალს ემატება ხელფასი მეხუთე ბავშვის ჩათვლით. საქართველოში, თუ გვინდა გვყავდეს ეროვნული მუშათა კლასი, ანალოგიური დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა გატარდეს.

ე. კოდუა: გამოიწვევს თუ არა ეს დემოგრაფიულ ბუმს?

გ. ჭანუყვაძე: შეიძლება ბუმი არ გამოიწვიოს, მაგრამ პრობლემა დაიძვრება მკვდარი წერტილიდან. აუცილებელია სოფლის ოჯახების შენარჩუნება, განსაკუთრებით მთის რაიონებში. მთავრობის კარგი ღონისძიებაა ქალაქიდან სოფელში მიგრაციის ხელის შეწყობა, მთის სოფლების აღორძინება.

ე. კოდუა: დასავლეთში ანალოგიური პრო-

ცესი დაწყებულია. იქ ამას განაპირობებს ეკოლოგიური მიზეზები.

ბ. ჭანუყვაძე: ეკოლოგიური სიძნელეები ჩვენთანაც არსებობს და ეს იწვევს საწარმოო სიმძლავრეების გადანაცვლებას სსრკ-ის აღმოსავლეთ ნაწილში. დემოგრაფიული სურათი ამიერკავკასიის მასშტაბით 20-იან წლებში განსხვავებული იყო დღევანდელისაგან. მაშინ ამ რეგიონში პირველ ადგილზე იყვნენ ქართველები, მეორეზე — აზერბაიჯანელები, მესამეზე — სომხები. ახლა პირველ ადგილზეა აზერბაიჯანელები, მეორეზე — სომხები და მესამეზე — ქართველები. ეს ტენდენცია თუ გაგრძელდა, დაახლოებით 30 წლის მერე, საქართველოშიც ქართველები უმცირესობა აღმოჩნდება.

საქართველოს რაიონებშიც არ არის მუშახელი ერთნაირად განაწილებული. ზოგიერთ რაიონში შეიმჩნევა მუშახელის სიჭარბე. ამიტომ ხალხთმოსახლეობის სტიმულირებისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა. საერთოდ, ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვიან ქალებს, როგორც სასწავლებელში, ისე სამსახურში მოწყობისას. 3 და მეტი შვილის პატრონ ქალებს მოსამზადებელ კურსებზე უნდა ეწერებოდეს ქულები, რომლებიც მათ უპირატესობას მიანიჭებთ ჩარიცხვისას (ისევე როგორც დეპუტატობა, წარმოებაში მუშაობის სტაჟი და სხვ.). კიდევ მეტი შეიძლება გაკეთდეს; დაუსწრებელ სწავლებაზე უგამოცდოდ უნდა მივიღოთ 3 და მეტშვილიანი დედები. არ მიმაჩნია მართებულად 7-8 შვილიანი დედების წახალისება. უნდა იქნეს დაცული გონივრული ზღვარი! მართებულია ენგელსის შენიშვნა კაუცკის წიგნზე, რომ კაცობრიობა გონივრულ ზღვარს დაუდებს ბავშვთა წარმოებას. არსებული ვითარების პირობებში დიფერენციულ მიდგომას საჭიროებს რესპუბლიკებიც. შუა აზიის რესპუბლიკებში 1000 კაცზე მატება 21-დან 29-მდეა. ყირგიზეთში — 21, თურქმენეთში — 26, ტაჯიკეთში — 29, მაშინ როდესაც ლატვიაში 1,3-ია. ეს უნდა მოწესრიგდეს და აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა გატარდეს იმ რესპუბლიკებში, რომლებიც ჩამორჩენილია. როგორც მაქსიმალური, ისე მინიმალური მატება ანომალიას გვიჩვენებს. არსებული ვითარების შესანარჩუნებლად საჭიროა ერთ ოჯახზე 2,5 ბავშვი.

დემოგრაფიულ პრობლემებზე საჭიროა თავისუფალი დისკუსია. 100 წინადადებიდან 10 რომ იყოს მისაღები, საქმე წინ წავა. დემოგრაფიულ პრობლემებზე მსჯელობა უნდა დავიწყოთ მცირედან, პირდაპირ გმირობაზე მსჯელობა არაფერს მოგვცემს! ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში მოსახლეობის უფრო სწრაფი ზრდის ტენდენცია არსებობს და მისი რეგულირების მოთხოვნა სულაც არ არის მალთუსიანელობის მოთხოვნა. ადამიანთა გამრავლების ტემპი რომ უფრო მაღალია, ვიდრე საარსებო საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპი და შესაძლებლობანი, ესეც არ უნდა იყოს სადავო, თუმცა არსებობს რეზერვები — ოკეანე, კოსმოსი და სხვ.

ე. კოდუა: დემოგრაფია არ არის წმინდა ეკონომიკური მეცნიერება. ტრადიციული დემოგრაფიული სტატისტიკის გვერდით დღეს მეტად მნიშვნელოვანი გახდა სოციალური დემოგრაფია. ფრანგულ დემოგრაფიულ სკოლაში წარმოშობილი ეს ცნება დღეს საყოველთაო აღიარების საგანი გახდა. მეცნიერების ეს დარგი წარმოიშვა ეკონომიკის, დემოგრაფიის, სოციოლოგიისა და სხვა სოციალურ მეცნიერებათა მიჯნაზე.

ბ. ჭანუყვაძე: დემოგრაფიული სტატისტიკა ეკონომიური მეცნიერებაა, დემოგრაფია კი არა.

ბ. წულაძე: მას შემდეგ, რაც დემოგრაფებმა სოციოლოგიური მეთოდები შემოიტანეს, არაკლასიკური დემოგრაფია ჩამოყალიბდა. ახლა კი ტერმინ „გრაფიას“ (აღწერა) გაურბიან და შემოაქვთ ახალი ტერმინი დემოლოგია.

ე. კოდუა: ფრანგი სოციოლოგები პენტო და გრავიცი უმართებულოდ მიიჩნევენ ამ მეცნიერებისთვის დემოგრაფიის სახელის წოდებას და ეს გასაგებიცაა, რადგან აქ საკითხი ეხება არა უბრალოდ მოსახლეობის აღწერას, არამედ ხალხთმოსახლეობის დინამიკის მიზეზების დადგენასა და ახსნას. ასე რომ, დემოგრაფია აღწერითი მეცნიერება კი არაა, არამედ ახსნითი.

ბ. წულაძე: XX საუკუნეში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. მნიშვნელოვანი გარდაქმნები განიცადეს დემოგრაფიულ ქცევათა ფორმებმაც, განსაკუთრებით კი შობადობამ.

ჯერ იყო და 30-იან წლებში ინდუსტრიულ, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მატების ტემპმა მნიშვნელოვნად დაიკლო. დემოგრაფებმა ამ მდგომარეობის გათვალისწინებით სათანადო დასკვნები გამოიტანეს და პროგნოზირებისათვის მოსახლეობის მატების დაბალ ტემპს ითვალისწინებდნენ. მაგრამ მათი პროგნოზების საწინააღმდეგოდ 40-იანი წლების ბოლოსა და შემდგომ წლებში მრავალ განვითარებულ ქვეყანაში შეიმჩნეოდა ე. წ. „ბავშვთაშობის ბუმი“, რაც შობადობის დონის ზრდაში გამოიხატა და სპეციალისტების დაბნეულობა გამოიწვია.

ალბათ, ბევრს ახსოვს, თუ რამდენს ლაპარაკობდნენ 60-იან წლებში „დემოგრაფიული აფეთქების“ შესახებ. ამავე დროს ცნობილმა ამერიკელმა დემოგრაფმა ბოუგმა „იწინასწარმეტყველა“, რომ უკვე 60-იანი წლების შუა პერიოდშივე (1965 წ.) დაიწყო შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება, რასაც მოჰყვება მსოფლიო მოსახლეობის მატების ტემპის მუდმივი კლება.

სადღეისოდ დემოგრაფიაში დამკვიდრდა აზრი, რომ შობადობის შემცირების ტენდენცია არაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი მოვლენა და ამდენად, იგი მომავალშიც გაგრძელდება.

იმ დროიდან, როცა სოციოლოგებმა დემოგრაფიული პროცესების შესწავლა დაიწყეს, ან დემოგრაფებმა სოციოლოგიური მეთოდები გამოიყენეს, დაიწყო „არაკლასიკური დემოგრაფიის" ჩამოყალიბების პროცესი. დემოგრაფიამ დემოგრაფიული პროცესების ასახსნელად დაიწყო სხვა დისციპლინების თეორიული საფუძვლების გამოყენება.

სადღეისოდ ცალკე დარგიც კი არსებობს — შობადობის სოციოლოგია.

რა მდგომარეობაა შობადობის მხრივ სადღეისოდ საქართველოში?

რამდენად შემცირდა შობადობა? მომავალში რა არის მოსალოდნელი ამ მხრივ?

ვიდრე კონკრეტული კვლევის (კვლევა ჩატარდა 1980 წ.) შედეგებს მოვიყვანთ, რომელიც დასმულ კითხვებზე პასუხს გასცემდა, გავარკვიოთ, თუ რამდენი ბავშვია საჭირო მოსახლეობის აღწარმოებისათვის.

ცნობილია, რომ მოსახლეობის აღწარმოებისათვის საჭიროა თითოეულ ქალზე საშუალოდ 2,1-2,2 ცოცხლად დაბადებული ბავშვი ცხოვრების მანძილზე, ან 2,3-2,4 ცოცხლად დაბადებული ბავშვი ქორწინებაში მყოფ ერთ ქალზე, ან დაახლოებით 2,6-2,7 ცოცხლად დაბადებული ბავშვი ერთ ეფექტურ (ე. ი. ნაყოფიერების მქონე) ქორწინებაზე. ბავშვების ეს რაოდენობა იმ ზღვარს წარმოადგენს, რომელიც გამოყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას დეპოპულაციისაგან.

ვინაიდან ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ითვალისწინებდა მხოლოდ გათხოვილი ქალების გამოკითხვას და ამასთან ფიზიოლოგიურად უშვილო ქალებსაც მოიცავდა, ამიტომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსახლეობის აღწარმოების „ზღვარად" უნდა მივიჩნიოთ ერთ ქალზე 2,3-2,4 ბავშვი.

ქალების დიდი ნაწილი ორიენტირებულია 2-3 ბავშვიან ოჯახზე (2 ბავშვი — 47,8 პროცენტი, 3 ბავშვი — 27,8 პროცენტი). ოთხი და მეტი ბავშვი საბოლოოდ ეყოლება ქალების მხოლოდ 13 პროცენტს.

ორიენტაცია ერთბავშვიან ოჯახზე სადღეისოდ არც თუ ისე ხშირია. უნდა ითქვას, რომ მარტოდ გაზრდილ (და-ძმის გარეშე) ბავშვს მომავალში რამდენიმე უარყოფითი მომენტი ახასიათებს. მათ შორის აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთბავშვიან ოჯახში გაზრდილ ქალებში ფიზიოლოგიური უშვილობა რამდენჯერმე მეტია, ვიდრე რამდენიმე ბავშვიან ოჯახში გაზრდილ ქალებში.

ბავშვების რაოდენობის მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავება შეიმჩნევა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. ქალაქში მცხოვრებ ქალებს საბოლოოდ საშუალოდ ეყოლებათ 2,18 ბავშვი, სოფლად კი — 2,77 ბავშვი. ბავშვების რაოდენობა, რომელიც საშუალოდ ეყოლებათ ქალაქში მცხოვრებ ქალებს, საკმარისი არ არის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვისაც კი. მოსახლეობის აღწარმოების პროცესი ძირითადად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე მიმდინარეობს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ უახლოეს მომავალში მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას მხოლოდ საშუალო, ზოგადი და უფრო დაბალი განათლების ჯგუფის ქალები იძლევიან. სათანადო ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ შემდგომში, სამწუხაროდ ამ ჯგუფის ქალებშიც შემცირდება შობადობა. 80-იან წლებში ოჯახში ბავშვების რაოდენობა სოფლად უფრო მნიშვნელოვნად დაიკლებს, ვიდრე ქალაქად.

საშუალოდ, ქალებს თავის მშობლებთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლები ბავშვი ეყოლებათ (დაახლოებით 33 პროცენტით ნაკლები). ოჯახში ბავშვების რაოდენობამ საკმაოდ დაიკლო უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში. სადღეისოდ ქალებმა ბოლომდე რომ შეძლონ „ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილება, მაინც იმაზე ნაკლები ბავშვი ეყოლებათ, ვიდრე 10-12 წლის წინათ.

უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა საქართველოში ყოველ წელს საშუალოდ სულ ცოტა 1,2-1,5 პროცენტით მაინც კლებულობდა.

რეპროდუქციული ქცევის თეორიული მოდელებიდან გამომდინარეობს, რომ შობადობის შემცირება ძირითადად გამოწვეულია „ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" კლებით. ბავშვების ყოლის ხელშემშლელი პირობების გამო მისი რეალიზაცია სრულად ვერ ხერხდება, რაც კიდევ უფრო ამცირებს შობადობის დონეს. ამ დებულებების სისწორეს მრავალი კვლევის შედეგი ადასტურებს.

რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებას არ აკმაყოფილებს შობადობის დაბალი დონე, საჭიროა შობადობის სტიმულირებისაკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

შობადობის სტიმულირებისაკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტურ ღონისძიებათა შემუშავება და გატარება მოითხოვს მთელი რიგი საკითხების გადაჭრას, რომელიც შემდგომ გაღრმავებულ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ე. კოდუა: შობადობის პრობლემა დაკავშირებულია მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრასთან. შობადობის რეგულირება უნდა იყოს დაფუძნებული ამა თუ იმ რეგიონში მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობის გაანგარიშებაზე. მრავალი მეთოდი შემუ-

შავდა მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის მიზნით და ყველაზე სრულყოფილად მიაჩნიათ ფრანგი დემოგრაფის ჟ. ბურჟუა-პიშას მეთოდი, მაგრამ ამ გზითაც შეუძლებელი გახდა რომელიმე რეგიონისთვის თუ ერისთვის მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობის დადგენა. ერთი რამ უდავოა, რომ საქართველოს მოსახლეობა აუცილებლად მოითხოვს გაფართოებულ აღწარმოებას. ამას აქვს სამედიცინო დემოგრაფიული ასპექტიც, რომლის კვლევას საქართველოში აწარმოებს ი. ჟორდანიას სახელობის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ვთხოვთ ამ ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ო. ვიაზოვს მოგვახსენოს თავისი მოსაზრებანი.

Ო. ვიაზოვი: რესპუბლიკაში შექმნილი არასახარბიელო დემოგრაფიული სიტუაცია, რომლის შესახებაც არა ერთხელ იქნა გამოთქმული აზრი სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მიერ, მოითხოვს იმ მიზეზთა ღრმა მეცნიერულ ანალიზს, რომელმაც განაპირობა რესპუბლიკაში შობადობის დონის დაქვეითება.

როგორც ცნობილია, შობადობის დონის დაქვეითების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს მრავალშვილიანი ოჯახიდან საშუალო და მცირეშვილიან ოჯახზე გადასვლის ტენდენცია. რა მიზეზები მოქმედებს ოჯახზე და რას მიჰყავს მეუღლეების „მოთხოვნილება შვილებზე" დაქვეითებისაკენ? რა ფაქტორებია, რომელიც ამცირებს იმ ბავშვების რიცხვს, რომელთა რაოდენობას ოჯახი თვლის იდეალურად, და ბოლოს, რა უშლის ოჯახს იყოლიოს იმდენი შვილი, რამდენსაც თვლის თვითონ იდეალურად?

ვფიქრობთ, სწორედ ასეთი კონკრეტული მიდგომით იქნება შესაძლებელი, რომ დისკუსია შობადობის პრობლემის შესახებ უფრო საინტერესო და პროდუქციული გახდეს.

ავიღოთ გურჯაანის რაიონი. რაიონისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის მნიშვნელოვანი შემცირება. მაგალითად, 1959 წლიდან 1981 წლის ჩათვლით მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი შემცირდა ყოველ ათას მცხოვრებზე 14,1-დან 5,5-მდე. აღნიშნული კლება პირველ რიგში გამოწვეულია არა მოსახლეობის მექანიკური შემცირებით (რაიონიდან გასახლებით), რომელიც სხვა რაიონებთან შედარებით გურჯაანის რაიონში უმნიშვნელოა, არამედ შობადობის დონის დაცემით (1959 წ. 22,4, 1981 წ. — 15,2 ყოველ 1000 მცხოვრებზე).

როგორც ცნობილია, მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისათვის ოჯახში საშუალოდ უნდა გაიზარდოს 2,1-2,2 ბავშვი. ჩვენი გამოკვლევებით კი გაირკვა, რომ რეალურად გურჯაანის რაიონში საშუალოდ ოჯახში იზრდება 1,7 ბავშვი. ამასთან ერთად, ქორწინებაში მყოფი რეპროდუქციული ასაკის ქალთა გამოკითხვამ დაგვანახა, რომ ისინი ოჯახში ბავშვთა რაოდენობის იდეალურ რაოდენობად მიიჩნევენ 3,2 შვილს, ხოლო პირადად საკუთარი ოჯახისათვის სასურველ რაოდენობად მიიჩნევენ საშუალოდ 2,2 ბავშვს. ე. ი. მათი სურვილი არ აღემატება ბავშვთა იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა, რათა მოსახლეობის კვლავწარმოება გადასცდეს იმ ზღვარს, რომლის მერე მოსალოდნელია დეპოპულაცია. გამოდის, რომ რაიონში მოქმედებს რაღაც ფაქტორები, რომელიც ზღუდავს ქალს, იყოლიოს იმდენი შვილი, რამდენსაც თვლის იგი იდეალურად და სასურველად.

როგორც ჩვენმა წინასწარმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, ქალთა სოციალურ მდგომარეობას, ოჯახის წლიურ შემოსავალს, ქალთა შრომის ხასიათს, საბინაო პირობებს მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავს ოჯახში შვილების რაოდენობის განსაზღვრაში. ამასთან ერთად გამოვლინდა შესამჩნევი კავშირი ქალთა განათლების დონესა და შვილების რაოდენობას შორის. ასე მაგალითად, დაბალი და არასრული საშუალო განათლების ქალებს ჰყავთ საშუალოდ 2,3 შვილი, მაშინ როდესაც ქალები უმაღლესი განათლებით კმაყოფილდებიან 1,7 შვილის ყოლით. ამ მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ოჯახში ბავშვების რაოდენობისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება პირველ რიგში არა მატერიალურს, არამედ ოჯახის წევრთა სულიერი მოთხოვნილების ფაქტორს, რადგანაც უკანასკნელი, როგორც წესი, პირდაპირ დამოკიდებულებაშია განათლების დონესთან. აქედან გამომდინარეობს რეკომენდაციები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც საჭიროა გატარდეს გურჯაანის რაიონის მოსახლეობაში „ბავშვებზე მოთხოვნილების" გაზრდისათვის. აუცილებელია შეიქმნას ისეთი შიდა და გარე საოჯახო პირობები, როდესაც ქალს დარჩება ბავშვის მოვლისათვის იმდენი გამოთავისუფლებული დრო და ენერგია, რამდენიც საჭიროა მისი გაზრდილი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად: კითხვა, რადიო, ტელევიზორი, მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში და ა. შ. როგორც მოპოვებული მასალის ანალიზით ირკვევა, ქალები 27 წლის ასაკისათვის და ქორწინებაში ყოფნის 8 წლის მანძილზე აჩენენ შვილების იმ რაოდენობას, რომელიც ოჯახს აქვს დაგეგმილი. ამ პერიოდის შემდგომ ისინი შვილებს აღარ იყოლიებენ, თუ არა რაიმე შემთხვევითობა. აქედან გამომდინარეობს ის მოსაზრება, რომ ღონისძიებები შობადობის დონის ამაღლებისათვის პირველ რიგში ორიენტირებული უნდა იქნეს 25-32 წლის ასაკის ქალებისათვის, რომელნიც ქორწინებაში იმყოფებიან 8-9 წელი.

როგორც მსოფლიო გამოცდილება უჩვენებს და ჩვენი გამოკვლევებიდანაც ჩანს, ქალთა უმრავლესობა მიმართავს ბავშვთა რაოდენობის და მათი თანმიმდევრობის დაგეგმვას, რისთვისაც იყენებენ ფერტილობის რეგულიაციის მეთოდებს. არსებობს ფერტილობის რეგულიაციის ორი საშუალება: ჩასახვის საწინააღმდეგო (კონტრაცეპციული საშუალებები) და ფეხმძიმობის შეწყვეტის ხელოვნური მეთოდი (აბორტი). უკანასკნელი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს არა მარტო ქალის ჯანმრთელობას, განსაკუთრებით მისი შვილიერების უნარს, რაც საერთო ჯამში გავლენას ახდენს შობადობის დაქვეითების პროცესში, არასასურველად მოქმედებს მომავალი ბავშვის ჯანმრთელობაზეც. ჩასახვის საწინააღმდეგო თანამედროვე საშუალებები კი პრაქტიკულად უვნებელია, ეფექტური და ადვილად გამოსაყენებელი. მიუხედავად ამისა, ქალთა დიდი რაოდენობა (80%), მაინც არ იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს. როგორც ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობაში ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა არაპოპულარობას, მისი გამოყენება-ხმარების შესახებ არასწორი ინფორმაციის გამო, მისი, ვითომცდა ნაკლებად ეფექტურობისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების მიზეზით. სასურველია, ჯანდაცვის ორგანიზაციის მუშაკებმა სცადონ გაარკვიონ, თუ რომელი წყაროებიდან და რა საშუალებებით ღებულობს მოსახლეობა ამ არასწორ ინფორმაციას. ამასთან ერთად, საჭიროა, მოსახლეობამ მიიღოს სწორი ინფორმაცია ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა უპირატესობის შესახებ — აბორტთან შედარებით.

რაც შეეხება ამბროლაურისა და მესტიის რაიონებს, დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ მოგვახსენებს სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ლაბორატორიის უფროსი ამხ. დ. ნიჟარაძე.

ამბროლაურის რაიონი

რაიონისათვის დამახასიათებელია მრავალი წლის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობის კლება. ასე მაგალითად, 1939 წელს რაიონის მოსახლეობა შეადგენდა 38,2 ათასს, ხოლო 1981 წლისათვის იგი 20,4 ათასი გახდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 42 წლის მანძილზე რაიონის მოსახლეობა შემცირდა 47 %-ით. სწორედ ეს მდგომარეობაც იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონის სოციალურ-ეკონომიური შემდგომი განვითარების შესახებ საგანგებო დადგენილება მიიღო.

რაიონის მოსახლეობის ასეთი შემცირება უპირველეს ყოვლისა გაპირობებულია მოსახლეობის მექანიკური კლებით (რაიონიდან მოსახლეობის გასახლებით), თუმცა მოსახლეობის შემცირების პროცესში არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ბუნებრივ კლებას, პირველ რიგში კი შობადობის დონის შემცირებას.

სხვაობა იდეალურ და დაგეგმილ შვილთა რაოდენობას შორის ამბროლაურის რაიონისათვის იგივეა, რაც გურჯაანისათვის (ამბროლაურის რაიონისათვის 3,3—2,4 = 0,9. გურჯაანის რაიონისათვის 3,2—2,2 = 1,0), რეალურად კი, ამბროლაურის რაიონში, საშუალოდ, ოჯახში იზრდება 2,1 შვილი, რაც გურჯაანის რაიონთან შედარებით უფრო მაღალია, მაგრამ იმყოფება იმ ზღვართან, რომელიც საჭიროა მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისათვის (მოსახლეობის მექანიკური კლების გაუთვალისწინებლად). ამასთან ერთად, გამოკითხულ ქალთა 90 % ოჯახში გეგმავს არაუმეტეს ორი შვილის ყოლას. ეს ფაქტი უნდა განვიხილოთ რაიონში შობადობის მაჩვენებლის უფრო მეტად დაქვეითების პროგნოზად. ამბროლაურის რაიონში, ისევე როგორც გურჯაანის რაიონში, ოჯახში შვილთა რაოდენობის შემზღუდავ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს არა ეკონომიურ-მატერიალური ხასიათის მიზეზები, არამედ მიზეზები, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა დედების გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებასთან.

გურჯაანის რაიონში მცხოვრებთაგან განსხვავებით, ამბროლაურის რაიონში მყოფი ქალები დაგეგმილი რაოდენობის შვილებს აჩენენ უფრო მოგვიანებით 36 წლის ასაკში, როგორც ამბროლაურის რაიონში, ასევე გურჯაანის რაიონში მცხოვრები ქალებისათვის დამახასიათებელია ერთნაირი, გვიანი საქორწინო პერიოდი. პერიოდი, როდესაც ისინი აჩენენ დაგეგმილი რაოდენობის შვილებს, მიუთითებს იმაზე, რომ რაიონში მცხოვრები ახალგაზრდობის ქორწინებისათვის უნდა გატარდეს დამატებითი წამახალისებელი ღონისძიებები.

რაც შეეხება საკითხს, თუ როგორია სინამდვილეში რაიონში მცხოვრებ ქალთა შვილიერების ფუნქცია, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამბროლაურის რაიონში მცხოვრებ ქალებში ორსულობათა რაოდენობა უშუალოდ ერთ ქალზე, უფრო ნაკლებია, ვიდრე გურჯაანის რაიონში, სამაგიეროდ ამბროლაურელი ქალები შედარებით მეტ შვილებს აჩენენ. ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ ამბროლაურის რაიონის ქალები შედარებით ნაკლებად მიმართავენ აბორტს, ნაკლებად ავადდებიან გინეკოლოგიური დაავადებებით. რაიონში მეტად მცირეა უშვილო ქორწინებათა შემთხვევები (განსაკუთრებით კი მეორადი უშვილობა), რაიონში მცხოვრები ქალები ნაკლებად

ხმარობენ კონტრაცეპციულ საშუალებას, რაც ისევე, როგორც გურჯაანის რაიონში, აიხსნება ამ საშუალებების გამოყენების ნაკლებ პოპულარობით.

მესტიის რაიონი

რაიონის დემოგრაფიული სიტუაცია უნდა ჩაითვალოს საერთო ჯამში დამაკმაყოფილებლად. 1939 წლიდან რაიონის მოსახლეობა გაიზარდა 13 %-ით. აღინიშნება მაღალი შობადობისა და ბუნებრივი ნამატის მაჩვენებლები.

განსხვავება ბავშვთა იდეალურ რიცხვსა და სასურველი რაოდენობის ბავშვთა შორის მეტად მცირეა (4,0—3,8)=—0,2); ამასთან ერთად, მაღალია ოჯახში რეალურად არსებულ ბავშვთა მაჩვენებელი — 3,2. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ რაიონში „მოთხოვნილება ბავშვებზე“ სრულიად აკმაყოფილებს მოსახლეობის კვლავწარმოებას. ფაქტორები, რომელიც ხელს უნდა უშლიდეს ოჯახში შვილთა ყოლის მოთხოვნილებას, გამოხატულია სუსტად, თუმცა ზოგი მათგანი გვაფიქრებინებს, რომ პროგნოზით ამ რაიონში მოსალოდნელია შობადობის დონის დაქვეითება. ასე მაგალითად, გამოკითხულთა შორის ყოველი მეექვსე, ანუ 15 % ოჯახი გეგმავს არა უმეტეს 2 შვილის ყოლას. ამავე აზრისაა გამოკითხული ახალგაზრდა კონტიგენტის (44,5 %), თითქმის ყოველი მეორე ახალგაზრდა ქალი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად რაიონში შექმნილი სასურველი შობადობის დონისა, რიგი საკითხები მაინც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში მცხოვრები ქალები იშვიათად მიმართავენ აბორტს, თუმცა არც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს იყენებენ. ასევე ნაკლებად გვხვდება რაიონში უშვილო ოჯახები, თუმცა მეტი, ვიდრე ამბროლაურის რაიონში.

სამივე განსხვავებულ, შესასწავლ რაიონში გამოვლინდა საერთო თვისობრივი კანონზომიერებანი: სხვაობა იდეალურ, სასურველ და რეალურად არსებულ ბავშვთა შორის, ოჯახის „შვილებზე მოთხოვნილების“ განსაზღვრაში სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების წამყვანი მნიშვნელობა, გინეკოლოგიურ დაავადებათა, აბორტების და გენერაციული ფუნქციების დარღვევის განსაზღვრული მნიშვნელობა შობადობის დონეზე, კონტრაცეპციულ საშუალებათა არაპოპულარობა ნაკლები ინფორმაციის გამო. ამ სამ რაიონში შობადობის პროცესის დაქვეითება სხვადასხვა ინტენსიობით მიმდინარეობს. თუ გურჯაანის რაიონში ეს პროცესი უკვე მკაფიოდ არის გამოხატული, ამბროლაურის რაიონში იგი ახალი დაწყებულია, მესტიის რაიონში კი მხოლოდ ახლა აღინიშნება ამ პროცესის დასაწყისი.

ნათქვამიდან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილი არასასურველი დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განხილვა და დაგეგმვა უნდა წარიმართოს დიფერენცირებულად, შობადობის მსგავსი მახასიათებელის მქონე რაიონების მიხედვით.

ე. კოდუა: აქ ხაზგასმული იყო შობადობის რეგულაციის კონტრაცეპტულ საშუალებათა უპირატესობა ფეხმძიმობის ხელოვნურ შეწყვეტასთან შედარებით. ეს გასაგებიცაა, მაგრამ მტკიცება, რომ ეს საშუალებანი აბსოლუტურად გამორიცხავენ შემთხვევითობას და ჯანმრთელობაზე არავითარ გავლენას არ ახდენენ და ზოგიერთის ეჭვი მათ მიმართ უმართებულოდ რომ მიაჩნიათ, არ უნდა იყოს გამართლებული. ასეთივე დამოკიდებულება ამ საშუალებების მიმართ არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და არა მარტო პაციენტების, არამედ ექიმების მხრივაც, თუმცა ხარისხით ისინი არ ჩამოუვარდებიან ჩვენში არსებულ საშუალებებს.

შობადობის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია ოჯახის საკითხთან, რადგან შობადობის ძირითადი წყარო ოჯახია. ამიტომ ამ საკითხს შევხედოთ ოჯახის სოციოლოგიის კუთხითაც. სიტყვა მივცეთ სოციოლოგ გივი ლოგუას.

გივი ლოგუა: ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგებო და საგანგაშოა. დაახლოებით 60-იანი წლებიდან მოყოლებული, შობადობა შეუნელებლად მცირდება და რაც არანაკლებ დამაფიქრებელია, მას შემდგომი გაძლიერების აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია აქვს. მაგალითად, 1940 წელს ყოველ ათას კაცზე საშუალოდ 27,4 ახალშობილი მოდიოდა, 1960 წელს იგი 24,7-მდე შემცირდა, ხოლო 1980 წლისათვის 17,7 იყო. 20 წელიწადში შობადობა 28,3 %-ით შემცირდა. გარდა ამისა, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში სულ უფრო მცირდება ახალგაზრდობის ხვედრითი წილი. მაგალითად, თუ იგი 1959 წელს 56,7 % იყო, 1970 წელს იგი 51,4 %-ით შემცირდა, ხოლო 1979 წელს 51,2 % დაეცა. ამან წარმოქმნა მოსახლეობის „დაბერების“ პრობლემა. უკანასკნელ ხანს რამდენადმე გაიზარდა სიკვდილიანობაც. მაღალია მამაკაცთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი. იგი ქალთა სიკვდილიანობის კოეფიციენტზე 2-2,5-ჯერ მეტია. განსაკუთრებით მაღალია სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოს მთის რაიონებში — 11,6 პრომილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ რაიონებში შობადობის მაჩვენებელიც ყველაზე დაბალია რესპუბლიკაში — 15,7 პრომილი. მაგალითად, ამბროლაურისა და ონის რაიონებში სიკვდილიანობის ინტენსივობა შობადობის ინტენსივობაზე უფრო დიდია. ასეთივე მდგომარეობაა ცაგერის რაიონშიც.

უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოებაც. ჩვენი რესპუბლიკის სოციალური სიმდიდრე და ძლიერება მისი ინტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალურობაა, რომლის მთავარი ღერძი, დედაბოძი ქართველობაა; ქართველი ერის ეთნოკულტურის ფართო და მდიდარი დიაპაზონი, მისი შრომისა და ცხოვრების სოციალურ-ეთიკური პრინციპები და მორალური კოდექსი, ცხოვრების, შრომის, სოციალური განვითარებისა და ზრდის კეთილნაყოფიერი, სოციალურად უსაფრთხო პირობები, სტაბილურ პირობებს უქმნიდა ისტორიის მიერ ქართველ ხალხთან დაკავშირებულ და თანშეზრდილ სხვა მოძმე ერების წარმომადგენლებს. თუ ჩვენს დემოგრაფიულ სიტუაციას ამ ასპექტითაც შევხედავთ, ასეთი სურათი წარმოჩნდება: რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნებათა შორის შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან აზერბაიჯანლები (27,9 პრომილი), ხოლო შობადობის დაბალი ინტენსივობით ხასიათდებიან რუსები (18,8 პრომილი), აფხაზები (16,8 პრომილი) და ქართველები (17,5 პრომილი). აზერბაიჯანელებში შობადობის დიდი და სიკვდილიანობის მცირე მაჩვენებელი განაპირობებს მათი ბუნებრივი მატების მაღალ დონეს, რაც თითქმის ორნახევარჯერ აღემატება ქართველთა ბუნებრივ მატებას და თითქმის ცხრაჯერ რუსებისას.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების საერთო მაჩვენებელი ინტენსიურად კლებულობს. ბოლო წლების კვლევის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დემოგრაფიული ვითარება რესპუბლიკაში კიდევ უფრო გაუარესდება. პროგნოზი ასეთია: 1990 წლისათვის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1980 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირდება საქართველოს 21 რაიონში, 2000 წლისათვის — 42 რაიონში, ამასთან შრომისუნარიანი მოსახლეობა მომავალ ათწლეულში შემცირდება რესპუბლიკის 85 რაიონში.

შემაშფოთებელია ის გარემოებაც, რომ სულ უფრო იზრდება განქორწინებათა რიცხვი. განსაკუთრებით დიდია გაყრების მაჩვენებელი ახალგაზრდობაში: ოჯახი არასტაბილური გახდა. შეიზღუდა და შესუსტდა კიდეც მისი როგორც პედაგოგიურ-აღმზრდელობითი, ასევე სოციალური კონტროლისა და მართვის ფუნქცია. მოზარდი თაობის აღზრდის ხარისხი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს... დედის დეფიციტმა იჩინა თავი. მე დავუმატებდი, არა მხოლოდ დედის, არამედ დედობის დეფიციტმაც... გასაგებია, უჭირს მომსახურე, წარმოებაში დასაქმებულ ქალს. ქალობა კი არ უჭირს, არამედ დედობა, ოჯახის, სახლის დედობა, და ვფიქრობ, რომ მეუღლეობაც. ცხადია, გაუჭირდება ორმაგი დატვირთვა. პროფესიონალური და საოჯახო როლების ოპტიმალური, რაციონალური შეთანაწყობის პრობლემა, მწვავე პრობლემად რჩება. ეს კარგს არაფერს უქადის დემოგრაფიულ მდგომარეობას მომავალში, რომლის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში რეალურად მოსალოდნელი უარყოფითი ეკონომიკური, მორალურ-ეთიკური, სოციალურ-ჰიგიენური, გენეტიკური შედეგები არც საეჭვოა და არც სადაო.

ამჟამად, ჩემი აზრით, ოპერატიული, პრაქტიკული კომპლექსური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, არსებული ვითარების სტაბილიზების, „შეჩერების“ და მეორე მხრივ, ახალგაზრდობის ქორწინების სტიმულირების მიმართულებით.

პრობლემის მრავალმხრივი კვლევის მონაცემების წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს მისი პრაქტიკული გადაწყვეტის ლოკალური ღონისძიებების განხორციელების გეზსაც და მატერიალური და მორალური წახალისება-სტიმულირების შესაძლებლობასაც. საქმის ორგანიზაციაა საჭირო „ოპტიმალური“ და არა მაქსიმალური პრინციპით.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი დემოგრაფიული სურათი რომ საგანგაშო და დამაფიქრებელია, ცხადად ჩანს ზემოთ გამართული დიალოგიდან.

პრობლემას საგანგებო ყურადღება მიექცია და ქმედით ღონისძიებასაც ატარებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

ამჯერად სიტყვა სპეციალისტებს დავუთმეთ. ამ საკითხებზე საჭიროა უფრო ვრცელი და კონკრეტული საუბრების გამართვა. დემოგრაფიულ პრობლემებს გვერდს ვერც ქართული მწერლობა აუვლის და მომავალში სწორედ ჩვენი გამოჩენილი მწერლებისა და მოღვაწეებისაგან მოველით იმგვარ გამოხმაურებას, რაც ხელს შეუწყობს ხალხში ჯანსაღი აზრის გაღვივებას, მტკივნეული პრობლემის სასიკეთოდ შემობრუნებას. მართალია, აქ უფრო კონკრეტული, მეცნიერული ღონისძიებების გატარებაა საჭირო, მაგრამ მხატვრულ სიტყვასაც თავისი დიდი ძალა აქვს და ეს ძალაც მთლიანად უნდა გამოვიყენოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის შესახებ

რუსთველოლოგიის დარგში გამოქვეყნებულ ერთ ნაშრომზე გვინდა ვისაუბროთ. მხედველობაში გვაქვს აწ განსვენებული ნიკო ნადირაშვილის ნაშრომი „რუსთველის ვინაობა-სადაურობის საკითხი“, რომელიც 1978 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

კითხულობ ამ პატარა მოცულობის წიგნს (საკუთრივ ტექსტი სულ 74 გვერდს შეადგენს) და გაოცებული რჩები: რამდენი მიუტევებელი შეცდომა დაუშვია ავტორს, საქართველოს ისტორიისა და საისტორიო გეოგრაფიის რამდენი საკითხია თავდაყირა დაყენებული!

მართალია, მკვლევარი შესავალში სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ რუსთველის ვინაობისა და სადაურობის პრობლემათა პასუხი ქალაქ რუსთავის ისტორიის ფურცლებზე უნდა ვეძებოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, თვით რუსთავის ლოკალიზაციაში შეაქვს სრული არევ-დარევა და ფაქტიურად შეთხზული „არგუმენტებით“ ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ეს ქალაქი ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან 1265 წლამდე, ე. ი. მონღოლების მიერ რუსთავის დანგრევამდე, თბილისის სამხრეთით, მტკვრის პირას კი არ ყოფილა, არამედ საინგილოში.

მთავარ არგუმენტად ავტორს მიაჩნია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ნუსხაში გაპარული შეცდომა. მხედველობაში გვაქვს სიტყვა „ეგრი“, რომელიც მეცნიერმა მკვლევრებმა სავსებით სამართლიანად შეცვალეს „არაგვით“, ვინაიდან აქ მდ. არაგვის გარდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იგულისხმებოდეს სხვა რამ. ახე ფიქრობდა სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი, ასევე ფიქრობდნენ აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ. ეს შესწორება დიდი ხნის წინათ გაიზიარეს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში პროფ. ლ. ჭილაშვილს, როცა წერს: „ტექსტში („ქართლის ცხოვრების“ ტექსტი — ავტ.) „ეგრის“ „არაგვით“ შეცვლა სავსებით მიზანშეწონილია და არ იწვევს დავას“ („ქალაქი რუსთავი“, თბ., 1958, გვ. 6). ამასვე ფიქრობს აკად. ს. ყაუხჩიშვილი, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დაადგინა.

მოვიტანოთ ეს ადგილი: ქართლოსის მეუღლემ თავის ვაჟს „... კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქჳან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, (...შესარ) თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955, გვ. 9. ქვემოთ ქცხ.), აქ დასახელებული ტერიტორია არის ისტორიული კუხეთი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იქვე ტექსტის აშიაზე კუხეთის უფრო კონკრეტული ლოკალიზაციაა მოცემული: „კუხეთი არს ნინოწმინდის ზეით სამგორი და იმას ზეით ერწოს მთამდის და არაგვამდის“.

კუხეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის, ფარგლების ყველაზე ამომწურავ განსაზღვრას გვაძლევს ვახუშტი: „ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულადმდე; დასავლით მტკუარი და არაგჳ; ჩრდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმისჴევს..., კუალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის ჴევი (ახლანდელი ლოჭინისხევი — ავტ.), ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია“ (ქცხ., ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 523-524). ვახუშტის სხვა ადგილზეც აქვს მოცემული „სრულიად კუხეთის“ საზღვრები, „რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩადივარი, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი და თიანეთი, არაგვის კერძო ჟინვანამდე“ (იქვე, გვ. 561).

კუხეთის საზღვრების ვახუშტისეული განსაზღვრა სავსებით გაიზიარეს მეცნიერ-ისტორიკოსებმა. ეს საკითხი სპეციალურად განიხილა აკად. ნ. ბერძენიშვილმა შრომაში „ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო“ და მთლიანად დაეთანხმა სახელოვან მეცნიერს („საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი I, გვ. 332-345).

შეუძლებელია წინასწარ აკვიატებული აზრის გარეშე ვინმეს ფიქრადაც კი მოუვიდეს კუხეთის ზემოაღნიშნული პუნქტებიდან რუსთავის (იგივე ბოსტან-ქალაქის — ნაგების) მოწყვეტა და საინგილოში გადატანა.

რატომ ცდილობს ნ. ნადირაშვილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან მეცნიერ-მკვლევართა მიერ ერთსულოვნად და გადაჭრით უკუგდებული სიტყვის „ეგრის“ დაცვას? იმიტომ, რომ ჰერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე არსებულ მდინარეს ეგრის-წყალი ეწოდებოდა (იგი დღევანდელი ქ. შექის შემოგარენს ჩამოუდის და აგრი-ჩაის სახელწოდებით მდ. ალაზანს

მარცხნიდან შეერთვის). რაკი ტექსტში ამ უკუგდებულ სიტყვას ტოვებს, კუხეთის ჰერეთად გამოცხადებასაც ლამობს, რათა კუხეთის რუსთავი ჰერეთში (დღევანდელ საინგილოში) გადაიტანოს. აკი იგივეობის ნიშანსაც ხვამს კუხეთ-ჰერეთს შორის! თანაც სრულიად უსაფუძვლოდ ამას ლეონტი მროველს მიაწერს.

დავუშვათ, რომ „ქართლის ცხოვრების" ზემოაღნიშნულ ტექსტში თვითონ ლეონტი მროველის მიერ (და არა გადამწერის შეცდომით) ჩაწერილი იყო სიტყვა „ეგრი". ისიც დავუშვათ, რომ ამ სიტყვაში მაინცდამაინც ჰერეთის მდინარე ეგრის-წყალი იგულისხმება, რა გამოვა აქედან? სრული აბსურდი, აბსოლუტური უაზრობა. აი, ეს აბსურდიც: ქართლოსის ცოლმა თავის ვაჟს „კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც აწ ჰქჳან რუსთავი, მისცა ეგრიდგან (ე. ი. ჰერეთიდან — ავტ.) ჰერეთამდე, ...შესართავამდე, მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა". გამოდის, რომ კუხოსისათვის მიუციათ ტერიტორია ჰერეთიდან ჰერეთამდე. თუნდაც თავი დავანებოთ ტავტოლოგიას — „ჰერეთიდან ჰერეთამდე" და მხოლოდ „ჰერეთამდე" დავტოვოთ. რა გამოვა აქედან? კუხოსს მიუღია ტერიტორია ჰერეთის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაწყებული მდ. მტკვრამდე და კახეთის მთამდე, ე. ი. ახლანდელ თიანეთ-ახმეტის რაიონების გამყოფ კახეთის მთამდე, სხვანაირად რომ ვთქვათ, კუხოსი მიიღებდა მთელ ჰერეთს, კახეთს და კუხეთს. მაშინ საკითხავია — რაღა სამფლობელოები უნდა მიეღოთ მის ძმებს! აქაც ისევ და ისევ მოჯადოებულ წრეში ვექცევით.

აი, სწორედ ამიტომ შემოგვთავაზა ვახუშტიმ დაბეჯითებით მდინარე არაგვი კუხეთის ნამდვილ და ბუნებრივ საზღვრად და მეცნიერ-მკვლევრებმაც ამიტომ გაასწორეს ზემოაღნიშნული შეცდომა.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „...ისტორიკოსი ჯუანშერი კუხეთად თვლის მროველის ნაჩვენებ კუხეთს და არა ვახუშტის ფხევდო-კუხეთს..." (გვ. 13).

ნ. ნადირაშვილის მსჯელობა აქაც არასწორია. მოვუსმინოთ, სინამდვილეში რას ამბობს ჯუანშერი კუხეთისა და მისი ადმინისტრაციული ცენტრის, რუსთავის შესახებ. „ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისავე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი და ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა" (ქცხ, I, გვ. 159). საქმეში სრულიად ჩაუხედავი ადამიანისათვისაც კი ცხადზე უცხადესია, რომ აქ არავითარი ჰერეთის შესახებ საუბარი არაა. „კახეთ-კუხეთის (და არა ჰერეთის — ავტ.) საუფლისწულოდ გამოცხადება... გულისხმობდა მათი ცენტრების — უჯარმისა და რუსთავის საუფლისწულო მამულებად ქცევას. უჯარმა... სამეფო ქალაქად იქცა გორგასლის დროს. რუსთავი კი, რომელმაც ამ ამბებთან დაკავშირებით მიიღო მეორე სახელიც — ვუსტან-ქალაქი (დამახინჯებულად „ბოსტან-ქალაქი"), რაც ნიშნავს სავუსტანო-საუფლისწულო მამულს, დომენს, შემდეგშიაც კვლავ რევიანთა მამულს წარმოადგენდა", დაასკვნის პროფ. ლ. ჭილაშვილი („ქალაქები ფეოდალურ საქართველოში", თბ., 1970, გვ. 16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ჯუანშერი წერს: „აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა: რამეთუ ტფილისი ხოფელი და კალაიცა მოოჴრებულ იყო მაშინ. ხოლო მეფე ვახტანგ დადგა ჯავუს, და შეკრბეს მასვე ველსა ორნივე მეფენი..." (ქცხ, I, გვ. 181).

როგორც ვხედავთ, ჯუანშერთან ყველაფერი სინქრონული სიზუსტით თავის ადგილზეა: ვახტანგ გორგასალსა და სპარსეთის მეფეს შორის ურთიერთობის გარკვევა ხდება რუსთავ-თბილისჯავის მიდამოებში. შემდეგ, გვ. 185: „...მოიყვანა ვახტანგ ძე მისი... დაჩი. იყო ხუთისა წლისა, და დაადგა გჳრგჳნი, და დაუტევა მეფედ, და დაუტევნა მის თანა შჳდნი წარჩინებულნი მისნი:

პირველად ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა;

და დემეტრე, ერისთავი კ ა ხ ე თ ი ს ა და კ უ ხ ე თ ი ს ა;

და გრიგოლ, ერისთავი ჰ ე რ ე თ ი ს ა"; (ხაზი ჩვენია — ავტ.) და ა. შ.

აქაც ჯუანშერი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ კახეთ-კუხეთის ერისთავი სხვაა, ჰერეთისა — სხვა. ასე, რომ ნ. ნადირაშვილს ჯუანშერი ვერც ამჯერად გამოადგება მოკავშირედ.

სარეცენზიო წიგნის ერთ-ერთი უცნაური ქვესათაური ასეთია: „ისტორია-აზმანი" რუსთავს საინგილოში გვიჩვენებს. ვის „მოუმატა" მეფე თამარმა 1191 წ. ზაქარია მხარგრძელს თუ ჰერეთის ერისთავს ასა გრიგორის ძეს".

ქართული საისტორიო ძეგლის „ისტორიანი აზმანი შარავანდედთანის" ავტორს რომ აბსურდული ბრალდება აქვს წაყენებული, ამას მემატიანის სრულიად ნათელი და გასაგები სიტყვები ღაღადებს: „და ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი... მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარია მჴარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მჯდომსა სომხეთის მეფმისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა. მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ღირსსა სპასპეტობისასა" (ქცხ, II, თბ., 1959, გვ. 55).

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის მიმართ წაყენებული ბრალდება ამით არ თავდება. ავტორი არამარტო რუსთავის ჰერეთში გადატანას ლამობს, არამედ სომხითის, ე. ი. ქვემო ქართლის გეოგრაფიული ადგილის, დურისახაც. დური რომ სწორედ სომხითში მდებარეობდა და არა ჰერეთში, ამას ნათლად დავინახავთ

ქამთააღმწერლის სიტყვებიდან, მაგრამ ჯერ თამარ მეფის მემატიანეს მოვუსმინოთ: თამარი და დავითი „...გარდმოვიდიან ქართლს, ხომხითს, და დადგიან დურს" (ქცხ, II, გვ. 99), „ხოლო მეფე თამარ ზამთარს დურს იყვის და ზაფხულს კოლას და ცელის ტბასა..." (იქვე, გვ. 111). როგორც ვხედავთ, მემატიანე „დურს" ორჯერ ახსენებს. პირველი ციტატიდან გარკვევით ჩანს, რომ დური ხომხითშია. რაც შეეხება ჟამთააღმწერელს, იგი პირდაპირ აცხადებს: „მეფე ლაშა-გიორგი... საზამთროდ დადგის დურს ხომხითისასა" (იქვე, გვ. 156. ხაზი ჩვენია — ავტ.).

რისთვის სჭირდება ნ. ნადირაშვილს „დურის" ჰერეთში გადატანა? მორიგი აბსურდული აზრისათვის: „დურ-დური (ამ ადგილს ხან დურს უწოდებს, ხან დურ-დურს — ავტ.) მდებარეობს საშუალო საუკუნეთა ჰერეთის დასავლეთ სექტორში, რუსთავიც მდებარეობს გიშის აღმოსავლეთით, მაშასადამე ჰერეთის დასავლეთ სექტორში" (გვ. 33). აი, თურმე რა ყოფილა!

სარეცენზიო წიგნის კიდევ ერთი ქვესათაური ასეთია: „ჰერეთის საეპისკოპოზოს ისტორია გვაძლევს ამომწურავ ცნობებს ქალაქ რუსთავის ადგილმყოფობაზე და მის ისტორიულ წარსულზე. სად დააარსა ვახტანგ გორგასალმა საეპისკოპოზო — რუსთავში თუ ცურტავში".

რა შეიძლება ითქვას შრომის ამ ნაწილის შესახებ. პირველ რიგში ის, რომ გიშის (და არა ჰერეთის, როგორც ავტორი უწოდებს) საეპისკოპოსოს ისტორია არა თუ ამომწურავ, არამედ რაიმე ხელშესახებ ცნობასაც ვერ გვაწვდის ქ. რუსთავის ადგილმდებარეობისა და მისი ისტორიის შესახებ. ან რატომ უნდა გვაძლევდეს გიშის საეპისკოპოსოს ისტორია რუსთავ-მარტყოფის საეპისკოპოსოსა და სადროშოს შესახებ ამომწურავ ცნობებს, როცა მათი ცენტრები თითქმის 250 კმ. მანძილითაა ერთმანეთისაგან დაცილებული და მათ შორის სხვა საეპისკოპოსოები იყო, ანდა, კაცმა რომ თქვას, თვით გიშის საეპისკოპოსოს ისტორია ვისა აქვს შესწავლილი?

მოვუსმინოთ ავტორის მსჯელობას: „საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგ გორგასალმა... საქართველოში დააწესა კათალიკოზის თანამდებობა და თორმეტი საეპისკოპოზო. კათალიკოზი დასვა მან მცხეთას, ხოლო ეპისკოპოზები მან დააწესა საქართველოს შემდეგ ცენტრებში: „მცხეთას; კლარჯეთს ეკლესიასა ახიზისა; ერუშეთში არტაანს; ჯავახეთში წუნდას; მანგლისს; ბოლნისს; რუსთავს; ნინოწმინდას; ჭერემს; ჩელეთს ანუ შილდას; ხუარნაბუჯს და აგარაკს, „რომელ არს ხუნანს გაერთებით" (გვ. 38).

ჯუანშერის მიერ თანამიმდევრული რიგით საეპისკოპოსოების დასახელება ნ. ნადირაშვილს ხელს არ აძლევს და წერს: „როგორც ვხედავთ, რუსთავი ბოლნისსა და ნინოწმინდას შუაა მოქცეული და მკითხველმა უნებლიედ რუსთავად ყარაიაში არსებული ხოფელი უნდა მიიჩნიოს. ასეთი რედაქცია ამ ცნობისა, ჩვენი აზრით გადამწერთ, უფრო კი ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას უნდა მოეცა, ვინაიდან მათი აზრით ყარაიას რუსთავი არის უძველესი რუსთავი, მაგრამ თვით დედანში შეუძლებელია ეპისკოპოზთა რეზიდენციები ამ რიგზე ყოფილიყო მოცემული" (გვ. 38-39). ხედავთ, მკითხველო, რაც ავტორის წინასწარ შედგენილ სქემას არ ესადაგება, ყველაფერს სადავოდ ხდის.

განვაგრძოთ ციტირება: „უნებლიეთ გვებადება კითხვა: რისთვისღა იყო საჭირო უწყლოუმოსავლო, ან მცირედ დასახლებულ უდაბნო ყარაიაში საეპისკოპოზოს კათედრის დაარსება, როდესაც იქვე 20-25 კილომეტრის დაშორებით ნინოწმინდაში იყო დაარსებული საეპისკოპოზო. დავუშვათ, რომ მე-5 საუკუნეში ყარაიას რუსთავის ალაგას მოსახლეობა იყო. მაგრამ მის გარშემო ტერიტორია ნინოწმინდამდე უწყლო იყო და, მაშასადამე, უმოსავლო და თუ იქ მცირე მოსახლეობა მაინც იყო, მას ნინოწმინდის ეპისკოპოზი მოემსახურებოდა. (გვ. 39).

მთელი ეს მსჯელობა წინააღმდეგობათა ხლართს წარმოადგენს. V საუკუნეში რუსთავი და მისი შემოგარენი სულაც არ იყო უწყლოუმოსავლო და მით უმეტეს უდაბნო. როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ი. კიკვიძე „...რუსთავის დასახლება არქეოლოგიური მონაცემებით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაზე მოდის..., ხოლო ანტიკურ ხანაში წელთაღრიცხვების მიჯნაზე, რუსთავ-ყარაიის, ხაზზე, სწორედ არხის მოქმედების ზონაში გორებზე აკრეფილ მასალებში გამოიყოფა ალაზნის ველის კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები, ე. ი. პირველ საუკუნეებში რუსთავ-ყარაიის ველზე მევენახეობა უცხო არ არის და ამდენად არხი უკვე გაყვანილი უნდა იყოს („მიწათმოქმედება ძველ საქართველოში", თბ., 1963, გვ. 88-89). შემდეგ იგი განაგრძობს: „...თვით რუსთავის გაქალაქება, ხევის ადმინისტრაციულ ცენტრად ქცევა სხვა მიზეზებთან ერთად ბევრად იყო დამოკიდებული მისი რუს სათავესთან ახლოს მდებარეობით. იგი ფლობდა რუს სათავეს და ამით ხევის ეკონომიური ძარღვი ხელში ეჭირა — ბუნებრივად ბატონობდა მთელ ხევზე (ხაზი ჩვენია — ავტ.). IV საუკუნეში ხდება მისი რეკონსტრუქცია ან განახლება..." (იქვე, გვ. 89).

მოვუსმინოთ ავტორის შემდეგ მსჯელობას: „დავუშვათ, რომ ყარაიას რუსთავში იყო ვახტანგის მიერ დაარსებული საეპისკოპოზო, მაშინ გვებადება მეორე კითხვა: სადღა იქნა გადატანილი ეპისკოპოზის კათედრა მე-13 საუკუნეში, ბერქა ყეენის მიერ რუსთავის დანგრევის შემდეგ, ან მე-17 საუკუნეში როგორ გაჩნ-

და ეპისკოპოზის კათედრა კვლავ ყარაიას რუსთავში“ (გვ. 39).

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? არა თუ უნდა „დავუშვათ“ კუხეთის რუსთავში საეპისკოპოსოს დაარსება, არამედ ეს შეურყეველი ისტორიული ფაქტია. აქ ამ საეპისკოპოსო ცენტრმა თითქმის 800 წელი იარსება (V ს. მეორე ნახევრიდან 1265 წლამდე). რაც შეეხება მტრის მიერ დანგრეული რუსთავიდან საეპისკოპოსო ცენტრის მარტყოფის ანტონ მარტომყოფელის მონასტერში გადატანას, ეს აურაცხელი ისტორიული საბუთითაა დადასტურებული და ახლა, ამ უდავო საკითხებზე, სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია კამათი.

„სად დააარსა ვახტანგ გორგასალმა საეპისკოპოზო — რუსთავში თუ ცურტავში?“ სვამს კითხვას ავტორი. თუმცა ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა, მაგრამ, მისი აზრით, რუსთავში კი არ დაუარსებია გორგასალს კათედრა, არამედ — ცურტავში. მერედა, სად მდებარეობს ეს ცურტავი? სადა და ჰერეთში! გვეტყვის ავტორი; რა შეიძლება ამაზე ითქვას? რუსთავისა და ცურტავის საეპისკოპოსო კათედრების გაიგივება არ შეიძლება, რადგან ეს კათედრები აღნიშნულ პერიოდში დამოუკიდებლად არსებობენ. ერთი კუხეთში — ქ. რუსთავს, მეორე ქვემო ქართლში — ცურტავს. 506 წ. ქ. დვინში მოწვეულ საეკლესიო კრებას ორივე საეპისკოპოსოს მეთაურები ესწრებიან: რუსთავისა — ეპისკოპოსი სტეფანე და ცურტავისა — ეპისკოპოსი იაკობი (ქართული მწერლობა სწორედ ამ იაკობს თვლის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“-ს ავტორად). ავტორი აქამდე თუ რუსთაველსა და გიშელს შორის სვამდა იგივეობის ნიშანს, ახლა მათ ცურტაველიც მიუმატა. მაგრამ მისი „ცურტაველი“ როდის ან რატომ „იქცა“ გიშელად, ამაზე არაფერს გვეუბნება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ავტორის მტკიცება, თითქოს ეპისკოპოს გიშ-ქურმუხელს მიეღოს ტიტული „რუსთველი“ და რეზიდენცია ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძრიდან ბოსტან-ქალაქ-ნაგებში გადაეტანოს. რუსთავისა და გიშის საეპისკოპოსოთა მთელი არსებობის მანძილზე რუსთველი რუსთველად დარჩა, გიშელი — გიშელად. XIII საუკუნის საბუთში „კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა“ ნათქვამია: „რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეფისკოპოსნი ამა წესითა დასხდნენ: 1. ბრძანოს ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲛᲐᲜ და დაჯდეს მარჯუენითა მეფისა, ტახტსა ზედა მოკიდებით, ნატითა და ბალიშითა. 2. შემოვიდეს ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲔᲚᲘ და დაჯდეს მარცხენით მეფისა, ნატითა და ბალიშითა. ...18. შემოვიდეს ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘ და დაჯდეს წინწყაროელსა ქუემოთ... 35. შემოვიდეს ᲒᲘᲨᲔᲚᲘ და დაჯდეს დადაშნელსა ქუემოთ...“ („ქართული სამართლის ძეგლები“, II, თბ., 1965, გვ. 48-49. ქვემოთ — ქსძ). ამ საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ იერარქიული რიგით რუსთველი მეთვრამეტეა, ხოლო გიშელი ოცდამეთხუთმეტე. განა შეიძლება რაიმე აღრევა და გაუგებრობა ამ ნათელ საკითხში?

ნ. ნადირაშვილი შემდეგ ცდილობს იმის ახსნას, თუ რატომ მიიღო ეპისკოპოსმა გიშ-ქურმუხელმა რუსთველის ტიტული და წერს: „იმიტომ მიიღო ეპისკოპოზმა ეს ტიტული, რომ მისი ახალი კათედრა ძველი რუსთავის ნანგრევებზე აშენებულ ბოსტან-ქალაქ-ნაგებში დაუწესებიათ“ (გვ. 95). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ავტორი გიშის კახეთის სამეფოსაგან ჩამოშორებას ხუდაბანდე შაჰს (1577-1587) მიაწერს, გამოდის, რომ ტიტული „რუსთველი“ მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება, მაშინ, როცა თანამდებობანი „რუსთველიც“ და „გიშელიც“ V საუკუნიდან ერთმანეთის პარალელურად არსებობდნენ. დვინის საეკლესიო კრებას, რომელიც 506 წ. შედგა, სხვა ქართველ ეპისკოპოსებთან ერთად რუსთველიც ესწრება (იხ. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, თბ., 1975, გვ. 139).

შემდეგ ნ. ნადირაშვილი იძლევა „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთი ადგილის არასწორ გაგებას. მხედველობაში გვაქვს 1605 წლის 12 მარტს ძაგემში დატრიალებული ტრაგედია. გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ შაჰ-აბასის დავალებით მოკლა მამა — კახეთის მეფე ალექსანდრე II და ძმა — უფლისწული გიორგი, მათთან ერთად დახოცა ეპისკოპოსი რუსთველი და მისი ძმა აბელი. ნ. ნადირაშვილის აზრით, რუსთველი ამ ტექსტში კახად არ მოჩანს და რაკი კახად არ მოჩანს, ხელს აღარაფერი უშლის „ჰერეთელად“ გამოაცხადოს იგი. მოვიტანოთ ეს ტექსტი: „და დღესა ერთსა აწვია თჳსსა კარავსა მამაცა და ძმაცა თჳსი და უთხრა ესრეთ, ვითარმედ: „ყეენის საქმე მაქუს“. და დაითხოვნა კახნი და წარვიდნენ კახნი კარვად თჳსად და დარჩა მასთან რუსთველი და ძმა მისი. და რაჟამს ესრეთ დაახელა, მაშინ დაპირებული ჰყუანდა ყიზილბაშის ჯარი და შემოცვივდნენ კარავში და ულალატა და დახოცეს. მაშინ მოკლა მამა და ძმაცა თჳსი და რუსთველი, ყორჩიბაშიცა ძმა მისი“ (ბ. ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. 110-111).

ნ. ნადირაშვილი წერს, რომ ფრაზა „დაითხოვნა კახნი...“, „გვეუბნება, რომ ისტორიკოსი რუსთველს და მის ძმას კახებად არა სთვლის, მაშასადამე, რუსთველი ადგილობრივი ეპისკოპოზი, საინგილოს ეპისკოპოზი, მის ლაშქრის სარდალი ყოფილა“ (გვ. 46).

ერთი წუთით დავუჯეროთ ავტორს, რომ რუსთველი და მისი ძმა კახნი არ არიან. განა ამით იმის მტკიცება შეგვეძლება, რომ ისინი ინგილოები არიან? „და დაითხოვნა კახნი...“ განა ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვები მარტო შიდაკახელების მიმართაა ნათქვამი? კახეთის სამეფოში შემავალი ყველა კუთხის მკვიდრს თავისი წარმომავლობის სახელი აქვს: ქიზიყის მკვიდრი ქიზიყელია, თუშეთისა — თუში, ფშავის — ფშაველი, ხევსურეთისა — ხევსური, საინგილოსი — ინგილო და სხვ. ამასთან ერთად ისინი კახნი ანუ კახელები არიან. კახი-კახელი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა. ვიწრო გაგებით შიდაკახელს აღნიშნავდა, ფართო გაგებით კი — მთელი სამეფოს წარმომადგენლებს. საქმე ის იყო, ვის მიმართ იხმარდნენ ტერმინს. მოცემულ შემთხვევაში „კახნი“ ინგილოების საპირისპიროდ კი არ არის ნახმარი, არამედ — ყიზილბაშების.

ეპისკოპოსი რუსთველი სადროშოს სარდალი იყო, სამეფოში მისგან ფარულად არაფერი წყდებოდა. აბელის კარავში დარჩენაც მისი უშუალო მოვალეობა იყო. იგი ყორჩიბაში იყო, ყორჩიბაში კი მეფის პირადი მცველი რაზმის მეთაურია, რომელიც ყველგან თან უნდა ახლდეს მეფეს. ახლა აღარ უნდა გაგვიჭირდეს სწორი პასუხის გაცემა, რატომ დაიტოვა მეფემ კარავში ისინი ან კონსტანტინემ მათი გასვლაც რატომ არ მოითხოვა. გამაჰმადიანებულმა ბატონიშვილმა კარგად იცოდა, მიზნის განხორციელებაში ვინ შეუშლიდა ხელს, ამიტომ ერთი დარტყმით ჩამოიშორა გზიდან მეფე და უფლისწული და ჯარიც უმთავარსარდლოდ დატოვა.

რაც შეეხება რუსთველის საინგილოს ეპისკოპოსად და საინგილოს სადროშოს სარდლად გამოცხადებას, ეს შეცდომა წინა გვერდებზე დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარეობს. ავტორის მტკიცების თანახმად „კახეთი 5 სადროშოდ იყო გაყოფილი. მათში ერთ სადროშოს ჰერეთის სადროშო შეადგენდა“ (გვ. 42-43). დღემდე კი ყველამ ასე ვიცოდით, რომ კახეთი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი სამეფო-სამთავროები, ოთხ სადროშოდ დაიყო 1471 წლის შემდეგ. ჩვენ თუ ავტორის აზრს დავიჯერებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთიან საქართველოში უფრო მეტი სადროშო იქნებოდა, რადგან ტერიტორიაც გაცილებით მეტი იყო, საეპისკოპოსოებიცა და ხალხიც.

აკ. კლიმიაშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორია, წერს, რომ „წყაროების ცნობით, საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის პერიოდში (ე. ი. XI-XV საუკუნეებში) სახელმწიფო ლაშქარი დაყოფილი ყოფილა 4 სასარდლოდ ანუ სადროშოდ: მეწინავედ, მემარჯვენედ, მემარცხენედ და მეუკანავედ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეწინავე სადროშოს შეადგენდა სამხრეთ საქართველო, მემარჯვენეს — დასავლეთ საქართველო, მემარცხენეს — ჰერ-კახეთი, ხოლო მეუკანავეს ანუ მეფის სადროშოს — შიდა ქართლი და როქის ხპა“ (XIV-XVII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 121).

როგორც ვხედავთ, ჰერეთი ერთიანი საქართველოს დროსაც არ ჩანს ცალკე სადროშოდ, ის კახეთთან ერთად მემარცხენე სადროშოს შეადგენს.

6. ნადირაშვილი სრულიად უსაფუძვლოდ ეკამათება ივ. ჯავახიშვილს, როცა წერს: „აკად. ივ. ჯავახიშვილი 1605 წ. საინგილოს ბაზარში მოკლულ ეპისკოპოზს სთვლის მარტყოფის ეპისკოპოზად... საინგილოს ბაზარში რუსთველის მკვლელობა მოხდა 1605 წელს. ამ დროს საეპისკოპოზო არც ყარაიას რუსთავში, არც მარტყოფში არ არსებობდა. მარტყოფში რუსთავის კათედრა გადაიტანეს მხოლოდ 1720 წელს, ე. ი. აღწერილი მკვლელობის ერთი საუკუნის შემდეგ (გვ. 48).

ქვემოთ ვნახავთ, თუ რატომ აინტერესებს ავტორს 1720 წელი. წინასწარ ვიტყვით მხოლოდ: მარტყოფის საეპისკოპოსოს ისტორიაში ამ წელს რაიმე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, მით უმეტეს, მისი საეპისკოპოსო ცენტრად გამოცხადება, არ მომხდარა. ასეთ ცენტრად იგი ჯერ კიდევ 1265 წლიდან იქცა.

მაინც რა მოხდა აღნიშნული პერიოდისათვის მარტყოფის (სარუსთველო) სადროშოს ისტორიაში? XVII-XVIII სს. მიჯნაზე ლეკთა განუწყვეტელი თარეშის შედეგად მოიშალა კახეთის სამეფოს გაღმა მხარის — ნეკრესლის სადროშო და ეს მოშლილი სადროშო მიაბარეს მემარცხენე სადროშოს სარდალს — ეპისკოპოს ნიკოლოზ რუსთველს (ჩერქეზიშვილს). ეს ფაქტი აისახა კახეთის მეფის დავით II-ის 1710 წ. საბუთში, ხოლო მეორედ 1722 წ. ამავე მეფის მიერ მარტყოფის მონასტრისადმი მიცემულ „ღმრთაების გუჯარში“ (ქსძ, II, გვ. 337-384). შემდგომში, ჩანს, ნეკრესლის სადროშო კვლავ იქნა აღდგენილი. ჩვენი აზრით, ეს დასკვნა უნდა გაკეთდეს თეიმურაზ II-ის 1740 წ. 10 დეკემბრის წყალობის წიგნიდან ნეკრესლისათვის ბიხონით კურთხევის ნებართვის შესახებ (იქვე, გვ. 395-396). როგორც ვხედავთ, აქ გიშ-ქურმუხელი არაფერ შუაში არაა და საქმე გარკვევით ეხება რუსთველებსა და ნეკრესლებს, ხოლო მათი ტიტულები ისევე არ გადასულა ერთმანეთში, როგორც გიშელისა და რუსთველისა.

ამ უნიკალური საბუთიდან — „ღმრთაების გუჯრიდან“ ვგებულობთ, რომ მეფე დავითმა მარტყოფის მონასტერს ხელახლა დაუმტკიცა ძველთა მეფეთა შეწირულებანი — დაწყებული ვახტანგ გორგასლისაგან თავისი მამის ერეკლე I ჩათვლით.

სიგელში აღნიშნულია ყველა ის სოფელი, რომლებიც „სამწყსოთათვის და სამრევლოსათვის“ ჰქონდა ნაბოძები მარტყოფის მონასტერს. ჩვენ აქ არ შევუდგებით მათ ჩამოთვლას, იმას კი აღვნიშნავთ, რომ გიორგი ბრწყინვალის მიერ გიშ-ქურმუხელისადმი ნაბოძებ სიგელში აღნიშნული სოფლებიდან აქ არც ერთი არაა მოხსენებული. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ

ისინი უკვე ხხვას ჰქონდა დაპყრობილი და ამიტომ აღარ მოიხსენიესო. ასეთ კითხვაზე თვით ეს ბუჯარი გაგვცემს პასუხს: „ლილონი, გრდანი და ჯავენი ანგარებითა და მძლავრობით მიეტაცთ ქართლისა კათალიკოზთა და თბილელთა, ვითარმედ ესე იუწყეთ: რაოდენ ესე ეკლესია აღუმართებიათ მეფეთა, მასვე ჟამსა ესე სამწყსონი ღმრთაებისა საყდრისა არს და, ვისცა შიში ღმრთისა გქონან, კუალად ამასვე აგენით თვისნი სამწყსონი“ (იქვე, გვ. 364). როგორც ვხედავთ, თვით საქართველოს ეკლესიის საჯეთმპყრობელსაც კი არაფერს აპატიებენ! დავით მეფე არც იმ ადგილებს ივიწყებს, რომლებიც სიგელის დაწერის დროს უკვე დაქცეულ-გაპარტახებულია. „ბოსტან-ქალაქი ოკერ არიან და ოდესცა ნებითა ღმრთისათა შენობად იწყოს, სამწყსონი რუსთველისანი არიან“ (იქვე).

„მოყვანილ ადგილებში მოხსენებული სოფლები მდებარეობენ მდ. არაგვს და გულ-გულას შუა მყოფ ტერიტორიაზე, მაშასადამე, თანახმად მროველის განმარტებისა, ისინი უძველეს კუხეთის ტერიტორიაზე ყოფილან... ვახუშტიმ კი მიიღო რა ყარაიას რუსთავი უძველეს რუსთავად, შესაბამისად ამისა რუსთველი ეპისკოპოზის ეს ახალი სადროშო ტერიტორია, 1722 წ. მეფე დავითის მიერ მიცემული, კუხეთად აღიარა და ამით ისტორიულ გეოგრაფიაში სერიოზული გაუგებრობა შექმნა“, — ვკითხულობთ ნაშრომში (გვ. 59). ამაო ბრალდებაა, თითქოს მხოლოდ ვახუშტი მიიჩნევდეს რუსთავს (ბოსტან-ქალაქს) ყარაიაში. ხაეჭვო რომ აღარაფერი იყოს, დავიმოწმოთ ისტორიული საბუთი, რომელსაც 1579 წლით ათარიღებენ. ესაა „მამულების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე მეორისა სვეტიცხოვლისადმი“. აი, რას წერს ალექსანდრე მეფე:

„მოგახსენეთ: ...იორს გაღმა, რაჟიანთ ეკლესიას ქუემოთ, სამგორში, თამარ მეფისაგან აღებულს რუს შიგნით, ჩავლით ბოსტან-ქალაქის მზღურამდი; ჩავლით საჯერნეს ტბამდი, მიდგმით გრძელს ტბამდი... (ქსძ, II, გვ. 198). ვფიქრობთ, დამტკიცება არ დასჭირდება, რომ სამგორის მახლობლად ნახსენები ბოსტან-ქალაქი სწორედ „ყარაიას რუსთავია“, რადგან „სამგორში თამარ მეფისაგან აღებული რუ“ საინგილომდე არ ჩადიოდა. ნ. ნადირაშვილს სურს თავისი დაუსაბუთებელი აზრების დასაბუთებაში მოკავშირედ გაიხადოს არჩილ მეფე და რაღას არ მიაწერს მას.

მივყვეთ არჩილის პოემას „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთველისა“. გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ მამა და ძმა გზიდან რომ ჩამოიშორა, თავი კახთ-ბატონად გამოაცხადა, მაგრამ შურისძიებამ არ დაიგვიანა, ქეთევან დედოფალმა კახეთი ააჯანყა. მოკლეს კონსტანტინე და ყიზილბაშები სასტიკად დაამარცხეს. შაჰაბასს შეეშინდა, კახეთს ქართლი არ დაეპატრონოსო და სასწრაფოდ გამოგზავნა უფლისწული თეიმურაზი. თეიმურაზს პირველად ქიზიყის ლაშქარი ეგებება „მოურავი თამაზ სულ მისის დროშითა“ (266-ე სტროფი). შემდეგ: „გალმ[illegible]ველ, ენისელთა იქ დამიხვდა მოურავი, სრულ თავისის დროშის კაცით სიმრავლითა უამრავი“ (269), აქედან „დილას ავდექით წასავლად, ცოტადრე წავიარენით, ალავერდელი მობრძანდა, ითქმის არ ენით“ (271), ბოლოს კი „ჭიაურიდან წარსულნი იმ ღამეს არბუხს დავდექით“ (273). „მუნით წავედით გრემისკენ, აწდა რუსთველი მოვიდა, სრულ ნაპირისა ლაშქრითა, წითელი ეცვათ მოვი და“ (274). როგორც ვხედავთ, თეიმურაზს ოთხივე სადროშოს ლაშქარი შეაგებეს. მეწინავე და მემარჯვენე სადროშოებს სარდლები არ ახლავან თან, მათ მაგიერ მოადგილეები — მოურავები მეთაურობენ ჯარს. თუ რატომ არ მოვიდნენ ბოდბელი და ნეკრესელი, პოემიდან არ ჩანს. რუსთველი ყველაზე გვიან მოვიდა. რა დასკვნას აკეთებს აქედან ნ. ნადირაშვილი? იგი წერს: „...თანახმად ტრადიციისა, ყოველი მფლობელი, ან სარდალი ახალ მეფეს თავის სადროშოს, ანუ სამფლობელოს საზღვარზე უნდა დახვედროდა. აქაც, თანახმად წესისა, ალავერდელი და რუსთველი თავიანთ სადროშოთა საზღვარზე დახვდნენ. რუსთველს ცოტა დაუგვიანდა; ის არბუხზე უფრო ადრე უნდა დახვედროდა მეფეს და არა არბუხის შემდეგ“ (გვ. 49). ავტორი აშკარად ცდება, როცა წერს, ალავერდელი და რუსთველი მეფეს თავიანთ სადროშოთა საზღვარზე დახვდნენო. სინამდვილეში, როგორც პოემის სტროფებიდან დავინახეთ, ალავერდელიცა და რუსთველიც მეფეს რომელიმე სადროშოს საზღვარზე კი არ შეხვედრიან, არამედ ალაზნის გაღმა მხარეს — ჭიაურ-არბუხ-გრემის მიდამოებში, ე. ი. თავიდან ბოლომდე ნეკრესლის სადროშოს ტერიტორიაზე.

შემდეგ ნ. ნადირაშვილი წერს: „რუსთველი რომ ყარიას, ან მარტყოფის სადროშოს სარდალი ყოფილიყო, ის მაშინ ფოილოდან მომავალ მეფეს მტკვარზე უნდა დახვედროდა და, თუ დაუგვიანდებოდა, ქიზიყში მაინც უნდა ხლებოდა მეფეს, სადაც ის ხუთი დღე დარჩა. ცხადია, რომ ყარაია-მარტყოფელი ეპისკოპოზის დახვედრა ჭიაურში შეუძლებელი იქნებოდა, მით უმეტეს იმ ტირანიის დროს“ (გვ. 49). აქაც უზუსტობა-წინააღმდეგობათა ხლართია. ჯერ ერთი, რატომ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი მარტყოფელი ეპისკოპოსის დახვედრა ჭიაურში იმ ტირანიის დროს, როცა თეიმურაზი სწორედ ტირანის ნება-სურვილით მოდიოდა კახეთის დასაჭერად. მეორეც, ერთი წუთით დავუჯეროთ ავტორს, რომ ის მხარე მართლაც ჰერეთის სადროშოა და მისი სარდალი — რუსთველი. როგორ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, რომ ამ სადროშოს მიწაზე მეფესთან შესახვედრად ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა სარდალი, ასე თუ ისე, დროზე მოვიდა, ხოლო ყველაზე მეტად ამ სადროშოს სარდალმა დაიგვიანა?!

სინამდვილეში კი, როგორც დავინახეთ, ყველაფერი თავის ადგილზეა. თეიმურაზი რუსთავ-მარტყოფის სადროშოს გვერდის ავლით ჩავიდა ქიზიყში, იქიდან კი ალაზანგაღმა გავიდა; რუსთავ-მარტყოფის სადროშოს სარდალმა სწორედ იქ ჩაუსწრო მას.

კახეთის აკლების შემდგომ პერიოდზე რომ ლაპარაკობს ნ. ნადირაშვილი, აბსოლუტურად უსაფუძვლოდ წერს: „ჩანს, რუსთველი ეპისკოპოზის კათედრის შენარჩუნება სასურველი ყოფილა, ამიტომ ეპისკოპოზს შერჩა ძველი სახელი „რუსთველი“, ხოლო მის კათედრას, რომელიც ძველი რუსთავის მაგიერად იქცა, მიეცა სახელი „რუსთავი“ (გვ. 56). აქ სრული დომხალია. განა შეიძლება ისეთი აბსურდის მტკიცება, რომ საინგილოს არარსებული რუსთავის ეპისკოპოსის „რუსთველის“ სახელწოდების მიხედვით სახელი „რუსთავი“ დაერქმეოდა ავტორის ფანტაზიით მხოლოდ XVII საუკუნეში დაარსებულ გეოგრაფიულ პუნქტს? აქამდე საქართველოს ისტორიამ პირიქით იცოდა, — ტიტული რუსთველი წარმოსდგა V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, როცა მან რუსთავის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა.

უამრავი ისტორიული საბუთის საწინააღმდეგოდ „ამტკიცებს“ ნ. ნადირაშვილი, რომ „...ჩვენი მწერლობა ყარაიაში რუსთველ ეპისკოპოსებს გვიჩვენებს მხოლოდ მე-17 საუკუნეში...“ (გვ. 56). ამის გასაბათილებლად ილარიონ ქართველის (IX საუკ.) ცხოვრება იკმარებს, „...ეუწყაცა ეპისკოპოსსა რ უ ს თ ვ ე ლ ს ა (ხაზი ჩვენია — ავტ.), სიმრავლე იგი სათნოებათა მისთა (ილარიონისა — ავტ.), აღივსო იგი სულიერითა სურვილითა, აღდგა და წარვიდა მოკითხვად მისდა (ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 11). ილარიონ ქართველი მღვდლად რუსთველმა აკურთხა, ვინაიდან, როგორც მიუთითებს აკად. გ. ჩუბინაშვილი, „...IX საუკუნეში გარეჯის სავანეები რუსთავის ეპისკოპოსის იერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ“ (დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტრები, რუსულ ენაზე, თბ., 1948, გვ. 17).

რუსთავს რომ თავის ნებაზე აქეთ-იქით დაატარებს ავტორი, ეს კარგად დავინახეთ, მაგრამ კარგი დღე არც საქართველოს უძველეს სოფ. მარტყოფს აყრია. 1720 წელსო, წერს გულდაჯერებით, „ვახტანგ VI-ის მიერ ყარაიას რუსთავის დანგრევის შემდეგ ეპისკოპოზ რუსთველთა კათედრა მარტყოფის მონასტერში გადაუტანიათ. აქაც, როგორც პირველად საინგილოში და შემდეგ ყარაიაში, ეპისკოპოზს ეწოდებოდა „რუსთველი“, ხოლო მარტყოფს „რუსთავი“ (გვ. 58). საქართველოს ისტორიამ კი დღემდე ასე იცოდა: მას შემდეგ, რაც VI საუკუნეში სოფ. აკრიანს აქ მოღვაწე ანტონ მარტომყოფელის პატივსაცემად მარტომყოფი, ხოლო XV საუკუნიდან მარტყოფი ეწოდა, სახელი არასოდეს შესცვლია და დღესაც მას ატარებს. რუსთავისა და მარტყოფის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მათი ბედის გადაჯაჭვის, ერთად არსებობის მიუხედავად მათი სახელები ერთმანეთში არასოდეს გადასულა. როდის ან რატომღა დაიბრუნა მარტყოფმა თავისი სახელი, ნაშრომის ავტორი არაფერს გვეუბნება.

აქ არ შეიძლება ვახუშტის მკაფიო და ამომწურავად ზუსტი პასუხი არ მოვიტანოთ: „...რაჟამს მოოჴრდა რუსთავი (1265 წ. — ავტ.), მუნებური ეპისკოპოზი მოსცვალეს აქა (მარტყოფში — ავტ.), და ზის აწამდე, და არა შეუცვალეს სახელი, არამედ იგივეს რუსთველს უწოდებენ. მწყემსი არს მარტყოფ-საგურამო-ხერკისა (ქცხ, IV, გვ. 588). როგორც ვხედავთ, მარტყოფის სახელწოდება კი არ შეიცვალა, არამედ რუსთავის საეპისკოპოსოს ცენტრი, ეპისკოპოსის რეზიდენციის ადგილ-სამყოფელი, ეპისკოპოსს კი ისევ ძველი ზედწოდება — რუსთველი დარჩა.

ნ. ნადირაშვილი მისთვის ჩვეული გულდაჯერებით წერს: „კახეთის მეფემ... დავითმა... ეპისკოპოზ-რუსთველს განუახლა სიგელი, საფიქრებელია, გიორგი V ბრწყინვალის მიერ „გიშქურმუხელ“ ეპისკოპოზ კირილე დონაურისათვის 1333 წელს ბოძებული, და დაუწერა ახალი სადროშო ტერიტორია და შემოსავალთა წყარონიც“ (გვ. 58).

ნ. ნადირაშვილი განაგრძობს: „თუ აქ, ვახუშტის კუხეთში, არსებობდა უძველესი რუსთავი, მაშინ ხომ მისივე ცნობით მე-5 საუკუნიდან საეპისკოპოზოც უნდა არსებულიყო, ეპისკოპოზთა სადროშოც, მისი უძველესი ქონებაც ხელუხლებელნი უნდა ყოფილიყვნენ; რატომღა დასჭირდა ახლა, 1722 წელს მეფე დავითს განეახლებინა სიგელი, დაეწესებინა საეპისკოპოზო ტერიტორიაც და ეპისკოპოზის შემოსავალი წყაროც, რომელნიც აქ ძველად იყვნენ.

ცხადია, რომ მე-17 საუკუნემდე აქ არც უძველესი რუსთავი, არც ეპისკოპოზის სადროშო არ არსებობდნენ; ისინი საინგილოში იყვნენ და, როცა მრისხანე შაჰ-აბასმა ეს ქვეყანა გაანადგურა და მისი მოსახლეობა მოსპო... ეპისკოპოზი რუსთველი იძულებული გახდა ყარაიაში გადმოენაცვლა, სადაც მას შერჩა მხოლოდ „ქართველთა მთასა საბალახენი და მტკუარზე თევზისა საბაჟონი“ (გვ. 59).

ზემოთ უკვე დავადასტურეთ, რომ ავტორი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ უარყოფს ძვ. წ/ა IV საუკუნიდან 1265 წლამდე ციხე-ქალაქ რუსთავის არსებობას ყარაიაში; მერედა, რატომ იყო სავალდებულო, რომ V საუკუნიდანვე საეპისკოპოსოს გვერდით ეპისკოპოსის სადროშოც ყოფილიყო? განა საყოველთაოდ არაა ცნობილი,

რომ ეპისკოპოსები სადროშოებს სათავეში ჩაუდგნენ მხოლოდ კახეთის სამეფოში და ისიც 1471 წლიდან და არა V საუკუნიდან, როგორც ნ. ნადირაშვილი წერს: განა ყველა ეპისკოპოსი სადროშოს სარდალიც იყო? სარუსთველო დროშის ქვეშ, ნეკრესლის გარდა, რომლის სადროშოც ამ დროისათვის რუსთველს მიაბარეს, დგებოდნენ — ნინოწმინდელი ეპისკოპოსი, სამებელი, ხარჭაშნელი.

ნ. ნადირაშვილი ამტკიცებს, თითქოს რუსთავ-მარტყოფის საეპისკოპოსოს ტერიტორია ვახტანგ გორგასალს კი არა, კახეთის მეფე დავითს განესაზღვროს 1722 წელს. რატომღა უნდა განეახლებინა მეფე დავითს სიგელიო, კითხულობს ნაშრომის ავტორი. მაგრამ უკეთესია ამ კითხვას თვით დავით II-ის სიტყვებით გავცეთ პასუხი: „ვინათგან დიდთა მეფეთაგან შეწირულნი (მარტყოფის მონასტრისათვის — ავტ.) ზოგი რომელიმე სამძღვრით-სამძღვრად და ადგილითი-ადგილად ზედა-მიწევნულობით არღარავინ მეცნიერ იყო და გუჯარნიცა დიდნი ჟამსა სიგძესა განერყვნა ამათ პირთათვის გამოძიებით, გამოკვლევით, განთვისებით, ძიება ვყავით და ვაგრძენით კაცთაგან მათ ადგილთასა მოხუცებულთა და ეკლესიისა მონათაგან. ზოგი რომელიმე წვრილნი მეფეთა შენაწირნი წიგნნიცა იყვნეს ამას საყდარსა, იგიცა მოიხვნეს წინაშე ჩვენსა. აღმოვიკითხეთ და ვნახეთ რაოდენიცა შეწირულობა იყვნეს მარტყოფსა შინა...“ (ქსძ, II, გვ. 362).

სიგელში რუსთველისა და მისი საეპისკოპოსოს შესახებ გარკვევითაა ნათქვამი: „ხოლო სამწყსოთათვის და სამრევლოთათვის, რაოდენიცა ქონან, ესე არიან: **მარტყოფნი**, და **ბოსტან-ქალაქელნი**, ნასომხარნი, ვანკოდა, და ლილონი, გლდანი და ჯავნი, და ლელუბანნი... ზოგი რომელიმე ყმა და ზოგი რომელიმე სამწყსონი, გარჩევით ქვემორვე დაგვიწერია“ (იქვე, გვ. 363). ამრიგად, ყველა ქართველი მეფე გორგასლიდან დავით II-მდე, აქ ჩამოთვლილ პუნქტებს ერთი რეგიონის — ძველი კუხეთის პუნქტებად განიხილავდნენ და მათ ერთმანეთისაგან არ აშორებდნენ.

ნ. ნადირაშვილი ისტორიული ცნობებისა და ფაქტების ამგვარად განხილვის შედეგად აკეთებს მცდარ დასკვნებს: „ზემოთ მოყვანილი და განხილული ისტორიული ცნობებიდან უდავოდ გამოირკვა, რომ უძველესი ციხე-ქალაქი რუსთავი მდებარეობდა დღევანდელ საინგილოში; მაშასადამე, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ ის მდებარეობდა დღევანდელ ყარაიაში, ისტორიულ სინამდვილეს ეწინააღმდეგება. შესაბამისად ამ მცდარი კონცეფციისა, ვახუშტიმ რუსთველი ეპისკოპოზის მიერ 1722 წელში მიღებული ახალი სადროშო ტერიტორია კუხეთად მიიჩნია, ხოლო უძველესი კუხეთის აღმოსავლეთი საზღვარი, მდ. ეგრის მაგიერ მდინარე არაგვი მიიღო და ორი მდინარე ერთმანეთიდან 300 კილომეტრით დაშორებულნი, გააიგივა. ამიტომ მისი კონცეფცია კუხეთ-კახეთ-ჰერეთის საზღვრებზე და მათ ადგილმყოფობაზე ძროველის აუთენტიკურ ცნობებს ეწინააღმდეგება და ისტორიას ამახინჯებს“ (გვ. 60).

ნ. ნადირაშვილი რომ სრულიად უსაფუძვლოდ სდებს ბრალს ვახუშტის, მკითხველი უკვე ადვილად მიხვდება, რადგან, არამარტო ვახუშტი, უკლებლივ ყველა ისტორიული წყარო, სადაც რუსთავზეა საუბარი, ბოსტან-ქალაქ-რუსთავ-ნაგებს დღევანდელი რუსთავის მიდამოებში უჩვენებს. აი, კიდევ რას წერს რუსთავის ადგილმდებარეობის შესახებ ქართული ისტორიული გეოგრაფიის მამამთავარი აკად. ნ. ბერძენიშვილი: „ჰერეთ-კახეთის საზღვარზე მდებარე რუსთავი რომ ჰერეთში კი არა, არამედ კახეთში (კუხეთში) შედიოდა, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ რუსთველი ეპისკოპოსის სამწყსო იყო არა ჰერეთი (ე. ი. რუსთავის სამხრეთ-აღმოსავლეთი), არამედ სწორედ ის ქვეყანა — კუხეთი, რომელიც ვახუშტით, რუსთავის საერისთავოში შედიოდა. ამასვე მოწმობს, რომ რუსთველი ეპისკოპოსი გვიან ხანაში (რუსთავის მოშლის შემდეგ) მარტყოფში (ღვთაებას) იჯდა“ (დასახელ. წიგნი, გვ. 332-333).

მარტყოფში რომ რუსთველი ეპისკოპოსი იჯდა, „ეს, რა თქმა უნდა, **შემთხვევითი მოვლენა არა ყოფილა. სასულიერო ცენტრი რუსთავიდან გადადის იმ პუნქტში, რომელიც მასთან ყველაზე ახლოს იყო ეკონომიურად, ადმინისტრაციულად და ეკლესიურად**“ (ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1950, გვ. 160. ხაზი ჩვენია — ავტ.).

ბოლოს გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ის მკვლევრები, რომლებმაც სპეციალურად შეისწავლეს ქ. რუსთავისა და საინგილოს მდიდარი ისტორიის საკითხები, აბსოლუტურად არსად არ აკეთებენ იმ დასკვნებს, რასაც ესოდენ უხვად გვთავაზობს ნ. ნადირაშვილი. მხედველობაში გვაქვს აღნიშნულ საკითხებზე პროფესორების: მ. დუმბაძის, თ. პაპუაშვილის, ლ. ჭილაშვილის, პ. რატიანის, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ჩანაგაშვილისა და სხვათა შესანიშნავი შრომები. ესეც ერთი დამაჯერებელი საბუთია იმისა, რომ ნ. ნადირაშვილი ძალზე შორს არის ელემენტარული ჭეშმარიტებისაგან. რაც შეეხება ქ. რუსთავის მთელ რიგ არქეოლოგიურ გათხრებს, მათი შედეგები თავდაყირა აყენებს ხარეცენზიო ნაშრომის ავტორის დასკვნებს.

აკაკი მათიაშვილი,
უშანგი სახლთხუციშვილი,
შოთა ჭაჭუა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

ნაშრომი ვახტანგ გორგასლის ეპოქაზე

V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოს ისტორია მკვლევართა და ფართო საზოგადოებრიობის განსაკუთრებით დიდ ინტერესს რომ იწვევს, შემთხვევითი არაა. „ამ პერიოდის ქართლის ისტორიის ძირითადი მოვლენები“ ხომ ადრეფეოდალური ქართლის სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი და ყველაზე პოპულარული მოღვაწის, ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას ის დიდი ინტერესი, რითაც ქართველი მკითხველი შეხვდა პროფ. მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიის („ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“, თბ., 1979) გამოქვეყნებას.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის, ისე V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სახელმწიფოს ისტორიის ცალკეული საკითხები მეტ-ნაკლები სისრულით იყო გაშუქებული მონოგრაფიებსა თუ ცალკეულ საჟურნალო გამოკვლევებში, პროფ. მ. ლორთქიფანიძის ნაშრომის გამოქვეყნებამდე V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის — უფრო სწორად, ვახტანგ გორგასლის შესახებ ქართულ საისტორიო ლიტერატურაში მხოლოდ ორი მონოგრაფია მოგვეპოვებოდა. პროფ. ს. მაკალათიას 40-გვერდიან მცირეფორმატიან ნაშრომში („ვახტანგ გორგასალი“, თბ., 1942), ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და მოღვაწეობა ძირითადად XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის, ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორის — ჯუანშერის ცნობებზე დაყრდნობით არის გადმოცემული. ს. მაკალათიას ნაშრომთან შედარებით მრავალმხრივ საინტერესოა თბილისის 1500 წლის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით გამოსული პროფ. ს. კაკაბაძის მონოგრაფია („ვახტანგ გორგასალი“, თბ. 1958). დღეისათვის დასახელებული წიგნი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ამასთანავე პროფ. ს. კაკაბაძის მონოგრაფიის გამოქვეყნებიდან გასულ ორ ათეულ წელში, როგორც ვახტანგ გორგასლის, ისე V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების, ქართლის მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის შესახებ არაერთი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა. V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სახელმწიფოს სრული სურათის წარმოსაჩენად საჭირო იყო შექმნილიყო მონოგრაფია, რომელშიც მთელი სისრულით აისახებოდა როგორც ვახტანგ გორგასლის მრავალმხრივი პოლიტიკური, სამხედრო, საეკლესიო მოღვაწეობა, ისე V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეურნეო მდგომარეობა, ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. პროფ. მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფია ამ დიდი ხარვეზის შევსების ერთ-ერთ ცდად უნდა მივიჩნიოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნაშრომში, მდიდარ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურასა და V ს-ის შესახებ არსებულ ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, გადმოცემულია ვახტანგ გორგასლისდროინდელი ქართლის სამეფოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა, გაანალიზებულია ვახტანგ გორგასლის საშინაო (საერო, რელიგიური) და საგარეო (ქართლის ურთიერთობა ირანთან, ბიზანტიასთან, ეგრისის სამეფოსთან, სომხეთთან, ალბანეთთან, ჩრდ. კავკასიის ხალხებთან) პოლიტიკა, მისი საერო და საეკლესიო აღმშენებლობითი საქმიანობა.

ნაშრომის გაცნობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ავტორის ცდა V ს-ის შესახებ არსებულ ძველ ქართულ წყაროთა მონაცემების უცხოენოვან წყაროთა ცნობებთან შეჯერების საფუძველზე ქართულ წყაროთა ისტორიული რეალობა აჩვენოს. ამ მხრივ, მ. ლორთქიფანიძის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგან, როგორც ავტორიც მიუთითებს, ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილი ჯუანშერის თხზულებას, როგორც წყაროს ვახტანგ გორგასლის ეპოქისათვის, „თითქმის გამოუდეგარად“ თვლიდა (გვ. 12). მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროის კვლევა-ძიებამ ჯუანშერის არა ერთი

ცნობის ისტორიული რეალობა დაადასტურა, ქართველ ისტორიკოსთა შორის ჯუანშერის ცნობებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ გამქრალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მონოგრაფიაში დასმული და გაანალიზებული მრავალი საკითხიდან, ჩვენც მხოლოდ იმათზე შევჩერდებით, რომლებიც ჯუანშერის ცნობების სანდოობის ან ნაკლებ სანდოობის დამადასტურებლად მიგვაჩნია.

ნაშრომის შესავალში ავტორი მიუთითებს, რომ ჯუანშერის ცნობათა გარკვეული ნაწილი, კერძოდ ისინი, რომელიც ვახტანგ მეფის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, ანგარიშგასაწევია და ფაქტიურად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულიცაა (გვ. 12). ასეთ საკითხთა შორის დასახელებულია ვახტანგ გორგასლის აღმოსავლური (კახეთ-ჰერეთის მიმართ), სამხრეთული (კლარჯეთში) და ჩრდილოური პოლიტიკა, საეკლესიო რეფორმები. იქვე აღნიშნულია, რომ რაც შეეხება ჯუანშერის ცნობებს ვახტანგის დასავლური (ეგრისში) პოლიტიკის შესახებ, ისინი მკვლევართა უმრავლესობის მიერ იგნორირებული ან ეჭვის ქვეშაა დაყენებული (გვ. 12-13), თუმცა ვახტანგის „...დასავლური პოლიტიკის ჯუანშერისეული კონცეფცია მთლად უგულვებელსაყოფი არ არის" (გვ. 44).

ვახტანგ გორგასლის თანადროული ქართლის სახელმწიფოს შესახებ ჯუანშერის მონაცემების ისტორიული რეალობის საჩვენებლად პროფ. მ. ლორთქიფანიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჯუანშერისა (ვახტანგის გამეფების პირველ წლებში ქართლში ოსთა შემოჭრა) და V ს-ის ბიზანტიელი დიპლომატისა და ისტორიკოსის პრისკოს პანიელის (დაახლ. 466 წ. დარიალის გზით ამიერკავკასიაში სარაგურთა, აკაცირთა და სხვა ხალხების ლაშქრობა) ცნობები ერთი და იგივე ფაქტს უნდა ასახავდეს (იხ. გვ. 118, შენიშვნა № 12). „ქართული წყაროს ცნობა, — აღნიშნავს ავტორი, — ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარეთა შემოჭრის შესახებ ბიზანტიური წყაროთი დასტურდება" (გვ. 41). ჯუანშერისა და პრისკოს პანიელის ცნობათა ასეთი დამთხვევა, ასევე ვახტანგის აღმოსავლური, სამხრეთული, ჩრდილოური პოლიტიკის შესახებ ჯუანშერის ცნობათა ეჭვმიუტანლობა, ვფიქრობთ, კიდევ ერთი დადასტურებაა ჯუანშერის ცნობათა გარკვეული ნაწილის სანდოობისა და ავტორი ამ მხრივ სამართლიანად იმოწმებს თ. ჟორდანიასა და პ. ინგოროყვას მოსაზრებებს, რომ ჯუანშერის თხზულების ის ნაწილი, რომელიც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს, შეიძლება თანამედროვის მიერ იყოს დაწერილი. ან IX ს. ავტორს ხელთ ჰქონდაადრინდელი წყაროები, რომელნიც ჩართულია მის თხზულებაში ან გამოყენებულია, როგორც წყარო (გვ. 12).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორი ნაშრომის შესავალში სპეციალურად მიუთითებს, რომ ჯუანშერისეული კონცეფცია ვახტანგის დასავლური პოლიტიკის, კერძოდ ვახტანგის მიერ ქართლისათვის ეგრისის სამეფოს (აფხაზეთის გარდა) შემოერთების შესახებ ქართველ ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილის მიერ „იგნორირებულია ან ეჭვის ქვეშაა დაყენებული" ამიტომ ნაშრომის III თავში ამ საკითხზე სპეციალურად ჩერდება (გვ. 44-53).

ვახტანგის დასავლური პოლიტიკის შესახებ ჯუანშერის ცნობათა ისტორიული რეალობის საჩვენებლად, ვფიქრობთ, ავტორმა სამართლიანად დასვა საკითხი, თუ როგორი იყო „ქართლის მეფის ხელისუფლების ხასიათი დასავლეთ საქართველოში". შემდეგში აანალიზებს რა იმ მდგომარეობას, რომ ვახტანგ გორგასლის დასავლური პოლიტიკის შესახებ სხვა წყაროებში არაფერია ნათქვამი, აღნიშნავს: „ქართლის მეფე არ, ან ვერ ატარებდა დასავლეთ საქართველოში იმ სახის ღონისძიებებს, როგორსაც ის ახორციელებდა სხვა შემოერთებული პროვინციების მიმართ" (გვ. 52-53), რომ „V ს-ის ქართლის ეპისკოპოსთა ნუსხაში არ არის წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები" (გვ. 53). ასეთი მონაცემებიდან გამომდინარე ავტორი ეთანხმება ქართულ ისტორიოგრაფიაში (გ. მელიქიშვილი, ხ. კაკაბაძე, დ. მუსხელიშვილი) გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ვახტანგი დას. საქართველოში მოქმედებდა, როგორც შაჰის ვასალი, ვახტანგის დასავლური პოლიტიკა ფორმალურად იყო ირანის იმპერიის აქცია და დასავლეთ საქართველოს ორი საერისთავო ქართლის მეფეს, როგორც ირანის ვასალს, ისე ექვემდებარებოდა. „...დასავლეთ საქართველოს ირანის ქვეშევრდომობაში ყოფნა ქართლის მეშვეობით ხორციელდებოდა", „...ქართლის მეფის ხელისუფლება იქ შეზღუდული იყო" (გვ. 53). აღნიშნულთან დაკავშირებით პროფ. მ. ლორთქიფანიძე იზიარებს დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას, რომ ერისთავი, რომელიც იმ ხანებში დას. საქართველოში იჯდა: „ეგრისელთა სამეფო დინასტიიდანვე იყო" (გვ. 47). ამ მოსაზრების დამადასტურებლად ის მიაჩნია, რომ „...V ს. 70-80-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე VI ს. 20-იან წლებამდე ბიზანტიური წყაროები არაფერს წერენ ეგრისის მეფეების შესახებ", რაც „...არაპირდაპირ, მაგრამ მაინც მხარს უჭერს ჯუანშერისეულ თვალსაზრისს" (გვ. 47).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ ზემომოყვანილ მოსაზრებებს თუ ჩავუკვირდებით და მას მაშინდელ ქართლსა და ეგრისის სამეფოებში არსებულ ისტორიულ ვითარებას შევადარებთ, არ შეიძლება არ დაგვაეჭვოს

(ჯუანშერის ცნობაზე დაყრდნობით) ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულმა მოსაზრებამ: ქართლის სამეფოში ეგრისის საერისთავოთა ხახით შესვლის შესახებ. ასევე მოსაზრებამ, რომ ქართლის მეფეს დამორჩილებული ერისთავები „ეგრისელთა სამეფო დინასტიიდან იყვნენ“. ვფიქრობთ, ამ საკითხის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული კრიტიკა გარკვეული მიმართებით სამართლიანია, თუმცა ვახტანგის დასავლური პოლიტიკის შესახებ ჯუანშერის ცნობათა მთლიანად უარყოფა არ შეიძლება, უფრო მეტიც, ამ მხრივ ჯუანშერის ცნობები თვით VI ს-ის ბიზანტიელი ავტორის, იოანე მალალას მონაცემებით პოულობს გარკვეულ მხარდაჭერას. მალალას ცნობით, ირანის შაჰი ნიშნავდა ეგრისში ახალ მეფეს, ხოლო ეგრისის მეფე წათე წარმართთა სარწმუნოებაზე იყო გადასული და ირანის შაჰის კავადის ქვეშევრდომი იყო (იხ. გეორგიკა, ტ. III, ტფ., 1936, გვ. 263-264). მართალია, იმ დროისათვის, რომელსაც მალალას ცნობა ეკუთვნის, ეგრისში კვლავ ბიზანტიელთა გავლენა იგულისხმება, მაგრამ V ს-ის მეორე ნახევრის გარკვეულ მონაკვეთში ეგრისის ირანელთა გავლენის ქვეშ მოქცევა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ბიზანტიას თავისი პოზიციები ეგრისში 482 წ. წინარე ახლო ხანაში უნდა აღედგინა. სხვა მხრივ წარმოუდგენელია ქართლში 482-484 წწ. ანტიირანული აჯანყების მარცხის შემდეგ, ირანელი სარდლის ზარმიჰრ ჰაზარვუხტის დევნისას, ვახტანგ გორგასალს კვლვ ირანელთა ქვეშევრდომ ქვეყანაში შეეფარებინა თავი (მ. ლორთქიფანიძე ასეთ შესაძლებლობას არ გამორიცხავს. იხ. გვ. 58).

ასე, რომ 482 წ. წინარე ხანებში ეგრისი ირანს რომ ემორჩილებოდა, ამ მხრივ ჯუანშერის ცნობებზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებანი საეჭვოდ არ გვეჩვენება. სრულიად მიხაღებია მოსაზრება, რომ ეგრისში ვახტანგი, როგორც ირანის ქვეშევრდომი, ისე მოქმედებდა, რომ ფორმალურად ეს იყო ირანის იმპერიის აქცია დასავლურ ქართული სამეფოს მიმართ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ ირანის მორჩილების ხანაში, ეგრისის მეფეთა ხელისუფლება ქართლის ერისთავთა ხახელომდე დამცრობილიყო. ასეთი მოსაზრებისათვის წყაროები საფუძველს არ გვაძლევენ. მართალია, 465 წ. ეგრისის მეფეს გუბაზ I-ს კონსტანტინოპოლში გადადგომა მოსთხოვეს თავისი ძის — წათეს სასარგებლოდ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ წყაროებში მასზე ცნობები არ მოგვეპოვება, 465 წ. შემდეგ ეგრისში წათეს რომ უნდა ემეფა, ეს საეჭვო არ ჩანს. მეორე მხრივ, VI ს-ის დამდეგისათვის ეგრისის სამეფო ტახტზე დამნაზესი მჯდარა, რომლის გარდაცვალების შემდეგ, 528 წ. მისი ძე — წათე II კონსტანტინოპოლში მოინათლა და სამეფო ტახტიც მიიღო. მართალია, არ ვიცით, როდის გარდაიცვალა წათე I ან როდის დაიკავა ტახტი დამნაზესმა, მაგრამ ეს გარემოება საფუძველს არ გვაძლევს V ს-ის მეორე ნახევრის გარკვეულ მონაკვეთში ეგრისის სამეფო სახლის წარმომადგენლების ქართლის მეფეთა ერისთაობამდე დამცრობა ვივარაუდოთ. ეგრისის სამეფო საერისთაოთა სახით კი არ უნდა შესულიყო ქართლის სამეფოში, არამედ იგი უშუალოდ ირანის შაჰს, უფრო სწორად რან-ქართლის მარზპანს უნდა დაქვემდებარებოდა, რა თქმა უნდა, ადგილობრივი სამეფო დინასტიის შენარჩუნებით. ჯუანშერის ცნობაში გადმოცემული ამბავი, საერისთაოთა სახით ეგრისის ქართლის სამეფოში შესვლის შესახებ, XI ს-ის იდეოლოგიური შეხედულების — აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ერთიანი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის გამოხატულება უნდა იყოს (იხ. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 88).

ვახტანგ გორგასლის დასავლურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ცალკე დგება არგვეთის საერისთავოს ქართლისათვის შემოერთების შესახებ ჯუანშერის ცნობათა რეალურობის საკითხი. ამ ომიანობის შედეგად შესაძლოა ვახტანგმა მართლაც დაიბრუნა ქართლის სამეფოს ძველი საერისთავო ტერიტორია, მაგრამ, რადგანაც 520 წ. მახლობელ ხანებში არგვეთის საერისთავოს ციხეებში სკანდასა და შორაპანში კვლავ ბიზანტიელთა გარნიზონი იდგა (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II., თბ., 1973, გვ. 250). უნდა ვივარაუდოთ, 482 წ. წინარე ხანაში, როცა ეგრისში ბიზანტიელთა ბატონობა აღდგა, ქართლმა იგი კვლავ დაკარგა.

პროფ. მ. ლორთქიფანიძის სამართლიანი მითითებით, ირანის ბრძოლა ეგრისის ხელში ჩასაგდებად, ფაქტობრივად ეს იყო ომი ბიზანტიის წინააღმდეგ, რომელსაც ჯუანშერის თანახმად, ირანის მხრიდან ქართლის მეფე ვახტანგი მოთავეობდა (გვ. 44). და, რა თქმა უნდა, სწორია ჯუანშერი, როცა ამ ომს ირან-ბიზანტიის ომად მიიჩნევს. რაც შეეხება იმას, რომ ირან-ბიზანტიის ეს ომი ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში არ აისახა, ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ომს უშუალოდ ირანის შაჰი კი არ აწარმოებდა, არამედ რან-ქართლის მარზპანი ვარაზ-ბაკური. მართალია, ჯუანშერი ამ ომის დროს წამყვან პირად ვახტანგ გორგასალს ასახელებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, იმ გარემოებას, რომ იმ ხანად ქართლი რან-ქართლის მარზპანს ემორჩილებოდა (როგორც ამას თვით ჯუანშერიც წერს), ეჭვი არ შეგვეპარება, რომ ჯუანშერის მიერ მოთხრობილ ამბავში რან-ქართლის მარზპანის (რომლის ხელქვეითი იყო ქართლის მეფე ვახტანგი) მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრისისა და, შესაძლოა, ბიზანტიის სხვა აღმოსავლეთი პროვინციების დასამორჩილებლად წარმოებული ბრძოლა არის ასახული.

ამ ომის შედეგად, ვახტანგმა, როგორც ჩანს, თავისი სამეფოს ფარგლებიც გააფართოვა. მხედველობაში გვაქვს ჯუანშერის ცნობა ამ ომის შედეგად ქართლის სამეფოსათვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ძველი ქართული მიწების შემოერთების შესახებ, სადაც ვახტანგმა „არტანუჯის საერისთავო შექმნა". ჯუანშერის ეს ცნობა მ. ლორთქიფანიძის თანახმად „...დადასტურებას პოულობს სუმბატ დავითის ძის თხზულებაში, ხოლო გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" ადასტურებს კლარჯეთში არტანუჯისა და ოპიზის მონასტრების არსებობას აქ გრიგოლის სამისიონერო მოღვაწეობის დაწყებამდე" (გვ. 48). იქვე უმატებს, რომ „აღნიშნული გარემოება კიდევ ერთი საბუთია „ვახტანგ გორგასალის ისტორიის" როგორც საისტორიო წყაროს სასარგებლოდ" (იქვე).

ვფიქრობთ, ნდობის ღირსია და ნაშრომშიც სამართლიანადაა ყურადღება მიქცეული ჯუანშერის იმ ცნობაზე, საიდანაც ჩანს, რომ ვახტანგის მეფობის გარკვეულ ხანაში (ავტორის თანახმად, ვახტანგის მეფობის დასაწყისიდან, 482-484 წწ. ანტიირანულ აჯანყებამდე მაინც) „...ქართლში მაზდეანობას ქრისტიანობის გვერდით თანასწორი არსებობის უფლება [რომ] ჰქონოდა" (გვ. 54), „...ორივე კანონით დაშვებული რელიგია [იყო] და არც ერთის დევნა არ შეიძლებოდა" (გვ. 79). აქედან გამომდინარე, თავისთავად მისაღებია ჯუანშერის ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საკითხის გადაწყვეტისას უაზნოეს მრჩევლებთან ერთად მეფესთან „საყდართავე" სხდებოდა „ორნივე ეპისკოპოსი" — ქრისტიანთა და ცეცხლთაყვანისმცემელთა (გვ. 54).

ძველი უცხოენოვანი საისტორიო წყაროები ერთხმად მიუთითებენ იმ სამხედრო და ფულადი დახმარების შესახებ, რომელსაც ბიზანტიის იმპერია უწევდა ირანს ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად. მსგავსი ცნობა ჯუანშერსაც მოეპოვება. მართალია, ჯუანშერის ცნობა ბიზანტიის იმპერატორის მიერ ირანისადმი 20000 მხედრის გაგზავნის შესახებ გაზვიადებული ჩანს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ როგორც მონოგრაფიაშია მითითებული, „ჩვენი ისტორიკოსი ინფორმირებულია ბიზანტიის იმპერიის პოზიციის შესახებ ამ საკითხში" (გვ. 82).

ფრიად საყურადღებოა ჯუანშერის ცნობები ვახტანგ გორგასლისდროინდელი ქართლის სამეფოს ირანისადმი რელიგიური დამოკიდებულების გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური (სახარკო) დამოკიდებულების გასარკვევად. ამ მხრივ, მონოგრაფიაში სამართლიანადაა მიქცეული ყურადღება ჯუანშერის შესაბამისი ცნობებისადმი. ჩვენი მხრით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჯუანშერის ცნობები ქართლის ბარდავში მჯდომი ირანელი მოხელისადმი მორჩილების შესახებ, მხარდაჭერას პოულობს სირიული აგიოგრაფიული ძეგლის მონაცემებით. ჯუანშერის ცნობებზე დაყრდნობით, მ. ლორთქიფანიძე სამართლიანად უთითებს, რომ „V საუკუნეში უკვე არსებობდა „რანის ერისთავის" („ალბანეთის მარზპანის") ისეთი თანამდებობა, რომლესაც ამ მოხელეს ფაქტიურად მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია ემორჩილებოდა" (გვ. 37).

ზემომოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე, რადგანაც ირანის შაჰები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებში თავიანთ პოლიტიკურ, რელიგიურ და ეკონომიკურ კურსს ბარდავში მჯდომ მარზპანებზე დაყრდნობით ახორციელებდნენ, დგება საკითხი: ქართლი - ირანის შაჰთან ერთად ბარდავში მჯდომ მარზპანსაც ხომ არ უხდიდა ხარკს. ამ მხრივ, პროფ. მ. ლორთქიფანიძემ სამართლიანად მიაქცია ყურადღება ჯუანშერის ცნობას იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ვახტანგ გორგასალმა შაჰთან ერთად ძღვენი, რომელიც „ძირითადად საირანო ხარკს შეადგენდა", მიართვა რანის ერისთავს ვარაზბაკურს, რომლის ლაშქარი მას თან ახლდა ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობისას (გვ. 17). ამ მხრივ, საინტერესოა ჯუანშერის ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ რანში გასაგზავნი ხარკი საირანო ხარკის 1/10 ნაწილი უნდა ყოფილიყო (იხ. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 158).

მ. ლორთქიფანიძეს საირანო გადასახადი მიაჩნია „არა სავალდებულო", „არამედ პერიოდული, ძღვენისა და მისართმეველის სახით" (გვ. 18), რაზედაც ვერ დავეთანხმებით. ჩვენ ვფიქრობთ, საირანო ხარკი და გადასახადები, როგორც ქართლისათვის, ისე ირანის ქვეშევრდომი ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებისათვის, ყოველწლიური და სავალდებულო უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ქვეყნებიდან აკრეფილი ხარკის მეათედი ნაწილი (სამარზპანო) ალბათ ხმარდებოდა იმ სამხედრო კონტინგენტის შენახვას, რომელიც მუდმივად იდგა დარუბანდის კარში და სხვა ციხესიმაგრეებში. ამავე ხარკის ნაწილი გამოყოფილი უნდა ყოფილიყო ბარდავში მჯდომი ირანელი მარზპანის კარის შესანახავად. დანარჩენი კი უშუალოდ შაჰის კარისათვის უნდა გადაეხადათ.

როგორც ვიცით, ჯუანშერი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობას ვახტანგ გორგასლის სახელთან აკავშირებს, მართლაც „როგორც კარგადაა ცნობილი, — წერს მ. ლორთქიფანიძე, — არქეოლოგიურმა გათხრებმა შე-

სანიშნავად დაადასტურა ისტორიკოსმა ეს ცნობა“ (გვ. 98). საერთოდ „ვახტანგის მიერ დიდი სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესახებ ჯუანშერთან დაცული ცნობები რიგ შემთხვევაში დასტურდება (უჯარმა, ნინოწმინდა, ნეკრესი...)“. „აღნიშნული გარემოება, — როგორც ავტორი უთითებს, — სხვა მონაცემებთან ერთად, მნიშვნელოვანი არგუმენტია ჯუანშერის, როგორც წყაროს, მნიშვნელობის საკითხზე მსჯელობისათვის“ (გვ. 75-76).

ჯუანშერის ცნობათა სანდოობისა თუ ნაკლებ სანდოობის შესახებ კიდევ არა ერთი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა. მაგრამ ნაშრომში ჯუანშერის ცნობებთან დაკავშირებით [illegible] საინტერესო საკითხია აღძრული, რომ ერთ წერილში ყველა მათგანზე შეჩერება ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატება. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ძველ ქართულ წყაროთა ისტორიული რეალურობის შესწავლის საქმეში ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მხოლოდ პირველი ნაბიჯები არის გადადგმული და ეს საკითხი ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩება.

მ. ლორთქიფანიძის ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

თენგიზ წოწონავა

მარადიული მგზავრი

ჯარჯი ფხოველის ახალ წიგნში („ძველი წიგნებიდან ამოკრებილი ლექსები“ 1982 წ.) ერთ ლექსსაც ვერ იპოვით, სადაც გამოხატული იქნება სწრაფვა სინამდვილის იდილიზებისაკენ. შემოქმედებაში განსაფუძვლებული უპირველესი კონცეფცია რეალიზმია, რაც რაციონალურ საწყისს წამოსწევს: „გამოგვეღვიძა და მკლავებით გაწურულ სივრცეს შევუშვით ხელი. ჩვენ ისინი არ გვსიზმრებიან.“ მოვლენათა სიღრმისეული, რაციონალური წვდომა პოეტს მოვლენაშივე განფენილ კვდომისა და წარმავლობის ტენდენციას აზიარებს. ამიტომ ლექსში განცდა შინაგანი ტრაგიზმის ნიშნით აღიბეჭდება: „ვის გასძახიან ტოროლები. მიმწუხრის მზეში, საით მიფრინავს ჰილყვავი ობლად ან გადათიბულ ველის თავზე რატომ დგას ქუჩრი, ხმა უსამოხო და უმოტივო“.

კითხვა „რისთვის“ ჯ. ფხოველის მთელს შემოქმედებას გასჰყვება, როგორც ხმამაღალი დაფიქრება ყოფიერების არსზე: რისთვის გავჩნდით, რა უნდა ვაკეთოთ, რას უნდა შევეწიროთ...

პოეზია, საერთოდ, ხელოვნება განზოგადებას ესწრაფვის. ის, რაც მხოლოდ სადღეისოა, მეღროვეთა ნახელოსნარია და გაშვითარების პროცესში უკვალოდ ქრება. ჯ. ფხოველის პოეტურ [illegible] მარადისობადაა დაფუძნებული სამივე დროითი კატეგორია: წარსული, აწმყო, და მერმისი. ზღვრები წაშლილია, არსებობს ერთი მთლიანი და განუყოფელი დრო. ჟამთა ბილიკებზე ახეტებული მარადიული მგზავრი (ლირიკული გმირი), რომელიც ადამიანთა უსასრულო ვნებებს განასახიერებს, ამ დროში მიმოიქცევა.

ვნებათა გარდა პოეტი ყველაფერს წარმავლობაში ხედავს. აქედან უნდა მომდინარეობდეს ჯ. ფხოველის ვიზუალურ-მხატვრული აზროვნების ერთი თავისებურება: მის მიერ დახატული სურათის ელემენტები განუწყვეტლივ მოძრაობენ, საგნები აქ თითქოს ჩნდებიან და ქრებიან: „ჩემი სანთლების ლამისაკენ მოდის მინდორი, მოდის ჰალაკი, მოდის ხნული დასალიერი“; „გამოდის იგი დამეების მდუმარებიდან: ექო, შორით შემოქცეული;“ „გამთენიისას მთებისაკენ გაქცეულ თოვლზე, დეკემბრის თვეში დაცვენილი ფოთლების მსგავსად, ქარი მიაფრენს ჩვენს ნაფეხურებს, მიერეკება უსიერი ტევრებისაკენ.“

წარმოდგენილ სურათებში გარემო თითქოს იმით იხატება, რითაც პოეტის ცნობიერებაზე ზემოქმედებს, მაგრამ დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ სინამდვილეში არავითარი გარემო არ არსებობს: ის, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეიზაჟი გვგონია, ხინამდვილეში ხულიერი მდგომარეობის მატერიალური დანახვა, განხხეულება-განსურათებაა. ამგვარი „პეიზაჟები“ კი იქმნება არა გარემოს აღქმით, არამედ შინაგანი თვითჩაძიებით. მათ წარმოდგენა ქმნის და არაფერი აქვთ საერთო ობიექტურ გარემოსთან.

ჯ. ფხოველისთვის დადგენა უკვე გულისხმობს მიღებას ან უარყოფას, უფრო ხშირად მაინც უარყოფას. ლირიკული გმირიც მუდმივი უარყოფისა და ძიების გზით ვითარდება, სულმუდამ დადის, მოძრაობს. ზოგჯერ ამ მოძრაობის მიზანიც არ ჩანს. იგი შინაგანად მომძლავრებული სტიქიის გამოხატვაა, ნაჭუჭიდან გაქცევა და უსასრულობაში გასვლის მოთხოვნილების სუბლიმაციაა. ამ მოთხოვნილებას სასრულობაში ჩაკარგვის შიში ბადებს. დროის სვლასთან ერთად ჟინი მატულობს, რადგან სიცოცხლის სამანი ახლოვდება, პოეტის სული კი თუმცა აღიარებს არარაობას, როგორც ობიექტურ რეალობას, დისჰარმონირებულია, — სივრცე წყურია:

„საცაა ფარდას დახურავენ, ჩვენ კი ჯერაც არც ერთი სიტყვა არ ჩაგვიგდია ამ ნახნავში, იმედის სიტყვა არ გვისროლია მიწის მწუხარში, რომ მეორე გაზაფხულამდე ვზიდოთ ლოდინის ოქროს ზოდები... საცაა ფარდას დახურავენ... უნდა დავლეწოთ ხორცის ნაჭუჭი და გამოვიდეთ“.

სწრაფვა, ძიება-ვერმოსილვა, არარეალურ არსთა ჭრელი სიმრავლე პოეტის სულში ქაოსს ქმნის, რომლის მიღმა ერთადერთი ღმერთია: „მხოლოდ დუმილი... ო, დუმილში, სულო, ილოცე, ჩემი გამგზავრება მარადიული“.

ჯ. ფხოველისთვის უცხოა სინამდვილისგან შემოზღუდვა: „მე კი ხმა მინდა ამ ღამეში, ხმა თუნდაც ხარის, იახსრის გორზე რომ ალმოხდა უკანასკნელად“, „ნუ დადუმდები, სანამ დანას ლესავს მავანი, სანამ ჯალათი დააბიჯებს დედამიწაზე... ჯერაც ანთია შენს ჭერმაღალ სასახლეებში, გადავიწყების უდაბნოს კარად ჯერაც ანთია პოეტების სისხლის ყვავილი.“

ლოცვა-დუმილისა და მოძრაობის ამგვარი შენივთება („ილოცე ჩემი გამგზავრება მარადიული“) ქართველი კაცის სულიერი ემანაციაა — იგი ხომ ლოცვით მიდიოდა ბრძოლად, ბრუნდებოდა და ისევ ხატთან ივანებდა. თუ ლოცვა-დუმილი პოეტისთვის სულის განსაკუთრებული მდგომარეობაა, ბუნებრივი მდგომარეობა მოძრაობაა — მოძრაობა ქაოსში, ძიება რეალურისა არარეალურთა წიაღ. როცა მის წინაშე ლირიკული თვითგამოხატვის ამოცანა დგება, ქაოსი ერთბაშად იჩენს თავს: „არ იმღერება ეს სიმღერა. ოდენ მგოდებელ დიაცთა ხმაში აკვნესდება და დამარცხებულ მეციხოვნეთა ბაგეებში დაიკლაკნება.“

წყობილ და ჩამოქნილ ფორმათა მხხვრევაც აქ იწყება, ჯ. ფხოველის ლექსის ფუნქცია, ვერლიბრის causa მისსავე ფსიქოლოგიურ თავისებურებაში ძევს. იგი აბსოლუტურადაა გაცნობიერებული პოეტის მიერ, რითმასთან დამშვიდობებაც ამ „გაცნობიერების“ ნიადაგზე ხდება.

„მშვიდობით, რითმის კეთილო ღმერთო, შენს ძველისძველ იმპერიაში, მაგ მოზეიმე ლანდების გვერდით ვეღარ მივილავ — სულ სხვა ქარი მიერეკება ჩემს აჩრდილს, სულ სხვა ხმების წყვდიადი მომდევნის აქეთ, სად ფრინველთა უ დ ა რ ი ფ ო რ ო ორკესტრი უკრავს.“

ახლა ბევრი იწერება ე. წ. „სამოცდაათიანელებზე,“ კერძოდ, ვერლიბრისტებზე. საბედნიეროდ, თანდათან ურწმუნონიც რწმუნდებიან, რომ თავისუფალი ლექსის დამკვიდრება ჩვენს პოეზიაში სულაც არ არის ეროვნული მაგისტრალის უარყოფა. ამ ფორმამ არა ერთი სიახლით გაამდიდრა პოეზია და კვლავ გაამდიდრებს, ალბათ. მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დღეს უფრო დილეტანტურ წრეებში დგას. კრიტიკული მიდგომა კი ქართული ვერლიბრის „შიგასაქმეებთან“ მიმართებაში ხორციელდება. ჩვენც ამ მიმართებით გვსურს მივუთითოთ იმ ურთიერთმსგავსებაზე, რაც თავად პოეტთა შემოქმედებას განმსჭვალავს. სავსებით ბუნებრივია, რომ ერთი თაობის პოეტებმა ერთნაირი ტკივილები მოიტანონ, მაგრამ ურთიერთმსგავსებაზე ლაპარაკი იწყება არა აქ, არამედ იქ, სადაც თანხვდება გამოხატვის საშუალებანი და ფორმები. გასაგებია რომ ჩვენმა ვერლიბრისტებმა ფაქტიურად ერთმანეთი გაზარდეს („უმამობის“ გამო), მაგრამ დღეს ვერლიბრმა მიაღწია გარკვეული ტრადიციის დონეს, უკვე შემუშავდა სტილიც და საძირკველიც, დადგა დრო, როცა თითოეულმა პოეტმა მეტი უნდა იზრუნოს საერთო სიბრტყის დასაძლევად. იმედიანი მზერა, პირველყოვლისა, მიმართულია იმ პოეტებისაკენ, რომელთაც ახლახან შემოაბიჯეს პოეზიაში და თვითგამოხატვის ფორმად ვერლიბრი აირჩიეს.

ჯ. ფხოველის რითმიან ლექსებში განწყობილება უფრო დაწმენდილი და მოწესრიგებულია, სჭარბობს სამყაროს მშვენიერი, ლირიული (და არა მკაცრი, ვერლიბრისთვის სპეციფიური) განცდა. პოეტი ახერხებს ორეულის შექმნას ლირიკულ გმირთან, დაცილებას და დისტანციურ დანახვას. მშვენიერების განცდას განაძლიერებს ლექსის კონვენციური ელემენტი. რითმიანი ლექსი უმეტესად სულის ქაოსიდან გამოთავისუფლებისას იწერება.

ბოლო დროს პოეტის სიმპათიები მკვეთრად გადაიძალა ვერლიბრისკენ (კრიტიკოსებიც ერთხულოვნად დაეხმარნენ ამაში). ახალი წიგნი

თენგიზ ჭოჭონავა

მარადიული მგზავრი

ვერლიბრის თითქმის აბსოლუტური პრიმატით არის შედგენილი. მასში ვერ შევიდა ბევრი კარგი რითმიანი ლექსი... მათ შორის ერთი უსათაურო:

ოდეს ჩამოხდება მთრიალე
კედლიდან ლანდი მორიელის —
ოდეს გადმომწვდება უდღეურად
მოხრილი ხელი კურთხეულის —
ოდეს მივიქცევი უზიაროდ
და ტყე მომატირებს უსიური —
ოდეს შემოდგომის ყვავილივით
უეცრად გადავა ყოველივე —
მაშინ ამ ლურჯი გაზაფხულის
ჭრელი მოსასხამი გადამხურე
და ცა მოაქციე გაწვიმებად.

იგრძნობა ხაოცარი ინტიმი მიწასთან, იმ მიწასთან, რომლის რძითაც ვიზარდეთ და სისხლად და ძვლად დავუბრუნეთ ძუძუს მადლი. ლექსში ყველაფერი ქართულია, ტკბილ-მწარე დანგრეული ტაძრის შუქივით, ყველაფერი მშობლიურია. სიკვდილის ესთეტიზირება სიცოცხლის ესთეტიკური განცდის და არა რელიგიური მისტიფიცირების გზით, რაც აქ გვაქვს, ჩვენი ლიტერატურული და ფოლკლორული ტრადიციაა. პოეტი თითქოს ძლევს იმას, რასაც მთელი შემოქმედების მანძილზე მიელტვის — ადამიანის არსებობის, როგორც მარადიული ფენომენის, განცდას. ამიტომ კვალიც ალარსად ჩანს ტრადიციულ დაპირისპირებათა და დისჰარმონიისა, ადამიანი და სამყარო ერთ სისხლ და ერთ ხორც ქცეულა და დახატულა უალრესად ჰარმონიულად, ესთეტიკური პირველსაწყისით. მიუხედავად ლექსის შინაგანი სიღრმისა, მხატვრულ ეფექტს ძირითადად რითმოვანი ქსოვილი ქმნის, რომლის პლასტიკურობა მიმოქცევით გამოხატვაში საცნაურდება. ლექსის შინაგანი ქსოვილიც მიმოქცევითია, ორივე მხარის ერთობა უფრო განამტკიცებს ჰარმონიის განცდას.

როგორც ვნახეთ, „რითმის კეთილი ღმერთი" საკმარისად გულუხვი აღმოჩნდა ჯ. ფხოველისადმი და მასთან „დამშვიდობება" არც თუ სასურველია. რაც შეეხება „ღმერთს", იგი თავად პოეზიაა და რა სახით ინებებს გამოცხადებას, თვით უწყის, ხოლო პრინციპული უარისთქმა რომელიმე ფორმაზე ჯ. ფხოველის პოეზიას დააკლებს, ჯერ ერთი, ბუნებრიობას (ყველა სათქმელი შინაგანად ფორმის ელემენტსაც ითავსებს), მეორეც: მრავალფეროვნებას.

ჯ. ფხოველსა და მის თაობაზე ფიქრობდა აწ განსვენებული კრიტიკოსი გურამ ასათიანი, როცა წერდა: „ვერლიბრი, როგორც ტრადიციონალიზმის ყველაზე მძაფრი ანტითეზა თანამედროვე ვერსიფიკაციაში, ჩემი აზრით, ერთ ფსიქოლოგიურ თავისებურებასაც გამოხატავს: ის თითქოს საერთოდ ყოველივე დაკანონებულის, მდგრადის, აუცილებლის ანტითეზაა." ირღვევა ტრადიციული შეხედულებები და ფორმები, უარიყოფა შტამპი, შაბლონი, იბადება ახალი შეხედულებანი, ახალი ფორმები... ეპოქამ, რომელსაც ჟამთა სვლამ გადამფასებლის ფუნქცია დააკისრა, რეალიზმი გააბატონა, როგორც სწორი შემეცნების ერთადერთი გზა, ხოლო რეალიზმმა როგორც მსოფლმხედველობრივმა პრინციპმა მოვლენათა სიღრმეები მოიძია.

ჯ. ფხოველი ახდენს აბსტრაგირებას ფორმის, როგორც მოჩვენებითი ფენომენისგან, და ისწრაფვის სუბსტანციისკენ. აუცილებელი ხდება მოვლენათა „გაუცხოება", როგორც თავის თავში, ისევე სხვა მოვლენაში. ასე განისაზღვრება მეტაფორის დომინანტი , პოეზიაში. თუმცა არსებობს სხვა მიზეზებიც, თუნდაც ის, რომ პოეტი ცდილობს რითმის მთლიანი დაკარგვისა და რიტმის მოდერნიზების პირობებში მკითხველის ყურადღება სახეობრივი აზროვნებისკენ წარმართოს. სახეობრივი საფეხურები რიტმულ ჟღერადობასაც გამოკვეთენ. ამგვარი ტვირთის ზიდვა კი მეტაფორას შეუძლია, როგორც გამოსახვის ყველაზე ძლიერი უნარის მქონე ხერხს. მეტაფორიზებას განიცდიან სხვა მხატვრული ხერხებიც, იქმნება ერთი მთლიანი ლექსი-მეტაფორა: „იახსრის გორზე შუაღლისას დაკლული ხარის თვალები დადის ჩემი ქოხის ჩათვლემილ ჭერზე... და ხსოვნას ჯერაც ათრთოლებულ ხელებით მოაქვს ლორთქო ბალახის მეწამული აქვითინება. ხელგამოწვდილო ჯარისკაცო, შენ გეუბნები: აივსო ძვლებით ეს ქვეყანა და გარდასულთა ჩურჩული ისმის მარტოდმარტო, მარადიული. ჩურჩული ისმის დანგრეული სამრეკლოების ირგვლივ... კედლების მიღმა და იქით ჩურჩული ისმის, ჯარისკაცო, მხოლოდ ჩურჩული, მე კი ხმა მინდა ამ ღამეში, ხმა თუნდაც ხარის, იახსრის გორზე რომ აღმოხდა უკანასკნელად".

ანგარიშგასაწევია თვით ავტორის სწრაფვა „ბუნდოვანი", ძნელადაღსაქმელი პოეზიის შექმნისკენ. თავისთავად მოსაწონია ამგვარი პოეტური არტისტიზმი, ოღონდ იმავდროულად დიდი სიფრთხილეა საჭირო: როგორც კი ხუსტი მეტაფორა გაჩნდება ან მეტაფორული ხაზი ჰორიზონტალურად განვითარდება, ოსტატობის ნაძალადევი ჩვენების, (თვითმიზნის) შეგრძნებაც უმალ ჩნდება.

ერთმა კრიტიკოსმა ჯარჯი ფხოველსა და მის მეგობრებს ზნეობრივი მაქსიმალისტები უწოდა. დიახ, ისინი არ წერენ აუდიტორიისთვის, ტაშისა და ყვავილებისთვის, წერენ იმას, რაც ეწერებათ, და ისე წერენ, როგორც ეწერებათ, ესწრაფვიან არა „იდეათა" დეკლარაციას, არამედ სულის გამოხატვას, რითაც პოეზიას პოეტურობას უბრუნებენ (თუმცა ზოგი სწორედ პოეტურობის დაკარგვას საყვედურობს). იმ კრიტიკოსისა არ იყოს, მეც, პირველყოვლისა, ზნეობრივი მაქსიმალიზმი მხიბლავს მათში და მინდა კვლავაც შეურყვნელი ვიხილო იგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ხესინი

ვინ თქვა, დონ კიხოტი მკვდარიაო?

ესპანეთს დონ კიხოტის გამო გავემგზავრეთ. გავემგზავრეთ-მეთქი, რომ ვამბობ, ვგულისხმობ მწერალ ვიქტორ შკლოვსკის, ყველა დროისა და ხალხის უმამაცეს რაინდზე მრავალსერიიანი ფილმის სცენარის ავტორს; მწერლის მეუღლეს სერაფიმა გუსტავოვნას; ფილმის დამდგმელს, ქართველ რეჟისორს რევაზ ჩხეიძეს და ამ სტრიქონების ავტორს;

უნდა მოვლაპარაკებოდით ჩვენს ტელევიზიელ კოლეგებს, მოგვეწერა ხელი სერვანტესის დიადი ქმნილების ერთობლივი ეკრანიზაციის ხელშეკრულებაზე; დედამიწის ზურგზე არსებულ ამ ყველაზე უფრო არაპრაქტიკულ კაცზე გადასაღები ფილმი პრაქტიკულ, საქმიან მომზადებას ითხოვდა. რა თქმა უნდა, ჩაფიქრებული კინოსურათის ავტორები იმედოვნებდნენ, რომ ესპანეთის მიწაზე მთელი სისავსით გაიგებდნენ და იგრძნობდნენ დონ კიხოტს.

— ბარე ნახევარი საუკუნეა დონ კიხოტს ვუთვალთვალებ და მხოლოდ ახლა მესმის ცოტათი მისი, — თვითმფრინავში გამომიტყდა ვიქტორ შკლოვსკი, მთავარ წინადადებებს, როგორც ყოველთვის, ენერგიულად წარმოთქვამდა. — ყოველი თაობა, ყოველი კაცი ამ რომანში რაღაც ახალს პოულობს. გამოსულელებული კაცი რომ აჩვენო ფილმში, იგი ჭერ ჭკვიანად უნდა გამოიყვანო. მხოლოდ და მხოლოდ ბრძენი სულელი დააინტერესებს მაყურებელს. ჩემი სცენარის გმირები, რომანის გმირებისგან განსხვავებით, სამ კი არა, ოთხ განზომილებაში ცხოვრობენ. სცენარში აისახა არა მარტო ლამანჩის ვარდისფერ ჰაერში მოციმციმე სივრცე, არამედ ის დროც, რომელიც ამოზნექილ ლინზასავით გვიახლოებს თვით გმირებს, მათ ქცევასაც და მათ ვნებებსაც. დონ კიხოტი უბრალო რომანის გმირი როდია. იგი კაცობრიული არმიის გმირია, ვისთვისაც ბოროტების წინააღმდეგ, სამართლიანობისათვის ბრძოლაში უცნობია შიში, ანგარება, არც სახელისა და მადლიერების იმედი აქვს. იგი უდიდესი ჰუმანისტი და სულიერი მაქსიმალიზმის კაცია. ფილმის გადაღება რომ დამთავრდება, შეგიძლია თქვა: „კეთილი იყოს ტელევიზიის ეკრანზე თქვენი გამოჩენა, კაცობრიობის მეგობრებო!"

თითქოს დაუჯერებელია, რომ ვ. შკლოვსკი ორმოცდაათ წელიწადზე მეტი ხანია უტრიალებს დონ კიხოტს. მისი წიგნი „პროზის თეორია", რომლის ერთ თავს ეწოდება „როგორაა შექმნილი დონ კიხოტი", ჩვენში, მოხდა თუ არა რევოლუცია, მაშინვე გამოიცა. სულ ახლახან ეს წიგნი მეორეჯერ გამოვიდა ბარსელონაში. ასე რომ, ესპანელებისათვის ცნობილია სერვანტესის ვ. შკლოვსკისეული წაკითხვა. ბევრს უნახავს რ. ჩხეიძის ფილმი „ჯარისკაცის მამა". ფილმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკრანებზე გადიოდა და, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ კინოსურათმა მისცა ბიძგი რ. ჩხეიძეს მიახლებოდა დიადსა და მარადიულ თემას, „დონ კიხოტის" თემას, რომელსაც ახლა ხორცი უნდა შესხმოდა, გვეხილა სერვანტესის რომანის სატელევიზიო ეკრანიზაცია.

ესპანეთის მიწა უკვე დიდი ხანია ის აღარ არის, რომელზეც სახელგანთქმული იდალგო მოგზაურობდა. მრავლის მნახველია ეს ინკვიზიციის კოცონებით გადაბუგული, კათოლიკური ეკლესიის გამო საუკუნეობრივ ბნელეთსა და უმეცრებაში მყოფი, ნაპოლეონის არმიის ჩექმებით გათელილი, ფრანკიზმის ბორკილებში ტანჯული და ბოლოს ამ ბორკილებისაგან განთავისუფლებული მიწა. მაგრამ, ალბათ, მთელ ამ დროს ესპანელის არსებაში ცოცხლობდა სიკეთისა და სამართლიანობისათვის უდიდესი მებრძოლის ამაღლებული და თავისუფლებისმოყვარე სული. სხვანაირად ეს ტანჯული, უამრავი ტრაგედიის მომსწრე მიწა-წყალი ასე ალერსიანი, კეთილი და მხიარული ვერ იქნებოდა. ამ მიწის სული, ცხადია, მარტო ესპანელის სულში არ ცოცხლობს. აი, სწორედ ამიტომ ხამნახევარ საუკუნეზე მეტია, ამქვეყნად დაეხეტება უკვდავი დონ კიხოტი და მისი ერთგული საჭურველთმტვირთველი სანჩო პანსა. კი მაგრამ, დღეს რაღად სჭირდებათ ადამიანებს ეს გულუბრყვა-

ლო მეოცნებე, შერეკილი და შექანებული, ხუშტურიანი ლამანჩელი კაცი?

ამ კითხვაზე პასუხს ესპანეთის მიწაზე მოველოდით. არც ისე გულუბრყვილონი ვიყავით, რომ გვეფიქრა, თანამედროვე ესპანეთი მხოლოდ წარსულის ლიტერატურული ატრიბუტებით დაგვხვდებაო.

ესპანეთის დედაქალაქი თანამედროვე ევროპული ქალაქია. ღამეული მადრიდის ქუჩები და მოედნები ჭიანჭველის ბუდეს მოგაგონებთ, სხვადასხვა ფერის ხოჭოებს — ავტომანქანებს რომ აუბოლებიათ. ავტომობილები ისე დაქროდნენ, როგორც ნიშანდებული ატომები მაგნიტურ ველზე, და თვითონ აწესრიგებდნენ მოძრაობას — იმ ხანებში მილიციელები გაიფიცნენ, ხელფასის მომატებას ითხოვდნენ.

ტურისტული სეზონი როცა მთავრდება, ესპანეთი ისევ ესპანელებს ეკუთვნის და ყავახანები და რესტორნები დედაქალაქელებითაა გატენილი. ყოველ ასეთ დაწესებულებაში საკუთარი სამყაროა, საკუთარი ყოფა-ცხოვრება, მუსიკა, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მაძახურები, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, უფრო კოლორიტისათვის არსებობენ. ჭამაში ზომიერნი არიან ესპანელები, ეს განსაკუთრებით პურზე ითქმის. ძველი ბერძნებისა არ იყოს, ბევრი ღვინოს წყლით განზავებულს სვამს. ხშირად ერთი ჭიქა ღვინო საკმარისია, მთელი საღამო ცხარე და უსასრულო ლაპარაკში გაატარონ. სიტყვამ მოიტანა და, აქ ყოველთვის ცხარე ლაპარაკი უყვართ.

მადრიდელები გვიანობამდე დასეირნობენ ყველასათვის ცნობილ პლასა მაიორის მოედანზე, ყველა მოსწავლემ იცის, რომ ამ მოედნის ძელურზე ენთო ოდესღაც ინკვიზიციის კოცონები; ასევე იყო ყველაზე გრძელ, უთვალავი აივნებითა და ჭრელ-ჭრელი ფარდებით მორთულ ალკალის ქუჩაზე, კოლუმბის მოედანზე, კასტელიანას ბულვარზე, სიბელესის მოედანზე, პასეო დელ პრადოზე. წინათ ამ ხეივანში გრანდები, არისტოკრატიის ნალები დასეირნობდა, ბრბოში კი აქა-იქ გაკრთებოდნენ მეძავი ქალები, გამვლელებს მანტილიის ქვემოდან შავ თვალებს რომ შეანათებდნენ.

ეს ჩვევა დღესაც ცოცხალია — დედაქალაქის მცხოვრებლები მთელი ოჯახებით გამოდიან სასეირნოდ. შეგიძლია თვალს წყალი დაალევინო და სხვასაც დაენახო, დატკბე შადრევნების ცქერით, მარმარილოს დელფინებით, შანდლებიდან წყლის ჭავლებს რომ ანთხევენ, შეიგრძნო სიგრილე, რაც ქარს სიერა-დე გუადარამას მთებიდან მოაქვს, მზერა შეავლო ალტაცების მომგვრელად მორთულ ვიტრინებს, სადაც ყველაფერი, სამწუხაროდ, ძვირია. ათასი ცხოვრებისეული საზრუნავის გამო მთლად გულარხეინად ვერ იქნები კაცი, და მოსეირნეთა შორის დონ კიხოტები თითქოს არ შეგვხვედრია, მაგრამ აი, რამდენიმე დულსინეას კი მოვატანეთ თვალი.

საკმარისია, შემწვარი წაბლის სუნით გაჟღენთილი მთავარი ქუჩიდან ან ხეივნიდან გადაუხვიო, რომ თითქმის შუასაუკუნეობრივ სიბნელეში ამოჰყო თავი. კანტიკუნტად თუ მოჩანს შუქი. ფანჯრები ჩაბნელებულია. ნავთობის გაძვირების გამო მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომელიც კრძალავს ვიტრინების განათებასა და გადაჭარბებულ რეკლამას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოუწოდებენ მოსახლეობას დაზოგონ ბენზინი და ელექტრონი. ძვირდება ცხოვრება. მაგრამ ფრანკიზმის ოთხი ათეული წლის უბედურების გადამტან ესპანელებს არ დაუკარგავთ სულიერი ძალები, იმის უნარი, რომ ღიმილით შეხედონ ბევრ რამეს. აი, თუნდაც პრადოს ბულვარზე ნეპტუნის შადრევნის შუაგულში, სამკაპზე, ზღვის მეუფეს ხელში რომ უპყრია, ვიღაც ბრაზმორეულ ხუმარას პლაკატი დაუკიდია: „გამაძღეთ ან აქედან მოაშორეთ ეს ჩანგალი“. ვერაფერს იტყვი კაცი, იუმორით შეზავებული მრისხანე სიტყვა უფრო ძლიერია.

თავისთავად ცხადია, რომ ამ სავსებით თანამედროვე ესპანეთში პირველი სადილაო ვიზიტი სერვანტესს ეკუთვნოდა.

მისკენ მიმავალი გზა ადვილად მისაგნებია. რომელ მადრიდელსაც უნდა ჰკითხო, ამა და ამ ალაგას როგორ მივიდეო, სალისით მიგასწავლის, ანდა სულაც მიწაზე დაგიხატავს ესპანეთის მოედანს, სადაც აღმართულია პედრო მუგურუსის ნაქანდაკევი ძეგლი. იგი დგას სასტუმროებსა და ოფისებს შორის, რომელთაც ვერ მიუჩქმალავთ ძეგლი, ვერ დაუმდაბლებიათ მწერლისა და მისი ლიტერატურული გმირების სიდიადე. რასაკვირველია, სკულპტორს ყველა მათგანი არ გამოუქანდაკებია — როგორც ცნობილია, „დონ კიხოტი“ ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ „დასახლებული“ რომანია — პერსონაჟთა რიცხვი ოთხასამდე აღწევს.

გრანიტისაგან გამოკვეთილი ამ დიდებული ძეგლის წინ, თითქოს დროის სივრცეებში დაქრისო, ბეხრეკ როსინანტზე გადამჯდარა მწუხარე სახის რაინდი, მის გვერდით კი ერთგული საჭურველთმტვირთველი, ბედნავსი სანჩო პანსა მიჩაქჩაქებს. ამბობენ, რომ 1937 წლის ზამთრის დღეებში, როცა მადრიდი თავს იცავდა, როგორც თავისუფლების ბასტიონი, რესპუბლიკელებმა ამ ძეგლს ირგვლივ ქვიშით გატენილი ტომრები შემოუწყვეს. მერე იქვე ახლოს ჭურვი აფეთქდა და ტომრები მიფანტ-მოფანტა. მტვრის ბული რომ გაიფანტა, მებრძოლებმა დაინახეს შუბშემართული დონ კიხოტის ხელი, რაც თითქოს მოგვაგონებდა რომანის მშვენიერ სიტყვებს, რომ უმეცრებისა და ვერაგობის ბინდბუნდს არ შეუძლია დაჩრდილოს და დააბნელოს ნათელი სიქველისა და კეთილშობილებისა. დონ კიხოტი არ კვდება და არ ნებდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არ არის მწერლისა და მისი გმირების ერთადერთი ძეგლი. ასეთი მონუმენტი მრავალია. მიგელ სერვანტესი 1616 წელს გარდაიცვალა (როგორც ვ. შკლოვსკი გვარწმუნებს, შექსპირის სიკვდილიდან ერთი კვირის შემდეგ), ეს ძეგლი კი მუგურუსმა მხოლოდ 1927 წელს შექმნა.

პატივი და აღიარება სერვანტესს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ეღირსა. ამჟამად მწერლის გარდაცვალების დღე ესპანეთში წიგნის დღედაა გამოცხადებული. ესპანეთის მოედანზე, მწერლის ძეგლთან თავს იყრის სერვანტესის ათასობით თაყვანისმცემელი. ესაა ხელოვნების სახალხო დღესასწაული. ეწყობა მწერლის წიგნების გამოფენა, სკოლებში იკითხება ლექციები, იდგმება მისი პიესები, თეატრებში სპექტაკლების დაწყებამდე წარმოადგენენ ხოლმე სცენებს მისი სახელგანთქმული რომანიდან. ანიჭებენ პრემიებს დიდი ესპანელის შემოქმედებაზე დაწერილი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებისა და შრომებისათვის. საინტერესოა, რომ მსოფლიოში თურმე არსებობს სერვანტესის 2 000 გამოცემა 60 ენაზე, 3 000-ზე მეტი გამოკვლევა მასზე. მარტო ქალაქ ვალდეპენიასის მცხოვრების მიგელ ბორდა სერდას კერძო ბიბლიოთეკაში „დონ კიხოტის" 740 გამოცემაა 47 ენაზე, მწერლის 165 ბიოგრაფია, დაახლოებით 1 200 კრიტიკული შრომა.

უკანასკნელ გამოკვლევებს თუკი დავუჯერებთ, სახელგანთქმული ლამანჩელი კაბალერო გამოგონილი პიროვნება არ ყოფილა. თითქოს ამაში დასარწმუნებლად ფრანგი ჟურნალისტების ერთმა ჯგუფმა თავიდან ბოლომდე მოიარა ესპანეთი, ეძებდნენ ტიპაჟს, რომელიც რომანის მთავარ გმირებს ემგვანებოდა. არაერთხელ წააწყდნენ მხიარულ, მოძრავ (მიუხედავად სიმსუქნისა) სანჩო პანსას, გლეხის ქალებში ხვდებოდათ ისეთები, ვისაც წარმოსახვა დულსინეად გარდაქმნიდა. აი, დონ კიხოტის ძებნა კი დიდხანს გაგრძელდა. ერთ-ერთი მათგანი — პატარა პროვინციული ქალაქის ფოსტის მოხელე, მაღალი, გამხდარი, კეთილშობილნაკვთებიანი კაცი, სუფთა და ტკივილიანი გამოხედვა რომ ჰქონდა, უკვდავი, მამაცი და გაბედული რაინდის იდეალურ მოდელად იქნა არჩეული.

შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ დონ კიხოტი ასე ძალუმად ცოცხლობდა ჩვენს სულებში, ესპანეთში მოგზაურობისას ჩვენც გვინდოდა გვეგრძნო თავი მოხეტიალე რაინდებად, დავკვირვებოდით ყველაფერს, რასაც ოდესღაც დონ კიხოტი გზაზე ხვდებოდა. მაგრამ შთაბეჭდილებები დღევანდელი „მოხეტიალე რაინდისა", ვინც ფეხმრუდი როსინანტი ექვსცილინდრიანი ავტომანქანით შეცვალა, უფრო მრავალფეროვანი და განსხვავებულია, და ჩვენს უბის წიგნაკებში იწერებოდა სულ ახალი და ახალი დეტალები.

ტოლედოს მივემგზავრებოდით. თქორავდა. მაგრამ აი, ღრუბლები გაიფხრიწა და გამოჩნდა გამჭვირვალე, ბაცი ლურჯი ცა, როგორიც ველასკესის ტილოებზეა. მზემ გაანათა აგურით ფენილი ქალაქის ქუჩები, ისეთი ვიწრო ქუჩები, რომ ხანდახან ორი კაცი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის, გაანათა ცხაურით შეჭედილი ჩაბნელებული სახლები, რომელთაც მავრთა ხანგრძლივი ბატონობის კვალი — ფართო ხის კარები ეკიდათ. ვნახეთ ალკანგარას ხიდი, რომელიც მდინარე ტახოზე იყო გადებული, მდოვრედ რომ მიატბორებდა მომწვანო-მოყვითალო წყალს, ვნახეთ არაბების მიერ მე-17 საუკუნეში აგებული მზის კარიბჭე, სოკოლოვერის მოედანი, სადაც ძველად ეწყობოდა პოეტთა შეჯიბრებანი, რომელშიც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ლოპე დე ვეგას; ვიხილეთ ნაცრისფერი გრანიტით ნაგები ტაძარი — შუა საუკუნეების ევროპაში საკულტო რელიქვიებითა და ხელოვნების ნაწარმოებებით მდიდარი ტაძარი.

განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებდა იმის მოგონება, რომ ეს ღირსშესანიშნავი ადგილები ნახსენებია თაღლითურ რომანში „ლაზარილიო ტორმესელი...", ლუის დე ლეონის ლექსებსა და სერვანტესის „სამოძღვრებო ნოველებში", ვინც ოდესღაც ცხოვრობდა და წერდა პატარა სასტუმრო „დე ლა სანგრეში", რომელიც დღემდე შემორჩა და აღწერილია ლიონ ფოიხტვანგერის „ესპანურ ბალადაში". ძველი ფურცლები გვახსენებდნენ ამ ქალაქის სახელოვან წარსულს, რომლის რომანტიკულ იერში ძალზე თავისებურად შერწყმოდნენ ერთმანეთს მის აღმშენებელთა გატაცება გოტიკური და რომანული სტილებით, რენესანსითა და ბაროკოთი.

დავდიოდით ტაძრის გრილ სიბნელეში, რომლის მგზნებარე გოტიკა აგერ უკვე ექვს საუკუნეზე მეტია აოცებს კაცს. წირვით არავინ არ წირავდა და ჩვენ და კიდევ ითთო-ოროლა ტურისტი ვტკბებოდით სახელოვანი იტალიელის ბენვენუტო ჩელინის ნახელავი ვერცხლის ჰურჭლით, სანაწილით, რომელშიც გარედან ნაკლები დეტალი როდია, ვიდრე თანამედროვე თვითმფრინავში, და ყველაფერი ოქროსი და პლატინისაა, მოვიხიბლეთ დედოფალ იზაბელას გვირგვინით. გვირგვინი იმითაა ცნობილი, რომ ძვირფასი ქვები, რომლითაც იგი მორთულია, ჯიბეგაფხეკილმა დედოფალმა მევახშეებში დააგირავა, რათა კოლუმბისათვის ხომალდები აეშენებინა. დედოფალს ზარალი არ უნახავს — კოლუმბმა ახლადმოჩენილი ამერიკიდან ნაძარცვი ოქრო ჩამოიტანა და ვალი დაუბრუნა ფეხიან მბრძანებელს. საერთოდ ამერიკელების „გულღვარძლიანობით" შეშფოთებული ესპანელები, ქვეყნის ეკონომიკაში სულ უფრო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო რომ აფათურებენ ხელს, არც თუ იშვიათად იხსენებენ ამ ისტორიულ, უფრო ხწორად, ეკონომიკურ კურიოზს.

ესპანელებს ძალიან აწუხებთ ქვეყნის მომავალი. ცვლილებები უფრო ნელა ხდება, ვიდრე სასურველია. ჩვენ შევხვდით იმ ადამიანებს, ვინც აქტიურად მოქმედებს, რათა დააჩქაროს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების პროცესი, ვინც ოცნებობს აყვავებული და ბედნიერი ესპანეთის ნახვას. იქნებ ეს ადამიანები შემთხვევით არ უწოდებენ თავის თავს სოციალისტებს, თავიანთ პოლიტიკურ პარტიას კი სოციალისტურს. უნებურად გამახსენდა ა. ვ. ლუნაჩარსკის სადღაც ნათქვამი სიტყვები: „სოციალიზმის განხორციელება როცა დაიწყება, ძალიან ბევრი მგზნებარე უტოპისტი, დონ კიხოტები, ფანტასტები თავისი გმირული რომანტიზმისათვის რევოლუციურ მუშაობაში პოვებენ ადგილს, აღარ იქნებიან ფანტასტიკური რაინდები და ნამდვილ პრაქტიკოსებად იქცევიან“.

დონ კიხოტი! დიახ, სისწრაფეში ჩვენი ავტომანქანის უპირატესობის მიუხედავად, როსინანტის პატრონი ყველგან გვიწეოდა და გვიწეოდა ყველაზე მოულოდნელ სიტუაციებში. და მხოლოდ მისი სახე ვერ გავარჩიეთ ჯერ. მაგრამ ბოლოს, „პირისპირ“ შევხვდით.

დიდსა და ნათელ სალაროში სადაც თეთრ კედლებზე, თითქოს წარსულში აღჩენილი ღიობებიათ, ოქროსფერ ტონებად ანთებულიყო ელ გრეკოს ჩვიდმეტი ტილო, ტიციანის, რიბერასა და ველასკესის შედევრები. მერხებზე მოკალათებული ტოლედოს ტაძრის დამთვალიერებლები გაყუჩებული მივჩერებოდით ძროისაგან ჩაშავებულ სურათებს. რეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ სული განაბა ელ გრეკოს ტილოს „წმინდა ლუკას“ წინაშე. ეს ხომ ზედგამოჭრილი დონ კიხოტია! ფერმკრთალი, მოგრძო სახე, ჩაცვენილი ლოყები, მინავლული მზერა, გალეული ხელის მოძრაობა ამ კაცის კეთილშობილსა და ნატიფ ბუნებაზე მეტყველებს. ლუკამ, ასე რომ მოგვაგონებს „ბრძენ უგუნურს“, თითქოს ისევ აიძულა რეჟისორი ეფიქრა ფილოსოფოსების მიერ შემოთავაზებულ გამოცანაზე: ვინ არის შერყეული, ის, დაუცხრომელი „სიმრუდის გამსწორებელი“ თუ გარესამყარო?

მერე კი თავი ამოვყავით ბერძენი ფერმწერის დომენკო თეოტოკოპულოა უზარმაზარ, ოცდაოთხოთახიან სახლ-მუზეუმში. იგი მსოფლიო კულტურის ისტორიაში ელ გრეკოს სახელით შევიდა. სასადილოდან სახელოსნოში გავედით, რომელიც ისევეა მორთული, როგორც მათი პატრონის სიცოცხლეში, სახელოსნოდან — საძილე ოთახში; სამნახევარი საუკუნის წინათ, აი, ამ დაცხავებულ საწოლზე გარდაიცვალა დიდი მხატვარი. არც თუ იშვიათად, ფერმწერი თავისი სურათებისათვის მოდელებს ხაგიეეთში ეძებდა და მისი ფუნჯი ხიგიჟის ავადმყოფურ გამოვლენებს სულის უმაღლეს ალტყინებად გარდაქმნიდა. პორტრეტებიდან შემოგვცქეროდნენ კასტილიელი „წმინდა გიჟები“. თითოეულ მათგანში მომავალი ფილმის ავტორებმა იპოვეს თავიანთი მწუხარე სახის რაინდის ესა თუ ის დამახასიათებელი თვისება, რაც იმედი გვაქვს, კინოკამერის ობიექტივით გაცოცხლდება გადასაღებ მოედანზე.

კვირა დილას სერვანტესის სამშობლოში, ალკალა დეენარესში მივემგზავრებით.

მაიორის ქუჩაზე, ბალჩის გადაღმა დგას ლეგამოწითალო ქვით ნაგები უბრალო სახლი. ამ სახლს ნომერი არ აწერია. ბრინჯაოს ფირფიტაზე ვკითხულობთ, რომ სახლი სერვანტესს ეკუთვნოდა. პატარა ეზოში არავინ ჩანს, ოდესღაც კი აქ ტევა არ იყო პაციენტებისა, მიგელის მამასთან, მთელ ქალაქში განთქმულ მკურნალთან მიღებაზე რომ მოდიოდნენ. მამის საექიმო პრაქტიკაზე მიგვანიშნებს მომხილველებისათვის განკუთვნილი სკამები, ძველი სამედიცინო წიგნები, ფარმაცევტული ცნობარები, ბალახებისაგან წამლების დასამზადებელი სპილენძის როდინები.

ქვემო სართულის ოთახები ნაირფერი კენჭებით მოფენილ პატარა ეზოში გადის; შუა ეზოში ჭაა ამოთხრილი. დიდი ხანია აღარ გაჭრიალებულა სახლის კარი. ოჯახში ყველანი შრომას იყვნენ შეჩვეული — ამაზე მიგვანიშნებენ სართავი ჯარები, აგრეთვე მანგალები, რომლითაც ოთახებს ათბობდნენ, ასევე სხვადასხვა საოჯახო საგნები. აქ, როგორც ჩანს, ზეთით გაწყობილი ლითონის სანათების ალზე ბის მაგიდასთან მიმჯდარ ბიჭს ძალისძალად გამოჰყავდა პირველი ასოები. პირველდაწყებით ცოდნას კი იგი ვალიადოლიდში, იეზუიტთა კოლეჯის გრამატიკულსა და ჰუმანიტარულ კლასებში დაეწაფა. მოგვიანებით, როცა მიგელს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ის მადრიდს წაიყვანეს და საბავშვო სკოლაში მიაბარეს, რომელიც თანამედროვე ინტერნატის შორეული პირველსახე იყო.

აი, აქედან, მთელი მსოფლიოდან ჩამოსული მნახველების ფეხით გათელილი ზღურბლიდან დაიწყო მომავალი მწერლის ხეტიალისა და გაუთავებელი ფათერაკების გრძელი გზა. იგი ფლოტისთვის სურსათის შემსყიდველ მოხელედ მსახურობდა; იყო დაქირავებული ჯარისკაცი, იყნოსა დენთის სუნი ლეპანტოსთან თურქების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. სამჯერ დაიჭრა, დაკარგა მარცხენა ხელი, ხუთ წელიწადს იტანჯებოდა ალჟირის ფაშას ტყვეობაში, ოთხჯერ გაიქცა, მაგრამ უშედეგოდ. და ბოლოს ტყვეობიდან გამოისყიდეს მისიონერებმა.

სერვანტესის სახლი კარგად დავათვალიერეთ, მაგრამ აი, დონ კიხოტთან სტუმრობა კი...

ვინ მოთვლის, ესპანეთის რამდენი კუთხე და ქალაქი ეცილება ერთმანეთს, არა მე ყარ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო და არა მეო. მაგრამ მაინც, რაინდის აღიარებული სამშობლო ლამანჩის პროვინციაა.

აქა-იქ შემორჩენილა სათვალთვალო კოშკების ნანგრევები, რომელთა სათოფურებიდან მოჩანდა ანდალუსიური ლურჯი ცა და მთის კალთობებზე შეფენილი ცხვრის ფარები. ირგვლივ ყველაფერი იმ შორეულ ივლისის დილას მოგაგონებდათ, როცა გალატაკებული აწოწილი იდალგო ალონსო კიხოტა და მისი უდარდელი მეჯინიბე სამოგზაუროდ გაემართნენ, რათა ხახელი გაეთქვათ მათი შემქმნელის მიგელ დე სერვანტესისათვის.

საღამოს ალარკონის ციხე-დარბაზში შევხვდით, ოდესღაც ამ კუთხეს მეომარი მავრებისაგან რომ იცავდა. ჩვენი მეგზური, ესპანეთის ისტორიისა და კულტურის მცოდნე დოქტორი სანტი დაგვყვებოდა გალიგვებულ ციხე-დარბაზში, რომლის ოთახებში ოდესღაც გავლენიან მფლობელთა შორეული წინაპრები შეყუყულიყვნენ. ხის ნივნივებით შეერთებულ თეთრ კედლებზე ჰედური სანათები, რაინდის აბჯრები, ციხე-დარბაზის ბრწყინვალე მფლობელთა დროშები ჰკიდია, აგუზგუზებული ბუხრის წინ ტყავის ბალიშებიანი ძველებური სავარძლები დგას. ფერადი ტელევიზორი რომ არა, ყველაზე გამოსაჩენ ალაგას რომ იდგა და პოპ-მუსიკის ჰანგებს აფრქვევდა, ძნელი არ იქნებოდა იმ შორეულ დროში გარდავსულიყავით, როცა ამ დარბაზში, როგორც სანტი გვარწმუნებდა, შეციებულ ფეხებს ითბობდა სერვანტესი;.

უსასრულოდ თავაწყვეტილად მხიარული და გულისმომწყვლელად ნაღვლიანი რომანის ხელოვნებაში სავალი გზა იმიტომ, რომ მოუსაზღვრავია ადამიანის ოცნება სამართლიანობაზე. ესპანეთში ოთხი ტომი გამოვიდა მაგნიტოფონის კასეტებითურთ. ორმოცდარვა საათი გრძელდება კითხვა! პოპულარული მსახიობი ტედიო სურო ფურცელ-ფურცელ კითხულობს დიად წიგნს. ხოლო ტელევიზიაში რეჟისორმა კრუს დელგადომ დადგა ნახევარ-ნახევარ საათიანი ორმოცდათორმეტსერიული მულტიპლიკაციური ფილმი ეშმაკი იდალგოს ფათერაკებზე.

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით მას. მივადგებოდით თუ არა რომელიმე პატარა ქალაქს, ბდღვირადენილი შარაგზის გადაღმა უეჭველად გამოჩნდებოდა ცხენზე ამხედრებული აწოწილი მოხეტიალე რაინდისა და მისი გასიებული საჭურველთმტვირთველის ნაცნობი კონტურები. კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ისინი თუ აცოცხლებდნენ დადუმებულსა და უკაცრიელ სოფლებს. ციხე-სიმაგრესავით სახლების კართან იდგა თიხის ჰურჰლები, რომლებშიც მწნილდება ხახვით, ნივრითა და ფორთოხლით შეზავებული ზეთისხილი. უამისოდ არც ერთი გლეხი არ მიუჯდება სუფრას. ირგვლივ გადაჭიმულიყო თითქმის უკაცრიელი და ნაღვლიანი პურის ყანები და ზვრები. ლანდშაფტი იღვიძებდა, როცა მინდორში ტრაქტორი მუშაობდა.

დიდხანს მივყვებოდით როზმარინის ბუჩქებით დაფარულ ქვიან გზაწვრილებს სანამ არ მივაღწიეთ მონტესინოსის გამოქვაბულს. ოდესღაც იგი რომაელებმა ამოთხარეს ნავთობის ძებნისას, ახლა კი ეს გამოქვაბული ტურისტების მსხემობის ადგილია. ხის ფირფიტა იუწყებოდა, რომ ამ გამოქვაბულში დაიდეს ბინა გზაში გაჭენაულმა დონ კიხოტმა და მისმა კვლავინდებურად ჩაგოდრებულმა სანჩომ. ისინი ამ ქვებზე ჩამომსხდარან და ფილოსოფიური საუბარი გაუბამთ იმაზე, რომ მწერლის კალამს ამქვეყნად უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე ყველაზე კეთილშობილი რაინდის შუბს. დიახ, ფირფიტაზე ასე ეწერა. მოდი და ამას შემდეგ იწამე, რომ ეს ორი თანამოსაუბრე მხოლოდ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ.

მაგრამ კიდევ უფრო დაუჯერებელი იყო, რომ მხატვრის ფანტაზიამ ისინი კაზემატის კედლებში შვა. ჩვენ ვნახეთ ეს კაზემატი, როცა ქალაქ ალგამასილიას ვეწვიეთ. აი ისიც, ცნობილი სევილიის სამეფო საპყრობილე! 1597 წლის სექტემბერში აქ, მკვლელებისა და მძარცველების კამერაში დანაკლისის ყალბი ბრალდებით მოათავსეს გადასახადის ამკრეფი სერვანტესი. კიბის საფეხურებით ჩავდივართ ერთკაციან კამერაში, სადაც გადაიყვანეს პატიმარი მეგობრების შუამდგომლობისა და მის მიერ მიცემული ქრთამის შემდეგ.

მუზეუმის მეთვალყურემ სენიორა ანხელიტა ხიმენესმა გვიამბო: ,,აი, ამ ქვაზე გაფენილ ჭილობზე ეძინა მას. ამ თუნუქის სარკეში უყურებდა თავის თავს. აი, ამ ორი სანათის შუქზე წერდა. რაც არ ყოფილა, არ ყოფილა. სერვანტესს ხელს არავინ უწყობდა. მე მარტო ციხის კომენდანტი კი არა ვარ, იმასაც ვადევნებ თვალყურს, ექსკურსიამძღოლები ნამეტან ჩმახვას არ მოყვნენ. იმათ უყვართ გადაჭარბება“, და იცინის.

რა სტოიკურად კეთილშობილი სული უნდა გქონდეს, რომ ამ აშმორებულსა და ბნელით მოცულ საწამებელში, რომელსაც ერთადერთი ცხაურიანი ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც სინათლე ჰიატობდა, ერთ დღეს კალამი და ქაღალდი მოითხოვო, დაივიწყო საპყრობილეში გამეფებული კოშმარი და დაწერო სიმწრითა და იუმორით, ტკივილით, რბილი და კეთილი ღიმილით სავსე, იქნებ ყველაზე უფრო ნაღვლიანი და მხიარული წიგნი. ეს წიგნი, ამბობს ვ. შკლოვსკი, იმდენივე საბაბს იძლევა სატირლად, რამდენსაც გასაცინარადო.

მაინც რამოდენა ზნეობრივი და ფიზიკური ძალების უკიდურესად დაძაბვის უნარი უნდა ამ მოცინარ ტანჯულ კაცს, რომ ლტოლვილი კა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტორდელლეზისა და მანანწალების ლანძღვასა და ყვირილში, მათ შორის ატეხილ ჩხუბში, არ მიმკარებოდა საჭმელს, არაფერი გაეგონა, დაენახა და ეწერა. წერდა ფურცელს ფურცელზე, რომლებმაც შემდეგ ოცნებასა და სინამდვილეს შორის მარადიულ წინააღმდეგობათა ტრაგიზმით შესძრეს კაცობრიობა, მუდამ აღელვებდნენ და აღელვებენ ადამიანს, შეაწუხებენ მის სინდისს. გაივლის თითქმის სამი საუკუნე და ამ ადამიანს, სიცილით რომ ამტკიცებდა ადამიანის არსებაში მშვენიერის გრძნობას, დოსტოევსკი უწოდებს ყველაზე ბრძენ მწერალს, ხოლო მის ქმნილებებზე იტყვის, ჯერჯერობით ესაა ადამიანური აზრის უკანასკნელი და უდიდესი სიტყვა, ესაა ყველაზე მწარე ირონია, რომელიც ადამიანმა გამოხატაო.

— დონ კიხოტი უდიდესი სიკეთის მქნელი იყო, — თავისი აზრები გაგვიზიარა ვიქტორ შკლოვსკიმ, როდესაც გამგზავრების წინადღით მის ნომერში მოვიყარეთ თავი. — მიმნდობი ბავშვი. მთელი ლამანჩის ლეგენდა და დაცინვა. იგი სამყაროს მიამიტი თვალით უყურებდა. ხულიგნურად იქცეოდა, მაგრამ ბრძენი ფილოსოფოსი იყო. გაბედულად მსჯელობდა კაცობრიობის არასრულყოფილებაზე, სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეუმჯობესებინა ადამიანის ცხოვრება, რომ უფრო კეთილი ყოფილიყო იგი, უფრო ბედნიერი. სინამდვილე მის ოცნებებზე ულმობელი იყო, ამიტომ აგულიანებდა დაუღალავ როსინანტს და თავისი ილუზიებისაკენ მიაქანებდა...

მაგრამ ყველაზე ლამაზი და ამაღელვებელი მის ილუზიებში იყო მშვენიერი დულსინეა, უფრო სწორად, ტანმრთელი და მხიარული გლეხის გოგო ალდონსა ლორენსო, ვინც ერთხელ დონ კიხოტმა ტობოსის გზაზე ვირზე გადამჯდარი იხილა და კეთილშობილ ქალად წარმოიდგინა. მისი სახელი სულ პირზე ეკერა. უწოდებდა თავისი ოცნების ქალბატონს, თავისი ღამის დღეს, თავისი ბედის ვარსკვლავს, ქალს კი უყვარდა მიწა, ხალისით შოლტავდა საქონელს და ყველაზე უკეთ იცოდა ღორის ხორცის დამარილება. სწორედ ასეთ მშრომელ გლეხის ქალად, ნამდვილ მიწიერ ქალად წარმოგვიდგა იგი სატელევიზიო ფილმში „დულსინეა", რომელიც ჩვენმა ესპანელმა კოლეგებმა გვაჩვენეს. ვუყურებდით კინოსურათს და ერთმანეთს ვუზიარებდით აზრებს იმაზე, თუ რამდენი მშვენიერი რამ შექმნა ამქვეყნად სიყვარულმა, რომ სასურველი იქნებოდა, ჩვენს სატელევიზიო ვერსიაში მაყურებელს დაენახა, როგორ გარდაქმნის ამ ჯანითა და ხორცით სავსე ქალს დონ კიხოტის მთრთოლვარე თაყვანისცემა ყველაზე უნაზეს და ულამაზეს სატრფოდ, როგორ ამაღლებს მას, რომ გაიგოს რაინდის გრძნობები და, პირიქით, ქალის საპასუხო გრძნობები ამაღლებს მოხეტიალე თაყვანისმცემლის სულს, ვინც მისი გულისთვის გინდ მთვარე ქვეყანას გადააბრუნებს.

ჩვენ შევიარეთ ტომალოსის ქალების მუზეუმში, იქვე დუქანში დავაჭაშნიკეთ მონტელის ღვინო, გემო გავუსინჯეთ ლამანჩურ ყველს, რომელსაც თურმე, როგორც სერვანტესი გვარწმუნებს, ხშირად შეექცეოდა ჩვენი მომავალი სატელევიზიო ფილმის გმირი, რადგან მეტი სახსარი არ გააჩნდა; გზატკეცილით გადავჭერით ალკასარის ველი და წყნარ, პროვინციულ ტობოსში ამოვყავით თავი. ოთხი საუკუნე თითქოს არცკი შეხებია ამ ქალაქს.

ყველა შესახვევში ლიტერატურული ასოციაციები გველოდა.

სოფლელი გოგოს ალდონსას სახლთან, ვისაც დონ კიხოტი მოწიწებით უწოდებდა მშვენიერსა და ღირსეულ ქალბატონს, სახლების კედლებზე გაკეთებულმა მოკლე წარწერებმა მიგვიყვანეს.

რა თქმა უნდა, ამ სადა სახლის სასახლედ წარმოდგენა მხოლოდ დონ კიხოტის ცხოველ წარმოსახვას შეეძლო. დონ კიხოტი ყველა გმირობას დულსინეას გულისთვის სჩადის, უწოდებს მას მეუფეს, ეს მეუფე კი ფეხშიშველა დატანტალებს ეზოში, ამოაქვს ჭიდან წყალი, ეხმარება ცხენების გამოხსნაში, წურავს ყურძენს ხის ბაგაში, ხოლო საღამოს ბუხართან ზის და ნართს ძახავს. ყველაფერი გამოუდიოდა ხელიდან. უცხო და უცნაური იყო ამ ოთახებში დიდებული სავარძლებისა და საწოლის, მდიდრული ჭურჭლის ნახვა, რომლებიც უფრო სრასახლებს შეეფერებოდნენ, ვიდრე უბრალო სოფლურ საცხოვრებელს. ყოველივე ეს თითქოს უფრო უსვამდა ხაზს დონ კიხოტის ამაღლებულ ცდომილებათა ტრაგიკომიკურ ხასიათს, მარადიულ შეუსაბამობას მაღალ ოცნებასა და მკაცრ ცხოვრებას შორის.

ამაღლებული ოცნება და მკაცრი სინამდვილე! მარადიული „თემა დომ კიხოტისა.." ეს თემა იცვლება, განიცდის ტრანსფორმაციას, ჩნდება სულ ახალ-ახალი წახნაგები, მაგრამ მუდამ აღელვებს მხატვრებს.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ქართველი რეჟისორის რ. ჩხეიძის ამ თემისადმი შინაგან ერთგულებაზე. სამოციანი წლების შუა ხანებში გადაღებული კინოსურათი „ჯარისკაცის მამა" არსებითი ეტაპი იყო რეჟისორის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მაგრამ აი, სერვანტესის სატელევიზიო ეკრანიზაციისათვის როცა ემზადება, რ. ჩხეიძე დგამს ფილმს, რომელშიც მოხეტიალე რაინდის რომანტიკული სახისათვის თითქოსდა ადგილი არ უნდა იყოს. მის ახალ კინოსურათს „მშობლიურო ჩემო მიწავ" საფუძვლად უდევს სავსებით კონკრეტული და საკმაოდ მძაფრი სოციალური, სამეურნეო და დემოგრაფიული სიტუაცია. მთავარი გმირია პარტიის რაიკომის მდივანი გიორგი თორელი.

რა მიწიერი სიმართლით ასრულებს ამ როლს

დამდგმელი რეჟისორის მოგვარე თ. ჩხეიძე. ეს წარმოუდგენლად პატიოსანი კაცი, რაც კი შეუძლია, ზრუნავს ადამიანებზე, მოქმედებს მშვიდად და მტკიცედ, ღრმად სწამს სიკეთის და იმ საქმისა, რომლისთვისაც იბრძვის.

გიორგი თორელი, დონ კიხოტისგან განსხვავებით, აღწევს დასახულ დიდ მიზნებს. ეკრანზე რაც ხდება, ყოველივე იმის აპოთეოზია ახალ მიწაზე ხალხის დასახლების ეპიზოდი. ხალხი ცისკიდურიდან გამოჩნდება და ავსებს ფართო ველს. ხარგიხარხანიანი მოხუცებისა და ახალგაზრდების უსასრულო მსვლელობას ეკრანზე მართლაც ეპიკური გაქანება აქვს; მათ შესახვედრად გამოსული რაიკომის მდივანი თვალნათლივ ხედავს აღსრულებულ ოცნებას.

და მაინც, დონ კიხოტის ხატება ისევ და ისევ აფორიაქებს, მოსვენებას არ აძლევს ჩვენს ხსოვნას. ცხადია, იმიტომ კი არა, რომ უძველესი ქართული მიწა ესპანეთის მიწას მოგაგონებს. და არა მარტო იმისთვის, მოედანს გვერდით რომ გაუვლის, სადაც ნატურული გადაღებები მიმდინარეობს, გიორგი თორელი ხედავს კაფანდარა, აწოწილ დონ კიხოტს, რომელიც წინდახრილი შუბით ეძგერება ქარის წისქვილს. „აბა შევჩერდეთ! — გაისმის რეჟისორის ბრძანება. — კიდევ ერთხელ!“ და კვლავ და კვლავ მიექანება წისქვილისკენ დონ კიხოტი, ლამობს ბოლო მოუღოს მას თავისი ჩაჟანგებული რაინდული იარაღით. ამ აშკარა ბუტაფორული ეპიზოდის აზრი, ბუნებრივია, შორსაა პირდაპირი ანალოგიებისაგან: რ. ჩხეიძის გმირს მოჩვენებებთან, ქარის წისქვილებთან როდი უწევს ვაჟკაცური ბრძოლა.

და აი, ისევ დონ კიხოტი. საოცრად ნაცნობი ფიგურა აღმართული შუბითა და ახდილი მუზარადით. ამ ხის ფიგურას აქეთ-იქით ატრიალებენ ვიღაცის სათუთად მოვლილი ხელები, ზიზღით უტკაცუნებენ ცხვირზე მწუხარე სახის რაინდს: „რა სასაცილო ვინმეა!“ ეს ხელები ჩვენი გმირის დაუძინებელი მტრის, სამშენებლო ტრესტის უფროსის, თვალისამხვევის, თავდაჯერებული ნაძირალას, მერაბ სეთურიძის ხელებია. მხატვრის უტყუარი ალღო დაეხმარა რეჟისორს ამ ეპიზოდში გაეხსნა არა მარტო თორელისა და სეთურიძის ბუნებრივი ანტაგონიზმი, არამედ ორი ზნეობრივი კატეგორიის სიღრმისეული, ფილოსოფიური დაპირისპირება.

გიორგი თორელი იმარჯვებს, იმიტომ იმარჯვებს, რომ მის ხასიათში უნაყოფო დონკიხოტობა როდია, არამედ რაინდული სიმამაცე, კეთილშობილება, უანგარობა, იმარჯვებს იმიტომ, რომ პირდაპირ უყურებს სიმართლეს თვალში, რა მწარეც არ უნდა იყოს იგი; ის მარტო არ არის, მხარში უდგანან კომუნისტები, მეგობრები, ისინი, ვისაც მისი სჯერათ.

— მე მჯერა, რომ ცხოვრებაში იმარჯვებენ კეთილი, თბილი, დაუზარელი ადამიანები — შენიშნა ერთხელ რევაზ ჩხეიძემ. — მინდა, ახალ სატელევიზიო ფილმში მხატვრული კინო-ენით ვუპასუხო ოდინდელ კითხვას: როგორ ვიცხოვროთ? აქტიურად, ვნებიანად უნდა გჯეროდეს შენი ოცნებისა, იბრძოლო მისთვის თუ იცხოვრო შემდეგი პრინციპით, — სხვისი ჭირით, ლობეს ჩხირით? არ დაიხიო უკან სიძნელეთა წინაშე, მუზარადახდილი შეეგებო მათ, არ შეუშინდე დაბრკოლებებს, რათა გაიმარჯვოს სიმართლემ, სამართლიანობამ, სიკეთემ და პატიოსნებამ. ისეთი წიგნი, როგორიც „დონ კიხოტია“, კაცობრიობას, თ. დოსტოევსკის სიტყვით, მხოლოდ ერთი თუ ელირსება რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში, და მინდა მაყურებელს გავუმჟღავნო ამ წიგნის ულრმესი და საბედისწერო საიდუმლოება, როგორც ის დაინახა და აღნიშნა თ. დოსტოევსკიმ: ადამიანის უდიდესი სილამაზე, სიწმინდე, უმწიკვლოება, უბრალოება, უბოროტობა, სიმამაცე და, ბოლოს, უდიდესი ჭკუა-გონება ილუზორულისა და ფანტასტიკურისაკენ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ ადამიანისათვის სასარგებლო პრაქტიკული საქმიანობისაკენ...

ეს საუბარი პუერტო ლაპისის ფუნდუკში გაიმართა; ფუნდუკის მთელი მორთულობა და მისი პატრონის ათასჯერ მონათხრობი ლეგენდა მეტყველებდა, რომ აქ არაერთხელ დაუდევია ბინა დონ კიხოტს. დავისვენეთ და ქალაქ კამპოდე-კრიპტანასაკენ გავემართეთ, რომლის განაპირას, მთის კორტოხზე დგას ათიოდე ამაყად ფრთებგაშლილი, თეთრგვერდა ქარის წისქვილი. ისინი საუკუნეების აგვირგვინებენ „ლამანჩის აივანს“, როგორც ამ ადგილს უწოდებენ.

— ნამყოფია აქ დონ კიხოტი? — შევეხუმრეთ ზედამხედველს.

— არ ვიცი, მე თვითონ დიდი ხანი არ არის, რაც აქ დამნიშნეს, — ისე გვიპასუხა, ირონიის ნატამალიც კი ვერ ვიგრძენით.

მოხუცმა, უფრო სწორად, ამ ქარის წისქვილებივით ხანიერმა ზედამხედველმა მაიხეს როდრიგეს მანტონეკე პინტორმა — ასე წარმოგვიდგინა თავისი თავი — გაალო ბელლის მძიმე ბოქლომი, კარი გააჭრიალა და ხრახნული კიბით ზემოთ აგვიყვანა. ირგვლივ ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა. ზედამხედველმა კიდობანში ტურისტებისათვის მომარაგებული ფქვილიდან ერთი წვნიკი ამოიღო, მოასხირხვალა და თითები გახსნა. ქარმა აიტაცა ფქვილი და ერთ შორეულ ფანჯარას მიაყარა (ოდითგანვე ასე განსაზღვრავდნენ მეწისქვილეები ქარის მიმართულებას და ფრთებს ამის მიხედვით აყენებდნენ). როცა ძირს ჩამოვედით და მუზეუმის მცველს გამოვეთხოვეთ, მან გვითხრა:

— ნუ იკითხავთ, დონ კიხოტი აქ ნამყოფია თუ არაო... რა თქმა უნდა, იგი მუდამ მახთანაა, ვისაც ფრთები არ დაუკეცავს...

ბორის ხესინი

ვინ თქვა, დონ კიხოტი მკვდარიაო?

მოხუცი ესპანელის ეს ფრაზა გულში ჩაგვრჩა. არც მაშინ დაგვავიწყდება, როცა პრადოს მუზეუმის უსასრულო დარბაზები მოვიარეთ და დავათვალიერეთ ველასკესის, რიბერას, სურბარანის, გოიას ტილოები, და არც მაშინ, როცა ვაკვირდებოდით სცენებსა და ტიპაჟებს, თითქოს შეეძლოთ ეკარნახათ ჩვენთვის მომავალი ფილმის სტილისტიკა. არ დაგვავიწყდება, როცა „მსოფლიოს მერვე საოცრების“ — ესკორიალის სასახლის ანფილადებზე დავდიოდით, სადაც მეფეთა მდიდრული მარმარილოს საძვალის ხილვა იმას გაფიქრებინებდა, რომ ამა ქვეყნისა მბრძანებელთ პატივსა და დიდებას სიცოცხლეშივე ან გარდაცვალებისთანავე მიაგებენ, მაშინ, როცა კაცობრიობის ულირსეულეს შვილებს სიკვდილის შემდეგაც დიდხანს არ ღირსებიათ შესაფერისი პატივი...

სადაც უნდა ვყოფილიყავით, მაინც იმ „გაძვალტყავებულ კაცზე ვსაუბრობდით, ვინც ისეთი მოულოდნელი აზრებით იყო აღსავსე, აქამდე რომ არავის მოსვლია“. ამ მეოცნებემ, როგორც პარადოქსების მოყვარულმა ვ. შკლოვსკიმ შენიშნა, თავისთვის გამოიგონა სერვანტესი, რათა აეწერა მისი გმირობები. რომანის გმირებს შორის ის ერთადერთია, ვისაც ხელოვნების მიერ შექმნილი სინამდვილისა სჯერა. და ჩვენც, ლამანჩიდან დაბრუნებულებს, გვინდოდა დაგვეჯერებინა, რომ დონ კიხოტი ნამდვილად იყო, იყო მოძრავი, მამაცი და კეთილშობილი, მიამიტი და სასაცილო, კეთილი და დიდსულოვანი, რადგან კაცობრიობას არ შეუძლია იარსებოს ასეთი ადამიანების გარეშე.

დონ კიხოტს მკვდარს რომ ვერავინ ნაეროვნული ბიბლიოთეკა
იწამეთ-მეთქი, ამას გთხოვთ ყველას;
დროსა და სიკვდილს არ დაუჯერა
და კვლავ სალაშქროდ აპირებს ახლა.

ესპანეთიდან წამოსვლის წინადღეს ლოპე დე ვეგას სახელობის ქუჩაზე მივედით. ნალესობამომგვრელი, ცრიატი დღე იდგა. მონასტრის კედელზე, მიგელ დე სერვანტეს საავედრას ბარელიეფთან მიმაგრებული ფირფიტა გვაუწყებდა, რომ ამ მდუმარე სავანეში განისვენებს იმ მწერლის ნეშტი, ვინც დოსტოევსკიმ ყველაზე მაღლა დააყენა მსოფლიოში. მეკარემ ეკლესიაში შეგვიშვა. იქით მონაზვნები ლოცულობდნენ. სერვანტესს სიცოცხლეში არ ღირსებია აღიარება. ის კი არა, ესპანელები მისი სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ მიხვდნენ, რა დიდების ღირსი იყო კაცი, ვინც ბერმონაზონთა ძმობის ხარჯით, ალბათ, სადღაც აქ, მძიმე ფილების ქვეშ ემარხა.

მეკარე მოთმინებით გველოდა, ვიდრე თავჩაქინდრულები მდუმარედ ვიდექით ესპანეთის უდიდესი შვილის საფლავთან. მაგრამ გასასვლელისკენ გავემართეთ თუ არა, მეკარემ წინ გადაგვიხტა და ხელი გამოგვიშვირა, მძიმე მწუხარებისათვის ფულს ითხოვდა... ფულს ითხოვდა აქ, სერვანტესის სამარესთან, სადაც ყველაზე მეტად გვინდოდა დონკიხოტური უანგარობა...

თუმცა იქნებ, სერთოდ სამწუხაროა, რომ სულ უფრო და უფრო ნაკლებად ვართ დონ კიხოტები!

თარგმნა გიორგი მაშუკაძემ.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ციკრის“ დამატება — 72-17-01, სკორექტორი — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 13.06.83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.07.83 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1557 უე 08260 ტირაჟი 56.700.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ